



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

დიდი მონაცემების სახელშეკრულებო მოწესრიგება და სამართლებრივი
დაცვა ციფრული ფინანსური ბაზრის კონკურენციაში

ნაშრომი წარდგენილია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი
ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნატო გუგავა
ასოცირებული პროფესორი სალომე ქავთარაძე
ასოცირებული პროფესორი მიხალ პეტრ

თბილისი, 0186, საქართველო
აგვისტო, 2025

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით სანდრო-გიორგი სარუხანიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „დიდი მონაცემების სახელშეკრულებო მოწესრიგება და სამართლებრივი დაცვა ციფრული ფინანსური ბაზრის კონკურენციაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი:

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ინდივიდუალური პროფესორების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით ასლის გადაღებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს.

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას და დამოწმებულია შესაბამისი წყაროთი) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადოქტორო ნაშრომი შეეხება დიდ მონაცემებს ციფრული ეკონომიკის კონტექსტში, მათ ეკონომიკურ ღირებულებას, სამართლებრივ მოწესრიგებასა და პლატფორმულ ბიზნეს-მოდელებში ინტეგრირებას. ნაშრომი განიხილავს დიდი მონაცემების კომპლექსურ ეკოსისტემასა და მონაცემების არქიტექტურას. ტექნოლოგიური პროგრესი დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც საზოგადოებრივ, ისე ეკონომიკურ პროცესებზე, რაც ციფრული ბაზრების გაჩენასა და ციფრული ბიზნესმოდელების ჩამოყალიბებაში ვლინდება. ამ პროცესში გადამწყვეტი ადგილი კი დიდ მონაცემებს (Big Data) უკავია, რომლებიც მრავალრიცხოვანი ციფრული წყაროებიდან მაღალი სიჩქარით შეგროვებული, რთულად სტრუქტურირებული, არაერთგვაროვანი ინფორმაციის ერთობლიობაა. ამასთანავე დიდი მონაცემების ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს დიდი მონაცემების ეკოსისტემის და შესაბამისი არქიტექტურის არსებობას, რაც უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას, შენახვას, დამუშავებასა და ღირებულების გენერირებას. თავის მხრივ, დიდი მონაცემების ეკოსისტემა ციფრული ეკოსისტემის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს და აერთიანებს მონაცემთა მფლობელებს, ანალიტიკურ კომპანიებს, პროფესიონალებს, ღრუბლოვანი სერვისების მომწოდებლებს, აკადემიურ და ბიზნეს სექტორს. მონაცემთა არქიტექტურა კი განსაზღვრავს მონაცემთა ტიპებს, მოდელებსა და სტრუქტურას, რაც წარმოადგენს ეკოსისტემის არსებით კომპონენტს. მისი მიზანია მონაცემების სიცოცხლის ციკლის მართვა, ინტეგრაცია, ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თავის მხრივ, დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა უზრუნველყოფს დიდი მონაცემების გარდაქმნას ღირებულებაში, შესაბამისად, დიდი მონაცემები ეკონომიკური რესურსი და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეა, რომელსაც აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი ღირებულება. მონაცემების ყიდვა-გაყიდვა, გადაცემა და გადამუშავება ხდება როგორც პირდაპირი კომერციული მიზნებისთვის. მონაცემთა ეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია პლატფორმების გარეშე, რომლებიც აკავშირებენ მონაცემთა მომხმარებლებსა და მწარმოებლებს. კვლევის მიზანია განიხილოს ციფრული პლატფორმების, როგორც „კარიბჭეების“ (gateways), როლი ციფრულ ფინანსურ ბაზრებზე დიდი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესში, და შეისწავლოს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაიცავს დიდ მონაცემებს, როგორც ქონებრივ სიკეთეს.

ნაშრომი მოიცავს, დიდი მონაცემების და ციფრული ბაზრების ანალიზს, ციფრული ბაზრებში კონკურენციის თავისებურებების განხილვას, ხელშეკრულებით ურთიერთობებში პლატფორმების როლის შეფასებას, სამართლებრივი პრობლემების გამოვლენასა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. კერძოდ, საჭიროა სამართლებრივი მიდგომების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებული დიდი მონაცემების დაცვის სტანდარტებს პლატფორმების ხელშეკრულებით ურთიერთობაში, ხელს შეუწყობს სამართლიან კონკურენციას ციფრულ ფინანსურ ბაზრებზე და დაიცავს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების უფლებებს. პლატფორმების ჭრილში, ყურადღება გამახვილებულია ფინანსურ სექტორში ფინტექების განვითარებას, ხელოვნური ინტელექტისა და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების როლს ფინანსურ მომსახურეობებში. დიდი

მონაცემების მნიშვნელობა ფინანსურ სექტორში, განსაკუთრებით ფინტექ კომპანიების განვითარებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. მონაცემთა ეკოსისტემისა და არქიტექტურის განვითარება პლატფორმებზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას, ერთ სივრცეში იქნეს მოძიებული, შენახული და დამუშავებული სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ღრუბლოვანი მომსახურების გამოყენებას და მონაცემთა სამართლებრივ დაცვას სხვადასხვა მეთოდებით, როგორც კომერციული საიდუმლოების (სავაჭრო საიდუმლოების), პერსონალური მონაცემებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რეჟიმებით.

დიდ მონაცემებზე წვდომა თანდათან გარდაიქმნება ციფრული ბაზარზე დომინირების უმთავრეს ფაქტორად. იმ კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ ექსკლუზიური წვდომა მონაცემებზე, შეუძლიათ შექმნან დომინანტური პოზიცია, რაც იწვევს ბაზრის კონცენტრაციას და ინოვაციური განვითარების შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ ფინტექები აგროვებენ როგორც პერსონალურ, ისე არაპერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან – ონლაინ სერვისებიდან, რეგისტრაციის ფორმებიდან, მომხმარებლის ქცევის ანალიზით და სხვ. ბანკები, როგორც ფინანსური სისტემის ბირთვი, განსაკუთრებით აქტიურობენ ამ სფეროში. ისინი ქმნიან „ცოდნის კერძო ქსელებს“, რაც მათ აძლევს კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე. სწორედ ამიტომ, მონაცემებზე წვდომის რეგულაცია და პლატფორმული ძალაუფლების შეზღუდვა ხდება მთავარი საკითხი როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოებისთვის.

ნაშრომი ეხმიანება ციფრული ხელშეკრულებებისა და ჰიპოთეკური კონტრაქტების სამართლებრივ ასპექტებს, ასევე განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების როლს დიდი მონაცემების უსაფრთხოებაში. ნაშრომი წარმოადგენს ციფრული ბაზრის სამართლებრივ ანალიზს, დიდი მონაცემების დაცვის საკითხებს და იმ ნორმატიულ გარემოს ჩამოყალიბების საჭიროებას, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების გამოწვევებზე სამართლებრივად ადეკვატური პასუხის გაცემას შეძლებს. აქცენტი გაკეთებულია მონაცემთა უსაფრთხოებაზე, სამართლებრივ რეგულირებაზე, პლატფორმული ეკონომიკის რეგულაციის მოდელებზე და დიდი მონაცემების ეკონომიკური ღირებულების სამართლებრივ სტატუსზე.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია საქართველოს კანონმდებლობის მდგომარეობა, შედარებულია ევროკავშირის რეგულაციებისა და დირექტივების მიდგომებთან, მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები. აღნიშნულია პლატფორმული მომსახურების სამართლებრივი სტატუსის დადგენის აუცილებლობა. ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაშრომი ხაზს უსვამს ციფრული ბაზრების რეგულირების აუცილებლობას „დაშვების გუშაგების“ (gatekeeper) საქმიანობის გაკონტროლების გზით, რაც უზრუნველყოფს სამართლიან კონკურენციას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ინოვაციის წახალისებას. პლატფორმების მიერ სტანდარტული ხელშეკრულების პირობებით მომხმარებლების მონაცემთა შეგროვების პრაქტიკა მოითხოვს უფრო მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც გამორიცხავს ბაზრის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის მოწესრიგების საკითხი, მონაცემების წვდომის მნიშვნელობა და მონაცემთა ბაზრების დიფერენცირება მნიშვნელოვანი თემებია ნაშრომში. ნაშრომში ასახულია დიდი მონაცემების ბაზრისა და დიდი მონაცემები შესაბამისი ბაზრის

განმარტება. დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა, როგორც ღირებულების შემქმნელი მექანიზმი, მონაცემთა შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და ბიზნესაჭიროებისთვის გამოყენების ტექნოლოგია, არის მონაცემთა ბაზარი, ხოლო მისი შემადგენელი დონეები დიდი მონაცემების შესაფერისი ბაზარი.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირში მოქმედი რეგულაციები (როგორცაა GDPR და PSD2) მიზნად ისახავს მონაცემთა დაცვისა და კონკურენციის უზრუნველყოფას ციფრულ ბაზრებზე. თუმცა, პრაქტიკაში მათ ხშირად იყენებენ სწორედ ის დიდი ტექნოლოგიური კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი რესურსი რეგულაციებთან ადაპტაციისთვის. ამ ფონზე საქართველოს კანონმდებლობას სჭირდება გაფართოება და მოდერნიზაცია, მაგალითად, „დაშვების გუშაგის“ სტატუსის განსაზღვრა, მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების ახალი სტანდარტების დადგენა. ნაშრომი აჩვენებს, რომ დიდი მონაცემები, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, საჭიროებს სპეციალურ სამართლებრივ დაცვას, რათა ბიზნესებმა და ინდივიდებმა დაცულად იგრძნონ თავი ციფრულ ბაზრებზე. ამისათვის მიზანშეწონილია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში დამატებითი რეგულაციების შემუშავება, როგორცაა „სავაჭრო საიდუმლოების დაცვის შესახებ“ სპეციალური კანონი და პლატფორმული მომსახურების უფრო დეტალური განსაზღვრა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონში. ნაშრომი მიაჩნებს იმ აუცილებლობაზე, რომ სამართლებრივმა პოლიტიკამ უნდა აუწყოს ფეხი ტექნოლოგიურ განვითარებას, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები, უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი კონკურენცია და შეიქმნას ინოვაციური, უსაფრთხო და გამჭვირვალე ციფრული ეკონომიკა.

Abstract

The doctoral dissertation concerns Big Data in the context of the digital economy, examining its economic value, legal regulation, and integration into platform business models. The dissertation analyses the complex ecosystem of Big Data and the related data architecture. Technological progress significantly influences both societal and economic processes, manifesting in the emergence of digital markets and the formation of digital business models. In this process, Big Data plays a crucial role, characterised by the collection of large volumes of heterogeneous, often unstructured information from numerous digital sources at high speeds.

The effective use of Big Data requires a comprehensive Big Data ecosystem and corresponding architecture that facilitates the collection, storage, processing, and generation of value from data. The Big Data ecosystem, in turn, represents a specific form of the digital ecosystem, integrating data owners, analytics companies, professionals, cloud service providers, as well as the academic and business sectors. Data architecture defines the types, models, and structures of data, serving as a fundamental component of the ecosystem. Its purpose is to manage the data lifecycle, ensure integration, and guarantee data quality and security.

A complex Big Data ecosystem transforms data into economic value, turning Big Data into an economic resource and intangible property with both economic and legal significance. Data buying, selling, transferring, and processing are increasingly conducted for direct commercial purposes. The effective use of data is impossible without platforms that connect data producers and consumers.

The objective of the research is to explore the role of digital platforms as "gateways" in the collection and processing of Big Data within digital financial markets and to study legal mechanisms that protect Big Data as a form of property. The thesis covers the analysis of Big Data and digital markets, discusses the peculiarities of competition in digital markets, evaluates the role of platforms in contractual relationships, identifies legal challenges, and formulates recommendations.

Specifically, there is a need to develop legal approaches that establish standards for protecting structured Big Data in platform-based contractual relationships, promote fair competition in digital financial markets, and safeguard the rights of both individuals and legal entities. The research focuses particularly on the development of fintech companies in the financial sector, and the roles of artificial intelligence and distributed ledger technologies in financial services.

The importance of Big Data in the financial sector, especially with the growth of fintech companies, is becoming even more pronounced. The development of data ecosystems and architecture based on platforms enables the sourcing, storing, and processing of data collected from various origins within a single space. This process emphasizes the significance of cloud services and the legal protection of data through mechanisms such as trade secrets, personal data protection, and intellectual property regimes.

Access to Big Data is gradually becoming a decisive factor in achieving dominance in digital markets. Companies with exclusive access to data can establish dominant positions, leading to market concentration and restricting innovative development. Fintech companies collect both personal and non-personal data from various sources, such as online services, registration forms, and user behaviour analysis. Banks, as the core of the financial system, are particularly active in this sphere, creating "private knowledge networks" that grant them a competitive advantage.

Therefore, regulating access to data and limiting platform power has become a central issue for both national and international legal frameworks. The dissertation also addresses the legal aspects of digital contracts and smart contracts, as well as the role of distributed ledger technologies in ensuring Big Data security. It provides a legal analysis of the digital market, the

protection of Big Data, and the need to develop a normative environment capable of responding adequately to technological challenges.

Particular emphasis is placed on data security, legal regulation, platform economy governance models, and the legal status of Big Data as an economic asset. Accordingly, the thesis discusses the current state of Georgian legislation, compares it to European Union regulations and directives, and identifies gaps within Georgian law. It stresses the necessity of defining the legal status of platform services.

Based on EU experience, the thesis underscores the importance of regulating digital markets by controlling the activities of "gatekeepers," thus ensuring fair competition, protecting consumer rights, and encouraging innovation. The widespread practice of data collection by platforms under standard contractual terms requires a stricter legal framework to prevent market abuse.

The issues of competition regulation in digital markets, the importance of data access, and the differentiation of data markets are central themes of the dissertation. It offers definitions for the Big Data market and the relevant market for Big Data. The complex Big Data ecosystem, as a value-creation mechanism, involving the collection, storage, processing, and business-use of data, constitutes a data market, while its various layers represent the relevant market for Big Data.

It is notable that current EU regulations, such as the GDPR and PSD2, aim to protect data and ensure competition in digital markets. However, in practice, large tech companies with substantial resources often benefit the most from these regulations by adapting more easily. In this context, Georgian legislation requires expansion and modernisation — for instance, the establishment of a "gatekeeper" status and the setting of new standards for data collection and usage.

The dissertation demonstrates that Big Data, as an intangible property, requires special legal protection to ensure that businesses and individuals feel secure in digital markets. Therefore, it is advisable to develop additional regulations in Georgian law, such as a dedicated law on trade secrets and a more detailed definition of platform services within the framework of the "Law on Electronic Commerce."

The research highlights the necessity for legal policies to keep pace with technological advancements to safeguard human rights, ensure fair competition, and foster an innovative, secure, and transparent digital economy.

სარჩევი

I. შესავალი.....	1
II. კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია.....	5
III. ციფრულ ეკონომიკაში დიდი მონაცემების სამართლებრივი სტატუსი არამატერიალური ქონებრივ უფლებასთან მიმართებით.....	8
1. დიდი მონაცემები და ციფრულ ეკონომიკის ურთიერთმიმართება.....	8
1.1. დიდი მონაცემების ტიპები	8
1.1.1. სტრუქტურული, არასტრუქტურული და ნახევრადსტრუქტურული დიდი მონაცემები.....	8
1.1.2. დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები – „დიდი პერსონალური მონაცემები“	11
1.2. ციფრული ეკონომიკა, თანამედროვე ბიზნესმოდელები და მათი სამართლებრივი მოწესრიგება	12
1.2.1. საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება და ციფრული ეკონომიკა.....	12
1.2.2. პლატფორმა და პლატფორმული მომსახურება ციფრული ეკონომიკის კონტექსტში	15
1.3. მონაცემების მოპოვება და დამუშავება ციფრულ ეკონომიკაში.....	18
1.3.1. დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემები და არქიტექტურა	18
1.3.2. ციფრული ბაზრის აგენტების მიერ მოპოვებული მონაცემები	22
1.3.2.1. მანქანური მონაცემები – მზა ჩანაწერები და ნივთების ინტერნეტი	22
1.3.2.2 ციფრული ბაზრის აგენტების მიერ მონაცემთა სტრუქტურირება და მათზე ზედამხედველობა.....	24
1.3.2.2. დიდი მონაცემები და პროფაილინგი.....	27
2. დიდი მონაცემები და არამატერიალური ქონებრივი უფლება ციფრულ ეკონომიკაში..	29
2.1. დიდი მონაცემების ურთიერთმიმართება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან	29
2.1.1. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და ქონებრივი უფლება.....	29
2.1.2. დიდი მონაცემების პრაქტიკული საჭიროება და ეკონომიკური ღირებულება	31
2.1.3. საკუთრების უფლების მიმართება დიდ მონაცემებთან	33
2.2. ქონებრივი ღირებულების დიდი მონაცემების სამართლებრივი მოწესრიგება.....	37
IV. დიდი მონაცემების სახელშეკრულებო მოწესრიგება.....	42
1. ხელშეკრულება ციფრული ბაზრის პირობებში.....	42
1.1. ციფრული ხელშეკრულება და მისი სახეები	42
1.2. ციფრული ხელშეკრულების ნამდვილობა.....	47

1.2.1. ციფრული ხელშეკრულების ტექნოლოგიური ასპექტის მიმართება სამართალთან.....	47
1.2.2. ციფრული ხელშეკრულების შინაარსობრივი საკითხის მიმართება სამართალთან.....	52
2. დიდი მონაცემების მიმართება ხელშეკრულებასთან ციფრულ ბაზარზე.....	56
2.1. სახელშეკრულებო ურთიერთობების ტექნოლოგიური ასპექტი და დიდი მონაცემები.....	56
2.2. დიდი მონაცემების გავლენა ხელშეკრულების არსზე.....	59
V. კონკურენცია ციფრულ ფინანსურ ბაზარზე.....	63
1. დიდი მონაცემები და შესაბამისი ციფრული ფინანსური ბაზარი.....	63
1.1. შესაბამისი ბაზარი ციფრულ ეკონომიკაში.....	63
1.2. დიდი მონაცემების მიმართება ციფრულ ფინანსურ ბაზართან.....	69
1.2.1. დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურა.....	69
1.2.2. კონკურენცია დიდი მონაცემების ბაზრებისთვის.....	73
1.2.2.1. პლატფორმების მიერ მონაცემებზე წვდომის საშუალებები.....	73
1.2.2.2. ფინანსური პლატფორმების კონკურენცია მონაცემთა ბაზრებისთვის.....	76
2. დიდი მონაცემების გავლენა ფინანსურ ბაზარის კონკურენციაზე.....	78
2.1. ციფრული ფინანსური აქტორების საბაზრო ქცევა.....	78
2.2. დიდი მონაცემების ბაზარი და ციფრული ფინანსური ბაზრის კონკურენცია.....	81
VI. დიდი მონაცემების მოწესრიგება კონკურენციაში.....	85
1. დიდი მონაცემების მოწესრიგება კონკურენტული ციფრული ფინანსური ბაზრების პირობებში.....	85
1.1. ფინტექები დიდი მონაცემების კონკურენციის პირობებში.....	85
1.1.1. ფინტექები ფინანსური სექტორის ბიზნეს-მოდელში.....	85
1.1.2. დიდი მონაცემების როლი ფინტექების ეფექტურობაზე საბანკო სექტორში.....	89
1.1.3. ელექტრონული ფულის, ელექტრონული გადახდები დიდი მონაცემების კონტექსტში.....	92
1.2. დიდი მონაცემების ადგილი ხელშეკრულებაში ციფრულ ბაზარზე.....	96
2. ციფრული ფინანსური ბაზრის აგენტების მიერ დიდი მონაცემების გამოყენების პრაქტიკა და პასუხისმგებლობა.....	99
2.1. მონაცემთა უსაფრთხოება.....	99
2.2. ფინანსურ ციფრულ ბაზრებზე სახელშეკრულებო ურთიერთობისას მონაცემების მოწესრიგება.....	104

2.2.1. მონაცემების მიმოცვლის სახელშეკრულებო მოწესრიგება.....	104
2.2.2. ფინანსური ინსტიტუტების მიერ კლიენტისგან მიღებული მონაცემების დამუშავების ფარგლები.....	106
3. ციფრული ფინანსური ბაზრის მოწესრიგება კონკურენციის პირობებში.....	111
3.1. პლატფორმული მომსახურებისა და საინფორმაციო საზოგადოების მოწესრიგება	111
3.2. ფინანსური სექტორის აქტორების ციფრული ფინანსური ბაზარი.....	114
VII. დასკვნა	119
ბიბლიოგრაფია	125

აბრევიატურები

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები

ევროკავშირი – ევროპის კავშირი

ინფოტექ-ი (IT)– ინფორმაციული ტექნოლოგიები

ინფოკომტექ-ი – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ფინტექ-ი – ფინანსური ტექნოლოგიები

ხელინტელი – ხელოვნური ინტელექტი

CJEU– ევროსასამართლო /ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ECtHR – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

GDPR – მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია

PSD2 – საგადახდო მომსახურების დირექტივა

SME – მცირე და საშუალო ბიზნესი

I. შესავალი

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად საზოგადოება უფრო კომპლექსური ხდება, ადამიანების ქმედებები კი გაციფრულებულია¹. ციფრული სამყარო ადამიანის განუყოფელ ნაწილად იქცა, ციფრული ტექნოლოგიები, სოციალურ მედია თუ სხვა ტექნოლოგიური ნოვაცია, ადამიანთა ყოველდღიურობაა.² მიმდინარეობს „ციფრული რევოლუცია“, ანუ ინფორმაციის გაციფრულება, რამაც შესაძლებელი გახადა რეალურ დროში დიდი რაოდენობის ინფორმაციის დამუშავება, შენახვა და გადაცემა.³ ისეთი პროდუქტების გავრცელებამ, რომლებიც უკავშირდება ინტერნეტს, გაზარდა მონაცემთა მოცულობა და პოტენციური ღირებულება მომხმარებლებისთვის, ბიზნესისა და საზოგადოებისთვის.⁴

მზარდმა თანამედროვე ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო ციფრული ბაზრების განვითარებას, რომელიც თავის მხრივ ციფრული ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია⁵. ციფრული ბაზრის პირობებში ფირმები მოქმედებენ, როგორც პლატფორმები, რომლებზეც იყიდება სხვადასხვა პროდუქტი სხვადასხვა ჯგუფებისთვის.⁶ დიდი ტექნოლოგიების კომპანიების, ანუ დიდი კომპანიების მოდელები პლატფორმებზეა დაფუძნებული და ჩვეულებრივი აქტივობა მოიცავს ზოგადი სახის ციფრული მომსახურებების ფართო სპექტრს, მათ შორის ონლაინ ძიების ტექნოლოგიებს (search engines), სოციალურ მედიას, ელექტრონულ ვაჭრობას, ტელეკომუნიკაციას და ა.შ. ამასთან ციფრული მომსახურების გაწევის მიზნით ზოგადად კომპანიები ქმნიან პლატფორმებს და ბიზნესსა და მომხმარებელს შორის იდება გარიგებები,⁷ ხოლო მონაცემები მათთვის უმთავრესი ვალუტაა.⁸

ციფრული ინოვაციები ცვლის ფინანსურ მომსახურებებს,⁹ ამიტომ მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით დიდი ტექნოლოგიების კომპანიები ავითარებენ ბიზნეს ეკონომიკის ისეთი სექტორების ასათვისებლად, როგორებიცაა საკრედიტო და სადაზღვევო მომსახურება, ფინანსური ბაზრების ფონდები. დიდი ტექნოლოგიის კომპანიები თამაშობენ მკაცრად მართვის ან შუამავლის როლს მომხმარებელსა და სხვადასხვა ფინანსური პროდუქტების მიმწოდებელს შორის, ან კიდევ თავად უზრუნველყოფენ სესხების გაცემას და ინვესტიციების განხორციელებას პირდაპირი გზით; ყოველივე ეს შესაძლებელი გახადა ავტომატურმა ანალიტიკამ, რომელსაც აქვს მონაცემთა მასიურ

¹ Devins C., Felin T., Kauffman S., Koppl R., The Law and Big Data, Cornell Journal of Law and Public Policy, Vol. 27, Is. 2, 2017, 363.

² Big data, იხ. LUMSA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3yMr6zC> > [11.07.2021]

³ Hilgendorf E., Introduction, Digitization and the Law – a European Perspective, Digitization and the Law, editors: Hilgendorf E., Feldle J., Vol. 15, 2022, 9.

⁴ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, Recital 1.

⁵ OECD Handbook on Competition Policy in the Digital Age, 2022, 8, იხ. <<https://bit.ly/3v54EST>> [21.07.2022]

⁶ იქვე, 10.

⁷ Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Contestable and Fair Markets in the Digital Sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020, 1. სვევე, Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA relevance), Recital 2 and 13.

⁸ Arner D., Buckley R., Charamba K., Sergeev A., Zetsche D., Governing FinTech 4.0: BigTech, Platform Finance, and Sustainable Development, Journal, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 27, No. 1, 2022, 8-10.

⁹ Feyen E., Frost J., Gambacorta L., Natarajan H., Saal M., Fintech and The Digital Transformation of Financial Services: Implications for Market Structure and Public Policy, BIS Papers No. 117, The Bank for International Settlements and the World Bank Group, 2021, 1.

რესურსებზე წვდომა.¹⁰ დიდი ტექნოლოგიების კომპანიების ფინანსურ მომსახურებაში ჩართვა გულისხმობს შედარებით ახალი ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც უახლესი პერიოდის განვითარების პროდუქტია. ეს ტექნოლოგიები მოიცავს ხელოვნურ ინტელექტს, დიდ მონაცემებს (Big Data), ღრუბლოვანი მომსახურებას (cloud-computing services) და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებს (Distributed Ledger Technology (DLT)).¹¹

შესაბამისად შეიქმნა ციფრული მომსახურებები, რომლებიც აერთიანებს მსოფლიოს და ქმნის ერთიან, გლობალურ ბაზარს; ციფრული მომსახურების გაწევის მიზნით კომპანიების მიერ შექმნილი პლატფორმების მეშვეობით კი ბიზნესსა და მომხმარებელს შორის გარიგებები იდება, თვით ეს პლატფორმები არის ე.წ. „კარიბჭე“ (gateway), რომელთაც დიდი გავლენა აქვს ციფრულ ბაზარზე.¹² ხოლო „დაშვების გუშაგები“ (gatekeepers) მართავენ ერთ ან მეტ „კარიბჭეს“ და იყენებენ, ან გამოიყენებენ ბაზარზე დამკვიდრებულ და განგრძობად პოზიციებს.¹³ ამიტომაც, ბიზნესი უფრო დამოკიდებული ხდება დიდი მონაცემების მოპოვებასა და დამუშავებაზე. რაც ზრდის პერსონალურ მონაცემთა არასწორად გამოყენების რისკებს.¹⁴ პერსონალურ მონაცემებს, რომელთაც კომპანიები ფლობენ აქვს ეკონომიკური ღირებულება,¹⁵ რაც შედეგად იწვევს მისი დაცვის აუცილებლობას და, შესაბამისად, იმ მიდგომების შემუშავებას, რომლებიც უკეთ დაიცავს ადამიანის უფლებებს.

დიდი მონაცემები მზარდი მოცულობის ინფორმაციაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია პერსონალურ მონაცემებთან.¹⁶ მისი დამუშავებისას თანმდევი შედეგის მიმართ სამართლებრივი სისტემა არ არის იმუნური¹⁷, მეტიც, ციფრულმა ტრანსფორმაციამ შეცვალა სამართლის სტრუქტურაც, რადგან ბევრ ფუნქციას საკუთარ თავზე იღებს ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ალგორითმზეა დაფუძნებული.¹⁸ ამასთან ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებასთან ერთად იზრდება დიდი პერსონალური მონაცემების გამოყენების შემთხვევები.¹⁹ თავის მხრივ, ციფრულ ინოვაციებს ინდუსტრიული ორგანიზაციებისთვის გარკვეული შედეგები მოაქვს, მათ შორის ტრადიციულ ფინანსურ ინდუსტრიებისთვისაც, მაგ; დიდი მონაცემებმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს მატერიალური უზრუნველყოფა.²⁰

გარდა აღნიშნულისა, დიდი მონაცემებს ადამიანის სოციალურ ქმედებაზე დიდი გავლენა აქვს, მათი ნების ფორმირებაზე, რადგან ადამიანები არჩევენს გრძნობებისა და

¹⁰ Arner D., Buckley R., Charamba K., Sergeev A., Zetzsche D., *Governing FinTech 4.0: BigTech, Platform Finance, and Sustainable Development*, Journal, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 27, No. 1, 2022, 10-11.

¹¹ Zetzsche D. A., Arner D. W., Buckley R. P., *Decentralized Finance (DeFi)*, Journal of Financial Regulation, Vol. 6, 2020, 179-182

¹² Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on contestable and fair markets in the digital sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020, 1.

¹³ იქვე, 2.

¹⁴ იხ. Chirita A. D., *The Rise of Big Data and the Loss of Privacy*, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards Historical Approach, Mor Bakhroum, Beatriz, editors: Conde Gallego, Mark-Oliver Mackenrodt, Gintarė Surblytė-Namavičienė, 2018, 154-191.

¹⁵ იქვე.

¹⁶ Paterson M., McDonagh M., *Data Protection in an Era of Big Data: Challenges Posed by Big Personal Data*, Monash University Law Review, Vol. 44, 2018, 1.

¹⁷ Devins C., Felin T., Kauffman S., Koppl R., *The Law and Big Data*, Cornell Journal of Law and Public Policy, Vol. 27, No. 2, 2017, 358.

¹⁸ პროფ. გიორგი ხუბუა - სამართლის დიგიტალიზაცია, იხ. YouTube-ზე <<https://bit.ly/3FmSSa6>> [06.05.2022]

¹⁹ Rossi B., *Big data vs. privacy: the big balancing act*, იხ. <<https://bit.ly/3r30yHA>> [11.07.2021]

²⁰ Feyen E., Frost J., Gambacorta L., Natarajan H., Saal M., *Fintech and The Digital Transformation of Financial Services: Implications for Market Structure and Public Policy*, BIS Papers No. 117, The Bank for International Settlements and the World Bank Group, 2021, 11.

ემოციების საშუალებით აკეთებენ, ხოლო დიდი მონაცემების საშუალებით შესაძლებელია მათზე ზეგავლენის მოხდენა.²¹ სამართლებრივ სახელმწიფოში, პიროვნების უფლებები უზენაეს ღირებულებაა, მეტიც, ადამიანის უფლებები აყალიბებს იმ ღირებულებებს, რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელი და დაუფასებელი იქნებოდა.²² სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქცია, სწორედაც, რომ ინდივიდისა და საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვაა. ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში კი აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის განხილვა,²³ რადგან როდესაც ტექნოლოგიური განვითარებას ვერ პასუხობს კანონმდებლობა, მაშინ საკანონმდებლო ორგანომ უნდა მოაწესრიგოს ახლადწარმოქმნილი ურთიერთობები, რადგან კანონი და სამართლებრივი პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.²⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროკავშირის მიდგომა ხელოვნური ინტელექტის მოწესრიგების კუთხით გულისხმობს ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ხოლო ხელინტელის სისტემითა და ალგორითმით სარგებლობა უნდა შეეძლოს ყველას და ამასთანავე დაცული უნდა იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.²⁵

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ევროპაში 1970-იან წლებში დაიწყო, როდესაც რამდენიმე სახელმწიფომ მიიღო კანონმდებლობა საჯარო ხელისუფლებისა და მსხვილი კომპანიების მიერ პერსონალური ინფორმაციის დამუშავების გასაკონტროლებლად. მოგვიანებით, ევროპის დონეზეც შეიქმნა მონაცემთა დაცვის ინსტრუმენტები.²⁶ მონაცემთა დაცვის უფლება თანდათან რეგულირდებოდა უფრო მაღალი დონის ინსტიტუტების მიერ, როგორცაა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო. ამით, პერსონალური მონაცემები ექცეოდა დაცვის განსხვავებულ რეჟიმში, მით უმეტეს, ევროკავშირის სამართალი მონაცემთა დაცვას უყურებს პირადი ცხოვრების უფლებისგან განცალკევებით.²⁷ ევროკავშირმა შეიმუშავა ციფრული ბაზრის რეგულაციის აქტი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას,²⁸ რაც ხაზს უსვამს ამ სამართლებრივი დოკუმენტების მნიშვნელობას ციფრულ ბაზარზე დიდი მონაცემების სამართლებრივი მოწესრიგების კუთხითაც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტექსტში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფირმები, რომლებიც მოიპოვებენ მონაცემებს საკუთარი მომხმარებლებისგან და, ამასთანავე, ბაზარზე დომინანტური პოზიცია უპყრიათ, არ არიან მოტივირებულნი დაიცვან მომხმარებელთა მონაცემები.²⁹ შესაბამისად მნიშვნელოვანია სამართლიანი ციფრული გარემოს უზრუნველყოფა, როგორც ადამიანებისთვის, ასევე მსხვილი თუ მცირე

²¹ ჰარარი ი. ნ., 21 გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის, თბილისი, 2022, 74-77.

²² Sloot B., Legal fundamentalism: is data protection really a fundamental right?, Data Protection and Privacy: (In)visibilities and Infrastructures, Editors: Ronald Leenes Rosamunde van Brakel, Serge Gutwirth, Paul De Hert, 2017, 3-30.

²³ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 22.

²⁴ Hilgendorf E., Introduction: Digitization and the Law – a European Perspective, Digitization and the Law, Edited by Hilgendorf E., Feldle J., Robotik und Recht Vol. 15, Nomos, 2018, 16.

²⁵ European Declaration on Digital Rights and Principles for the Digital Decade 2023/C 23/01, OJ C 23, 23.1.2023, p. 1, Ch. III, points 8-9.

²⁶ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 22.

²⁷ Sloot B., Legal fundamentalism: is data protection really a fundamental right?, Data Protection and Privacy: (In)visibilities and Infrastructures, Editors: Ronald Leenes Rosamunde van Brakel, Serge Gutwirth, Paul De Hert, 2017, 3-30.

²⁸ Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Contestable and Fair Markets in the Digital Sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020, 4.

²⁹ Pfeiffer R.A.C., Digital Economy, Big Data and Competition Law, Digital Economy, Market and Competition Law Review, Vol. 3, No. 1, 2019, 73.

და საშუალო ბიზნესისთვის (SME), რათა ნებისმიერ პირს ციფრულ გარემოში ჰქონდეს სამართლიანი კონკურენციით და ინოვაციებით სარგებლობის შესაძლებლობა. სამართლიანი ციფრული გარემოს არსებობს მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილია კონკურენცია და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, ციფრულ ბაზარზე მომხმარებელთა უფლებები და კლიენტები დაცულნი არიან, ხოლო პლატფორმების, განსაკუთრებით დიდი მოთამაშეების, „კარიბჭეების“ ვალდებულებები არის მკაფიოდ განსაზღვრული. მეტიც, სამართლიანი ციფრული გარემოსთვის აუცილებელია მომხმარებლის ავტონომიური და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება, რაც მიიწვევს გამჭვირვალებით, ღია ტექნოლოგიებით, თავსებადობის უზრუნველყოფით და სტანდარტების შემუშავებით.³⁰

კვლევის მიზანია „კარიბჭეებისა“ და მომხმარებლების ურთიერთობისას დიდი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სტანდარტის განსაზღვრა და სამართლებრივი მოწესრიგება ციფრული ფინანსური ბაზრის კონკურენციისას, რათა დიდი მონაცემების მომპოვებლებისა და პლატფორმების სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაცულ იქნეს სტრუქტურირებული დიდი მონაცემები, როგორც ქონებრივი სიკეთე და ბაზარზე დომინანტური პოზიციის მქონე ციფრული ფინანსური ბაზრის აგენტს არ ჰქონდეს ბაზრის ბოროტად გამოყენების საშუალება. კვლევის მიზანია სავაჭრო ბრუნვისას იმ სამართლებრივი სტანდარტის განსაზღვრა, რითაც დაცული იქნება, ერთი მხრივ, პირის როგორც ქონებრივ უფლება, რათა ისარგებლოს სტრუქტურირებული დიდი მონაცემებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაცულ იქნება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის პერსონალური მონაცემები. კვლევის მიზანია გამოიკვლიოს საშუალებები, რომლებიც, დიდი პერსონალური მონაცემების (მოცულობითი პერსონალური მონაცემების) დაცვის ფარგლებში, ხელს უწყობს სამართლიან კონკურენციას; გააანალიზოს ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემების დაცვას კონკურენციის პირობებში; დაადგინოს, როგორ შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობებით მოწესრიგდეს მხარეთა მიერ დიდი მონაცემების გამოყენების წესები; განიხილოს სამართლის პრინციპების გამოყენების შესაძლებლობა, რათა პირებს ჰქონდეთ სასამართლოს გზით საკუთარი უფლებების დაცვის რეალური საშუალებები.

ნაშრომი შედგება შვიდი ნაწილისგან რომელთაგან I და VII წარმოადგენს, შესაბამისად, შესავალსა და დასკვნას. ძირითადი კვლევა მოქცეულია III-VI ნაწილებში. II ნაწილი დაეთმობა კვლევის მეთოდისა და მეთოდოლოგიის აღწერას. III ნაწილში გადმოცემულია დიდი მონაცემებისა და ციფრული ბაზრის გამოწვევები; IV ნაწილში განხილულია ციფრული ბაზრისთვის დამახასიათებელ კონკურენცია და დიდი მონაცემების გავლენა, V ნაწილი შეეხება პლატფორმების მიერ მომხმარებელთათვის ციფრული ვაჭრობისას შეთავაზებულ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და კვლევას, თუ რა უფლება ენიჭება პლატფორმებს დიდი მონაცემების დამუშავებისას. VI ნაწილში კი წარმოდგენილია რეკომენდაციები.

³⁰ European Declaration on Digital Rights and Principles for the Digital Decade 2023/C 23/01, OJ C 23, 23.1.2023, p. 1, Ch. III, points 10-11, “a” & “b”.

II. კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია

ახალი ტექნოლოგიები და მუდმივად ცვალებადი გარემო ცვლის იმ ფარგლებსა და ჩარჩოებს, რომლებშიც კანონი იქმნება, ინტერპრეტირდება და სუბსუმცირდება, ამიტომ სამართლის არსებული კონცეფციები და მიდგომები უნდა მიესადაგოს ახალ ტექნოლოგიებს.³¹ თავის მხრივ, სამართლის მეთოდები არ არის მხოლოდ მეთოდები კოდექსებში საჭირო გვერდის პოვნა შესაფერისი პასუხების საპოვნელად, რათა წესები მიესადაგოს ფაქტებს, ყურადსაღებია, რომ სამართლებრივი არგუმენტები ხშირად ცდება დაწერილ ტექსტებს და მოიცავს გარკვეულ გარე მასალებს, როგორცაა სამართლის ისტორია, ექსპერტთა ჩვენებები, პრეცედენტები და მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები – ყოველივე ეს ეხმარება უზრუნველყოს კონტექსტი კანონის ინტერპრეტაციისთვის და გამოყენებისთვის.³² მეტიც, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობები მოითხოვს პრინციპზე დაფუძნებული წესების განვითარებას, რადგან ტექნოლოგიები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კანონი.³³

ინტერპრეტაცია კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა,³⁴ რომელიც განსხვავებულად ხორციელდება მოსამართლეებისა და იურისტების მიერ.³⁵ პირველ რიგში, ინტერპრეტაცია მოიცავს დაწერილი ტექსტის ენის მნიშვნელობის განსაზღვრას, ხოლო მეორე რიგში, ის გულისხმობს იმავე ტექსტის ინტერპრეტაციას როგორც სამართლის ობიექტი (როგორცაა ხელშეკრულება, ან კოდექსი), რათა განისაზღვროს სამართლებრივი შინაარსი, კერძოდ, რა სამართლებრივი ცვლილებები მოხდება კანონში აღნიშნული ინტერპრეტაციის მიღებით ან ამოქმედებით.³⁶ სწორი პასუხის მიღება შესაძლებელია, ასევე ანალოგიებისა და ზოგადი წესების გაგებითაც.³⁷ რონალდ დვორკინისთვის ინტერპრეტაცია გულისხმობდა მნიშვნელოვან დებატებს ცნებების გარშემო, როგორებიცაა ღირსების ცნება, სამართლიანობის ცნება, თავისუფლების ცნება; ინტერპრეტაცია მოითხოვს ნორმატიულ ინტერპრეტაციებს კონფლიქტის გადაჭრისას.³⁸ რა თქმა უნდა, კანონი ხელოვნურადაა შექმნილი, მაგრამ კანონის ინტერპრეტაცია ეხმარება დაწერილი კანონების განსაზღვრას, რათა მიღწეულ იქნეს მიზანი.³⁹ დამატებით, სამართლის ფილოსოფიას შეუძლია გაამდიდროს დოქტრინა და დაეხმაროს დისციპლინას.⁴⁰ ამიტომ, აღწერილობითი ანალიზის გაერთიანება ნორმატიულ ანალიზთან მნიშვნელოვანი იქნება კანონის, როგორც ერთი მთლიანი და ერთიანი კონცეფციის გაგებისთვის. შესაბამისად, კანონის განმარტების კუთხით, მნიშვნელოვანი ასპექტი დაეკისრება სამართლის

³¹ Corrales M., Fenwick M., Forgó N., *Disruptive Technologies Shaping the Law of the Future*, In: *New Technology, Big Data and the Law*, Edited by M. Corrales, M. Fenwick, N. Forgó, Springer, 2017, 3.

³² McLeod I. *Palgrave Macmillan's Law Masters: Legal Methods*, ninth edition, Bloomsbury Publishing, 2020, 3.

³³ Kulms R., *Digital Financial Markets and (Europe's) Private Law—A Case for Regulatory Competition?*, In: *Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance*, E. Avgouleas, H. Marjosola (eds.), *ECFR* Vol. 5, 2022, 216.

³⁴ McLeod I. *Palgrave Macmillan's Law Masters: Legal Methods*, ninth edition, Bloomsbury Publishing, 2020, 10.

³⁵ Baude W., Sachs, S.E., *The Law of Interpretation*, *Harvard Law Review* Vol. 130, No. 4, 2017, 1085-1086.

³⁶ იქვე.

³⁷ ბიქსი ბ., *იურისპრუდენცია: თეორია და კონტექსტი*, მე-8 გამოცემა, ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2023, 275.

³⁸ Mahlmann M., *Truth, Ethics and Legal Thought—Some Lessons from Dworkin's Justice for Hedgehogs and Its Critique*, In: *Philosophy of Law and Legal Theory: Historical and Contemporary Perspectives - Theme 'Justice Based on Truth*, edited by M. Senn, Special Issue Reprint, MDIP, Basel: 2023, 16–17.

³⁹ Baude W., Sachs, S.E., *The Law of Interpretation*, *Harvard Law Review* Vol. 130, No. 4, 2017, 1095–1096.

⁴⁰ Taekema S., Van der Wibren B., *Legal Philosophy as an Enrichment of Doctrinal Research Part I: Introducing Three Philosophical Methods*, *Law and Method*, 2020, 2–3, ob., < <https://doi.org/10.5553/REM/000046> >

ფილოსოფიურ, დოგმატიკურ ხედვებს, რათა ტექნოლოგიურად სწრაფად განვითარებად გარემოში კანონის ინტერპრეტაციის, სისტემური მიდგომით, შესაძლებელი გახდეს იმის დადგენა თუ რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს დიდი მონაცემების დაცვისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ალგორითმიზაცია მოითხოვს მრავალი სოციო-კულტურული კატეგორიებით ფიქრს, როგორცაა სუბიექტები, მოქმედებები, პასუხისმგებლობები, ცოდნა.⁴¹ აკადემიური იურისტებს შეუძლიათ გამოსცადონ სხვადასხვა მეთოდები, კერძოდ, ითანამშრომლონ სხვადასხვა სამეცნიერო დარგების ექსპერტებთან და გამოიყენონ სხვადასხვა სამეცნიერო დარგების მიგნებები.⁴² ამიტომ, მნიშვნელოვანია ბაზარის გაგება დიდი მონაცემების ღირებულების, სამართლებრივი მოწესრიგებისა და, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის მექანიზმების აღსაქმელად. ბაზარი, თავის მხრივ, არის ინსტიტუტი და ეკონომიკის შესწავლის ობიექტი, ასევე ეკონომიკის თეორიებს აქვს გავლენა ბაზარზე, იმდენად რამდენადაც კონკურენციის სამართალი და ეკონომიკა ურთიერთგადაჯაჭვულია.⁴³ ეკონომისტები შეისწავლიან ბაზრის მოქმედებას, რომლის მთავარი ფუნქცია არის საქონლისა და მომსახურების გაცვლისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების ხელშეწყობა, ისევე როგორც აღნიშნული გარიგებების შესასრულებლად საჭირო ხარჯების შემცირების ხელშეწყობა.⁴⁴ თანამედროვე ბაზრები არ სჭირდებათ ფიზიკური ადგილი გარიგებებისა და ტრანზაქციებისთვის, რომლებიც პლატფორმებზე, ონლაინ ხორციელდება, შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვის პროცესი მსგავს ბაზრებზე მოითხოვს შესაბამის სამართლებრივ წესებს, რათა უზრუნველყოფილ იყოს უფლებები და მოვალეობები თანამედროვე პლატფორმებზე ტრანზაქციების განსახორციელებლად.⁴⁵ საგულისხმოა, რომ როდესაც შეისწავლება თუ კანონი როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, კანონის ეკონომიკური ანალიზი კანონს არ თვლის დამოუკიდებელ ცვლადად, არამედ ის მას სამართლებრივი სისტემისა ნაწილად მიიჩნევს, რომელიც ძალაუფლებისა და იმ ქმედებების წყაროა როგორც ფაქტორი, რომელზეც ეკონომიკური შედეგებზე ახდენს გავლენას.⁴⁶ ეკონომიკური ანალიზი ხაზს უსვამს რისკებსა და დასჯაზე, რომელიც გავლენას ახდენს კანონმორჩილებაზე, თუმცა ღირებულებები, კერძოდ, ლეგიტიმაცია, თამაშობს იმავე მნიშვნელობის როლს, მეტს თუ არა, კანონმორჩილების ჩამოყალიბებაში⁴⁷ შესაბამისად, მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინური ხასიათი მნიშვნელოვანია დისერტაციაში მოცემული საკითხის კვლევისას.

კვლევის ფარგლებში შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, განხილულია საქართველოსა და ევროკავშირის, ასევე მისი წევრ-სახელმწიფოების კანონმდებლობა მონაცემთა დაცვის, კომერციული საიდუმლოებისა და საავტორო უფლებების კუთხით. განხილულია საქართველოსა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც ევროკავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოსი.⁴⁸ ასევე

⁴¹ Innerarity D., *Una Teoría Crítica de la Inteligencia Artificial*, Barcelona, 2025, 35.

⁴² Langbroek P.M., Van den Bos, K., Thomas, M.S., Milo, M., Van Rossum W., *Methodology of Legal Research: Challenges and Opportunities*, *Utrecht Law Review* Vol. 13, No. 3, 2017, 7.

⁴³ Van de Gronden J., Rusu C.S., *Competition Law in The EU, Principles, Substance, Enforcement*, Edward Elgar Publishing, 2024, 34.

⁴⁴ Coase R.H., *The Firm, the Market, and the Law*, University of Chicago Press, Chicago, 1987, 7.

⁴⁵ იქვე, 10.

⁴⁶ Schäfer H.B., Claus O., *Economic Analysis of Civil Law*, translated by A. Moeller. Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2022, 11.

⁴⁷ Tyler T.R., *Methodology in Legal Research*, *Utrecht Law Review*, Vol. 13 No. 3, 2017, 140.

⁴⁸ Bednaříková, N., *Doktrína Acte Clair*. Diplomová práce, Masarykova Univerzita, Právnická fakulta, Vedoucí práce: doc. JUDr. David Sehnálek, Ph.D., Brno, 2024, 15.

განალიზებულია გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოდან და საქართველოს ეროვნული ბანკიდან დიდი მონაცემებისა და პლატფორმული ეკონომიკის რეგულირებისა და ზედამხედველობის კუთხით აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და რეგულაციების არსებობის შესახებ. ასევე მიმოიხილება დიდი მონაცემებისა და კონკურენციის ურთიერთმიმართება ციფრული ბაზარზე, რათა განისაზღვროს ის ხარვეზები კანონმდებლობაში, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პერსონალური მონაცემების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანი კონკურენციის პრინციპის ხელშეწყობას.

III. ციფრულ ეკონომიკაში დიდი მონაცემების სამართლებრივი სტატუსი არამატერიალური ქონებრივ უფლებასთან მიმართებით

1. დიდი მონაცემები და ციფრულ ეკონომიკის ურთიერთმიმართება

1.1. დიდი მონაცემების ტიპები

1.1.1. სტრუქტურული, არასტრუქტურული და ნახევრადსტრუქტურული დიდი მონაცემები

დიდი მონაცემები განვითარებული ტექნოლოგიაა, რომელიც იყენებს ღრუბლოვან ინფრასტრუქტურას,⁴⁹ იგი არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ტიპის მონაცემთა სიმრავლეა, რაც ბიზნესისა და მთავრობების მიერ გამოიყენება ადამიანის ქცევის პროგნოზირებისა თუ გაგებისთვის.⁵⁰ ამასთანავე, დიდი მონაცემები ციფრული სახის შეუზღუდავი მოქმედება, ფაქტი ან ინფორმაციაა, რომელიც ჯგუფდება ან იქმნება ნებისმიერი კრებულის სახით (იქნება ეს ხმა, ვიზუალური თუ აუდიოვიზუალური ჩანაწერი),⁵¹ მოიპოვება და გენერირდება მაღალი სიჩქარით, მრავალი წყაროდან, მათი დამუშავებისთვის კი საჭიროა მძლავრი დამამუშავებელი პროგრამული უზრუნველყოფა და ალგორითმი.⁵² დიდი მონაცემები არა მხოლოდ მონაცემებია, არამედ ამ მონაცემების დასამუშავებლად აუცილებელი ტექნოლოგიები, დიდი მონაცემები კი ამ ტექნოლოგიების „საწვავია“.⁵³ დიდი მონაცემები ინფორმაციის ნაწილია, რომელიც იქმნება ინტერნეტის მეშვეობით, ონლაინ სფეროში აქტივობის შედეგად და ციფრულ ტექნოლოგიების მეშვეობით.⁵⁴ აღსანიშნავია, რომ ამასთან, ანალიტიკური საშუალებები ეყრდნობა ხელოვნურ ინტელექტსა და მანქანურ დასწავლას.⁵⁵ დიდი მონაცემები, გარკვეული ოპერაციის შესრულების მიზნით, შესაბამისი კანონზომიერებით ჯგუფდება,⁵⁶ რათა სხვადასხვა სახის მონაცემი ალგორითმმა ეფექტურად დაამუშაოს,⁵⁷ – ყოველივე ამას კი ეწოდება დიდი მონაცემების ანალიტიკა, რომელიც გულისხმობს მონაცემთა კრებულების შეგროვებასა და დამუშავებას, ეს მონაცემები კი არის ძალზედ მასიური და რთული/კომპლექსური მონაცემთა დამუშავების ტრადიციული მეთოდისთვის.⁵⁸ შესაბამისად, დიდი მონაცემები დიდი მოცულობის სტრუქტურირებული თუ არასტრუქტურირებული მონაცემებია, რომლებიც გამოირჩევა ნამდვილი ინფორმაციით, ხოლო მათი დამუშავება მოითხოვს ეკონომიურ და ინოვაციურ ფორმებს, ახალი თაობის ტექნოლოგიებსა და არქიტექტურას, რომლებიც შემუშავებულია

⁴⁹ Corrales M., Fenwick M., Forgo N., *Disruptive Technologies Shaping the Law of the Future*, In: *New Technology, Big Data and the Law*, Edited by M. Corrales, M. Fenwick, N. Forgo, Springer, 2017, 3.

⁵⁰ Big Data and Digital Clearing House ob., <<https://bit.ly/3BZ0fnl>> [29.05.2023]

⁵¹ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L265, 12.10.2022, art. 2(24), ასევე Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, art. 2(1).

⁵² Big Data and Digital Clearing House ob., <<https://bit.ly/3BZ0fnl>> [29.05.2023]

⁵³ Demchenko Y., Ngo C., Membrey P., *Architecture Framework and Components for the Big Data Ecosystem*, International Conference on Collaboration Technologies and Systems (CTS), Minneapolis, 2014, 106.

⁵⁴ Mäihäniemi B., *Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market*, Edward Elgar Publishing, 2020, 37.

⁵⁵ Paterson M., McDonagh M., *Data Protection in an Era of Big Data: Challenges Posed by Big Personal Data*, Monash University Law Review, Vol. 44, No. 1, 2018, 1.

⁵⁶ Lecture Notes for Data Structures and Algorithms, revised by J. Bullinaria, Birmingham, 2019, 7.

⁵⁷ იქვე, 8.

⁵⁸ Zetzsche D. A., Arner D. W., Buckley R. P., *Decentralized Finance (DeFi)*, *Journal of Financial Regulation*, Vol. 6, 2020, 182.

ეკონომიკური ღირებულების შესაქმნელად და უზრუნველყოფს მაღალი სიჩქარით მონაცემთა მოპოვებას, აღმოჩენასა და ანალიზს.⁵⁹ თავის მხრივ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მომხმარებელთა მონაცემები ზრდის მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობას, ამცირებს მოპოვებისთვის გაწეულ დანახარჯებს, გამოკვეთს მათ შორის კავშირს და ამარტივებს პროგნოზირებას.⁶⁰ შესაბამისად, დიდი მონაცემები სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული უზარმაზარი მოცულობით ინფორმაციის ინტეგრაცია და გაანალიზებაა, რა დროსაც გამოიყენება მაღალგანვითარებული ანალიტიკური ალგორითმი გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად.⁶¹

დიდი მონაცემების კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიისთვის მრავალი მეთოდი გამოიყენება.⁶² ზოგადად მონაცემთა კლასიფიკაცია ამარტივებს მონაცემთა დაცვას და მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემების განსაზღვრისთვის, რომლებიც უკავშირდება ადამიანის პერსონალურ ინფორმაციას.⁶³ კლასიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მონაცემთა საცავი, შინაარსობრივი ტიპები/ფორმატები, მონაცემთა სტრუქტურებში შენახვა (data staging)⁶⁴ და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივი ფორმატის მიხედვით გამოირჩევა სტრუქტურირებული, ნახევრადსტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დიდი მონაცემები.⁶⁵ სტრუქტურირებული მონაცემები განსაზღვრავს არე-შრეების⁶⁶ რაოდენობას, კერძოდ, რა სახის მონაცემებს შეიცავს ესა თუ ის არე-შრე და როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს.⁶⁷ სტრუქტურირებული მონაცემები დიდი მონაცემების ყველაზე მცირე ქვესიმრავლეა, რომლის დამუშავება მარტივია და გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის.⁶⁸ არასტრუქტურირებული მონაცემები არის ის მონაცემები, რომლებიც არ არის მოცემული ტრადიციული დაჯგუფებული სახით.⁶⁹ დიდი მონაცემების მოცულობით ნაწილს შეადგენს არასტრუქტურირებული მონაცემები, როგორებიცაა აუდიო და ვიდეო ფაილები, არასტრუქტურირებული ტექსტები და ა.შ.⁷⁰ მონაცემების ეს ტიპი ხშირად საკუთარი ბუნებით მაღალი განზომილებისაა.⁷¹ არასტრუქტურირებული მონაცემები არის

⁵⁹ Demchenko Y., Ngo C., Membrey P., Architecture Framework and Components for the Big Data Ecosystem, International Conference on Collaboration Technologies and Systems (CTS), Minneapolis, 2014, 105-106.

⁶⁰ Report of the US Federal Trade Commission on Big Data: A Tool for Inclusion or Exclusion?, 2016, 1, ob., <<https://bit.ly/3WFvbBv>> [24.12.2022]

⁶¹ Meeting the Challenges of Big Data: A Call for Transparency, User Control, Data Protection by Design and Accountability, European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 7/2015, 19 November 2015, 7.

⁶² Baldassarre M., Think Big: Learning Contexts, Algorithms and Data Science, REM - Research on Education and Media, Vol. 8, N. 2, 2016, 70.

⁶³ Ohlhorst F., Big Data Analytics, Turning Big Data into Big Money, Hoboken, 2013, 65.

⁶⁴ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12 (2021), 4237.

⁶⁵ Shabbir M. Q., Gardezi S.B.W., Application of Big Data Analytics and Organizational Performance: The Mediating Role of Knowledge Management Practices, Journal of Big Data, Vol. 7, No. 47, 2020, 4 ob., <<https://doi.org/10.1186/s40537-020-00317-6>> [18.09.2022]

⁶⁶ არე-შრე არის მონაცემთა ერთობლიობა; არე-შრეები მოიცავს გარკვეულ მონაცემებს, რომლებიც სისტემატიზებულია და ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგ; მომხმარებლის სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.

⁶⁷ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 6.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 606.

⁷⁰ Akter S., Wamba S. F., Big Data Analytics in E-commerce: a Systematic Review and Agenda for Future Research, Electron Markets 26, 2016, 180.

⁷¹ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 606.

ყველაფერი, რომელთა დახარისხება შეუძლებელია და მათგან ინფორმაციის მიღება მოითხოვს განვითარებული ტექნოლოგიების არსებობას. არასტრუქტურირებული მონაცემები არ თავსდება მონაცემთა სპეციფიკურ, წინასწარგანსაზღვრულ მოდელებში, ისინი ადამიანის მიერ არის შექმნილი და ციფრული საშუალებებით ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობასა თუ ყოფას გადმოსცემს.⁷² შესაბამისად, საჭიროებს განსხვავებულ და უახლესი ალგორითმებით დამუშავებას, რათა შეიძინოს სავაჭრო ღირებულება.⁷³ ნახევრად-სტრუქტურირებულ მონაცემები კი ინფორმაციაა, რომელიც არ არის სტრუქტურირებული, მაგრამ აქვს გარკვეული სტრუქტურა,⁷⁴ მაგ; Extensible Markup Language (XML)⁷⁵, რომელიც შეიცავს მომხმარებლის მიერ ტექსტურ მონიშვნას (ე.წ. “tag”), რაც მანქანისთვის მარტივი წასაკითხი და ამოსაცნობია,⁷⁶ შესაბამისად, მათი დამუშავება არასტრუქტურირებულ მონაცემებთან შედარებით უფრო მარტივია.

არასტრუქტურირებულ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი მეთოდია მანქანური დასწავლის მქონე აპლიკაციები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის ნაწილია და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით სწავლობენ, დამოუკიდებლად ეცნობიან ახალ მონაცემებს, ხოლო მანქანური დასწავლის ალგორითმი ცნობს კანონზომიერებებს, შესაბამისად, არასტრუქტურირებული მონაცემებიდან მიიღება მნიშვნელობა, ანუ შედეგი.⁷⁷ ახალი ტექნოლოგიებით მონაცემთა დამუშავება, (იქნება ეს პაკეტებად დამუშავება, რა დროსაც დიდი მოცულობით მონაცემები რეალურ დროში ერთდროულად მუშავდება თუ ნაკადების დამუშავებისა, როდესაც ერთი კომპიუტერიდან მეორე კომპიუტერში მოძრაობის დროს, ხდება მონაცემების ინტერპრეტაცია, ხოლო მონაცემებზე საპასუხო რეაქცია წამიერია და დაუყოვნებლივი), რომელიც წარმოშობს დამოუკიდებელ და ახალ მონაცემებს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კლასიფიკაციის ერთ-ერთ მეთოდად.⁷⁸ მაგალითად, მონაცემთა ანალიზისთვის, არასტრუქტურირებული მონაცემები გარდაიქმნება სტრუქტურირებულ მონაცემებად, იქნება ეს ექსპერტების დახმარებით, სპეციალისტი მკვლევარებისა თუ მონაცემთა მიმწოდებლების (ვენდორების) მეშვეობით.⁷⁹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემები ციფრული სახით არსებული არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ტიპის მონაცემთა სიმრავლე, ციფრული სახის შეუზღუდავი მოქმედება, ფაქტი ან ინფორმაციაა, რომლებიც გროვდება მაღალი სიჩქარით, მრავალი წყაროდან და მუშავდება რეალურ დროში მაღალგანვითარებული ტექნოლოგიის, ანალიტიკური ალგორითმის გამოყენებით. ტიპების მიხედვით არსებობს როგორც სტრუქტურირებული, ასევე ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული

⁷² Darin S., Big Content: The Unstructured Side of Big Data, 2013, *ib.*, <<https://gtnr.it/3yXYjdJ>> [19.10.2022], Harris J., Bridging the Divide between Unstructured and Structured Data, 2014, *ib.*, <<https://bit.ly/3scjWDr>> [19.10.2022]

⁷³ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 6.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ ტექსტობრივი ენა ქსელში გამოიყენება მონაცემთა მიმოცვლისთვის, იგი იყენებს მონიშვნას (tag) ინფორმაციის განსაკუთრებული მეთოდით ორგანიზებისთვის, დახარისხებისა და კატეგორიზაციისთვის, *ib.*, Dykes L., Tittle E., XML For Dummies, 4th edition, Hoboken, 2005, 11.

⁷⁶ Gandomi A., Haider M., Beyond the Hype: Big Data Concepts, Methods, and Analytics, International Journal of Information Management, Vol. 35, No. 2, 2015, 138.

⁷⁷ Malik S., Tyagt A.K., Sahoo R., Machine Learning Algorithms for Big Data Analytics Including Deep Learning, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022, 77.

⁷⁸ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12, 2021, 4238.

⁷⁹ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 612.

დიდი მონაცემები, თუმცა, საერთო ჯამში, დიდი მონაცემების ტიპების მიუხედავად, მათი დამუშავებისთვის საჭიროა ძლიერი პროგრამული უზრუნველყოფა და ალგორითმი, ახალი თაობის ტექნოლოგიები და არქიტექტურა.

1.1.2. დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები – „დიდი პერსონალური მონაცემები“

დიდი მონაცემებისა და პერსონალური მონაცემების ერთმანეთისგან სრულიად განცალკევება შეუძლებელია, რადგან არსებობს დიდი მონაცემები, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს შეიცავს,⁸⁰ ხოლო ეს მასიური პერსონალური ინფორმაცია გამოიყენება ადამიანთა ქცევის ჩამოყალიბების, გაგების, ანდა პროგნოზირებისთვის როგორც ბიზნესის ასევე მთავრობის მხრიდან.⁸¹ პერსონალური მონაცემები, თავის მხრივ, მოიცავს ყველა სახის, მათ შორის ციფრულ მონაცემებს, რომლებიც პირდაპირ, ანდა არაპირდაპირ მიემართება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.⁸² ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა შინაარსი მოიაზრებს ფიზიკური პირის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა საიდენტიფიკაციო ნომერი, ადგილმდებარეობის (გეოლოკაციური) მონაცემები, ონლაინ იდენტიფიკატორი, ანდა ერთი ან მეტი სპეციფიკური ფაქტორი, რომელიც ეხება ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, გენეტიკურ, მენტალურ/გონებრივი, ეკონომიკურ, კულტურულ ან სოციალური ნიშნებს.⁸³

პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევა დანაწევრებული მონაცემებიც, რომლებიც ერთობლიობაში პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.⁸⁴ ამასთან, შეიძლება ერთ-ერთი მონაცემი ვერ ახდენდეს ფიზიკური პირის იდენტიფიცირებას, მაგრამ ერთობლიობაში მარტივი იყოს მონაცემთა სუბიექტის ამოცნობა, მაგალითად, რადიო ტალღები, მზა ჩანაწერები (cookies), კერძოდ, ისეთი ონლაინ მაიდენტიფიცირებლები, რომლებიც მცირე ზომის ტექსტური ფაილია, ცნობს ინდივიდუალურ მომხმარებლებს, ინახავს მომხმარებელთა პარამეტრებს და შესაბამისად ამარტივებს ვებგვერდის გამოყენებას⁸⁵, ეს ყოველივე კი ერთობლიობაში ფიზიკური პირის უნიკალურ ნიშნებთან შესაძლებელს ხდის მის ამოცნობას.⁸⁶ გარდა აღნიშნულისა, ასევე დიდი მონაცემებს დამუშავებისას შეუძლია თვითონ შექმნას პერსონალური მონაცემები,⁸⁷ კერძოდ, დიდი მონაცემები უზრუნველყოფს ადამიანთა ქცევის სხვადასხვა ასპექტების ერთმანეთთან დაკავშირებასა და საერთო დასკვნის გამოტანას, ანუ მონაცემთა შეჯერებას, რომელიც

⁸⁰ Big Data and Data Protection, paras. 35-36, *ib.*, <<https://bit.ly/3JmgbRW>> [10.04.2022]

⁸¹ EDPS Opinion on Coherent Enforcement of Fundamental Rights in the Age of Big Data, European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 8/2016, 23 September 2016, 6.

⁸² Chrobak L., Proprietary Rights in Digital Data? Normative Perspectives and Principles of Civil Law, In: Personal Data in Competition, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards a Holistic Approach?, Edited by Bakhoum M., Conde Gallego B., Mackenrodt M., Surblytė-Namavičienė G., Springer, 2018, 255.

⁸³ General Data Protection Regulation (EU) 2016/679, art 4(1); ასევე *ib.*, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

⁸⁴ What is Personal Data? *ib.*, <<https://bit.ly/3kRjRT2>> [18.05.2021]

⁸⁵ Cookie-ფაილების წესები და პირობები, *ib.*, <<https://bit.ly/37V3TTy>> [14.04.2025]

⁸⁶ Online Identifiers for Profiling and Identification, Recital 30 of General Data Protection Regulation (EU) 2016/679, *ib.*, <<https://bit.ly/3ryM4zf>> [18.05.2021]

⁸⁷ Big Data and Data Protection, par. 38.

შედეგად იწვევს ადამიანთა იდენტიფიცირებას.⁸⁸ ასე მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით მოპოვებული დიდი მონაცემების შეგროვება, როგორებიცაა: სახელი-გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, პირადი ნომერი, პიროვნების მიერ ელექტრონული შესყიდვების შესახებ ცნობები, რომლებიც გამოავლენს მონაცემთა სუბიექტის სურვილებს, ასევე ზემოაღნიშნული დიდი მონაცემების ანალიტიკისა და პიროვნების პროფაილინგის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს პიროვნების ინტერესები, მისწრაფებები და მახასიათებლები,⁸⁹ – ყოველივე ეს „კვლავწარმოებული“ პერსონალური მონაცემებია. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემად ითვლება ყველაფერი, რაც უკავშირდება ფიზიკურ პირს და რითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, ანდა მიემართებოდეს იდენტიფიცირებულ პირს.

რაც შეეხება იურიდიული პირების მონაცემებს, პერსონალურ მონაცემად შესაძლებელია ჩაითვალოს იურიდიული პირთან ასოცირებული ინდივიდების შესახებ ინფორმაცია, როგორცაა კომპანიაში პიროვნების აქციების წილისა და ფუნქციის შესახებ მონაცემები; მეტიც, იურიდიულ პირებთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, ინდივიდუალური მეწარმე აღქმულია როგორც ფიზიკური პირი და, ასეთ ვითარებაში, შეუძლებელია პერსონალური და კორპორაციული მონაცემების ერთმანეთისგან გამოიჯვანა.⁹⁰ ევროკავშირისგან განსხვავებით კი საქართველო პერსონალურ მონაცემებს განიხილავს მხოლოდ ფიზიკური პირის კონტექსტში და დაცვის სფეროდან გამორიცხავს იურიდიულ პირს.⁹¹

1.2. ციფრული ეკონომიკა, თანამედროვე ბიზნესმოდელები და

მათი სამართლებრივი მოწესრიგება

1.2.1. საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება და ციფრული ეკონომიკა

ციფრული ტექნოლოგიები, როგორებიცაა სოციალური მედია და სოციალური ქსელები, ცვლის საზოგადოებრივ ურთიერთობას, ცვლის მომხმარებლისა და მწარმოებლის ურთიერთობებსაც.⁹² შესაბამისად, იქმნება ახალი ეკონომიკა, რომელიც სწრაფად ცვალებადია.⁹³ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკის სპეციფიკური სექტორი კი არა, არამედ თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკური სისტემებისა და საზოგადოებების საფუძველია, ხოლო ელექტრონული მონაცემები ამ სისტემების ბირთვია, რომლის ანალიზი და დაკავშირება მომსახურებასთან და პროდუქტთან წარმოშობს დიდ ღირებულებას.⁹⁴ ციფრული ეკონომიკა ეკონომიკის ნაწილია და შობს ახალ

⁸⁸ Rutkauskiene A., Report of SOGETI Luxembourg for Eurostat on the Review of Ethics Related to Big Data, Services Concerning Ethical, Communicational, Skills Issues and Methodological Cooperation Related to the use of Big Data in European Statistics, Version 4, 2017, 9.

⁸⁹ ლოთიპოისერ-შნარენბერგერი ს., შიში ჭამს თავისუფლებას: რატომ უნდა დავიცვათ ჩვენი ძირითადი უფლებანი, თბილისი, 2020, 125.

⁹⁰ Paul Voigt P., Bussche A. von dem, The EU General Data Protection Regulation (GDPR): A Practical Guide, Berlin, 2017, 21.

⁹¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

⁹² Bharadwaj A., El Sawy O. A., Pavlou P.A., Venkatraman N., Digital Business Strategy: Toward a Next Generation of Insights, MIS Quarterly, Vol. 37, No. 2, 2013, 472.

⁹³ Tapscott D., The Digital Economy: 20th Anniversary Edition - Rethinking Promise and Peril In The Age Of Networked Intelligence, McGraw Hill Education, 54.

⁹⁴ Regulation (EU) 2018/1807 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 on a Framework for the Free Flow of Non-personal Data in the European Union (Text with EEA relevance.) PE/53/2018/REV/1, Recital 1.

ბიზნესმოდელებს,⁹⁵ რომლებსაც მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნესმოდელები ეწოდება.⁹⁶ მონაცემები კი არის ციფრული ბიზნესისა და ონლაინპლატფორმების მამოძრავებელი ძალა.⁹⁷ ამიტომაც, კომპანიები აგროვებენ პერსონალურ და არაპერსონალურ მონაცემებს, რადგან ეს მონაცემები მათი შემოსავლის მთავარი წყაროა.⁹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული ეკონომიკა არ ნიშნავს ცალკე ეკონომიკას, ანდა ეკონომიკის ცალკე სექტორს,⁹⁹ ციფრულ ეკონომიკაში, რომელსაც ახალ ეკონომიკასაც უწოდებენ¹⁰⁰, ეკონომიკური აქტივობა მიმდინარეობს ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით და ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, ბიზნესს, მოწყობილობას, მონაცემებსა და პროცესს.¹⁰¹ ციფრული ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა მოიცავს ინფოკომტექებს, ციფრულ ინფრასტრუქტურას (ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორებიცაა კომპიუტერი, პროცესორი, ინტერნეტში ჩართვადი და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები), ასევე ციფრული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერ ციფრულ ინოვაციებს (ნივთების ინტერნეტი, მანქანური დასწავლა, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიტიკა და სხვ.), ელექტრონულ ვაჭრობას (კომერციას) და მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დამაკავშირებელ ციფრულ აპლიკაციებს, რომლებიც მომხმარებლების დამაკავშირებელი ციფრული შუამავალია, აპლიკაციები, როგორებიცაა ციფრული პლატფორმები, მოიცავს ასევე ციფრულ მომსახურებასა და პროდუქტებსაც.¹⁰² ძველი ეკონომიკისგან განსხვავებით, მასში ინფორმაცია გაციფრულებულია. შესაბამისად, დიდი მოცულობის ინფორმაცია სწრაფად მოიპოვება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.¹⁰³

ამ ახალ, ციფრულ ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი ბიზნესმოდელი, როგორებიცაა 1) ბიზნესი-ბიზნესისთვის მოდელი (B2B), 2) ბიზნესი-მომხმარებლისთვის მოდელი (B2C); 3) ბიზნესი-მთავრობისთვის მოდელი (B2G) და 4) მომხმარებელი-მომხმარებლისთვის მოდელი (C2C).¹⁰⁴ ბიზნეს-მომხმარებლისთვის მოდელი განიმარტება, როგორც ელექტრონული საშუალებებით მეწარმეს (ბიზნესს) და საბოლოო მომხმარებელს შორის დისტანციური მომსახურება და ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული საშუალებებით და ინდივიდუალურ მოთხოვნის საფუძველზე.¹⁰⁵ თავის მხრივ, ბიზნესი-

⁹⁵ Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, 2014, 73.

⁹⁶ Bedir C., Contract Law in the Age of Big Data, European Review of Contract Law, Vol. 16, No. 3, 2020, 348.

⁹⁷ Davilla, M., Is Big Data a Different Kind of Animal? The Treatment of Big Data Under the EU Competition Rules, Journal of European Competition Law & Practice, Vol. 8, No. 6, 2017, 371.

⁹⁸ Lorenzoni, I., From B2B to B2G and G2G Data Sharing in Competition Law, University of Luxembourg Law Research Paper, No. 2024-04, 2024, 2, *ob.*, SSRN: <<https://ssrn.com/abstract=5042689> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5042689>>

⁹⁹ Trading Data in the Digital Economy: Legal Concepts and Tools, Edited by Staudenmayer D., Schulze R., Lohsse S., Munich, 2017, 13.

¹⁰⁰ Tapscott D., The Digital Economy: 20th Anniversary Edition - Rethinking Promise and Peril In The Age Of Networked Intelligence, McGraw Hill Education, 2015, 58.

¹⁰¹ აბესაძე ა., მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის სექტორში მომუშავე პირთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 119.

¹⁰² Barefoot K., Curtis D., Jolliff W., Nicholson J.R., Omohundro R., Defining and Measuring the Digital Economy, Working Paper of Bureau of Economic Analysis of the U.S Department of Commerce, Washington, 2018, 6-7 და Sasikumar S.K., Sersia K., Digital Platform Economy: Overview, Emerging Trends and Policy Perspectives, Productivity, Vol. 61, No. 3, 2020, 341

¹⁰³ Tapscott D., The Digital Economy: 20th Anniversary Edition - Rethinking Promise and Peril In The Age Of Networked Intelligence, McGraw Hill Education, 2015, 60-61.

¹⁰⁴ De Sousa Gonçalves A.S., The E-Commerce International Consumer Contract in the European Union, Masaryk University Journal of Law and Technology Vol 9, No. 1, 2015, 9.

¹⁰⁵ Gugava N., Kobaladze L., Kenia T., Kobakhidze O., A Comparative Analysis of Data Protection in E-Commerce B2C Contracts in Georgia and the European Union, Review of European and Comparative Law, Vol. 59, No. 4, 2024, 61.

ბიზნესისთვის მოდელი გულისხმობს ორ ან მეტ მეწარმეს შორის ურთიერთობას, რა დროს მიმოიგვლება პროდუქტი, მომსახურება, ინფორმაცია ინტერნეტის გამოყენებით.¹⁰⁶ მომხმარებელი-მომხმარებლისთვის მოდელში ინდივიდუალური მომხმარებელი ყიდის პროდუქტსა და მომსახურებას სხვა მომხმარებელზე მესამე მხარის პლატფორმის მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად, eBay.¹⁰⁷ ბიზნესი-მთავრობისთვის მოდელი გულისხმობს გარიგებებს, რომელშიც მონაწილეობს კომპანიები და საჯარო სექტორს მიკუთვნებული ორგანიზაციები,¹⁰⁸ როდესაც მეწარმე აწვდის მომსახურებასა და პროდუქტებს მთავრობებს, მთავრობა, კი თავის მხრივ ხშირად იყენებს ბიზნესი-მთავრობისთვის მოდელს, რათა შეიძინოს პროდუქცია ფორმალური შესყიდვების პროცესის გავლით, რაც დეტალური მოწესრიგების (რეგულირების) საკითხია.¹⁰⁹ ასეთ ბიზნეს მოდელში მომხმარებელი ერთმანეთს უკავშირდებიან ელექტრონული პლატფორმებით და ზემოაღნიშნული ბიზნესმოდელები ქმნიან ბაზრებს.¹¹⁰ შესაბამისად, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების საშუალებით შექმნილი პროდუქცია ქმნის ახალ ციფრულ სექტორს და იქმნება ახალი ბაზრებიც.¹¹¹

საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების ევროკავშირის რეგულაციის მსგავსად, საქართველოც განმარტავს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას და იმეორებს რეგულაციას.¹¹² კანონის თანახმად, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება ელექტრონული კომერციაა,¹¹³ რომლის არსებობისთვის აუცილებელია მომსახურების მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნა, მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების გაწევა, მომსახურების გაწევა დისტანციურად (მომსახურების გაწევა ხდება მხარეთა ერთდროულად დასწრების გარეშე) და ელექტრონული საშუალებები; კერძოდ, ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისთვის და შენახვისთვის, ასევე მომსახურების დანიშნულების ადგილზე მომსახურების მიწოდება და მიღება სადენების, რადიოტალღების ან სხვა ელექტრომაგნიტური საშუალებების გამოყენებით.¹¹⁴ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებისთვის არ არის აუცილებელი საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების

¹⁰⁶ Jewels T.J., Timbrell G., Towards a Definition of B2C & B2B E-commerce, ACIS Proceedings, Vol. 56, 2001, იხ. <<https://aisel.aisnet.org/acis2001/56/>> [01.08.2025]

¹⁰⁷ Chaffey, D., Digital Business and E-Commerce Management, 7th edition, Pearson, 2019, 142–143., Laudon K.C., Traver, C. G., E-commerce 2021: Business, Technology, Society, 16th edition, Pearson, 2021, 52–53.

¹⁰⁸ Turban, E., Outland, J., King, D., Lee, J. K., Liang, T.-P., Turban, D. C., Electronic Commerce 2018: A Managerial and Social Networks Perspective, 9th edition, Springer, 2018, 22.

¹⁰⁹ Schneider, G. Electronic Commerce, 2th edition, Cengage Learning, 2017, 18.

¹¹⁰ Herrmann, H., Martín, M. J., Bidding for B2B or B2G Tenders: Toward the Adoption of Pricing Models in Practice, Management Review Quarterly, Vol. 75, No. 4, 2025, 1496.

¹¹¹ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L265, 12.10.2022, art. 2(2)

¹¹² შეად., საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება ხორციელდება ელექტრონული საშუალებებით, მომსახურების მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, რა დროსაც მომსახურების უზრუნველყოფა ხორციელდება მონაცემთა გადაცემის საფუძველზე, დისტანციურად (რაც გულისხმობს, რომ არ არის აუცილებელი, რათა მხარეები ერთდროულად იყვნენ ერთ კონკრეტულ ადგილზე ერთად წარმოდგენილნი) და მომსახურებისთვის ანაზღაურების გაწევის სანაცვლოდ. იხ., Directive (EU) 2015/1535 of the European Parliament and of the Council of 9 September 2015 Laying Down a Procedure for the Provision of Information in the Field of Technical Regulations and of Rules on Information Society Services (codification) (Text with EEA relevance), OJ L 241, 17.9.2015, Art. 1(1b).

¹¹³ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹⁴ იქვე, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი. ასევე, Directive (EU) 2015/1535 of the European Parliament and of the Council of 9 September 2015 Laying Down a Procedure for the Provision of Information in the Field of Technical Regulations and of Rules on Information Society Services (codification) (Text with EEA relevance), OJ L 241, 17.9.2015, Art. 1(1bii).

გამწევემა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა მოიპოვოს ლიცენზია ან გაიაროს ავტორიზაცია, გარდა იმ პირებისა, რომელთა ლიცენზირებასა და ავტორიზაციას მოითხოვს კანონი.¹¹⁵ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურეობის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის დარღვევის აღმოფხვრას და გარკვეული ღონისძიებების გატარებას.¹¹⁶ შესაბამისად საინფორმაციო საზოგადოების მომსახურეობის გაწევისას მონაცემები მუშავდება და შეინახება ელექტრონული ფორმით.

1.2.2. პლატფორმა და პლატფორმული მომსახურება ციფრული ეკონომიკის კონტექსტში

ციფრული ეკონომიკის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს პლატფორმები,¹¹⁷ რომელიც ბაზრების ერთობლიობაა და ერთი მხრივ ბაზრის აქტორებს, პლატფორმული მომსახურების მიწოდებელსა და პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდებელს აკავშირებს¹¹⁸, ხოლო, მეორე მხრივ, პლატფორმის საშუალებით მომხმარებლის მიწოდებელთან დაკავშირება მაშინ ხდება, როდესაც ინდივიდუალურ მოთხოვნაზე დამყარებული მომსახურეობის მიწოდება ხდება აუცილებელი.¹¹⁹ ამ მომსახურეობის მიწოდებისთვის კი გამოიყენება „ციფრული შრომითი პლატფორმა“, რომელიც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ კომერციული მომსახურეობის გაწევას გულისხმობს ელექტრონული საშუალებით (ვებსაიტი ან მობილური აპლიკაცია), ხოლო მომსახურეობის გაწევა მოთხოვნილია მომსახურების მიმღების მიერ; აღნიშნული მომსახურების აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, სამუშაოს ორგანიზების ის სახე, როდესაც სამუშაო სრულდება ფიზიკური პირების მიერ, მიუხედავად იმისა შესრულება ონლაინ ხორციელდება თუ კონკრეტულ ადგილზე.¹²⁰

თავის მხრივ, ციფრული პლატფორმები მრავალმხრივია, დაკავშირებულია ბიზნესის მართვასთან, დაფუძნებულია ინოვაციებზე.¹²¹ იგი ბიზნესს პროცესებთან დაკავშირებული ფიზიკური აქტივია და ფუნქციურ კავშირშია ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სისტემასთან;¹²² იგი ბაზრის ერთ-ერთი ტიპია, ჰიბრიდული სახისაა და მის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს ბიზნესი მისი საშუალებით და ასევე დაწეროს ინოვაციები.¹²³ ბიზნესპლატფორმები არის წესებისა და ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირი, იგი მოითხოვს ძლიერ, მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიას,

¹¹⁵ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

¹¹⁶ იქვე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის „ი“ პუნქტი; ასევე „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ 2023 წლის 28 ნოემბრის N 02/3470 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან).

¹¹⁷ Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Contestable and Fair Markets in the Digital Sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020, 1.

¹¹⁸ Tiwana A., Platform Ecosystems: Aligning Architecture, Governance, and Strategy, Elsevier, 2014, 61-69.

¹¹⁹ Donovan S.A., Bradley D.H., Shimabukuro J.O., What Does the Gig Economy Mean for Workers?, Congressional Research Service, 2016, 1.

¹²⁰ Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Improving Working Conditions in Platform Work, COM/2021/762 final, Brussels, 9.12.2021, Art. 2(1).

¹²¹ Gosse J., Hoffreumon C., Van Zeebroeck N., Bughin J., The Value of Platform Strategy: It's the Ecosystem, Stupid!, iCite Working Paper No2020-039, Université libre de Bruxelles, 2020, 3.

¹²² Dhar V., Sundararajan A., Information Technologies in Business: A Blueprint for Education and Research, Information Systems Research, Vol. 18, No. 2, 2007, 134.

¹²³ Gosse J., Hoffreumon C., Van Zeebroeck N., Bughin J., The Value of Platform Strategy: It's the Ecosystem, Stupid!, iCite Working Paper No2020-039, Université libre de Bruxelles, 2020, 27.

რომელსაც შეეძლება ალგორითმის მუშაობის უზრუნველყოფა¹²⁴ და საჭიროებს ტექნოლოგიური არქიტექტურისა და ციფრული ინჟინერიის ინტეგრირებას¹²⁵, რომელიც ეხმარება ქსელის მომხმარებელთა ურთიერთკავშირსა თუ ინტერაქციას.¹²⁶ პლატფორმები ხელს უწყობს სხვადასხვა ბიზნესმოდელებისა და სტრატეგიების დაგეგმარებას ისე, რომ ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით ბიზნესისთვის შესაფერისი მოდელის დანერგვა მოხდეს, იქნება ეს ბიზნესი-ბიზნესისთვის მოდელი, ბიზნეს-მომხმარებელი მოდელი, მომხმარებელი-მომხმარებლისთვის მოდელი, მომხმარებელ-ბიზნეს მოდელი თუ სხვა.¹²⁷ აღნიშნული მოდელები საჭიროებს ციფრული ბიზნესის სტრატეგიის შემუშავებას, კერძოდ, ციფრული რესურსების გამოყენებით შემუშავებულ და განხორციელებულ სტრატეგიას, რომელიც დიფერენცირებული ღირებულების შექმნისთვის გამოიყენება.¹²⁸ ციფრული ტექნოლოგიები აყალიბებს ბიზნესის ახალ ინფრასტრუქტურას და გავლენას ახდენს ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაზე, რაც ბიზნესის მიერ მოგების მიღებისა თუ მოგებიდან საზღაურის მიღების ბიზნესმოდელის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.¹²⁹

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია ძირითადი პლატფორმული მომსახურების ცნება, რომელიც განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი 1) ონლაინ საშუაშაველო მომსახურება,¹³⁰ 2) ონლაინ საძიებო სისტემების მომსახურება; 3) სოციალური ქსელების მომსახურება; 4) ვიდეოს გამზიარებელი პლატფორმების მომსახურება; 5) ადამიანთაშორისი კომუნიკაციის მომსახურებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ტელეფონის ნომრის არსებობაზე (მაგ; Messenger, WhatsApp, Signal); 6) საოპერაციო სისტემები; 7) შემნახველი „ღრუბლის“ მომსახურებები, 8) ვირტუალური ასისტენტები და 9) ონლაინ სარეკლამო მომსახურებები, მათ შორის, იგულისხმება სარეკლამო ქსელები, პლატფორმები, რომლებიც შექმნილია რეკლამის გაცვლისთვის და სხვა სარეკლამო საშუაშაველო მომსახურებები.¹³¹ ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიმწოდებელი დაკვალიფიცირდება, როგორც „დამვების გუშაგი“ (gatekeeper) თუ: 1) აქვს დიდი გავლენა ციფრულ ბაზარზე; 2) არის ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც, თავის მხრივ, მეწარმე-მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი მკავშირებელია საბოლოო მომხმარებელთან და 3) ოპერაციების შესრულებისას, ფუნქციონირებისას, იგი იყენებს, ან მოსალოდნელია, რომ გამოიყენებს ბაზარზე დამკვიდრებულ და განგრძობად

¹²⁴ Dhar V., Sundararajan A., Information Technologies in Business: A Blueprint for Education and Research, Information Systems Research, Vol. 18, No. 2, 2007, 130.

¹²⁵ Dhar V., Stein R.M., FinTeck Platforms and Strategy, Communications of the ACM, Vol. 60, No. 10, 2017, 33.

¹²⁶ Parker, G. and Van Alstyne, M. Platform strategy, Palgrave Encyclopedia of Corporate Strategy, 2014, 1, ობ., <<https://bit.ly/3sRHTDS>> [28.11.2023]

¹²⁷ Dhanvijay S., E-Business: Innovative Business Models, International Research Journal of Marketing & Economics, Vol. 7, No. 2, 2020, 75.

¹²⁸ Bharadwaj A., El Sawy O. A., Pavlou P.A., Venkatraman N., Digital Business Strategy: Toward a Next Generation of Insights, MIS Quarterly, Vol. 37, No. 2, 2013, 472.

¹²⁹ იქვე, 480.

¹³⁰ **ონლაინ საშუაშაველო მომსახურებები** არის საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება, რა დროსაც მეწარმე-მომხმარებელსა და საშუაშაველო მომსახურების მიმწოდებელს შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც მეწარმე-მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს შესთავაზოს საკუთარი პროდუქტი და მომსახურებები იმ მიზნით რომ გაამარტივოს მეწარმე-მომხმარებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირი გარიგების დადება, მიუხედავად იმისა თუ სად იდება აღნიშნული გარიგებები ობ., Regulation (EU) 2019/1150 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on Promoting Fairness and Transparency for Business Users of Online Intermediation Services (Text with EEA relevance), OJ L 186, 11.7.2019 Article 2, point 2.

¹³¹ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L265, 12.10.2022, art. 2(2).

პოზიციას.¹³² მოცემული სია არ არის საბოლოო და ციფრული სექტორის სწრაფად ცვალებადობის გამო, შესაძლებელია რეგულაციის გადახედვა ძირითადი პლატფორმული მომსახურების სიის სრულყოფის მიზნით.¹³³ თავის მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა აწესრიგებს პლატფორმას, რომელიც მომხმარებელს აწვდის მომსახურებას, რა დროსაც მომხმარებელი არ მართავს ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურას, თუმცა ახორციელებს კონტროლს შემუშავებულ აპლიკაციებზე და მათ ჰოსტინგ-გარემოს კონფიგურაციის პარამეტრებზე, მომხმარებელი ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაში ათავსებს მის მიერ შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფას, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფა შექმნილია, ღრუბლოვანი მომსახურების მომწოდებლის მხარდაჭერილი პროგრამირების ენების, ბიბლიოთეკების, სერვისებისა და სხვა ინფოტექის საშუალებების გამოყენებით.¹³⁴ აქვე უნდა განვიხილოთ, რომ ღრუბლოვანი გამოთვლითი ინფრასტრუქტურა, შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ინტერნეტის სინონიმი,¹³⁵ როგორც ინფოტექზე დაფუძნებული ბიზნესმოდელი, რომელიც სთავაზობს მომსახურებას ინტერნეტის მეშვეობით, სადაც პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მომსახურებები მიეწოდება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად თვითმომსახურების მსგავსად, მომსახურების მიმწოდებელთან ინტერაქცია მინიმალურია, ხოლო მომხმარებელი იხდის მომსახურებისთვის.¹³⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, პლატფორმა და პლატფორმული მომსახურება არ არის ურთიერთშემნაცვლებელი ტერმინი, პლატფორმა არის ბაზრების ერთობლიობა, ბაზრის ტიპია, სადაც ხორციელდება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება, იგი ციფრული ეკონომიკის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც აკავშირებს ბაზრის მონაწილეებს, კერძოდ, მომსახურების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, იგი უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას ციფრული გზით (ვებსაიტი, აპლიკაცია). მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ არქიტექტურას, ალგორითმებსა და ქსელურ ინტერაქციას. პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ბიზნესმოდელისთვის. პლატფორმის მიერ მოწოდებული ონლაინ მომსახურებობის (სერვისის) ნაწილიცაა პლატფორმული მომსახურება. თავის მხრივ, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებისგან განსხვავებით პლატფორმული ეკონომიკას არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კრიტერიუმები მოიცავს პლატფორმულ მომსახურებასაც. შესაბამისად, პლატფორმები, როგორც ციფრული ეკონომიკის ნაწილი და ბაზრების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას თავსდება საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს რეგულაციის სფეროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით

¹³² იქვე, art. 3.

¹³³ იქვე, Recital 77.

¹³⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 01 აგვისტოს №195/04 ბრძანება, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს“ მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტი.

¹³⁵ Corrales M., Fenwick M., Forgó N., Disruptive Technologies Shaping the Law of the Future, In: New Technology, Big Data and the Law, Edited by M. Corrales, M. Fenwick, N. Forgó, Springer, 2017, 3.

¹³⁶ Madhavaiah C., Bashir I., Shafi S., I., Defining Cloud Computing in Business Perspective: A Review of Research, Vision: The Journal of Business Perspective, Vol. 16, No. 3, 2012, 171.

მოცემული პლატფორმული ბაზარი სხვა უწყების რეგულაციის სფეროში,¹³⁷ კერძოდ, ფინტექი და ფინასური ბაზრების კონკურენციის საკითხს ეროვნული ბანკი განიხილავს.¹³⁸

1.3. მონაცემების მოპოვება და დამუშავება ციფრულ ეკონომიკაში

1.3.1. დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემები და არქიტექტურა

ურთიერთდაკავშირებული სისტემების ქსელს ეკოსისტემა ეწოდება,¹³⁹ ხოლო მონაცემების ეკოსისტემა ციფრული ეკოსისტემის განსაკუთრებული სახეა.¹⁴⁰ უნდა განიმარტოს, რომ ციფრული ეკოსისტემა არის ტექნოლოგიურ-ეკონომიკური სივრცე, სადაც ციფრულად შესაფერისი აქტივობები მიმდინარეობს ურთიერთდაკავშირებული-ურთიერთგადაჯაჭვული სახით და მონაწილეობენ არაერთგვაროვანი აქტორები, რომლებიც მისდევენ განსხვავებულ მიზნებს.¹⁴¹ ციფრული ეკოსისტემის მოთამაშეების სამი ორგანიზაციული სახე არსებობს: 1) კომპანიები და ფირმები (მეწარმეები), 2) სასწავლო დაწესებულებები და კვლევითი ცენტრები, 3) სამთავრობო დაწესებულებები და სახელისუფლებლო ინსტიტუტები.¹⁴² შესაბამისად, დიდი მონაცემების ეკოსისტემა ფუნქციურად დაკავშირებული სისტემებია,¹⁴³ კერძოდ, მონაცემთა ეკოსისტემა აერთიანებს მონაცემთა მფლობელებს, მონაცემთა ანალიტიკურ კომპანიებს, მონაცემთა პროფესიონალებს, დრუბლოვანი მომსახურების მიმწოდებელს, მომხმარებელთა ინდუსტრიის კომპანიებს, უნივერსიტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა.¹⁴⁴ იგი მოიცავს პროგრამირების ენებს, პაკეტებს, ალგორითმს და ქმნის მონაცემთა შეგროვების, შენახვის, ანალიზისა და გამოყენების საერთო ინფრასტრუქტურას.¹⁴⁵ შესაბამისად, რთული და კომპლექსური ურთიერთდაკავშირებული კომპონენტები, როგორებიცაა მოცულობითი მონაცემების დამუშავებისა და ანალიტიკის ტექნოლოგიები, შენახვის, დამუშავების და მიზნობრივი აპლიკაციისთვის შედეგების მიწოდების რთული კომპლექსი, ერთიანობაში ქმნის დიდი მონაცემების ეკოსისტემას, რომელიც ხელს უწყობს დიდი მონაცემების განვითარებას, მოდელირებას და მონაცემების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას.¹⁴⁶ თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა ორი სახის სასიცოცხლო ციკლის მოდელი არსებობს, ზოგადი მონაცემების მართვის და დიდი მონაცემების მართვის. დიდი მონაცემების მართვის მოდელი მოიცავს

¹³⁷ „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის“ 2023 წლის 28 ნოემბრის N 02/3470 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან).

¹³⁸ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47⁸-ე მუხლი.

¹³⁹ Janev V., Ecosystem of Big Data, Chapter 1, In: Knowledge Graphs and Big Data Processing, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 4.

¹⁴⁰ Data Ecosystems: Sovereign Data Exchange among Organizations (Dagstuhl Seminar 19391), Edited by C. Cappello, A. Gal, M. Jarke, J. Rehof, In: Dagstuhl Reports, Vol. 9, No. 9., 2020, 78.

¹⁴¹ Calza E., Dalla Benetta A., Kostić U., Mitton I., Moraschini M., Vazquez-Prada Baillet M., Cardona M., Papazoglou M., Righi R., Torrecillas Jodar J., Lopez Cobo M., Cira P., De Prato G., Analytical Insights into the Global Digital Ecosystem (DGTEs), EUR 31538 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2023, 8

¹⁴² იქვე, 16.

¹⁴³ Yunita A., Santoso H.B., Hasibuan Z.A., ‘Everything is data’: Towards One Big Data Ecosystem Using Multiple Sources of Data on Higher Education in Indonesia, Journal of Big Data, Vol. 9, No. 91, 2022, 3.

¹⁴⁴ Curry E., Metzger A., Zillner S., Pazzaglia J., Garcia Robles A., Hahn T., Le Bars L., Milan Petkovic M., and Nuria De Lama N. The European Big Data Value Ecosystem, In: The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem, Edited by E. Curry et al., Springer, 2021, 8.

¹⁴⁵ Stobierski T., 5 Key Elements of a Data Ecosystem, Harvard Business School, 2021, ob., <<https://bit.ly/3GxHNof>> [07.12.2023]

¹⁴⁶ Demchenko Y., de Laat C., Membrey P., Defining Architecture Components of the Big Data Ecosystem, In: 2014 International conference on collaboration technologies and systems (CTS), 2014, 106.

მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა მომზადების, ანალიზისა და მოქმედების (ვიზუალიზაციის) ფაზებს, რომელთაგან მოქმედების ფაზა გულისხმობს სინთეზირებული ცოდნის¹⁴⁷ გამოყენებას მონაცემთათვის მნიშვნელობის მისაცემად.¹⁴⁸ მონაცემთა სასიცოცხლო ციკლი მოიცავს ასევე მონაცემთა ფასდადების, მონაცემებით ვაჭრობისა და მონაცემთა დაცვის ფაზებსაც, რომელთაგან მონაცემთა ანალიზის ეტაპი მნიშვნელოვანია მონაცემთა კრებულიდან სავაჭრო ღირებულების მისაღებად.¹⁴⁹

კომპლექსური ეკოსისტემის ერთ-ერთი ფუნქცია მონაცემთა ანალიზით ცოდნის აღმოჩენაა;¹⁵⁰ დიდ მონაცემთა ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილები ერთად ფუნქციონირებენ, დიდი მონაცემების ეკოსისტემაში ჩართულ მონაცემებს შორის კავშირი მყარდება და ამით მიიღება ღირებული ინფორმაცია.¹⁵¹ მაგალითად, დიდი მონაცემების დამუშავების აპლიკაციები ანალიზებენ წერტილოვანი მონაცემის¹⁵² მასიურ რაოდენობას და იყენებს მაღალგანვითრებული მონაცემთა ანალიტიკის მეთოდს, რათა აღმოაჩინოს მოულოდნელი კორელაციები, შეამოწმოს/დაატესტოს მოსალოდნელი კორელაციები მიზეზ-შედეგობრიობისთვის (კაუზაციისთვის), ან დაადგინოს წინასწარგანსაზღვრული კანონზომიერებების ნამდვილობა (ვალიდურობა).¹⁵³ გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მონაცემი ნედლი ფაქტები და ციფრებია, ხოლო ინფორმაცია მონაცემებისგან მიიღება როდესაც ის ინფორმაციის სისტემაში თავსდება, მუშავდება, ხდება მონაცემთა ინტერპრეტაცია და მონაცემებს მიეცემა მნიშვნელობა/შინაარსი. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციად დამუშავების შემდეგ მონაცემების ინტერპრეტირება, კონტექსტთან მისი დაკავშირება მას მნიშვნელობას სძენს, ინფორმაციის ანალიზითა და გაგებით, ვითარებასთან მისი მისადაგებით კი მიიღება ცოდნა.¹⁵⁴ თავის მხრივ, ციფრულ ეკონომიკაში, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული, ცოდნის შესაქმნელად გამოიყენება ინტელექტუალური, ადამიანური რესურსი.¹⁵⁵ მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, რომელიც წინ უსწრებს ახალი იდეების დაბადებას, ადამიანური რესურსის მიერ შექმნილი ცოდნაა ის, რაც ადამიანურ კაპიტალს გამორჩეულ მდგომარეობაში აყენებს სხვა, ფიზიკურ, სამუშაო თუ მიწის რესურსთან შედარებით.¹⁵⁶

¹⁴⁷ კონკრეტულს საკითხთან ან თემასთან დაკავშირებული კვლევების, არაერთგვაროვანი ლიტერატურის ნათელი და დალაგებულ სახით შეჯამება, რომელიც მოიცავს მეტა-ანალიზს, თვისობრივ შერწყმასა სისტემურსა და ინტეგრირებულ მიმოხილვას იხ., Whitemore R., Chao A., Jong M., Minges K.E., Park C., *Methods for Knowledge Synthesis: An Overview*, Heart & Lung, Vol. 43, No. 5., 2014, 453-461.

¹⁴⁸ Mazumdar S., Seybold D., Kritikos K., Verginadis Y., *A Survey on Data Storage and Placement Methodologies for Cloud-Big Data Ecosystem*, Journal of Big Data, Vol. 6, No. 15, 2019, 4.

¹⁴⁹ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., *A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection*, IEEE Access, Vol. 6. 2018, 15136

¹⁵⁰ Janev V., *Ecosystem of Big Data*, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Springer Nature, 2020, 2-3.

¹⁵¹ Yunita A., Santoso H.B., Hasibuan Z.A., *Everything is Data: Towards One Big Data Ecosystem Using Multiple Sources of Data on Higher Education in Indonesia*, Journal of Big Data, Vol. 9, No. 1, 2022, 3.

¹⁵² **წერტილოვანი მონაცემი** [Data Point] - მონაცემთა ელემენტი/ნაწილი, ინფორმაციის ნაწილი. An item of data; a piece of information იხ., Oxford University Press. Data point, n. In Oxford English dictionary, იხ., <<https://doi.org/10.1093/OED/5412087070>> [4.04.2025]

¹⁵³ Zetzsche D. A., Arner D. W., Buckley R. P., *Decentralized Finance (DeFi)*, Journal of Financial Regulation, Vol. 6, 2020, 182.

¹⁵⁴ Cambridge International AS & A Level Information Technology, Syllabus Topic 1.1 Data, Information and Knowledge, 5-6, იხ., <<https://bit.ly/3EO365r>> [29.11.2023]

¹⁵⁵ Tapscott D., *The Digital Economy: 20th Anniversary Edition - Rethinking Promise and Peril In The Age Of Networked Intelligence*, McGraw Hill Education, 2015, 55-57.

¹⁵⁶ Stewart L.F., *The Job of Human Capital: What Occupational Data Reveal About Skill Sets, Economic Growth and Regional Competitiveness*, Doctoral dissertation, Cleveland State University, 2015, 2, იხ., <<https://bit.ly/3uFLQwb>> [03.12.2023]

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიების ინტელექტუალური კაპიტალი დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ დიდ მონაცემთა ეკოსისტემა, მისი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მონაცემთა მოპოვებასა და დამუშავებას სხვადასხვა წყაროდან,¹⁵⁷ ხოლო დიდი მონაცემების არქიტექტურა, რომელიც დიდი მონაცემების ეკოსისტემის პროცესის, მისი უმთავრესი კომპონენტების მხარდაჭერას ახორციელებს, დიდი მონაცემთა ეკოსისტემის ნაწილია და მოიცავს მონაცემთა მოდელს, სტრუქტურასა და ტიპებს, მონაცემთა მართვას (მათ შორის სასიცოცხლო ციკლის მართვას), დიდი მონაცემების ანალიტიკას, დიდი მონაცემების ინფრასტრუქტურას (მათ შორის, მოპოვება, მაღალი ხარისხის გამოთვლითი ტექნოლოგიით მხარდაჭერა, დამუშავება), მონაცემთა უსაფრთხოებას.¹⁵⁸ მონაცემთა არქიტექტურა უზრუნველყოფს მონაცემთა მართვას მისი შეგროვებიდან გარდაქმნამდე (ტრანსფორმაციამდე), განაწილებამდე და მოხმარებამდე,¹⁵⁹ იგი კონცეპტუალური მოდელია და განსაზღვრავს ბიზნესისთვის დიდი მონაცემების (რომელიც მონაცემთა დამუშავებელი ტრადიციული სისტემებისთვის მეტად მოცულობითია) მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის სისტემის სტრუქტურასა და ქცევას.¹⁶⁰ დიდი მონაცემების არქიტექტურის მიზანია ორგანიზაციის ბიზნესის საჭიროებისთვის გადაწყვეტილების პოვნა, გადაწყვეტილების ხასიათის მიხედვით კი შეირჩევა დამუშავების მეთოდი, კერძოდ, იქნება ეს ბეჩ-დამუშავება¹⁶¹ თუ რეალურ-დროში დამუშავება.¹⁶² თავის მხრივ დიდი მონაცემების ხასიათიდან გამომდინარე, რეალურ-დროში, დინებითი (Streaming Analysis) ანალიზი უზრუნველყოფს დიდი მონაცემების უწყვეტი დინების დამუშავებას და შედეგის მიღებას დინების სახით.¹⁶³ დიდი მონაცემების არქიტექტურის მრავალი ტიპის მიუხედავად, ნებისმიერი არქიტექტურა მოიცავს კომპონენტს, რომელიც სასურველი ოპერაციის შესრულებისთვისაა საჭირო.¹⁶⁴ დიდი მონაცემების არქიტექტურა ახდენს ორგანიზაციის მონაცემთა აქტივების დოკუმენტირებას, მონაცემთა სისტემებში ასახავს დინებას ე.წ. „გზამკვლევის“ (mapping) შემუშავებით და ბიზნესის საჭიროებებისთვის და ინფორმირებისთვის შეიმუშავებს მონაცემთა მართვის შესაფერის მოდელს.¹⁶⁵ დიდი მონაცემების არქიტექტურა მონაცემთა ქარბი, არასაჭირო და დუბლირებულ რაოდენობას ამცირებს, აუმჯობესებს მონაცემთა

¹⁵⁷ Yunita A., Santoso H.B., Hasibuan Z.A., 'Everything is data': Towards One Big Data Ecosystem Using Multiple Sources of Data on Higher Education in Indonesia, *Journal of Big Data*, Vol. 9, No. 91, 2022, 3.

¹⁵⁸ Demchenko Y., de Laat C., Membrey P., Defining Architecture Components of the Big Data Ecosystem, In: 2014 International conference on collaboration technologies and systems (CTS), 2014, 108.

¹⁵⁹ What is a Data Architecture?, IBM, ob., <<https://bit.ly/46SaxCO>> [07.12.2023]

¹⁶⁰ Jabeen H., *Big Data Outlook, Tools, and Architectures*, Chapter 3, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 42-43.

¹⁶¹ **Batch Processing** – დიდ მონაცემთა ეფექტური დამუშავება, ბეჩ-დამუშავებისას სრულდება რთული ოპერაციები მონაცემთა ერთობლიობაზე, ხოლო როდესაც დამუშავება სრულდება, შედეგი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ერთადერთობიანი მნიშვნელობა ან რომელმაც შეიძლება წარმოქმნას ახალი სტრუქტურირებული მონაცემთა ერთობლიობა, გროვდება და ხელმისაწვდომი ხდება, შესაბამისად მონაცემთა დამუშავების ეფექტური მეთოდი, ob., Pfandzelter T., Bermbach D., *IoT Data Processing in the Fog: Functions, Streams, or Batch Processing?*, In: 019 IEEE International Conference on Fog Computing (ICFC), 2019, 203.

¹⁶² Jabeen H., *Big Data Outlook, Tools, and Architectures*, Chapter 3, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 43.

¹⁶³ Kolajo T., Daramola O., Adebisi A., *Big Data Stream Analysis: A Systematic Literature Review*, *Journal of Big Data*, Vol. 6, No. 46, 2019, 3.

¹⁶⁴ Jabeen H., *Big Data Outlook, Tools, and Architectures*, Chapter 3, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 43.

¹⁶⁵ Stedman C., What is Data Architecture? A Data Management Blueprint, ob., <<https://bit.ly/3R2uktz>> [28.11.2023]

ხარისხს, ხელს უწყობს მონაცემთა მართვასა და უსაფრთხოებას, მონაცემთა ინტეგრირებას სხვადასხვა წყაროებიდან, დიდი მონაცემთა სასიცოცხლო ციკლის მართვით კი განასხვავებს სასარგებლო მონაცემებს მოძველებული მონაცემებისგან.¹⁶⁶ ამდენად, დიდი მონაცემების შესაფერისი არქიტექტურა ფუნდამენტურ როლს შეასრულებს დიდი მონაცემების დამუშავების საჭიროებაში¹⁶⁷ და კარგ არქიტექტურას შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციას ხარჯების შემცირებაში, დაეხმაროს გადაწყვეტილების სწრაფად და უკეთესად მიღებაში, გააკეთოს სამომავლო საჭიროების პროგნოზი ან შესთავაზოს ახალი გადაწყვეტილება.¹⁶⁸

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობა განმარტავს ღრუბლოვანი მომსახურებას და მისი გამოყენებისას ფინანსურ ორგანიზაციას აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენოს როგორც შიდა ასევე გარე ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურა. ეს იძლევა წვდომას კონფიდურირებადი საინფორმაციო სისტემებისა და დაკავშირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსებზე, როგორებიცაა ქსელები, სერვერები, მონაცემთა სანახები, აპლიკაციები და სერვისები.¹⁶⁹ ღრუბლოვანი მომსახურება მრავალგვარია და მოიცავს პლატფორმულ მომსახურებას, პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას და ინფრასტრუქტურას, როგორც მომსახურებას. პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების დროს მომხმარებელი იყენებს მომსახურების მომწოდებლის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც დანერგილია ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაში. ინფრასტრუქტურით მომსახურებისას მიმწოდებელი მომხმარებლებს უზრუნველყოფს მონაცემთა სანახებით, ქსელითა და სხვა ფუნდამენტური გამოთვლითი და დამუშავების რესურსებით, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს განავითაროს და გამართოს სასურველი პროგრამული უზრუნველყოფა, რაც შესაძლოა მოიცავდეს საოპერაციო სისტემებსა და აპლიკაციებს. ღრუბლოვანი მომსახურების მოდელის გამოყენებისას მომხმარებელი არ მართავს ან არ აკონტროლებს ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურას, როგორებიცაა ქსელები, სერვერები, საოპერაციო სისტემები, საცავები, კონკრეტული აპლიკაციის შესაძლებლობებს. თუმცადა, კონტროლის დონე განსხვავდება ღრუბლოვანი მომსახურების მოდელის მიხედვით. კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისას მომხმარებელი აკონტროლებს აპლიკაციის კონფიგურაციის პარამეტრებს, პლატფორმული მომსახურების შექმნისას – აკონტროლებს შემუშავებულ აპლიკაციებს, ხოლო ინფრასტრუქტურის მომსახურების შექმნისას – აკონტროლებს საოპერაციო სისტემებს, მონაცემთა სანახებს, აპლიკაციებს და ასევე, შესაძლოა გააჩნდეს შეზღუდული კონტროლი ქსელური კომპონენტების შერჩევაზე.¹⁷⁰

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა კომპლექსური ეკოსისტემა არის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და გამოყენების სხვადასხვა სისტემების ერთობლიობაა,

¹⁶⁶ What is a data architecture?, IBM, იხ., <<https://bit.ly/46SaxCO>> [07.12.2023]

¹⁶⁷ Jha S., A Big Data Architecture for Integration of Legacy Systems and Data, CQUniversity, Thesis, 2021, 54.

¹⁶⁸ Jabeen H., Big Data Outlook, Tools, and Architectures, Chapter 3, In: Knowledge Graphs and Big Data Processing, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 43.

¹⁶⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 01 აგვისტოს №195/04 ბრძანება, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

¹⁷⁰ იქვე, მე-2 მუხლის „ვ“, „ზ“ და „თ“ პუნქტები.

მაშინ როდესაც, მონაცემთა არქიტექტურა მონაცემთა ეკოსისტემის ნაწილია და განსაზღვრავს, როგორ უნდა დამუშავდეს, ინახებოდეს, ინტეგრირდებოდეს და გამოიყენებოდეს მონაცემები ორგანიზაციაში ორგანიზაციის საწარმოო მიზნებისთვის. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ ეხება მონაცემთა კომპლექსურ ეკოსისტემასა და არქიტექტურას იმ კუთხით, როდესაც ხორციელდება პლატფორმული, პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის მომსახურებები. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება ღრუბლოვანი მომსახურების მოდელს, რომელიც მოიცავს მონაცემთა სანახებით, ქსელით და გამოთვლითი თუ დამუშავების რესურსებით მომხმარებლის უზრუნველყოფას, თუმცა ყოველივე ეს რესურსი ღრუბლოვანი მომსახურების გამწვევის ინფრასტრუქტურაშია ჩანერგილი. შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მონაცემთა კომპლექსურ ეკოსისტემასა და მონაცემთა არქიტექტურას ღრუბლოვანი მომსახურების ჭრილში, მაგრამ სამართლებრივი მოწესრიგება ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც მონაცემთა კომპლექსური ეკოსისტემა და არქიტექტურა არის თვითონ მომსახურება და პროდუქტი.

1.3.2. ციფრული ბაზრის აგენტების მიერ მოპოვებული მონაცემები

1.3.2.1. მანქანური მონაცემები – მზა ჩანაწერები და ნივთების ინტერნეტი

სოციალური მონაცემები, მანქანური მონაცემები და კომერციული/ტრანზაქციული მონაცემები – დიდი მონაცემების სამი მთავარი წყაროა.¹⁷¹ სოციალური მონაცემები, რომლის მთავარი წყარო მედიაა, მნიშვნელოვნად გამოიყენება მარკეტინგული ანალიზისთვის, რადგან ამით ხდება მომხმარებლის ქცევისა და განცდებზე დაკვირვება. მანქანური მონაცემები მოპოვებულია მოწყობილობებიდან, მანქანებში ჩაშენებული სენსორებიდან თუ ვებ-ჟურნალებიდან, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებს მომხმარებლის ქცევას.¹⁷² მანქანური მონაცემების ერთ-ერთ სახეა მზა ჩანაწერები (მზა ფაილები), რომლებიც მოკლე ტექსტური ფაილებია, ინახება იმ ვებსაიტების მიერ, მომხმარებელი რომ სტუმრობს საკუთარი კომპიუტერიდან,¹⁷³ იმასხოვრებს მომხმარებლის ქცევასა და აქტივობას ბრაუზერში და გამოიყენება მომხმარებელთა იდენტიფიცირებისთვის.¹⁷⁴ მზა ჩანაწერები პლატფორმის მიერ გამოიყენება მონაცემების შესანახად და შესაგროვებლად.¹⁷⁵ ხოლო მზა ჩანაწერების გამოყენების მიზნობრიობა მრავალგვარია: ავთენტიფიკაცია, დაცულობა, გვერდისა და პროდუქტის სანდოობა, რეკომენდაციები, შეფასება და რეაგირება, გვერდის ფუნქციები და მომსახურება, პერფორმანსი, მარკეტინგი, ანალიტიკა და კვლევა.¹⁷⁶ ციფრული ხელშეკრულების გაფორმების პლატფორმა, Signify იყენებს მზა ჩანაწერებს, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის: ადგილმდებარეობის, სარეგისტრაციო, სარეკლამო, მესამე პირის; ყურადსაღებია, რომ პლატფორმის მიერ ჩამოთვლილი მზა ჩანაწერების ტიპები ამომწურავად არ არის დასახელებული და

¹⁷¹ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12 No.12 (2021), 4237.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ Kaushik G., Prakash R., Collection of Data Through Cookies and Smart Devices – A Case Study, International Journal of Advance Research, Ideas and Innovations in Technology, Vol. 4, No. 5, 2018, 459.

¹⁷⁴ Seng D., Big Data and Copyright Law, In: Research Handbook on Big Data Law, Edited by R. Vogl, Edward Elgar Publishing, 2021, 93.

¹⁷⁵ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 5.1., <https://bit.ly/3YmYuMh> [08.04.2025]

¹⁷⁶ იქვე, მუხლი 5.9.

პლატფორმა შეუძლება აგროვებდეს სხვა ტიპის მზა ჩანაწერებს.¹⁷⁷ უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მზა ჩანაწერები არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს კომპიუტერის მყარი დისკისთვის,¹⁷⁸ თუმცა გასათვალისწინებელია მზა ჩანაწერების მიწოდება ვებსაიტის მიერ მესამე მხარისადმი, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა მომხმარებლის ონლაინ აქტივობას ადევნოს თვალი.¹⁷⁹ მაგალითად, Signify განმარტავს, რომ მის მიერ შეგროვებული მესამე პირის მზა ჩანაწერებში იგულისხმება ისეთი მესამე პირები, რომლებიც ახორციელებენ ანალიტიკას (მაგალითად, Google analytics), ასეთი მზა ჩანაწერები განსაზღვრავს რა სიხშირით სტუმრობს მომხმარებელი ვებ-გვერდს, თითოეული სესიის ხანგრძლივობას; სარეგისტრაციო ანდა ანგარიშის მზა ჩანაწერები იძლევა ინფორმაციას, თუ რომელმა მომხმარებელმა გაიარა რეგისტრაცია ანგარიშით ანდა სარგებლობს ანგარიშით, რა ხანგრძლივობით იყენებს ანგარიშს ანდა რა მომსახურებებით სარგებლობს; ადგილმდებარეობის მზა ჩანაწერები ადგენს მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის გამოყენების ადგილმდებარეობას.¹⁸⁰

მანქანური მონაცემები მოიპოვება ნივთების ინტერნეტის (internet of things) საშუალებით, რომელიც უფრო პოპულარული ხდება და ვრცელდება მსოფლიოში, ამიტომ მსგავსი მონაცემები მზარდია.¹⁸¹ ნივთების ინტერნეტი გლობალური ქსელის ინფრასტრუქტურაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირსა და ვირტუალურ საგნებს, ნივთებსა და მოწყობილობებს მონაცემთა შეგროვების (ზონდირების) გამოყენებით.¹⁸² ნივთების ინტერნეტის სენსორული მოწყობილობები აღჭურვილია ფუნქციით შეაგროვოს რეალურ-დროში არსებული მონაცემები და გადასცეს შემნახველ ღრუბელს პლატფორმის საშუალებით.¹⁸³ ნივთების ინტერნეტის მონაცემები არის მანქანების მიერ გენერირებული მონაცემები, რომლებიც გამოიყენება რეალურ სამყაროში მოვლენებისა და ვითარებების ჩასაწერად და გასაზომად.¹⁸⁴ ნივთების ინტერნეტის მოწყობილობები უერთდება ინტერნეტს ყოველდღიურად და დიდი მონაცემების მოპოვებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემწყობია.¹⁸⁵ თუ ინტერნეტთან კავშირის მქონე ელექტრონული ხელსაწყოები, როგორებიცაა ჰკვიანი ტელეფონები, ანდა პლანშეტები, მონაცემებს აწვდიან პლატფორმებს, მაშინ როდესაც მომხმარებლები შედიან საიტებზე, ნივთების ინტერნეტის შემთხვევაში მონაცემთა მიწოდება ხორციელდება განუწყვეტლივ.¹⁸⁶ შესაბამისად, ნივთების ინტერნეტს შეუძლია მოიპოვოს დიდი

¹⁷⁷ იქვე, მუხლი 5.3.

¹⁷⁸ Kaushik G., Prakash R., Collection of Data Through Cookies and Smart Devices – A Case Study, *International Journal of Advance Research, Ideas and Innovations in Technology*, Vol. 4, No. 5, 2018, 459.

¹⁷⁹ Mayer J., Mitchell J., Third-Party Web Tracking: Policy and Technology, In: 2012 IEEE Symposium on Security and Privacy, San Francisco, 2012, 413.

¹⁸⁰ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლები 5.4–5.6., იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

¹⁸¹ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., *Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review*, *Turkish Journal of Computer and Mathematics Education*, Vol.12 No.12 (2021), 4237.

¹⁸² Tyagi A.K., Nair M.M., Internet of Everything (IoE) and Internet of Things (IoTs): Threat Analyses, Possible Opportunities for Future, *Journal of Information Assurance and Security*, Vol. 15, 2020, 154.

¹⁸³ Tyagi A.K., Abraham A., Hussain F.K., Habil Arturas Kaklauskas H.A., Jagadeesh Kannan R.J., Introduction to Machine Learning, Blockchain Technologies, and Big Data Analytics for IoTs: Concepts, Open Issues, and Critical Challenges, In: *Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs*, Edited by A.K., Tyagi et al., London, 2022, 44.

¹⁸⁴ Baldassarre M., *Think Big: Learning Contexts, Algorithms and Data Science*, REM - Research on Education and Media, Vol. 8, No. 2 2016, 71.

¹⁸⁵ Amalina F., Hashem I. A. T., Azizul Z. H., Fong A., T., Firdaus A., Imran M., Anur N., B., *Blending Big Data Analytics: Review on Challenges and a Recent Study*, *IEEE Access*, Vol. 8, 2019, 3631.

¹⁸⁶ Mucelin G., Internet of Things and Consumers' Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources, In: *Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech*, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 289.

მონაცემები, ვიდრე ინტერნეტთან შეერთებული აპლიკაცია ჩართულია.¹⁸⁷ ნივთების ინტერნეტის მოწყობილობებით მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება იყოს პირადი, საჯარო ან ჰიბრიდული.¹⁸⁸ ნივთების ინტერნეტი გამოიყენება ინდუსტრიულ სექტორში, რადგან ის ერთმანეთთან აკავშირებს მანქანებს ისე, რომ ადამიანის ჩართულობა მინიმალურია, რათა მანქანებმა შეასრულონ ის ფუნქცია, რისთვისაც არიან დაპროგრამებულნი.¹⁸⁹ კომპანიები, რომლებიც ავითარებენ ჭკვიან პროდუქტებს, მონაცემებს გამოიყენებენ პერსონალიზებული პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებისთვის, პროდუქტისა და მომსახურების გამოყენების ანალიზისთვის, პროდუქციისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად, და ინფორმაციას უზიარებენ მიწოდების ჯაჭვში შემავალთ.¹⁹⁰ ნივთების ინტერნეტის მეშვეობით შეგროვებული პერსონალური მონაცემები კი „ითარგმნება“ პიროვნების პერსონალურ ჩვევებში.¹⁹¹ ამიტომაც, ნივთების ინტერნეტის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებს კომერციული ღირებულება აქვს, შეგროვებული მონაცემები შეიძლება გაიცვალოს დაინტერესებულ პირებს შორის და იყოს მარტივად ხელმისაწვდომი.¹⁹²

1.3.2.2 ციფრული ბაზრის აგენტების მიერ მონაცემთა სტრუქტურირება და მათზე ზედამხედველობა

ბიზნესის გაციფრულება და პლატფორმიზაცია მოითხოვს ძლიერ და განვითარებულ ტექნიკას, რომელსაც შეეძლება ალგორითმის მუშაობის უზრუნველყოფა,¹⁹³ ამისთვის საჭიროა ტექნოლოგიური არქიტექტურისა და ციფრული ინჟინერიის ინტეგრირება.¹⁹⁴ კომპანიები შიდა რესურსებით მოპოვებულ მონაცემებს ინახავენ მონაცემთა შემნახველ საცავებში როგორც წარმოების პროცესის, გაყიდვების, მომხმარებლებთან ურთიერთობის ნაწილი, ხოლო დიდი მონაცემები კი გროვდება როგორც შიდა, ასევე გარე წყაროების გამოყენებით.¹⁹⁵ მონაცემთა შენახვა სტრუქტურებში (ე.წ. შემნახველ სტრუქტურები), როგორებიცაა მონაცემთა სივრცეები, მონაცემთა საცავი, მონაცემთა ცენტრებში სტრუქტურებში შემნახველი სფეროები და სხვა, ძვირია და ინახება მოკლე დროის განმავლობაში.¹⁹⁶ თავის მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტებს დიდი რაოდენობის ინფორმაცია აქვთ მომხმარებლებზე, ხოლო მომხმარებელთა ფინანსების მართვა კი მათ აძლევს შესაძლებლობას დაინახონ დეტალური სურათი, თუ როგორ ცხოვრობენ მისი

¹⁸⁷ Mazumdar S., Seybold D., Kritikos K., Verginadis Y., A Survey on Data Storage and Placement Methodologies for Cloud-Big Data Ecosystem, Journal of Big Data, Vol. 6, No. 15, 2019, 1.

¹⁸⁸ Tyagi A.K., Abraham A., Hussain F.K., Habil Arturas Kaklauskas H.A., Jagadeesh Kannan R.J., Introduction to Machine Learning, Blockchain Technologies, and Big Data Analytics for IoTs: Concepts, Open Issues, and Critical Challenges, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs, Edited by A.K., Tyagi et al., London, 2022, 43-44.

¹⁸⁹ Mucelin G., Internet of Things and Consumers' Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 289.

¹⁹⁰ იქვე, 290.

¹⁹¹ იქვე, 291.

¹⁹² Storr C., Storr P., Internet of Things: Right to Data from a European Perspective, New Technology, Big Data and the Law, Edited by Corrales M., M. Fenwick, Forgó N., Springer, Singapore, 80.

¹⁹³ Dhar V., Sundararajan A., Information Technologies in Business: A Blueprint for Education and Research, Information Systems Research, Vol. 18, No. 2, 2007, 130.

¹⁹⁴ Dhar V., Stein R.M., FinTeck Platforms and Strategy, Communications of the ACM, Vol. 60, No. 10, 2017, 33.

¹⁹⁵ Richards N. M., King J. H., Big Data Ethics, Wake Forest Law Review, Vol. 49, 2014, 403.

¹⁹⁶ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12, 2021, 4237-4238.

მომხმარებლები – როდის იღებენ შვებულებას, როდის ქორწინდებიან, როდის გრძნობენ თავს ცუდად, სად იხარჯება ჭარბი შემოსავალი – ეს მონაცემები გამოიყენება მომხმარებელთათვის სასარგებლო პროდუქტისა და მომსახურების განსაზღვრისთვის.¹⁹⁷ ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც დამოკიდებულია დიდი მონაცემების გამოყენებაზე, უფრო დიდი მოგებას იღებენ, ვიდრე ტრადიციული კომპანიები. მრავალი კომპანია მონაცემთა მონეტიზაციას ეწევა, რათა შეძლონ მათი, როგორც მომსახურების გაყიდვა.¹⁹⁸ ტექნოლოგიური განვითარება ტრადიციულ ტექნოლოგიებში დიდი მონაცემების ინტეგრირებისკენ უბიძგებს კომპანიებს, რომლებიც ტრადიციული ტექნოლოგიების მომხმარებლები არიან.¹⁹⁹ დიდი მონაცემების არქიტექტურის ინტეგრირება შესაძლებელია ტრადიციულ სისტემებში და ამით კომპანიის ბიზნესმიზნების უზრუნველყოფა, რაც დიდი მონაცემების დახმარებით საკითხის გადაწყვეტას გულისხმობს.²⁰⁰ შესაბამისად, თანამედროვე ეკონომიკები უფროდაუფრო მიისწრაფვიან მაღალგანვითარებული ფინანსური ტექნოლოგიებისადმი, ფინტექებისკენ, რაც განპირობებულია მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით.²⁰¹

ტერმინი ფინტექი ინტერდისციპლინურია, რომელიც ფინანსებს, ტექნოლოგიების მართვას და ინოვაციას გულისხმობს, იგი აღწერს ინტერნეტთან დაკავშირებულ ტექნოლოგიის ურთიერთკავშირს ფინანსური მომსახურების კომერციული მომსახურებების აქტივობასთან, როგორცაა ინტერნეტ ბანკინგი და სესხების გაცემა.²⁰² ციფრულ ბაზარზე ფინანსური ინსტიტუტები ქმნიან ფინტექებს, რომლებიც ფინანსური სექტორის სიახლეა, იგი მოიცავს ტექნოლოგიაზე დამყარებულ ბიზნესმოდელებს, რომელიც არ საჭიროებს შუამავალს საწარმოო ურთიერთობაში, ცვლის არსებული ფორმების მიერ პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების მეთოდებს, უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს,²⁰³ არღვევს არსებულ ინდუსტრიულ სტრუქტურას და აფერმკრთალებს საზღვრებს.²⁰⁴

ფინტექის ბიზნესმოდელი მრავალგვარია და გულისხმობს ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიების ოპერირებას ფინანსური მომსახურების სპეციფიკურ სფეროებში, აღსანიშნავია, რომ ფინტექის კომპანიებში მილიარდების ინვესტიციაა განხორციელებული, რომელიც მოიცავს ექვს ბიზნესმოდელს: გადახდები, სიმდიდრის მართვა, ხალხისმიერი ფინანსირება (crowdfunding), სესხების გაცემა, კაპიტალის ბაზრები და დაზღვევის მომსახურება. საგადახდო ბიზნესმოდელი კონცენტრირებულია მომხმარებლისა და საბითუმო ვაჭრობის გადახდებზე, ფინტექი კომპანიები (როგორებიცაა გუგლ-საფულე, ეფლფეი, ფეიფალი) ამარტივებს გარიგებებს (ტრანზაქციებს) მობილური

¹⁹⁷ Marr B., *Big Data in Practice: How 45 Successful Companies Used Big Data Analytics to Deliver Extraordinary Results*, Chichester, West Sussex, 2016, 84.

¹⁹⁸ Faroukhi A.Z., El Alaoui I., Gahi Y., Amine A., *Big Data Monetization Throughout Big Data Value Chain: A Comprehensive Review*, *Journal of Big Data*, Vol. 7, No. 3, 2020, 3.

¹⁹⁹ Jha S., Jha M., O'Brien L., Wells M., *Integrating Legacy System into Big Data Solutions: Time to Make the Change*, *Asia-Pacific World Congress on Computer Science and Engineering*, Nadi, Fiji, 2014, 9, *ib.*, <doi: 10.1109/APWCCSE.2014.7053872.>

²⁰⁰ Jha S., *A Big Data Architecture for Integration of Legacy Systems and Data*, CQUniversity, Thesis, 2021, *ib.*, <<https://doi.org/10.25946/16735342.v1..>> [04.04.2025]

²⁰¹ Rahmani, A. M., Rezazadeh, B., Haghparast, M., Chang, W.-C., & Ting, S. G. *Applications of Artificial Intelligence in the Economy, Including Applications in Stock Trading, Market Analysis, and Risk Management*. *IEEE Access*, Vol. 11, 2023, 80770, *ib.*, <doi: 10.1109/ACCESS.2023.3300036.>

²⁰² Giglio F., *Fintech: A Literature Review*, *European Research Studies Journal*, Vol. 24, No. 2B, 2021, 611.

²⁰³ Dhar V., Stein R.M., *FinTech Platforms and Strategy*, *Communications of the ACM*, Vol. 60, No. 10, 2017, 33.

²⁰⁴ FinTech, *ib.*, <<http://bit.ly/2dZnJxN>> [28.11.2023]

ტელეფონის საფულეების მეშვეობით, მათ შორის პირისპირად (P2P) გადახდებს. სიმდიდრის მართვის მოდელი ავტომატიზირებული რობო-მრჩეველია, რომელიც გასცემს რჩევებს კლიენტის ინტერესებზე მორგებული საინვესტიციო სტრატეგიების შესახებ დაბალ ფასად და გამჭვირვალე საინვესტიციო ვარიანტებით. ხალხისმიერი ფინანსირების ბიზნესმოდელი არის პლატფორმები, რომლებიც აკავშირებს კონტრიბუტორს პროექტთან, მხარს უჭერს შეწირულობებზე (donation) და ხალხისმიერ საზიარო ფინანსირებაზე დაფუძნებულ მექანიზმებს ბიზნესწამოწყებათა თუ ქველმოქმედებებისთვის. სესხების გაცემის ბიზნესმოდელი გულისხმობს პირისპირად სესხებს ფირმებისთვის, რომლებიც აკავშირებს გამსესხებელსა და მსესხებელს დაბალ პროცენტად და ტრადიციული კაპიტალის მოთხოვნების გარეშე. კაპიტალის ბაზრის ბიზნესმოდელი არის ფინტექები რომლებიც ინოვაციური ვაჭრობასა და უცხოური ვალუტის გაცვლის პროცეს უზრუნველყოფს დაბა ფასად და SMEs და ფიზიკური პირების წვდომას ამარტივებს. დაზღვევის მომსახურების ბიზნესმოდელი გულისხმობს მონაცემთა ანალიტიკის გამოყენებას, კომპანიები უზრუნველყოფენ რისკის მართვას და აძლიერებს მომხმარებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის ურთიერთობას.²⁰⁵ ფინტექებს აქვს შესაძლებლობა გამოიყენონ მოცულობითი მონაცემთა ბაზები სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი წყაროებიდან.²⁰⁶ ფინტექები ცვლის მონაცემთა შეგროვების, შენახვის, ანალიზისა და გამოყენების სახეს, რა დროსაც გამოიყენება ღრუბლოვანი მომსახურება, დიდი მონაცემების ანალიტიკა, ციფრული იდენტიფიკატორი, მობილური აპლიკაციები,²⁰⁷ ამიტომ კომპანიები ფინანსურ ტექნოლოგიებში მილიარდობით დოლარის ინვესტიციებს ახორციელებენ და ფინანსური ინსტიტუტები კომპანიების შიგნით მონაცემთა მეცნიერების (Data Science) ჰაბის დაფუძნებით ცდილობენ განავითარონ საკუთარი ინტელექტუალური რესურსი.²⁰⁸ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ მონაცემებს განიხილავს მხოლოდ პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით და არ ახორციელებს ფინტექების მოწესრიგებასა და ზედამხედველობას დამოუკიდებელი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში და განმარტავს, რომ საქართველოს კანონი არ აწესრიგებს ციფრული პლატფორმების რეგულირების საკითხს.²⁰⁹ მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა ეხება ციფრული პლატფორმების მოწესრიგებას ორი ასპექტით, როდესაც მომსახურების გაწევა ხორციელდება დისტანციურად, სასყიდლითა და ელექტრონული საშუალებებით და როდესაც ფინანსური ორგანიზაციები ემსახურებიან ღრუბლოვან მომსახურების ერთ-ერთ მოდელს, პლატფორმულ მომსახურებას. მეტიც, ეროვნული ბანკი გეგმავს, რომ დიდი მონაცემები გამოიყენოს საზედამხედველო პროცესში, გეგმავს აქტიურად დანერგოს ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის მოდელები და შეიმუშაოს მათი გამოყენების ეთიკური სტანდარტები.²¹⁰ თუმცა, საქართველოს ეროვნული ბანკის

²⁰⁵ Giglio F., Fintech: A Literature Review, European Research Studies Journal, Vol. 24, No. 2B, 2021, 623-626.

²⁰⁶ Ferretti F., Consumer Access to Capital in the Age of FinTech and Big Data: The Limits of EU Law, Maastricht Journal of European and Comparative Law, Vol. 25, No. 4, 2018, 477.

²⁰⁷ *ib.* Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Central Bank, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Fintech Action Plan: for a More Competitive and Innovative European Financial Sector COM/2018/0109 Final, *ib.*, <<https://bit.ly/3BYdEjg>> [04.01.2025]

²⁰⁸ Gunn G.G, Stanley M., Harnessing the Flow of Data: Fintech Opportunities for Ecosystem Management, International Institute for Sustainable Development (IISD), 2018, 3.

²⁰⁹ საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 20 დეკემბრის N 2-14/4682 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან), პუნქტი 2 და 6.

²¹⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პოლიტიკა 2023-2025, 26, *ib.*, <<https://shorturl.at/eOQS7>> [20.12.2023]

განმარტებით, ფინანსური პლატფორმების მიერ გამოყენებული დიდი მონაცემების საზედამხედველო პოლიტიკა მათ უფლებამოსილებაში არ შედის და დიდ მონაცემებს განიხილავს მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში.²¹¹

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური არქიტექტურისა და ციფრული ინჟინერიის ინტეგრირება აუცილებელია ბიზნესისთვის, რათა მოხდეს ციფრულ ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ბიზნესმოდელების შემუშავება და ოპერირება. შესაბამისად, ციფრულ ბაზარზე ფინანსური ინსტიტუტები ქმნიან ფინტექს, რომლებიც არ საჭიროებს შუამავალს საწარმოო ურთიერთობაში, არღვევს არსებულ ინდუსტრიულ სტრუქტურას და აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მოცულობითი მონაცემთა ბაზები სხვადასხვა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი წყაროებიდან. ხოლო საქართველოს კანონმდებლობა ეხება მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების მიერ ღრუბლოვანი მომსახურების მოდელის, პლატფორმული მომსახურების მიღებისას რისკების საკითხს და არ აწესრიგებს მოცულობითი მონაცემების დაცვის საშუალებებს. მეტიც ქართული კანონმდებლობის მიხედვით არ არის განმარტებული ძირითადი პლატფორმული მომსახურება და დაშვების გუშაგი, რაც ართულებს ფინტექების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას.

1.3.2.2. დიდი მონაცემები და პროფაილინგი

დიდი მონაცემების შეგროვების პროცესში მასიურად შეგროვებული პერსონალური მონაცემი, შესაძლებელია ბიზნესმა გამოიყენოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის შესწავლისთვის და მომსახურებისა თუ პროდუქტის გაუმჯობესებისთვის, ამ პროცესში შეიძლება დაირღვეს ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორებიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მომხმარებლის არჩევანის და თანასწორობის უფლება.²¹² აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სწრაფად განვითარებადი სექტორების ახლადამოცნებული ბიზნესმოდელები დამოკიდებულია მომხმარებელთა და მათი ქცევების შესახებ მონაცემთა დიდი მოცულობით შეგროვების შესაძლებლობასა და ამავე მონაცემების მონეტიზაციაზე. ამ მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი კი პერსონალური მონაცემებია.²¹³ თავის მხრივ მონაცემთა სუბიექტისთვის არ არის ცნობილი, რა სახის ინფორმაცია გროვდება მასზე და რა სახით ხდება მისი გამოყენება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ. აღნიშნული პრობლემა აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც შეგროვებულ დიდ მონაცემთა შორის ხდება პერსონალური მონაცემები. მონაცემთა სუბიექტი მოკლებულია არჩევანის თავისუფლებას, აკონტროლოს მასზე არსებული ინფორმაცია,²¹⁴ – დგება მისი პროფილი, რომელიც პროგნოზირებს მის სურვილებს, ადგენს მის პრეფერენციებს/ინტერესებს (მისწრაფებებს), შეისწავლის მონაცემებს და ამით იქმნება ისეთი ახალი პერსონალური მონაცემი, რომელსაც პირის პირადი ინტერესები,

²¹¹ საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 20 დეკემბრის N 2-14/4682 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან), პუნქტი 2.

²¹² Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016, 4.

²¹³ Opinion of European Data Protection Supervisor on the Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on the Protection of Undisclosed Know-How and Business Information (Trade Secrets) Against Their Unlawful Acquisition, Use and Disclosure, 2014, Par. 13.

²¹⁴ იხ., ლოითჰოისერ-შნარენბერგერი ს., შიში ჭამს თავისუფლებას: რატომ უნდა დავიცვათ ჩვენი ძირითადი უფლებანი, თბილისი, 2020, 116-131.

მისწრაფებების იდენტიფიცირება შეუძლია. შესაბამისად, დიდ მონაცემებთან კავშირშია დიდი პერსონალური მონაცემები, რომელსაც დიდი კომერციული ღირებულება აქვს,²¹⁵ კერძოდ, ინფორმაცია პირზე, ანდა ჯგუფზე, და აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან და მუშავდება იმავე ანალიტიკური საშუალებებით, რომლებსაც დიდი მონაცემების დამუშავების შემთხვევაში იყენებენ.²¹⁶ მეტიც, დიდი მონაცემების გარემოში მომხმარებელთა პროფაილინგი და დაჯგუფება ეფექტურია.²¹⁷

პროფაილინგი ხორციელდება ღრუბლოვანი გამოთვლით სივრცეში და პერსონალური მონაცემები მუშავდება მომხმარებელთა გარკვეული ასპექტის შესაფასებლად.²¹⁸ პროფაილინგი პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმაა, რომელსაც აღიარებს როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს კანონმდებლობა. პროფაილინგის დროს პერსონალური მონაცემები გამოიყენება ფიზიკური პირის განსაზღვრული პიროვნული მახასიათებლის შეფასებისთვის, კერძოდ, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს (პრეფერენციებს), სანდობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას.²¹⁹ პროფაილინგი გავრცელებულია ბევრ სფეროში: ონლაინ რეკლამის დაგეგმვაში, კრიმინალურ მართლმსაჯულებაში, ეროვნულ უსაფრთხოებაში, მიწოდების ჯაჭვის მართვასა თუ ჯანმრთელობის დაცვაში. იმის მიუხედავად, რომ პერსონალური მონაცემების შინაარსი მოიცავს პროფაილინგს, GDPR-ში და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, მისი გარკვეული ასპექტები, ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას.²²⁰ როგორც კანონი განმარტავს, პროფაილინგი ხორციელდება ავტომატური დამუშავების შედეგად, რომელიც გულისხმობს მონაცემთა დამუშავებას მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით.²²¹ მეტიც, მონაცემის სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების სავარაუდო შედეგის თაობაზე.²²² საგულისხმოა, რომ პროფაილინგი შესაძლებელია როგორც ავტომატური, ასევე არაავტომატური დამუშავების გზით, ექსპერტს შეუძლია ხელით ააგოს მომხმარებლის პროფილი.²²³ უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის დასაცავად, პროფაილინგის განმარტების გაფართოება დიდი პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებისთვის არ არის საჭირო, რადგან დიდი მონაცემები ინფორმაციული

²¹⁵ Banterle F., *Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma*, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 7.

²¹⁶ Paterson M., McDonagh M., *Data Protection in an Era of Big Data: Challenges Posed by Big Personal Data*, Monash University Law Review, Vol. 44, No. 1, 2018, 3.

²¹⁷ Bottis M., Bouchagiar G., *Personal Data v. Big Data in the EU: Control Lost, Discrimination Found*, Open Journal of Philosophy, Vol. 8, No 3, 2018, 197.

²¹⁸ Jaksch C., *Digital Personal Assistant with AI and Data Protection GDPR & E-Privacy-Reg*, In: *Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech*, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 146.

²¹⁹ General Data Protection Regulation (EU) 2016/679, Art. 4(4), ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „წ“ პუნქტი.

²²⁰ იხ., *Data Is Power: Profiling and Automated Decision-Making in GDPR*, 2017, 16-17, იხ., <<https://bit.ly/3N89CHE>> [03.12.2023]

²²¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი.

²²² იქვე, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

²²³ Eke I., Norman A.A., Shuib L., Nweke H.F., *A Survey of User Profiling: State-of-the-Art, Challenges, and Solutions*, In: *IEEE Access*, vol. 7, 2019, 44911.

ტექნოლოგიების გზით გროვდება და მუშავდება და თავსდება პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტში.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, ციფრულ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პლატფორმულ ეკონომიკას, რომელიც ბაზრების ერთობლიობა, ბიზნესაქტივი და ელექტრონული საშუალებით ციფრული ეკონომიკური აქტივობის განხორციელების საშუალებაა. ციფრულ ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ბიზნესმოდელების შემუშავებისა და ოპერირებისთვის ბიზნესისთვის აუცილებელია ტექნოლოგიური არქიტექტურისა და ციფრული ინჟინერიის ინტეგრირება, ამიტომ ციფრულ ბაზარზე ფინანსური ინსტიტუტები ყიდულობენ ღრუბლოვან მომსახურებას, ქმნიან პლატფორმებს, რაც პლატფორმებს, ერთი მხრივ, დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის, ხოლო, მეორე მხრივ, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების ნაწილად აქცევს. საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება, როგორც პლატფორმული მომსახურება, ასევე ნებისმიერი ელექტრონული და სასყიდლიანი მომსახურება, მათ შორის ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი მომსახურება. ამიტომ, ფინტექები საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კრიტერიუმებში ორგვარად თავსდება, ერთი, როგორც დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა და, მეორე, როგორც ელექტრონული საშუალებებით საშუამავლო მომსახურების განხორციელების მეთოდი. ხოლო ფინტექები, როგორც კომპლექსური ეკოსისტემის ნაწილი მომხმარებლებისგან აგროვებს მონაცემებს, რომელიც გადასცემს მონაცემთა არქიტექტურას დასამუშავებლად, ხოლო დამუშავებისა და კონტექსტუალიზაციის შემდეგ მიღებულ ცოდნას ბიზნესი იყენებს საკუთარი ბიზნესის მოგების მაქსიმიზაციისთვის.

2. დიდი მონაცემები და არამატერიალური ქონებრივი უფლება ციფრულ ეკონომიკაში

2.1. დიდი მონაცემების ურთიერთმიმართება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან

2.1.1. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და ქონებრივი უფლება

ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც სამოქალაქო ბრუნდიდან არ არის ამოღებული, შესაძლებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი იყოს.²²⁴ „ქონება“ ძალიან ფართოდ განიშარტება, იგი საკუთრების ობიექტია, რომლის ფლობა შესაძლებელია კანონის ძალით²²⁵ და ეკონომიკური ინტერესების ფართო წრეს მოიცავს, მათ შორის, მოძრავ ან უძრავ ქონებას, ძვირფასეულობას, ქონებრივ ან არაქონებრივ კაპიტალს, პენსიას ან სოციალურ სარგებელს, სასამართლო ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მიღებულ უფლებებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, უკვე მოპოვებულ ლიცენზიას და სხვა.²²⁶ ქონება შეიძლება იყოს როგორც ნივთი – ფიზიკური, სხეულებრივი თვისების მქონე საგანი, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც, რომლის წყარო ინტელექტუალურია, რომლის სივრცობრივად, ფიზიკურად შემოზღუდვა შეუძლებელია; გარდა ამისა, არსებობს

²²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 1.

²²⁵ ტაკაშვილი ს., მესხი გ., კობალაძე თ., ლაკრებაია თ., ქათამაძე ნ., კობახიძე ო., ლიპარტია ნ., ხვედელიძე მ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2023, 41.

²²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის №ას-1867-2018 განჩინება, პარ. 23.

საგნები, რომელთაც ფიზიკურობის მიუხედავად არამატერიალური კომპონენტის აქვს და მატერიალური კომპონენტი მათი დახასიათებისთვის უმნიშვნელოა.²²⁷ თავის მხრივ, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის უფლებები და მოთხოვნები, რომელთა მიზანია, მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიანიჭოს სხვა პირისადმი მოთხოვნის უფლება,²²⁸ ეს მოთხოვნები და უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, რათა მის მიმღებს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს რაიმე სხვა პირებს.²²⁹ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორც უსხეულო საგანი სანივთო უფლების წყაროა, რომლის ფლობა, განკარგვა და სარგებლობა სხეულებრივი ნივთების მსგავსადაა შესაძლებელი,²³⁰ ასევე სამოქალაქო ბრუნვაუნარიანია, აქვს მატერიალური სარგებლიანობა და შეიძლება სხვა პირთათვის გადაეცემა.²³¹ საგულისხმოა, რომ არამატერიალური აქტივი განსაზღვრებადია, შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, აქტივებისგან შესაძლებელია მიღებულ იქნეს სარგებელი და აქვს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა, როგორცაა შემოსავლების გაზრდა ან ხარჯების შემცირება, იგი გამოიყენება პროდუქციის წარმოებისთვის და მომსახურების მიწოდებისთვის.²³² არამატერიალური აქტივებს პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის, ხოლო არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება ისეთი ფიზიკური სხეულის არმქონე ნივთები, როგორცაა საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩიზი, საბადოს დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვა ამგვარი არამატერიალური აქტივები.²³³ შესაბამისად, ქონება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის ფულადი ღირებულების მქონე მოძრავი ან უძრავი ნივთი, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, კერძოდ მოთხოვნა და უფლება, რომელთა ფლობა და განკარგვა არ არის კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.²³⁴

ამდენად, შეიძლება ითქვას რომ ქონების ცნებაში მოიაზრება ის, რის გამოხატვაც შეიძლება მატერიალური ღირებულებაში და აქვს სამოქალაქო ბრუნვისთვის საკმარისი თვისებები, აქვს ეკონომიკური ღირებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის მოაქვს ფულადი სიკეთე, არის სანივთო უფლების წყარო და შესაძლებელია მისი ფლობა, განკარგვა და სარგებლობა, ამიტომაც მისი დაცვა შესაძლებელია სხვათა ხელყოფისგან, რათა მისმა კანონიერმა მფლობელმა მიიღოს მატერიალური სარგებელი, ანდა სხვა პირის მიმართ წარმოეშვას მოთხოვნის უფლება.

²²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 2.

²²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი.

²²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 20.

²³⁰ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 46-47.

²³¹ ტაკაშვილი ს., მესხი გ., კობალაძე თ., ლაკრებაია თ., ქათამაძე ნ., კობახიძე ო., ლიპარტია ნ., ხვედელიძე მ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2023, 51.

²³² Xiong F., Xie M., Zhao L., Li C., Fan X., Recognition and Evaluation of Data as Intangible Assets, SAGE Open, Vol. 12, No. 2, 2022, 6.

²³³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

²³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 2-3.

2.1.2. დიდი მონაცემების პრაქტიკული საჭიროება და ეკონომიკური ღირებულება

მონაცემები და ინფორმაცია არის მოხმარების საგანი, ახალი პროდუქტი, რომელსაც წარმოუდგენელი ეკონომიკური ღირებულება აქვს.²³⁵ მონაცემები ეკონომიკური აქტივია, რომელიც ცვლის მომსახურების დარგს.²³⁶ ციფრულ ეკონომიკაში დიდი მონაცემები გამოიყენება ინოვაციების, განახლებული, გაუმჯობესებული, მიზნობრივი (მომხმარებლის მახასიათებლებზე გამიზნული, ტარგეტირებული) პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებისთვის.²³⁷ დიდ მონაცემებს შეუძლია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, სახელმწიფო სამსახურების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ბაზრის ეფექტიანობის გაზრდა.²³⁸ შესაბამისად, ციფრული სამყაროს განვითარებასთან ერთად დიდი მონაცემების გამოყენებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს.

მომხმარებელთა მონაცემები, ძველი ეკონომიკის დროსაც, კომპანიებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო იყო მომხმარებელთა მსყიდველობითი ინტერესების პროგნოზირების, მათი მხარჯველობითი შესაძლებლობის ანალიზისთვის, რადგან მარკეტინგი ეყრდნობა ბაზრის კვლევებს, რომლებიც მოიცავდა მონაცემთა სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.²³⁹ მონაცემთა ეკონომიკური მნიშვნელობა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, ელექტრონული ან მსგავსი ბიზნესისთვის, თუ ახალი ბიზნესმოდელებისთვის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა.²⁴⁰ ბიზნესის ყველა სექტორისთვის ციფრული ეკონომიკის ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა განავითარა მონაცემთა შეგროვების, დამუშავების და კომერციული მიზნებით გამოყენების შესაძლებლობა, ამიტომ კომპანიების მიერ საკუთარი პოზიციების გასაუმჯობესებლად დიდი ყურადღება ეთმობა მონაცემთა გამოყენების ეკონომიკურ უპირატესობას.²⁴¹ დიდი მონაცემები კომპანიებს აძლევს საშუალებას მომხმარებლების შესახებ იცოდნენ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა ოჯახის წევრების შემადგენლობა, კვებითი ჩვეულებები, შესყიდვების ისტორია, ონლაინ და ტრადიციულ მაღაზიებში ვიზიტის სიხშირე,²⁴² რასაც ფინანსურთან ერთად პრაქტიკული საჭიროებაც აქვს იმდენად, რამდენადაც მონაცემებზე დაფუძნებულ ცოდნას კომპანიები იყენებენ საკუთარი შეხედულებისამებრ და სარგებლისთვის.²⁴³

²³⁵ Mucelin G., Internet of Things and Consumers' Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 291.

²³⁶ Big Data, ob., <<https://bit.ly/3WJIWQQ>> [25.12.2022]

²³⁷ Antitrust and (Big) Data, Practical Law Practice Note w-020-5246, ob., <<http://westlaw.com>> [22.07.2021]

²³⁸ Deconstructing the Antitrust Implications of Big Data, Keynote Remarks of FTC Chairwoman Edith Ramirez, 43rd Annual Conference on International Antitrust Law and Policy, Fordham Competition Law Institute ob., <<https://bit.ly/36Xpl6z>> [24.07.2021]

²³⁹ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 8-9.

²⁴⁰ Chrobak L., Proprietary Rights in Digital Data? Normative Perspectives and Principles of Civil Law, Personal Data in Competition, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards a Holistic Approach?, Edited by Bakhom M., Conde Gallego B., Mackenrodt M., Surblytė-Namavičienė G., Springer, 2018, 256.

²⁴¹ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 8-9.

²⁴² Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016, 5-6.

²⁴³ Hacker P., The Ambivalence of Algorithms: Gauging the Legitimacy of Personalized Law, Personal Data in Competition, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards a Holistic Approach? Edited by Bakhom M., Gallego B. C., Mackenrodt M., Surblytė-Namavičienė G., Berlin, 2018, 96-97.

დიდი მონაცემების პრაქტიკული გამოყენებისთვის ეწყობა დიდი მონაცემების გარემოს არქიტექტურა, რათა კომპანიამ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული დიდი მონაცემების დამუშავება შეძლოს სწრაფად, რეალურ დროში და ნაკლები დანახარჯებით.²⁴⁴ მონაცემების გარემოს არქიტექტურის შექმნა შესაძლებელია დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის შექმნით, ხოლო დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის შესაქმნელად ორი ძირითადი პლატფორმა გამოიყენება, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან მომხმარებელსა და ბაზარზე მოთამაშეს, ესენია: „ყურადღების“ პლატფორმა და „დამაკავშირებელი პლატფორმა“.²⁴⁵ თავის მხრივ დიდი მონაცემები კომპლექსური ეკოსისტემის დახმარებით გროვდება, გადაეცემა და გარდაიქმნება ფულად ღირებულებაში.²⁴⁶ როგორც უკვე აღინიშნა, დიდი მონაცემების ეკოსისტემის დახმარებით, დიდი მონაცემების სპეციფიკური არქიტექტურის შექმნით, რომელიც ბიზნესის საჭიროებებზეა მორგებული, მუშავდება ნედლი მონაცემები, რომელიც ქმნის ინფორმაციას, ხოლო ინფორმაციის კონტექსტუალიზაციით მიიღება ცოდნა. ცოდნა კი არის სტრატეგიული რესურსი, რომელიც ამარტივებს წარმოების პროცესს.²⁴⁷ ამიტომ, დიდი თუ პატარა მონაცემების მხოლოდ შეგროვება სრულიად უსარგებლოა, თუკი ისინი გარკვეულ კონტექსტს არ მიესადაგება, ხოლო ბიზნესმა უნდა განსაზღვროს, თუ რაში გამოიყენებენ ამა თუ იმ მონაცემს.²⁴⁸ ბიზნესის მონაცემების სწორი მიმართულებით განსაზღვრაში კი პროგრამული უზრუნველყოფა, დიდი მონაცემების არქიტექტურა ეხმარება.

ფინანსური ინსტიტუტები სთავაზობენ მომხმარებელს ციფრულ, ონლაინ მომსახურებას, მათ შორის ფინანსური გარიგებების მხრივაც იქნება ეს გადარიცხვები თუ პროდუქტის ყიდვა, მონაცემთა გამოყენება კი საშუალებას აძლევს მათ მომხმარებელთა ინფორმირებულობა აკონტროლონ და შესთავაზონ მათ მათზე მორგებული პროდუქტი, ასევე ციფრული ეკონომიკის გამოყენებით გამარტივდა პროფილური ინვესტიციების მართვა.²⁴⁹ აშკარაა, რომ მონაცემები მნიშვნელოვანია იმ მომსახურებებისთვის, რომელთათვისაც მონაცემები, მეტნაკლებად, თვითონ არის პროდუქტი ან მჭიდროდაა დაკავშირებული პროდუქტთან.²⁵⁰ მონაცემები შესაძლოა იყოს პირდაპირი ვაჭრობის

²⁴⁴ ჯაფარიძე ა., დიდი მონაცემები – ნაკადების დამუშავება რეალურ დროში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2019, 8.

²⁴⁵ ყურადღების პლატფორმა სოციალურ ქსელებია, რომლებიც მომხმარებლებს უფასო მომსახურებას უწევს, ხოლო მომხმარებელი იხდის საკუთარი ყურადღებით, მაგ: რეკლამებზე „დაწკაპუნებითა“ თუ სოციალურ ქსელებში საკუთარი მონაცემების განთავსებით. დამაკავშირებელი პლატფორმა უზრუნველყოფს ისეთი სივრცის შექმნას, სადაც ერთმანეთს უკავშირდებიან სხვადასხვა ჯგუფები: დამსაქმებელი და დასაქმებული, გამყიდველი და მყიდველი; დამაკავშირებელი პლატფორმა მომსახურების მისაღებად აწესებს ფიქსირებულ ღირებულებას. ამ დროს გროვდება მონაცემები, რომლებიც განათავსა სხვადასხვა ჯგუფმა, რათა ალგორითმმა გამოითვალოს და დააკავშიროს მომხმარებლები ჯგუფების მიხედვით. იხ., Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016, paras. 32-33.

²⁴⁶ Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016, paras. 30-31.

²⁴⁷ Faroukhi A.Z., El Alaoui I., Gahi Y., Amine A., Big Data Monetization Throughout Big Data Value Chain: A Comprehensive Review, Journal of Big Data, Vol. 7, No. 3, 2020, 4.

²⁴⁸ ჯაფარიძე ა., დიდი მონაცემები – ნაკადების დამუშავება რეალურ დროში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2019, 7.

²⁴⁹ Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, 2014, 72.

²⁵⁰ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 10.

საგანი²⁵¹ზევრი კომპანია იყენებს დიდ მონაცემებს ბიზნესოპერაციებისთვის, მათ შორის, ფინანსური დიდი მონაცემების ინტეგრირება ბიზნესპროცესებში.²⁵² მონაცემებთან წვდომა ფორმებსა თუ კომპანიებს საშუალებას აძლევს ეძიონ ახალი ბიზნესშესაძლებლობები. მონაცემთა მეორეული გამოყენებით, რომლებიც შეგროვებულ იქნა ერთი გარკვეული მომსახურებისთვის, კომპანიებს შეუძლიათ შექმნან ახალი მომსახურება იმავე მონაცემების გამოყენებით.²⁵³ მეტიც, ბიზნესისთვის ღირებულების შექმნა შეუძლია დიდი მონაცემების აპლიკაციებს, ეფუძნება რა თანამშრომლობით ეკოსისტემებს, რომლებიც ქმნის ქსელებს არსებულ მონაცემთა წყაროების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარის მონაცემთა ახალ წყაროებთან.²⁵⁴ ეს, თავის მხრივ, ქმნის ახალ ეკონომიკურ პერსპექტივასა და მონაცემებს ანიჭებს ღირებულებას, მათ შორის პერსონალური მონაცემებს, რომლებიც კომერციული დიდი მონაცემებია და მონაცემთა ბაზრის მოთამაშეები ყოდიან მარკეტინგული მიზნებისთვის.²⁵⁵ ბიზნესის ღირებულების შექმნა შესაძლებელია დიდი მონაცემების ტექნოლოგიებით, როგორცაა დიდი მონაცემების ეკოსისტემა, არსებული მონაცემები გამოყენებით, ანდა ახალი მონაცემთა წყაროების დამატებითი ინტეგრაციით, დამატებით ბიზნესის ღირებულება იზრდება დიდი მონაცემების ტექნოლოგიების დანერგვითა და მონაცემთა აქტივის მშენებლობით.²⁵⁶

2.1.3. საკუთრების უფლების მიმართება დიდ მონაცემებთან

აღიარებულია, რომ მონაცემები ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანი ელემენტია.²⁵⁷ დიდი მონაცემების ეკონომიკური ღირებულების გამო მნიშვნელოვანია, გაირკვეს ვის აქვს ამ მონაცემებზე საკუთარების უფლება.²⁵⁸ მონაცემთა ღირებულების შემქმნელთა ჯაჭვში მრავალი აქტორია ჩართული, მეტიც, ევროკავშირში მოქმედი სამართალი არ აწესრიგებს არც ზოგად მონაცემთა და არც მანქანის მიერ წარმოებულ მონაცემთა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუ ისინი არ არის პერსონალური მონაცემები.²⁵⁹ ზოგიერთი მეცნიერი კი მონაცემებს არ განიხილავს როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, თუმცა აღიარებენ, მონაცემებს აქვს ქონებისთვის დამახასიათებელი თვისებები და შეიცავს ღირებულებას, ამიტომ მას მოიაზრებენ, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროს ნაწილს, რა

²⁵¹ EDPS Opinion on Coherent Enforcement of Fundamental Rights in the Age of Big Data, European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 8/2016, 23 September 2016, 6.

²⁵² Li F., Wang L., Research on Fintech Based on Big Data Technology, International Journal of Economics and Management Systems, Vol. 7, 2022, 275, 278.

²⁵³ Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 10-11.

²⁵⁴ Zillner S., Business Models and Ecosystem for Big Data, In: The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem, Edited by E. Curry et al., Springer, 2021, 275.

²⁵⁵ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 4, ob., <<https://bit.ly/3u24DPd>> [03.04.2022]

²⁵⁶ Zillner S., Business Models and Ecosystem for Big Data, In: The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem, Edited by E. Curry et al., Springer, 2021, 271.

²⁵⁷ Schweitzer H., Metzger A., Blind K., Richter H., Niebel C., Gutmann F., Data Access and Sharing in Germany and in the EU: Towards a Coherent Legal Framework for the Emerging Data Economy, A Legal, Economic and Competition Policy Angle, Final Report, 2022, 44.

²⁵⁸ Hoeren T., Big Data and the Ownership in Data: Recent Developments in Europe, European Intellectual Property Review, No. 12, 2014, 753.

²⁵⁹ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 3.

დროსაც შესაძლებელია მონაცემთა გადაცემა, ლიცენზირება და გამოყენება.²⁶⁰ ზოგი მეცნიერი თვლის რომ მონაცემების ფლობის განხილვა საკუთარების უფლების ჭრილში ხელს არ შეუწყობს ევროკავშირის მიერ გაცხადებული ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგიას და არაპერსონალურ მონაცემთათვის საკუთარების უფლების მინიჭება გაზრდის გარიგებით (ტრანზაქციულ) დანახარჯებს, ამიტომაც შეაფერხებს მონაცემთა თავისუფალ მიმოცვლას.²⁶¹ თუმცა არიან მეცნიერებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მონაცემების მიმართ უნდა გავრცელდეს საკუთარების უფლება, კერძოდ, მონაცემთა კონფიდენციალურობის მიმართ უნდა ვრცელდებოდეს საკუთარების უფლება და საკუთარების უფლებას უნდა ფლობდეს ის მხარე, რომელიც პირველად აკონტროლებს მონაცემებს ტექნიკურად.²⁶² ასევე, საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ ყველა ორგანიზაციას მისი უნიკალური მონაცემთა ეკოსისტემა აქვს, ეს ეკოსისტემები შესაძლოა რაღაც შემთხვევებში ფარავდნენ ერთმანეთს (მაგალითად, მონაცემების მოპოვება საჯარო წყაროებიდან, ან მესამე მხარის მიერ გამოყენებული მონაცემების მიწოდება), თუმცა ორი ორგანიზაციის მიერ გამოყენებული მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა,²⁶³ რაც უფრო მეტად ართულებს საკუთარების უფლების დადგენას დიდ მონაცემებზე.

მართალია არ არსებობს კონკრეტული ჩარჩო, რომელიც აწესრიგებს მონაცემთა საკუთარების საკითხს, თუმცა მოპოვებული მონაცემების დაცვა წესრიგდება „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“, სავაჭრო საიდუმლოების ევროკავშირის დირექტივის, მონაცემთა ბაზების დირექტივის ან, ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში.²⁶⁴ სრული საკუთარების რეჟიმის მისადაგების გარეშე, ნედლი მონაცემები კონტროლდება ხელშეკრულებებითა და მათზე წვდომის მექანიზმების შეზღუდვებით, რომლებიც არ აღიარებს საკუთარებას კერძოსამართლებრივი გადმოსახედიდან.²⁶⁵ GDPR-ი პერსონალურ მონაცემებზე საკუთარების უფლების ორ განსხვავებულ სქემას სახავს: პირველი, ფიზიკურ პირს შეუძლია აკონტროლოს საკუთარი მონაცემები, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში, შესაბამისად, პერსონალურ მონაცემებს ნახევრად-საკუთარების უფლებას ამსგავსებს, რადგან საკუთარების უფლებისგან განსხვავებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ინდივიდს უფლებას ანიჭებს სხვებისგან დაიცვას საკუთარი პერსონალური მონაცემები, თუმცა მას არ აქვს უფლება გამოიყენოს ისინი პირადი შეხედულებისამებრ. მეორე, მონაცემთა დამმუშავებელს აქვს უფლება ლეგიტიმურად ფლობდეს პერსონალურ მონაცემებს და გამოიყენოს ისინი კომერციული მიზნებისთვის.²⁶⁶

²⁶⁰ Kop M., Machine Learning and EU Data-Sharing Practices: Legal Aspects of Machine Learning Training Datasets for AI Systems, In: Research Handbook on Big Data Law, Edited by R. Vogl, Edward Elgar Publishing, 2021, 432.

²⁶¹ Thouvenin F., Tamò-Larriex A., Data Ownership and Data Access Rights: Meaningful Tools for Promoting the European Digital Single Market?, In: Big Data and Global Trade Law, Edited by M. Burri, Cambridge University Press, 2021, 325.

²⁶² Schweitzer H., Metzger A., Blind K., Richter H., Niebel C., Gutmann F., Data Access and Sharing in Germany and in the EU: Towards a Coherent Legal Framework for the Emerging Data Economy, A Legal, Economic and Competition Policy Angle, Final Report, 2022, 55-54.

²⁶³ Stobierski T., 5 Key Elements of a Data Ecosystem, Harvard Business School, 2021, ob., <<https://bit.ly/3GxHNof>> [07.12.2023]

²⁶⁴ Timan T., Van Oirsouw C., Hoekstra M., The Role of Data Regulation in Shaping AI: An Overview of Challenges and Recommendations for SMEs, In: The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem, Edited by E. Curry et al., Springer, 2021, 366.

²⁶⁵ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 10.

²⁶⁶ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 8.

თავის მხრივ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 950-ე პარაგრაფი, რომელსაც კომპანიები აქტიურად იყენებენ ხელშეკრულების ზოგად დებულებებში მონაცემების, როგორც არამატერიალური ქონების მიმართ, ამბობს, რომ პიროვნება, რომელიც ამუშავებს და ცვლის ერთ ან მეტ ნივთს, ქმნის ახალ მოძრავ ნივთს, რომელზედაც მოიპოვებს საკუთრების უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამუშავებისა და შეცვლის ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნივთისა.²⁶⁷ მეტიც, გერმანიის მიწების სასამართლოებს განსხვავებული მიდგომა აქვს მონაცემების მიმართ საკუთრების დადგენის კუთხით, მნიშვნელოვანია, რომელი სამართლის პერსპექტივიდან არის განხილული, სისხლის თუ სამოქალაქო სამართლიდან, თუმცა ზოგადად შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომ საკუთრების უფლება მონაცემებზე ეკუთვნის მონაცემთა შემქმნელს, თუმცაღა მონაცემები, რომლებიც შექმნილია დაქირავებული შრომის შედეგად კომპანიისთვის, საკუთრების უფლება ეკუთვნის დამქირავებელს.²⁶⁸ ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 453-ე ნაწილი ამბობს, რომ საგანი, რომელიც არც უფლებასა და არც ქონებას, შესაძლებელია გაიყიდოს ნასყიდობის ხელშეკრულებით, შესაბამისად, შესაძლებელია მონაცემების გაყიდვა – დიდი მონაცემები კი არის დიდი ბიზნესი.²⁶⁹ ამავდროულად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო კი განმარტავს, რომ არამატერიალური ქონების, მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვისას არსებობს საკუთრების განსაკუთრებული უფლება, კერძოდ, პროგრამის გაყიდვისას უნდა გაიყიდოს საკუთრების უფლება პროგრამის ასლზე და პროგრამული უზრუნველყოფის მფლობელს არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს პროგრამის ასლის შემქმნის პროგრამით სარგებლობაში.²⁷⁰ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით ციფრული ქონების საკითხის მიმართ დისკუსიისთვის კარი გააღო, რადგან მონაცემთა მიმართ გამოიყენება საკუთრებისთვის დამახასიათებელი ელემენტები, როგორებიცაა მონაცემთა (კომპიუტერული პროგრამის შემთხვევაში) შეუზღუდავად სარგებლობა, მონაცემების კონტროლი, კერძოდ, ფლობა, განკარგვა, და დამუშავებული მონაცემების შედეგად ქონებრივი ღირებულების შემქმნის შესაძლებლობის აღიარება.²⁷¹

ყურადსაღებია ციფრული აქტივის მოწესრიგება. თავის მხრივ ციფრული აქტივი არის ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ექვემდებარება კონტროლს, ხოლო ელექტრონული ჩანაწერი კი არის ინფორმაცია, რომელიც ინახება ელექტრონულ მატარებელზე და შესაძლებელია ამ ინფორმაციის მოპოვება.²⁷² პიროვნებას აქვს კონტროლი ციფრულ აქტივზე თუ მაკონტროლებელი და მაკონტროლებლის ჩამნაცვლებელი, ციფრული აქტივი ან შესაბამისი პროტოკოლი ან სისტემა, ანიჭებს ამ პირს ექსკლუზიურ შესაძლებლობას არ დაუშვას, რომ სხვა პირებმა ციფრული აქტივისგან მიიღოს სარგებელი; აქვს შესაძლებლობა თვითონ მიიღოს სარგებელი ციფრული აქტივისგან და აქვს შესაძლებლობა გადასცეს სხვას

²⁶⁷ Debussche J., César J., Van Asbroeck B., Zebrowska N., Bakker L., Ownership and Intellectual Property Aspects of Data Management in a Big Data Context, Treador, Internal Rev. No. 1, December 31, 2016, 37.

²⁶⁸ Hoeren T., Big Data and the Ownership in Data: Recent Developments in Europe, European Intellectual Property Review, No. 12, 2014, 753-754.

²⁶⁹ Hoeren T., Big Data and the Ownership in Data: Recent Developments in Europe, European Intellectual Property Review, No. 12, 2014, 753.

²⁷⁰ Used Soft GmbH v Oracle International Corp [CJEU], საქმე C-128/11, ECLI:EU:C:2012:407, 2012.

²⁷¹ სარუხანიშვილი ს., ქონებრივი ღირებულების შემცველი დიდი მონაცემების სამართლებრივი დაცვა საბანკო კონკურენციაში, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 481.

²⁷² UNIDROIT Principles on Digital Assets and Private Law, Rome, 2023, 11., ასევე Item No. 4 on the Agenda: Adoption of Draft UNIDROIT Instruments, UNIDROIT C.D. (102) 6, Principle 1, para. 1-2, <<https://bit.ly/3uGholR>> [18.02.2024]

საკუთარი ძალაუფლება მიიღოს ციფრული აქტივისგან სარგებელი, არ დაუშვას სხვა პირი ციფრული აქტივისგან სარგებლის მისაღებად და აქვს გადაცემის უფლება. თავის მხრივ კონტროლის ჩანაცვლება გულისხმობს შესაძლებლობას მაკონტროლებელმა პირმა საკუთარი უფლებები გადასცეს სხვა პირს, რომელიც ასევე მოიცავს ციფრული აქტივის შეცვლას, მოდიფიცირებას, განადგურებას, წაშლას, გაქრობას, ასევე რომელიც იწვევს ნაწარმოები ციფრული აქტივის შექმნას, რომელიც თავის მხრივ სხვა პირის კონტროლს ექვემდებარება. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოები ციფრული აქტივი არ არის იგივე ციფრული აქტივი, რომლის უფლებებიც დათმო მაკონტროლებელმა.²⁷³ ექსკლუზიური შესაძლებლობა არ არის საჭირო იმდენად რამდენადაც ციფრული აქტივი ან შესაბამისი სისტემა/პროტოკოლი ზღუდავს ციფრული აქტივის გამოყენებას, ასევე დაპროგრამებულია ცვლილებების შესატანად, ციფრული აქტივის კონტროლის ცვლილების ან დაკარგვის ჩათვლით; მაკონტროლებელი დათანხმდა ამ შესაძლებლობის გაზიარებას სხვა ერთზე მეტ პირთან.²⁷⁴ მეტიც, ევროკავშირის სამართლის მიხედვით მონაცემთა „მფლობელი“ („data holder“) არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს მონაცემთა გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას (მიწოდება/გადაცემა/გავრცელება) უფლება და ვალდებულება, მათ შორის ისეთი მონაცემების მიმართ, როგორებიცაა დაკავშირებადი ნაწარმის მონაცემები და თანმდევი მომსახურების მონაცემები, როდესაც ხელშეკრულებითაა შეთანხმებული და მოპოვებულია თანმდევი მომსახურების მიწოდებისას.²⁷⁵

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ მონაცემებს მაღალი ეკონომიკური ღირებულება აქვს, შესაძლებელია მისი ყიდვაც და გაყიდვაც.²⁷⁶ დიდი მონაცემების მოცულობა და მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს კომპანიებს იპოვონ კორელაცია არასტრუქტურირებული მონაცემთა ბაზებიდან; შესაბამისად, ერთმანეთთან კავშირის არმქონე მონაცემთა კრებული შესაძლებელია ერთმანეთს შეერწყას და შექმნას ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად მიუწვდომელი იქნებოდა. მონაცემების მოპოვება შესაძლოა უფასო იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორაა მოპოვებული, თუმცა პროცესი, რომლის მიხედვითაც მონაცემებისგან ინფორმაციის მოპოვება ხდება, წარმოშობს ღირებულებას.²⁷⁷ შესაბამისად, დიდი მონაცემების დაცვის აუცილებლობა თვალსაჩინოა, მისი ქონებრივი ღირებულება აშკარაა, რადგან ის სამოქალაქო ბრუნვის ნაწილია და ასევე საშუალება მოპოვებულ იქნეს ახალი ინფორმაცია, რომელიც მანამდე მიუწვდომელი იყო, ხოლო ახალი ინფორმაცია თავისთავად ქმნის ეკონომიკურ ღირებულებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემები ნედლ მდგომარეობაში ინახება, იგი მოიპოვება მანქანური დასწავლის შედეგად შემუშავებულ ალგორითმსა და ემპირიულ ანალიზზე დაყრდნობით. დიდ მონაცემებს ჩვეულებრივი მონაცემებისგან მაღალი სიჩქარე, მრავალფეროვნება და მოცულობა განასხვავებს. მისი მოპოვების წყარო მრავალია, თუმცა სოციალური ქსელების, მანქანური და ტრანზაქციული მონაცემი სამი

²⁷³ UNIDROIT Principles on Digital Assets and Private Law, Rome, 2023, 51-58.

²⁷⁴ იქვე, 51-52.

²⁷⁵ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, art. 2(13).

²⁷⁶ Hoeren T., Big Data and the Ownership in Data: Recent Developments in Europe, European Intellectual Property Review, No. 12, 2014, 753.

²⁷⁷ Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016, 6-7.

ძირითადი წყაროა. ასევე მონაცემების დამუშავების შედეგად წარმოიშობა კვლავწარმოებული მონაცემები, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს დიდი მონაცემი. კომპანიებისთვის დიდი მონაცემებს აქვს ეკონომიკური ღირებულება და, შესაბამისად, პრაქტიკული დანიშნულება. ეკონომიკაში დიდი მონაცემები გამოიყენება ინოვაციების, მიზნობრივი (ტარგეტირებული), განახლებული და გაუმჯობესებული პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებისთვის. დიდი მონაცემების პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელია დიდი მონაცემების ეკოსისტემის მოწყობა, თავის მხრივ, კომპანიები ქმნიან დიდი მონაცემების არქიტექტურას, რომლის მიზანია დიდი მონაცემების ეკოსისტემის მხარდაჭერა ბიზნესის საჭიროებისთვის დასახული ამოცანების შესასრულებლად. დიდი მონაცემების არქიტექტურა კომპანიებს ეხმარება შეამციროს ხარჯები და მიიღოს საჭირო საუკეთესო გადაწყვეტილებები სწრაფად. დიდი მონაცემების ეკოსისტემის მიერ მოპოვებულ მონაცემებს საწარმოები ინახავენ შემნახველ სტრუქტურებში, რაც დანახარჯებთანაა დაკავშირებული, თავის მხრივ დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის დახმარებით გროვდება, გადაეცემა და გარდაიქმნება ფულად ღირებულებაში. შესაბამისად, დიდი მონაცემების შექმნასა და დამუშავებაში, მისგან შედეგის მიღებისთვის იხარჯება როგორც მატერიალური, ფულადი, ასევე ინტელექტუალური რესურსი. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია დიდი მონაცემების ყიდვა და გაყიდვა, მესამე პირებისთვის გადაცემა როგორც მზა ჩანაწერების სახით, ასევე ნივთების ინტერნეტის მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების სახით, რაც მას ანიჭებს ეკონომიკურთან ერთად ქონებრივ ღირებულებას. ამიტომ დიდი მონაცემები არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, მას ეკონომიკურთან ერთად აქვს ქონებრივი ღირებულება, მისი ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია. შესაძლებელია დიდი მონაცემების, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთისა და სანივთო უფლების წყაროს ფლობა, განკარგვა და სარგებლობა, მისი დაცვა ხელყოფისგან, რათა მისმა კანონიერმა მფლობელმა მიიღოს მატერიალური სარგებელი, ანდა სხვა პირის მიმართ წარმოეშვას მოთხოვნის უფლება.

2.2. ქონებრივი ღირებულების დიდი მონაცემების სამართლებრივი მოწესრიგება

მონაცემთა საკუთრების უფლების დასაცავად ევროკავშირში გამოიყენება რამდენიმე ნორმატიული აქტი, როგორებიცაა, ინტელექტუალური საკუთრების, სავაჭრო საიდუმლოებისა და მონაცემთა დაცვის სამართალი.²⁷⁸ თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ, სავაჭრო უფლებების სამართალი და მონაცემთა დაცვის სამართალი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც არ არის შექმნილი შემოქმედებითი საქმიანობის და სტრუქტურირებულ მონაცემთა კრებულში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად.²⁷⁹ განსაკუთრებულად ართულებს საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას ის, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მათ შორის სავაჭრო უფლებები), მონაცემთა ბაზებზე უფლებების მომწესრიგებელი სამართალი, კონფიდენციალურობისა თუ სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები და სხვა დაკავშირებული რეგულაციები – არის დაქსაქსული,

²⁷⁸ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 4.

²⁷⁹ იქვე, 6.

მიმოხილული ნორმები მათი ტექნიკური და ზოგჯერ ურთიერთშეუთავსებელი წესებისგან შემდგარი.²⁸⁰

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის დირექტივა მონაცემთა ბაზების შესახებ იცავს მონაცემთა ბაზების ავტორს და განმარტავს, რომ იგი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი, ასევე იურიდიული პირი, თუ ამას წევრ-სახელმწიფოს კანონი ადგენს. იქ, სადაც კოლექტიური სამუშაო არის აღიარებული წევრ-სახელმწიფოს მიერ, ეკონომიკური უფლებები აქვს იმ პირს, რომელიც ფლობს საავტორო უფლებას, ხოლო თუ მონაცემთა ბაზა შედგენილია ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ, მაშინ ექსკლუზიური უფლებას ფლობენ ერთობლივად.²⁸¹ მსგავსი მიდგომა აქვს საქართველოს კანონმდებლობას საავტორო უფლებების დაცვის კუთხით. საქართველოს კანონი იცავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობას.²⁸² მონაცემთა ბაზა არის ნაწარმოების, მონაცემების ან მასალის კრებული, რომელიც სისტემური წესითაა განლაგებული, ასევე ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით, თუმცა კომპიუტერული პროგრამას, რომელიც გამოიყენება მონაცემთა ბაზისა შექმნისა და გამოყენების დროს, არ იცავს კანონი.²⁸³ შესაბამისად, საავტორო უფლებები არ იცავს დიდი მონაცემების ეკოსისტემასა და არქიტექტურას, რომელიც თავსდება ღრუბლოვანი მომსახურებისა და საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კატეგორიაში, რადგან კანონი არ იცავს მონაცემთა ბაზას თუ ის თვითონ არ წარმოადგენს ნაწარმოებს.²⁸⁴ მონაცემთა ბაზის ავტორს ან საავტორო უფლების მქონე პირს აქვს ქონებრივი უფლება მონაცემთა ბაზებზე, კერძოდ, ფლობდეს და განკარგავდეს მას.²⁸⁵ მონაცემთა ბაზა საავტორო უფლების ობიექტი მაშინაა, თუ იგი წარმოადგენს ნაწარმოებს, ანუ იგი უნდა იყოს მასალის შერჩევისა და განლაგების ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, ხოლო თუ იგი არ არის ნაწარმოები, – ანუ შედეგაა ფაქტებისაგან, ინფორმაციებისაგან, სხვადასხვა ხასიათის ცნობებისაგან და ა.შ., – მაშინ შედგენასთან დაკავშირებით განხორციელებული უნდა იყოს ხარისხობრივი, ანდა რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა ბაზის შინაარსს და მის ერთიანობას, ცალ-ცალკე ინფორმაცია დაცვის ობიექტი ვერ იქნება,²⁸⁶ რადგან საავტორო უფლებათა დაცვის ობიექტის იდენტიფიცირებისთვის უნდა მოიძებნოს უნიკალური მაიდენტიფიცირებელი.²⁸⁷ შესაბამისად, საქართველოს კანონი გამორიცხავს არასტრუქტურირებული, ანდა ნახევრადსტრუქტურირებული დიდი მონაცემების დაცვის შესაძლებლობას, რადგან ისინი არც ინტელექტუალური შემოქმედებითი მუშაობის შედეგია და არც უნიკალური მაიდენტიფიცირებლები აქვს

²⁸⁰ Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014, 488.

²⁸¹ Consolidated text: Directive 96/9/EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the Legal Protection of Databases, OJ L077 27.3.1996, Art. 4.

²⁸² „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁸³ იქვე, მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

²⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 მაისის № ას-1210-1139-2012 განჩინება.

²⁸⁵ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლები.

²⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 მაისის № ას-1210-1139-2012 განჩინება.

²⁸⁷ Seng D., Big Data and Copyright Law, In: Research Handbook on Big Data Law, Edited by R. Vogl, Edward Elgar Publishing, 2021, 89.

მიუხედავად იმისა, რომ არასტრუქტურირებული მონაცემების მოპოვებისთვის კომპანიებს შესაძლოა ჰქონდეთ განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიცია.

სავაჭრო უფლებები ჯეროვნად ვერ იცავს ციფრულ სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას.²⁸⁸ ამიტომ, დიდი მონაცემთა საკურების უფლების დაცვისთვის უფრო მოქნილია ევროკავშირის დირექტივა სავაჭრო საიდუმლოების შესახებ. აღნიშნული დირექტივის თანახმად სავაჭრო საიდუმლოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ის არის საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც (როგორც მთლიანი, ასევე ამ ინფორმაციის ზუსტი კონფიგურაცია და ამ ინფორმაციის კომპონენტების ერთობლიობა) ზოგადად არ არის ცნობილი ან მარტივად ხელმისაწვდომი იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან იმ წრეს, რომელსაც ამ სახის ინფორმაციასთან აქვს საქმე; ასევე ამ ინფორმაციას აქვს კომერციული ღირებულება და, ამიტომაც, არის საიდუმლო და ამ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისთვის კონკრეტულ ვითარებასა და გარემოებებში ინფორმაციის კანონიერად მკონტროლებლის მიერ გადადგმულია გონივრული ნაბიჯები.²⁸⁹ საგულისხმოა, რომ დირექტივა იცავს ინფორმაციის ნაწილსაც, არ განასხვავებს მონაცემთა ტიპებს, თუმცა დაცვის სტანდარტის მისადაგება რთულია რეალურ დროში მონაცემთა დამუშავების კონტექსტთან, ასევე უნდა დადასტურდეს მონაცემთა ეკონომიკური ღირებულებაც.²⁹⁰ თავის მხრივ, აშშ-ში არსებობს სავაჭრო საიდუმლოების ერთიანი აქტი, რომლის მიხედვითაც სავაჭრო საიდუმლოების ძირითადი მოთხოვნებია: (1) დამოუკიდებელი ეკონომიკური ღირებულება, ფაქტობრივი ან პოტენციური, რომელიც მომდინარეობს მისი საიდუმლო ხასიათიდან; (2) ექვემდებარება საიდუმლოების შენარჩუნებისკენ მიმართულ გონივრულ მცდელობებს.²⁹¹ სავაჭრო საიდუმლოების ერთიანი აქტი მიესადაგება როგორც სტრუქტურირებულ, ასევე არასტრუქტურირებულ მონაცემთა კრებულს.²⁹² საკუთრების უფლების მხრივ, სავაჭრო საიდუმლოების მფლობელი არის ის პირი, რომელიც კანონიერად აკონტროლებს ინფორმაციას, რა თქმა უნდა, დირექტივა არ აწესებს ქონებრივი უფლების მსგავს სისტემას, თუმცა მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილ პირს შეუძლია სავაჭრო საიდუმლოება განიხილოს და მას მოეპყრას, როგორც განსხვავებული სახის ქონებას,²⁹³ შესაძლებელია სავაჭრო საიდუმლოება იყოს სალიცენზიო ხელშეკრულების საგანი, ანდა ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში მიეცეს მეორე მხარეს სავაჭრო საიდუმლოების გამოყენების უფლება.²⁹⁴

საქართველოში კომერციული ან სავაჭრო საიდუმლოების დაცვის მიზნით ცალკე კანონი არ არსებობს, თუმცა მის განმარტებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსი იძლევა, რომლის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული

²⁸⁸ Nimmer R.T., Information Wars and the Challenges of Content Protection in Information Wars and the Challenges of Content Protection in Digital Contexts, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law*, Vol. 13, No. 4, 2011, 829.

²⁸⁹ Trade Secret Directive (EU) 2016/943, OJ L 157, 15.6.2016, art. 2, par. 1.

²⁹⁰ Banterle F., *Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma*, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, (2018), 7.

²⁹¹ არევაძე ნ., კომერციული საიდუმლოების კონცეფციის როლი კოლექტიური შრომითი ურთიერთობების დისბალანსში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019, იხ., <<https://bit.ly/3xDh0Ur>> [12.04.2022]

²⁹² Schweitzer H., Metzger A., Blind K., Richter H., Niebel C., Gutmann F., *Data Access and Sharing in Germany and in the EU: Towards a Coherent Legal Framework for the Emerging Data Economy*, A Legal, Economic and Competition Policy Angle, Final Report, 2022, 56.

²⁹³ Banterle F., *Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma*, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018, 7.

²⁹⁴ Schweitzer H., Metzger A., Blind K., Richter H., Niebel C., Gutmann F., *Data Access and Sharing in Germany and in the EU: Towards a Coherent Legal Framework for the Emerging Data Economy*, A Legal, Economic and Competition Policy Angle, Final Report, 2022, 123-124.

ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.²⁹⁵ კომერციული საიდუმლოება არის საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის, მისთვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების სავალდებულო პირობას წარმოადგენს კომერციული საიდუმლოს მფლობელის ნების გამოხატვა. კომერციული საიდუმლოების დაცვა არის საიდუმლოების მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვა და არა ავტორობის, გამომგონებლობის.²⁹⁶ საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირში მოქმედებს სავაჭრო საიდუმლოების დირექტივა, აშშ-ის სავაჭრო საიდუმლოების აქტი მსგავს განმარტებებს იყენებს, რაც საქართველოს სამართლებრივი სივრცისგან განსხვავებით უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა დიდი მონაცემების დაცვის კუთხით.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მონაცემებთან დაკავშირებული არც ერთი სამართლებრივი რეჟიმი არ იცავს დიდ მონაცემებს. ზოგი იცავს სტრუქტურულ მონაცემთა კრებულს, ზოგი უზრუნველყოფს მონაცემთა ფლობის შეზღუდულ დაცვას „საკუთრების უფლების“ ხსენების გარეშე. საქართველოში საავტორო უფლებებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვის რეჟიმები ვერ უზრუნველყოფს დიდი მონაცემების დაცვის იმ მინიმალურ შესაძლებლობას, რაც ევროკავშირშია შესაძლებელი. საქართველოს კანონმდებლობით დაცულია მონაცემთა ბაზის შემქმნელის, ანდა მასზე საავტორო უფლების მქონე პირის ქონებრივი უფლება ესეც იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა ბაზა არის ნაწარმოები, ანუ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, ან მის გასაუმჯობესებლად გაწეულია მნიშვნელოვანი ინვესტიცია. ამასთან მონაცემთა ბაზები სისტემატიზებულია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრუქტურირებული დიდი მონაცემები მაშინ იქნება დაცვის ობიექტი, თუ მასზე დახარჯულია რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური. თავის მხრივ, მანქანის მიერ შექმნილი მონაცემთა კრებული ვერ იქნება დაცვის ობიექტი. მეტიც არასტრუქტურირებული ან ნახევრადსტრუქტურირებული მონაცემები საერთოდ ვერ გახდება დაცვის ობიექტი. ამავე მონაცემთა ბაზებში შემავალი ინფორმაციის ნაწილი ვერ იქნება სამართლებრივი დაცვის ობიექტი, მაშინაც კი თუ მნიშვნელოვან და ღირებულ ინფორმაციას შეიცავს. მნიშვნელოვანი, ღირებული ინფორმაციის დასაცავად, შესაძლოა კომერციული საიდუმლოების ცნების გამოყენება, თუმცა ასეთ შემთხვევაში, კომერციული საიდუმლოების შესახებ მისმა მფლობელმა უნდა განაცხადოს და კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა ემსახურებოდეს საიდუმლოს მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვას. ევროკავშირისა და აშშ-ისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა პოტენციური ეკონომიკური ღირებულების ინფორმაციას

²⁹⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 27²-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) გადაწყვეტილება.

არ მოიაზრებს კომერციული საიდუმლოების ცნების ქვეშ, რითაც სამართლებრივად იზღუდება იმდაგვარი ინფორმაციის, ტექნოლოგიის, მეთოდის დაცვას, რომელიც შემუშავების პროცესშია. შესაბამისად, შესაძლებელია დიდი მონაცემების არქიტექტურისა და დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა სამართლებრივად ვერ დაიცვას მისმა შემმუშავებელმა ბიზნესმა, რადგან მას არანაირი ეკონომიკური ღირებულება ჯერ არ ჰქონდეს მოტანილი, თუმცა შეიცავდეს პოტენციურ ეკონომიკურ ღირებულებას.

IV. დიდი მონაცემების სახელშეკრულებო მოწესრიგება

1. ხელშეკრულება ციფრული ბაზრის პირობებში

1.1. ციფრული ხელშეკრულება და მისი სახეები

ტექნოლოგიური განვითარება იქნება ეს, ინტერნეტი, ელექტრონული ვაჭრობა, თუ ბიზნესის კეთება „ქალაქის დოკუმენტაციის გარეშე“, ყოველივემ გამოიწვია იურისტების ინტერესი თუ როგორ უნდა მომხდარიყო არსებული, ქალაქს მორგებული სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკის შეთავსება თანამედროვე გამოწვევებისათვის.²⁹⁷ ეკონომიკურ წესრიგსა და სახელშეკრულებო სამართალს შორის ახლო კავშირი არსებობს, კერძოდ, სახელშეკრულებო სამართლის ფორმა ვითარდება ეკონომიკური წესრიგის განვითარების შესაბამისად.²⁹⁸ თავის მხრივ, ტექნოლოგიური განვითარება ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე და ცვლის საზოგადოებრივ წესრიგს, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართალიც უნდა შეესაბამებოდეს ახალ ტექნოლოგიურ გამოწვევებს.²⁹⁹ ელექტრონულ ბაზრებზე ელექტრონული ვაჭრობისთვის (კომერციისას)³⁰⁰ ხელშეკრულების შედგენის ერთ-ერთი მეთოდი კი ელექტრონული ხელშეკრულებაა.³⁰¹

ელექტრონული/ციფრული ხელშეკრულება არის ციფრული შინაარსობრივი მასალა (content), წარმოიშობა და მიეწოდება რა ელექტრონული ფორმით³⁰², იქმნება ელექტრონული დოკუმენტის სახით, რომელიც გულისხმობს ელექტრონული ფორმით შენახულ შინაარსობრივ მასალას, იქნება ეს ტექსტი, ხმა, გამოსახულებითი (ვიზუალური) ან ხმოვანგამოსახულებითი (აუდიოვიზუალური) ჩანაწერი,³⁰³ ინფორმაცია ანდა მონაცემთა ერთობლიობა.³⁰⁴ იგი იდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით³⁰⁵ და მისი ფორმირებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების ფორმირების ზოგადი წესები.³⁰⁶ თავის მხრივ, ციფრული შინაარსობრივი მასალა არის ნებისმიერი საქონელი, მომსახურება და პროდუქტი, რომელიც იწარმოება და მიეწოდება ციფრული ფორმით, რომლის მოხმარება და გამოყენება შეზღუდულია ტექნიკური მოწყობილობით და რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს ფიზიკური მომსახურების, საქონლისა და პროდუქციის

²⁹⁷ Gregory J.D., The Proposed UNCITRAL Convention on Electronic Contracts, *The Business Lawyer*, Vol. 59, No. 1, 2003, 313.

²⁹⁸ Kötz H., *European Contract Law*, 2nd edition, translated by G. Mertens and T. Weir, Oxford University Press, 2017, 5.

²⁹⁹ Bedir C., *Contract Law in the Age of Big Data*, *European Review of Contract Law*, Vol. 16, No. 3, 2020, 350.

³⁰⁰ Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M., *Legal Aspects of Electronic Contracts*, Workshop on Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stockholm, June 5-6, 2000, par. 3.1.

³⁰¹ Pouillet Y., *Electronic Contracts and Contract Law Principles*, In: *Liber Amicorum Guido Alpa: Private Law Beyond the National Systems*, Edited by M. T. Andenæs, S. Diaz Alabart, B. Markesinis, H-W. Miclitz, N. Posquini, London, 2007, 772.

³⁰² Directive (EU) 2019/770 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on Certain Aspects Concerning Contracts for the Supply of Digital Content and Digital Services, OJ L 136, 22.5.2019, Art. 2, par. 1. „ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლი „თ“ პუნქტი.

³⁰³ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 3(35)

³⁰⁴ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ” კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

³⁰⁵ Consolidated Text: Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on Certain Legal Aspects of Information Society Services, in Particular Electronic Commerce, in the Internal Market (Directive on Electronic Commerce), Art. 9.

³⁰⁶ Nuth M.S., *Electronic Contracting in Europe Benchmarking of National Contract Rules of United Kingdom, Germany, Italy and Norway in light of the EU E-commerce Directive*, Oslo, 2008, 33. „ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

გამოყენებასა და მოხმარებას.³⁰⁷ საგულისხმოა, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულება გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებაა ორგანიზებული დისტანციური გაყიდვების ანდა მომსახურების სქემის ფარგლებში, რა დროსაც მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრება არ არის აუცილებელი და ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ერთი ან მეტი დისტანციური კომუნიკაციის საშუალება.³⁰⁸ შესაბამისად, დისტანციურად დადებული ხელშეკრულება არის ელექტრონული ხელშეკრულება, რომლის საგანი შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული მომსახურება და პროდუქტი,³⁰⁹ ასევე ნებისმიერი მომსახურება, რომელიც მოიცავს ვალდებულებით ურთიერთობას მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის.³¹⁰ ასევე ელექტრონული ხელშეკრულება თვითონ არის პროდუქტი და მომსახურება, რომელიც ელექტრონულად მიეწოდება მომხმარებელს.

საყურადღებოა, რომ ელექტრონული ხელშეკრულების დადების პროცესში მონაწილეობს მესამე მხარეც,³¹¹ კერძოდ, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის კვალიფიციურ სანდო მომსახურებას, რომელიც ელექტრონული მომსახურებით უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის შექმნას, ანდა ელექტრონული შტამპის შექმნას, რომელიც იქმნება მხოლოდ იურიდიული პირის მიერ,³¹² ან დროის აღნიშვნის შექმნას, შემოწმებას, ნამდვილობის დადგენას ანდა შენახვას; ასევე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ან დროის კვალიფიციური აღნიშვნის და მათთან დაკავშირებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ანდა კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის შექმნას, შემოწმებას, ნამდვილობის დადგენას ანდა შენახვას.³¹³ ევროკავშირის რეგულაცია უფრო ფართოდ განიხილავს სანდო მომსახურების ცნებას და განმარტავს, რომ „სანდო მომსახურება“ არის ელექტრონული მომსახურება, რომლის გაწევა ხდება ჩვეულებრივ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ და იგი მოიცავს ამ მომსახურებათაგან რომელიმეს: 1) ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული შტამპის, ავთენტიფიკაციის ვებსაიტის სერტიფიკატების ან სანდო მომსახურების სხვა მომსახურებების სერტიფიკატების გამოცემას, ასევე მათი სერტიფიკატების ნამდვილობის დადასტურებას; 2) ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული შტამპის შექმნასა და ნამდვილობის დადასტურებას; 3) ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული შტამპის, ასევე ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის სერტიფიკატების

³⁰⁷ Consolidated Text: Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text With EEA Relevance) text with EEA Relevance, Article 4, Paragraph 43.

³⁰⁸ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights, Amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and Repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council Text with EEA Relevance, OJ L 304, 22.11.2011, Article 2, Paragraph 7.

³⁰⁹ Digital contracts for Europe, ob, <<https://bit.ly/3YMXUlj>> [01.11.2024]

³¹⁰ Fuhrmann-2-GmbH v B. [CJEU], საქმე C-249/21, ECLI:EU:C:2022:269, 2022, Paragraphe 25.

³¹¹ Pouillet Y., Electronic Contracts and Contract Law Principles, In: Liber Amicorum Guido Alpa: Private Law Beyond the National Systems, Edited by M. T. Andenæs, S. Diaz Alabart, B. Markesinis, H-W. Miclitz, N. Posquini, London, 2007, 769-770.

³¹² Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, Article 3, Paragraphs 16-20.

³¹³ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ტ“, „უ“ და „ვ“ პუნქტები.

შენახვას; 4) დისტანციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის ხელსაწყოების ან დისტანციური ელექტრონული შტამპის შექმნის ხელსაწყოების მართვას; 5) ატრიბუტების ელექტრონული დამოწმების გამოცემას, ნამდვილობის დადასტურებას; 6) ელექტრონული დროის აღმნიშვნელის შექმნასა და ნამდვილობის დადასტურებას; 7) სერტიფიცირებული ელექტრონული გადაცემის მომსახურების უზრუნველყოფას; 8) იმ მონაცემების ნამდვილობის დადასტურებას, რომლებიც გადაცემულია სერტიფიცირებული ელექტრონული გადაცემის მომსახურებების მეშვეობით და დაკავშირებული მტკიცებულებებით; 9) ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული მონაცემების ელექტრონული დაარქივებას; 10) ელექტრონული მონაცემებისა და ელექტრონული რეესტრის ჩაწერას.³¹⁴ შესაბამისად სანდო მომსახურების გამწევს აქვს წვდომა ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებზე და ასევე მათი დამუშავების შესაძლებლობა.

ელექტრონული ხელშეკრულების სახელშეკრულებო პროცესი ხორციელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემის საშუალებით, რომელიც ადამიანს ანაცვლებს.³¹⁵ მეტიც თანამედროვე სამყაროში, ელექტრონული ხელშეკრულებების დასადებად და ფორმირებისთვის გამოიყენება ახალი, განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები; განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები არსობრივად მონაცემთა სტრუქტურებია გარიგებების ჩაწერისთვის, ასევე მათი პერსონალიზებული ფუნქციების ერთობლიობაა გარიგებების სამართავად.³¹⁶ განფენილი რეესტრის ტექნოლოგია არც პროგრამული უზრუნველყოფაა და არც პროდუქტი, იგი გაცვლადი მონაცემთა ბაზა და ციფრული ტექნოლოგიაა, რომელიც მხარს უჭერს ბიზნესის მომსახურებებს, ბიზნესის პროცესების ავტომატიზაციის მხრივ ის ბიზნესის დამატებაა.³¹⁷ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებში შედგება შრეებისგან, ესენია: პროტოკოლური შრე, ქსელური შრე და მონაცემთა შრე.³¹⁸ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ განფენილი რეესტრში შესაძლოა ჩაშენებული იყოს კომპიუტერული პროგრამა.³¹⁹ შესაბამისად განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების შრეები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს როგორც პროგრამული უზრუნველყოფის ეკოსისტემა, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფების გადაწყვეტილებების ერთობლიობაა და პროგრამულად მხარს უჭერს ორგანიზაციების გარიგებებს.³²⁰ მეტიც, რეესტრის მუშაობაში თითოეული შრე თავის ფუნქციას ასრულებს; პროტოკოლის შრე არის წესებისა და კოდირებული არქიტექტურის ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს, მართავს და აახლებს სისტემის წესებს, ქსელური შრეს სისრულეში მოჰყავს და ადასრულებს პროტოკოლური შრის წესებს, ხოლო მონაცემთა შრე განსაზღვრავს და აზუსტებს მონაცემებს, რომლითაც შეთანხმება

³¹⁴ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 2(16).

³¹⁵ Pouillet Y., *Electronic Contracts and Contract Law Principles*, In: *Liber Amicorum Guido Alpa: Private Law Beyond the National Systems*, Edited by M. T. Andenæs, S. Diaz Alabart, B. Markesinis, H-W. Miclitz, N. Posquini, London, 2007, 763.

³¹⁶ El Ioini N., Pahl C., *A Review of Distributed Ledger Technologies*, In: *On the Move to Meaningful Internet Systems. OTM 2018 Conferences: Confederated International Conferences: CoopIS, C&TC, and ODBASE 2018*, Valletta, Malta, October 22-26, 2018, Proceedings, Part II, 277-279.

³¹⁷ Papanikolaou E., Angelis J., Moustakis V., *Which type of ecosystem for distributed ledger technology?*, *Technology in Society*, Vol. 72, 2023, 1-3.

³¹⁸ Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., *Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework*, Cambridge, 2018, 33.

³¹⁹ Magazzeni D., McBurney P., Nash W., *Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda*, *Computer*, Vol. 50, No. 9, 2017, 51.

³²⁰ Papanikolaou E., Angelis J., Moustakis V., *Which type of ecosystem for distributed ledger technology?*, *Technology in Society*, Vol. 72, 2023, 3.

მიიღწევა.³²¹ თავის მხრივ, ბლოკჩეინი განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების ერთ-ერთი სახეა, რომელიც გარიგებების ისტორიის შესანახად გამოიყენება.³²² ბლოკჩეინი ღია, განფენილი რეესტრის ტექნოლოგიაა, რომელიც ახდენს მხარეთა შორის დადებულ გარიგებების ეფექტურად ჩაწერას, ჩანაწერს ინახავს მუდმივად და შესაძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებების გადამოწმებას; ყველა ხელშეკრულებას, ყველა ამოცანას, ყველა გარიგებას თან სდევს ციფრული ხელმოწერა, რომლის ამოცნობა, შენახვა, გაზიარება და ნამდვილობის დადასტურებაა შესაძლებელი,³²³ რაც უზრუნველყოფს ციფრული ჩანაწერის დუბლირებისგან და გაყალბებისგან დაცვას.³²⁴ ბლოკჩეინი ეფუძნება მონაცემთა სტრუქტურირების საკუთარ სახეს, რომელიც გულისხმობს მონაცემთა სტრუქტურირებას სიის, ჩამონათვალის მსგავსად, ეს სიები/ჩამონათვალი კი ბლოკებად ინახება.³²⁵ კომპიუტერების განფენილი და დეცენტრალიზებული ფართო ქსელი კი უზრუნველყოფს ჩანაწერების ისტორიის უსაფრთხოებას, რადგან მათზე წვდომა ვერც ერთ ადამიანს ვერ ექნება.³²⁶ შესაბამისად, მონაცემთა ბაზა, რომელიც ამავე განფენილი ქსელშია და ერთმანეთთან ჯაჭური ფუნქციებითაა დაკავშირებული, შეუძლებელს ხდის რამის შეცვლას, წაშლას, ამიტომაც ბლოკჩეინი ზრდის მომხმარებლებში ნდობას.³²⁷ ხოლო დეცენტრალიზებული განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების მეშვეობით დადებული ჭკვიანი ხელშეკრულება, რომელიც ტრადიციული, ქალაქის შეთანხმების მსგავსი შეთანხმებაა, მაგრამ სრულად გაციფრულებული³²⁸, სახელშეკრულებო მოლაპარაკებისას ქმნის თანაბარ პირობებს ბიზნესისთვის.³²⁹

განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების განვითარებამ, რეესტრის შესაძლებლობამ დაპროგრამდეს იმდაგვარად, რომ გარიგებები ავტომატურად წარმოიშვას³³⁰, შესაძლებელი გახდა ახალი ტიპის, ჭკვიანი ხელშეკრულებების (smart contract) შექმნა, რომელშიც ციფრული სახითა წარმოდგენილი გარიგების პირობები კომპიუტერული კოდია, და ბიზნესებს შორის, ინდივიდებს შორის და მანქანებს შორის დადებული ორმხრივი

³²¹ Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework, Cambridge, 2018, 37-39

³²² El Ioini N., Pahl C., A Review of Distributed Ledger Technologies, In: On the Move to Meaningful Internet Systems. OTM 2018 Conferences: Confederated International Conferences: CoopIS, C&TC, and ODBASE 2018, Valletta, Malta, October 22-26, 2018, Proceedings, Part II, 277-279.

³²³ Iansiti, M., & Lakhani, K.R. The truth about blockchain. Harvard Business Review, Harvard Business Review, 2017, ობ, <<https://bit.ly/4h7WsYf>> [15.10.2024]

³²⁴ Gunn G.G, Stanley M., Harnessing the Flow of Data: Fintech Opportunities for Ecosystem Management, International Institute for Sustainable Development (IISD), 2018, 3.

³²⁵ El Ioini N., Pahl C., A Review of Distributed Ledger Technologies, In: On the Move to Meaningful Internet Systems. OTM 2018 Conferences: Confederated International Conferences: CoopIS, C&TC, and ODBASE 2018, Valletta, Malta, October 22-26, 2018, Proceedings, Part II, 285.

³²⁶ Martindale, J. What is a blockchain? Here's everything you need to know. Digital Trends, 2018, ობ, <<https://bit.ly/3UyFLMb>> [16.10.2024]

³²⁷ Gunn G.G, Stanley M., Harnessing the Flow of Data: Fintech Opportunities for Ecosystem Management, International Institute for Sustainable Development (IISD), 2018, 9.

³²⁸ Nawaz R., Tyag A.K., Shamila M., Vulnerabilities of Smart Contracts and Solutions, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications, Edited by Tyagi A. K., Abraham A. et al., London, 2022, 260.

³²⁹ Zainutdinova Z., Smart Contracts in the Civil Law Countries: The Legislative Analysis and Regulation Perspectives, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 347.

³³⁰ Iansiti, M., & Lakhani, K.R. The truth about blockchain. Harvard Business Review, Harvard Business Review, 2017, ობ, <<https://bit.ly/4h7WsYf>> [15.10.2024]

ხელშეკრულება ავტომატურად სრულდება.³³¹ ჭკვიანი ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს ოპერაციულ და არაოპერაციულ პირობებს (პუნქტებს). აღნიშნულ პუნქტებში ჩაშენებულია განმაპირობებელი ლოგიკა (conditional logic), რომლის მიხედვით ხორციელდება ქმედებები კონკრეტულ დროსა და კონკრეტული ხდომილებით, იქნება ეს ფინანსურ ორგანიზაციაში გადახდის რიცხვისთვის კონკრეტული თანხის შეტანა განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთით თუ სხვა ფინანსური ოპერაციები. არაოპერაციულ პუნქტებს არ აქვს განმაპირობებელი ლოგიკა, თუმცა უკავშირდება მხარეთა შორის არსებულ ფართო სამართლებრივ ურთიერთობას: რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, რომელი სასამართლო უნდა იყოს განსჯადი და ა.შ.³³²

ყველაფერი რაც შეიძლება გამოიხატოს ციფრულად შესაძლებელია დაიწეროს პროგრამირების ელექტრონულ დაფაზე.³³³ ჭკვიანი ხელშეკრულება კი სწორედ თვითაღსრულებადი პროგრამული კოდია, როგორც ამას მისი ავტორი, ნიკ საბო განმარტავდა.³³⁴ იგი ელექტრონული ხელშეკრულებების ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს,³³⁵ რადგან ის არის დაპირებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია ციფრული სახით და მოიცავს პროტოკოლებს, რომელშიც მხარეთა ეს დაპირებები აღსრულდება³³⁶ და ასევე თავსდება ელექტრონული დოკუმენტის განმარტებაში. ჭკვიანი ხელშეკრულებები მოიხმარს პროტოკოლებს და მომხმარებლის ინტერფეისებს, რათა ხელი შეუწყოს სახელშეკრულებო პროცესის ყველა ეტაპს.³³⁷ მას ახასიათებს სახელშეკრულებო ვალდებულებების ავტომატური შესრულება, ის ძალაში შედის შეუცვლელი კომპიუტერული კოდის მეშვეობით და ეფუძნება ტექნიკურ ენას, კერძოდ, პროგრამირების ენას, რომელიც თავის მხრივ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებს იყენებს ფუნქციონირებისთვის, კერძოდ, თვითაღსრულებადი ჭკვიანი ხელშეკრულება გამოხატულია პროგრამული უზრუნველყოფის კოდების სახით ბლოკჩეინში.³³⁸ განფენილი რეესტრი კი არის მსგავსი პროგრამების ბუნებრივი საყუდელი.³³⁹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ელექტრონული, ანუ ციფრული ხელშეკრულება არის ციფრული შინაარსობრივი მასალა, იგი წარმოიშობა და მიეწოდება ელექტრონული ფორმით, იქმნება ელექტრონული დოკუმენტის სახით, იდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხელშეკრულების ფორმირების ზოგადი წესების გათვალისწინებით. ელექტრონული ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც

³³¹ Deshpande A., Stewart K., Lepetit L., Gunashekar S., Distributed Ledger Technologies/blockchain: Challenges, Opportunities and the Prospects for Standards, Prepared for the British Standards Institution (BSI), 2017, 2-13, [ob, <https://bit.ly/48gw8Hp>](https://bit.ly/48gw8Hp) [16.10.2024]

³³² Whitepaper: Smart Contracts and Distributed Ledger – A Legal Perspective, ISDA, 2017, 10-11. [ob., <https://bit.ly/3VBy8VB>](https://bit.ly/3VBy8VB) [12.12.2024]

³³³ Magazzeni D., McBurney P., Nash W., Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda, Computer, Vol. 50, No. 9, 2017, 51.

³³⁴ Varbanova G., Legal Nature of Smart Contracts: Contract or Program Code?, Journal of Digital Technologies and Law, Vol. 1, No. 4, 2023, 1031.

³³⁵ Zainutdinova Z., Smart Contracts in the Civil Law Countries: The Legislative Analysis and Regulation Perspectives, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 348.

³³⁶ Szabo N., Smart Contracts: Building Blocks for Digital Markets, Extropy, 1996. < <https://bit.ly/48LIJm3> > [10.11.2024]

³³⁷ Hu K., Zhu J., Ding Y., Xiaomin B., Huang J., Smart Contract Engineering, Electronics, Vol. 9, No. 12, 2020, Sec. 2, p. 2, [ob., <doi:10.3390/electronics9122042>](https://doi.org/10.3390/electronics9122042) [13.10.2024]

³³⁸ Zainutdinova Z., Smart Contracts in the Civil Law Countries: The Legislative Analysis and Regulation Perspectives, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 340-343.

³³⁹ Magazzeni D., McBurney P., Nash W., Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda, Computer, Vol. 50, No. 9, 2017, 52.

ელექტრონული მომსახურება და პროდუქტი, ასევე ნებისმიერი მომსახურება, რომელიც მოიცავს ვალდებულებით ურთიერთობას მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის. თავის მხრივ, ციფრული ხელშეკრულება არის ციფრული პროდუქტი და მომსახურება. ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას კი მნიშვნელოვანი როლი მესამე მხარეს ეკისრება, რომელიც არის ელექტრონული მომსახურების მიმწოდებელი და ქმნის ისეთ ელექტრონულ მომსახურებას, რაც აუცილებელია ისეთი ელექტრონული ხელშეკრულების ფორმალური მხარის დაკმაყოფილებისთვის, როგორებიცაა ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული შტამპის, ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის შექმნა, შენახვა და ნამდვილობის დადასტურება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარიგების მართვის, ხელშეკრულებების ჩაწერის, ჩანაწერის შენახვის, ხელშეკრულების გადამოწმებისა და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გამოიყენება განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები, რომელიც შედგება შრეებისგან, თითოეული შრე კი პასუხისმგებელია კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე, კერძოდ, პროტოკოლის შრე არის წესებისა და კოდირებული არქიტექტურის ერთობლიობა, პროტოკოლის შრის აღსრულებას ახორციელებს ქსელური შრე, ხოლო მონაცემთა შრეს განსაზღვრავს და აზუსტებს მონაცემებს, რომლითაც შეთანხმება მიიღწევა. განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები ბუნებრივი საყუდელია ისეთი პროგრამებისა, როგორიცაა ჭკვიანი ხელშეკრულება. იგი ელექტრონული ხელშეკრულების ნაირსახეობაა, რომელიც კომპიუტერული კოდია, ამ კომპიუტერულ კოდში ციფრული სახითაა მოცემული გარიგების პირობები. ეს ხელშეკრულება იდება ბიზნესოპერატორებს შორის, ადამიანებს შორის, მანქანებს შორის და მისი აღსრულება ავტომატურად ხორციელდება.

1.2. ციფრული ხელშეკრულების ნამდვილობა

1.2.1. ციფრული ხელშეკრულების ტექნოლოგიური ასპექტის მიმართება სამართალთან

ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობას მტკიცე სამართლებრივ საფუძველს უქმნის როგორც ევროკავშირის, ასევე საერთაშორისო სამართალიც. ევროკავშირის სამართლის თანახმად წევრი-სახელმწიფოები ვალდებულნი არიან აღიარონ ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებები,³⁴⁰ თავის მხრივ ელექტრონული საშუალებები ინფორმაციული საზოგადოების მომსახურებაა მონაცემების გადაცემისა და დამუშავებისთვის.³⁴¹ ინფორმაციის სამართლებრივი ნამდვილობა და აღსრულება ვერ დადგება ეჭვქვეშ მხოლოდ იმიტომ, რომ ის მონაცემების შეტყობინების ფორმითაა,³⁴² კერძოდ, ინფორმაცია, რომელიც გენერირებულია, გაგზავნილია, მიღებულია და შენახულია ელექტრონული, ოპტიკური ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, რაც არ არის შეზღუდული ელექტრონული ფოსტის, ტელეგრამის, ტელექსითა, ტელეასლითა თუ ელექტრონული მონაცემთა მიმოცვლით.³⁴³ ეს კი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას

³⁴⁰ Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on Certain Legal Aspects of Information Society Services, in Particular Electronic Commerce, in the Internal Market ('Directive on Electronic Commerce'), OJ L 178, 17.7.2000, art. 9(1).

³⁴¹ სრულად იხ., Directive (EU) 2015/1535 of the European Parliament and of the Council of 9 September 2015 Laying Down a Procedure for the Provision of Information in the Field of Technical Regulations and of Rules on Information Society Services (codification) (Text with EEA relevance), OJ L 241, 17.9.2015, art. 1(b)(ii).

³⁴² UNCITRAL Model Law on Electronic Commerce, G.A. Res. 51/162, U.N. GAOR, Art. 5.

³⁴³ იქვე, Art. 2(e).

კომპიუტერიდან კომპიუტერზე ინფორმაციის სტრუქტურირების შეთანხმებული სტანდარტის მიხედვით.³⁴⁴ საგულისხმოა, რომ „ელექტრონული ვაჭრობის მოდალური კანონის“ ელექტრონულ მონაცემთა მიმოცვლის განმარტებაში თავსდება ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც არის ელექტრონულ ფორმაში არსებული მონაცემები მიკავშირებული ან ლოგიკურად ასოცირებული ელექტრონულ ფორმაში არსებულ სხვა მონაცემებთან.³⁴⁵ ელექტრონულ ხელმოწერას და ხელით შესრულებულ ხელმოწერას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და დაუშვებელია ელექტრონული ხელმოწერა არ იქნეს მიღებული სამართლებრივ წარმოებაში და არ ჩაითვალოს თანატოლი სამართლებრივი შედეგის მქონედ, მხოლოდ იმიტომ რომ ის შესრულებულია ელექტრონული ფორმით და არ პასუხობს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოთხოვნებს.³⁴⁶ გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის იმ პირობების დაკმაყოფილებაა საჭირო, რაც ჩვეულებრივი ხელშეკრულების დადების დროს, კერძოდ, მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული ხელშეკრულების მხარეები, ნათლად უნდა ირკვეოდეს ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა უნდა იყოს გაწერილი, ხელმოწერა უნდა იყოს ნამდვილი და ვალიდური, ხელშეკრულების პირობების ცვლილება ცალმხრივად არ უნდა იყოს შესაძლებელი.³⁴⁷ მეტიც, მომსახურების მიმწოდებელმა ელექტრონული ხელშეკრულების დადებამდე მომსახურების მიმღებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური ეტაპის შესახებ, მისი ელექტრონული შენახვისა და ხელმისაწვდომობის შესახებ, ხელმისაწვდომი ენების შესახებ, დაშვებული შეცდომის იდენტიფიცირებისა და გამოსწორებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების შესახებ.³⁴⁸

ხელშეკრულების ნამდვილობა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით თუ რამდენად შეუძლია მხარეს შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში ან რამდენადაა ხელშეკრულება არალეგალური.³⁴⁹ ლეგალურობას კი განსაზღვრავს პროგრამული კოდის სამართლებრივი რეგულაციებთან შესაბამისობა.³⁵⁰ ჭკვიანი ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების ჩამოყალიბების მოთხოვნებს, შესაძლებელია სამართლებრივად ხელშემკვრელი იყოს მხარეებს შორის გარიგების მიერ შექმნილი ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე ან კოდის მიერ განხორციელებული წინასწარგანსაზღვრული შეთანხმებიდან გამომდინარე.³⁵¹ ჭკვიანი ხელშეკრულების შექმნასა და ფუნქციონირებაში განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებს დიდი როლი აქვს

³⁴⁴ იქვე, Art. 2(b).

³⁴⁵ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 3(11).

³⁴⁶ იქვე, art. 25.

³⁴⁷ Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M., Legal Aspects of Electronic Contracts, Workshop on Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stockholm, June 5-6, 2000, par. 4.1.

³⁴⁸ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁴⁹ Cadogan M. S., Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 5.

³⁵⁰ Hu K., Zhu J., Ding Y., Xiaomin B., Huang J., Smart Contract Engineering, Electronics, Vol. 9, No. 12, 2020, Sec. 2, pp. 2-3, ob., <doi:10.3390/electronics9122042> [13.10.2024]

³⁵¹ Cadogan M. S., Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 5.

მისი შრეებით.³⁵² **პროტოკოლის შრე** სისტემის საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს ფორმალურ წესებსა და კოდირებულ არქიტექტურულ დიზაინს. იგი შედგება 1) გენეზისის კომპონენტისგან – განსაზღვრავს სისტემის ჩართვისას პროცესებს, იგი მოიცავს საწყისი კოდების ბაზებს და არქიტექტურას, რომელიც განსაზღვრავს სისტემაში ჩართულობის წესებს, მათ შორის პირველი ჩანაწერის (გენეზისის) გაკეთებას; 2) ალტერაციის კომპონენტი განსაზღვრავს თუ როგორი ევოლუცია უნდა განიცადოს დროთა განმავლობაში პროტოკოლმა, იგი ასევე განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებისა და მისი აღსრულების პროცესის შექმნის საკითხს.³⁵³ აღსანიშნავია, რომ განფენილი რეესტრის სისტემის არქიტექტურის ერთ-ერთი კომპონენტია სახელშეკრულებო შრე, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ტიპებზე საერთო ცოდნის არსებობას,³⁵⁴ ასევე მოიცავს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში სხვადასხვა სამართლებრივ პოლიტიკასა თუ წესებს, რაც გავლენას ახდენს ჰიპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების ნამდვილობა.³⁵⁵ თავის მხრივ, **ქსელური შრე** მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ აქტორებს, რომლებიც ერთობლივად ინახავს, აზიარებს და ამუშავებს მონაცემებს. ქსელური შრე არის პროტოკოლური შრის პრაქტიკული განხორციელება. იგი შედგება კომუნიკაციების კომპონენტისგან, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ აქტორს შეუძლია იყოს მონაწილე და ჰქონდეს წვდომა (ღია თუ დახურულ) ქსელზე, როგორ ზიარდება მონაცემები (საჯაროდ თუ დახურულად) და ვის აქვს ავტორიზაციის უფლება, რათა დაიწყოს გარიგება (შეზღუდულია თუ ღიაა). გარიგების დამუშავების კომპონენტი არის პროცესების ერთობლიობა და განსაზღვრავს ავტორიზებული ჩანაწერების ერთობლიობის განახლების მექანიზმს (რომელ მონაწილეს აქვს ჩანაწერთა განახლების უფლება და მონაწილეები როგორ აღწევენ შეთანხმებას ამ განახლებათა განხორციელებისთვის). ნამდვილობის დადასტურების კომპონენტი განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებსაც ახორციელებენ აუდიტორები, რათა დაადასტურონ გარიგებები და ჩანაწერები შეესაბამება თუ არა პროტოკოლებს.³⁵⁶ შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ეკოსისტემისა და პროგრამული პროტოკოლების მიუხედავად, ხელშეკრულების სამართლებრივი ნამდვილობისა და სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის ვერ გამოირიცხება ადამიანი, რადგან პროფესიონალმა იურისტმა უნდა შეამოწმოს ხელშეკრულების თავსებადობა მოქმედ სამართალთან.³⁵⁷ დამუშავებულ და ჩანაწერის სახით შენახულ ინფორმაციას **მონაცემთა შრე** ეწოდება, რომელიც უმთავრესია რეესტრის მუშაობისთვის. მონაცემთა შრე შედგება ოპერაციული კომპონენტისა და ჩანაწერთი კომპონენტისგან. ოპერაციული კომპონენტი არის პროცესი, რომელიც წყვეტს რა მონაცემები უნდა იქნეს გამოყენებული და მონაცემები როგორ უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეიქმნას ახალი ჩანაწერი, შეიცვალოს არსებული ჩანაწერი ან აღსრულდეს

³⁵² DiMatteo L.A., Cannarsa M., Poncibò C., Smart Contracts and Contract Law, In: DiMatteo LA, Cannarsa M, Poncibò C, eds. The Cambridge Handbook of Smart Contracts, Blockchain Technology and Digital Platforms, Cambridge Law Handbooks, Cambridge University Press, 2019, 4-14.

³⁵³ Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework, Cambridge, 2018, 34.

³⁵⁴ Milosevic Z., Enterprise aspects of Open Distributed Systems, PhD Dissertation at University of Queensland, 1995, 179.

³⁵⁵ იქვე, 154 და 179.

³⁵⁶ Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework, Cambridge, 2018, 35.

³⁵⁷ Milosevic, Z., Josang, A., Dimitrakos, T., Patton, M.A., September. Discretionary Enforcement of Electronic Contracts, In Proceedings. Sixth International Enterprise Distributed Object Computing, 2002, 40.

პროგრამული კოდი, ხოლო ჩანაწერთი კომპონენტი ეხება ჩანაწერების შინაარსობრივ მხარეს.³⁵⁸

ჰკვიანი ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, აუცილებელია ხელშეკრულების დომენის³⁵⁹ არსებობა, რომელიც გულისხმობს სახელშეკრულებო შეთანხმებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კავშირს, რომელშიც იქმნება, იმართება და აღსრულდება ციფრული ხელშეკრულება.³⁶⁰ გარდა ტექნოლოგიური ასპექტისა, ხელშეკრულების დომენი მოიცავს სამართლებრივ საკითხსა და იურისდიქციას, კერძოდ, სახელმწიფოსა თუ ქვეყნის კანონმდებლობას და წესებს, რომლებიც განსაზღვრავს ხელშეკრულების ნამდვილობას.³⁶¹ ხელშეკრულების დომენმა უნდა განსაზღვროს ხელშეკრულების ნამდვილობის წესები, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის პროცედურა და ხელშეკრულების აღსრულების პროცედურა.³⁶² მონაცემები და სცენარები, რომლებიც უკავშირდება დამუშავებას, უსაფრთხოდ უნდა ინახებოდეს და მათი გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს სამართლებრივი მტკიცებულების სახით. უნდა არსებობდეს ინტერფეისი, რომელზედაც ხელშეკრულების მდგომარეობაზე დაკვირვება შესაძლებელი იქნება, მათ შორის ხელშეკრულებაზე, მის შესრულებაზე და ყველაფერზე, რაც ხელშეკრულებას უკავშირდება. ჰკვიანი ხელშეკრულების შესახებ ჩანაწერები გადამოწმებადი უნდა იყოს, მათ შორის ჰკვიანი ხელშეკრულების მუშაობის ლოგიკისა და აღსრულების სისწორე. ხელშეკრულების შესრულება უნდა იყოს დაცული მესამე მხარის არაავტორიზებული ჩარევისგან და ხელშეკრულების თაობაზე ინფორმაციაზე დაშვება, როგორცაა ცოდნა, კონტროლი, შესრულება, უნდა შეეძლოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ პირებს.³⁶³

ჰკვიანი ხელშეკრულების დროს მხარეები წინასწარ ათანხმებენ პირობებს, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ურთიერთობები წარმოიშობა, შეიცვლება და შეწყდება, ხოლო ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებულია არა მხარეთა ქმედებებზე, არამედ მხარეების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირობებზე, რომლის თანახმადაც ხელშეკრულება თვითაღსრულდება.³⁶⁴ ხელშეკრულების ნამდვილობის მხრივ კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ხელშეკრულების მარგებლიანობის პრინციპი (consideration of the agreement), რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებისთვის ხელშეკრულების შედგენის მნიშვნელოვანი პრინციპია. აღნიშნული პრინციპი ყურადღებას მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესზე ამახვილებს და მოითხოვს, რომ ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების სანაცვლოდ მეორე მხარემ გასცეს დაპირების ნაცვალსაგები. მარგებლიანობაა ის, რასაც მევალე მიიღებს ხელშეკრულების ძალით, ხოლო

³⁵⁸ Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., *Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework*, Cambridge, 2018, 36

³⁵⁹ იხილეთ ციტირება 397.

³⁶⁰ DiMatteo L.A., Cannarsa M., Poncibò C., *Smart Contracts and Contract Law*, In: DiMatteo L.A., Cannarsa M., Poncibò C., eds. *The Cambridge Handbook of Smart Contracts, Blockchain Technology and Digital Platforms*, Cambridge Law Handbooks, Cambridge University Press, 2019, 4-14.

³⁶¹ Milosevic Z., *Enterprise aspects of Open Distributed Systems*, PhD Dissertation at University of Queensland, 1995, 167.

³⁶² Milosevic Z., Bond A., *Electronic commerce on the Internet: what is still missing?* In *Proceedings of 5th Conference of the Internet Society*, 1995, June, 247.

³⁶³ Hu K., Zhu J., Ding Y., Xiaomin B., Huang J., *Smart Contract Engineering*, *Electronics*, Vol. 9, No. 12, 2020, Sec. 2, pp. 2-3, ob., <doi:10.3390/electronics9122042> [13.10.2024]

³⁶⁴ Varbanova G., *Legal Nature of Smart Contracts: Contract or Program Code?*, *Journal of Digital Technologies and Law*, Vol. 1, No. 4, 2023, 1035.

მოვალის მხრიდან გაღებული იქნება დაპირების ნაცვალსაგები.³⁶⁵ აუცილებელია, მხარეების მიერ მოლაპარაკების მიზანი იყოს გამოთქმული და მათ მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით უნდა არსებობდეს რაიმე დაპირება და ნაცვალგება, ხოლო სახელშეკრულებო მარგებლიანობა შესაძლოა უკავშირდებოდეს მისაღებ უფლებებს, პროცენტს, სახსრებს, ანდა სარგებელს, რომელსაც მევალე მიიღებს მეორე მხარის პირობის ნაცვალსაგების სახით.³⁶⁶ ხელშეკრულების მარგებლიანობა უნდა იყოს, როგორც ადეკვატური, ასევე შესაფერისი.³⁶⁷ ხელშეკრულება მოქმედებს თუ არა, მის ნამდვილობას განსაზღვრავს მხარეებს შორის სავაჭრო თუ მომხმარებელთა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის ბუნება, შესაბამისად, ხელშეკრულების არსებობის დასადგენად საჭიროა ირგვლივ არსებული იმ პირობების კონტექსტუალური შეფასება, რომლებმაც გამოიწვია სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობა.³⁶⁸ შესაბამისად, ჭკვიანი ხელშეკრულება მაშინ ჩაითვლება სამართლებრივად მზოქავ გარიგებად თუ მხარეთა ნება და მხარეთა განზრახულობა – შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში – ნათლადაა გამოხატული და სახელშეკრულებო პირობები არის ადეკვატური და სამართლიანი.

ჭკვიანი ხელშეკრულებისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი საფუძვლები და ხელშეკრულების ჩამოყალიბებაში კოდირებულ ენას არ შეუძლია ჩაანაცვლოს ტრადიციული ხელშეკრულება ან მომწესრიგებელი/მარეგულირებელი სისტემა,³⁶⁹ რომელიც ხელშეკრულებას ანიჭებს ძალას, რადგან სამართალი ვერ იარსებებს სამეტყველო ენის გარეშე და დამოკიდებულია ენაზე მისი სინტაქსითა და სემანტიკით.³⁷⁰ ამიტომ სამართლებრივი ანალიზის არარსებობის პირობებში ჭკვიანი ხელშეკრულებები ვერ იქნება სამართლებრივად ხელშემკვრიელი, რადგან მას არ ექნება კავშირი ბუნებრივ ენასთან.³⁷¹ ჭკვიანი ხელშეკრულებები მაშინ შეიძლება იყოს სამართლებრივად აღსრულებადი შეთანხმება, თუ ისინი დააკმაყოფილებენ ხელშეკრულების დადების მოთხოვნებს. აქვე მნიშვნელოვანია მხარეთა განზრახულობა, რათა დაემორჩილონ ხელშეკრულებას, ასევე მხედველობაში მისაღებია ნებისმიერი ვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ისეთი გარიგებების დროს, როდესაც ხელშეკრულებები შედგენილია მრავალი დებულებებისგან და კომპლექსური გარიგებებისგან, რომელშიც მხარეთა ნებისა და განზრახულობის ინტერპრეტირებისთვის დიდი როლი ეკისრება ბუნებრივ ენას, რა დროსაც მოქნილობა სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაშინ ჭკვიანი ხელშეკრულებები ვერ იქნება გამოყენებული. ჭკვიანი ხელშეკრულება უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი ჩარჩოსა და უფრო ფართო

³⁶⁵ Cadogan M. S., *Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges*, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 13. ასევე, Milosevic Z., *Enterprise aspects of Open Distributed Systems*, PhD Dissertation at University of Queensland, 1995, 167.

³⁶⁶ Milosevic Z., *Enterprise aspects of Open Distributed Systems*, PhD Dissertation at University of Queensland, 1995, 168.

³⁶⁷ Cadogan M. S., *Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges*, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 13. ასევე, Milosevic Z., *Enterprise aspects of Open Distributed Systems*, PhD Dissertation at University of Queensland, 1995, 167.

³⁶⁸ Cadogan M. S., *Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges*, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 14.

³⁶⁹ Cadogan M. S., *Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges*, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 6.

³⁷⁰ Moreso J.J., *Filosofía del Lenguaje para Juristas*, En: *Filosofía, Una Introducción para Juristas*, Edición de G. Lariguet y D.G. Lagier, Madrid, 2022, 49-51.

³⁷¹ Magazzeni D., McBurney P., Nash W., *Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda*, *Computer*, Vol. 50, No. 9, 2017, 53-54.

სახელმეკრულებო შეთანხმების პირობებში, ის ვერ იქნება ცალკე ხელშეკრულება, რათა მისი სამართლებრივი აღსრულება შესაძლებელი იყოს.³⁷²

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობის საფუძველს ქმნის როგორც საერთაშორისო, ასევე ევროპული სამართალი. ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საჭიროა ის აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების დადების ზოგად პირობებს, რომლის ანალიზი უნდა მოხდეს ელექტრონული საშუალებების ფუნქციისა და როლის განსაზღვრით, კერძოდ, უნდა განისაზღვროს ყველა ის დეტალი, რომლის მიხედვითაც ელექტრონული საშუალების დახმარებით დაიდო ელექტრონული ხელშეკრულება. რაც შეეხება ჭკვიან ხელშეკრულებას, მისი ნამდვილობის განსაზღვრისთვის აუცილებელია გაანალიზდეს ის პროგრამული კოდი და ის ტექნოლოგია, რომელშიც წარმოიშობა, იდება და აღსრულდება აღნიშნული ხელშეკრულება. ჭკვიანი ხელშეკრულების დადება და აღსრულების სამართლებრივი ხასიათის დადგენისთვის უნდა გაანალიზდეს განფენილი რეესტრის ტექნოლოგიის ყველა შრე, ესადაგება თუ არა ხელშეკრულების დადების პირობებს ჭკვიანი ხელშეკრულება, არღვევს თუ არა ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივ მოთხოვნებს, გამოხატული იყო თუ არა ხელშეკრულების მხარეთა ნება და რა არის ის პირობა, რომელიც ხელშეკრულების აღსრულებას მნიშვნელოვანს ხდის. ჭკვიანი ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მნიშვნელოვანია მისი კავშირი ბუნებრივ, სამეტყველო ენასთან, ხოლო ჭკვიანი ხელშეკრულება მაშინ ჩაითვლება სამართლებრივად მხოლოდ გარიგებად, თუ მხარეთა ნება და მხარეთა განზრახულობა ნათლადაა გამოხატული და ხელშეკრულების საგანი არ იქნება არაადეკვატური და შეუფერებელი.

1.2.2. ციფრული ხელშეკრულების შინაარსობრივი საკითხის მიმართება სამართალთან

დროთა განმავლობაში სავაჭრო სახელმეკრულებო სამართალი და მომხმარებელთა სახელმეკრულებო სამართალი ერთმანეთს იმდენად დაშორდა, რომ ბიზნესი-ბიზნესს მოდელისა და ბიზნესი-მომხმარებელს მოდელის გარიგებებს ჯეროვნად ვერ მოიცავს.³⁷³ ბიზნესი-ბიზნესს მოდელის თუ ბიზნესი-მომხმარებელს მოდელის ელექტრონული ვაჭრობა იყენებს ინტერნეტსა და ელექტრონულ საშუალებებს. ბიზნესი-ბიზნესს მოდელი აღნიშნულ საშუალებებს იყენებს პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების გარიგებების წარმართვისთვის სხვა ბიზნესისთვის, ხოლო ბიზნესი-მომხმარებლის მოდელი იყენებს საშუალებებს, რათა გაყიდოს პროდუქტი და მომსახურება საცალო ვაჭრობით მომხმარებელზე.³⁷⁴ ბიზნესი-ბიზნესს მოდელში სახელმეკრულებო სტანდარტული პირობების სამართლიანობის საკითხს ევროკავშირიც კარგად აცნობიერებს და ევროკომისიამ შეიმუშავა ევროპის საერთო სავაჭრო კანონი, რომლის თანახმადაც უნდა მოწესრიგებულიყო მცირე და საშუალო ბიზნესის შორ მანძილზე, ონლაინ დადებული ხელშეკრულების საკითხი უფრო მეტი სამართლებრივი სიცხადისთვის, რა თქმა უნდა,

³⁷² Cadogan M. S., *Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges*, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 6.

³⁷³ *Unfair Contract Terms Provisions in CESL*, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, Legal Affairs, 2012, 6.

³⁷⁴ Barefoot K., Curtis D., Jolliff W., Nicholson J.R., Omohundro R., *Defining and Measuring the Digital Economy*, Working Paper of Bureau of Economic Analysis of the U.S. Department of Commerce, Washington, 2018, 8.

წვერი-სახელმწიფოების სამართლებრივ სივრცის გათვალისწინებით.³⁷⁵ კომისიის წარდგენის მიუხედავად ევროპის საერთო სავაჭრო სამართალი არ განუხილია არც ევროპულ საბჭოს, არც პარლამენტს და 2019 წელს კომისიას მოუწოდეს გაეწვია საკანონმდებლო პროექტი.³⁷⁶ 2020 წელს კი გაიწვიეს.³⁷⁷

ევროპის სახელმწიფოებო სამართალი ცდილობს იპოვოს წონასწორობა მხარეებს შორის არსებულ არათანაბარ შესაძლებლობების მიმართ წინასახელმწიფოებო მოლაპარაკებისას, რადგან სახელმწიფოებო ურთიერთობების დაწყებამდე, წინასახელმწიფოებო ურთიერთობაში მოლაპარაკებისას ზოგს უფრო მეტი ძალაუფლება აქვს.³⁷⁸ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში უსამართლო სახელმწიფოებო პირობები განსხვავებულად განიმარტება: თუ ფრანგები მიმართავენ სუსტი მხარის დაცვის წესებს, გერმანული სამართლებრივი სისტემისთვის ხელმწიფოებების სტანდარტული პირობების კონტროლი დაკავშირებულია პროფესიონალი მიმწოდებლების და კომერციული ორგანიზაციების ძალაუფლების შეზღუდვისკენ ერთპიროვნულად განსაზღვრონ ხელმწიფოებების პირობები.³⁷⁹ სუსტი კონტრაქტის დაცვა სახელმწიფოებო ურთიერთობაში ხელმწიფოებების თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საკონსტიტუციო ღირებულებად მიიჩნევა.³⁸⁰ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის თანახმად იურიდიულ პირებს შორის დადებულ ხელმწიფოებებზე არ ვრცელდება სუსტი მხარის დაცვის სტანდარტი, რადგან ფიზიკური პირისგან განსხვავებით იურიდიულ პირებს გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ.³⁸¹ მეწარმე სუბიექტის სტატუსიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ მას შეუძლია ხელმწიფოებების პირობების შინაარსის გაცნობიერება³⁸² და ვალდებულების დარღვევის შედეგად გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობა.³⁸³ მეტიც, საქართველოს კანონმდებლობა ფიზიკურ და არაფიზიკურ პირებს, რომლებიც საკუთარი ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში მოქმედებენ, მათ მიმართ, ელექტრონული ხელმწიფოებების დადებისას აწესებს ნაკლებ შემზღუდველ პირობებს და ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით აღჭურავს ხელმწიფოებების მხარეებს ინფორმაციის მიწოდების კუთხით.³⁸⁴

საგულისხმოა, ბიზნესი-მომხმარებელს მოდელში პლატფორმების შემთხვევაც, კერძოდ, პლატფორმებს აქვთ წვდომა ბიზნესებისა და მომხმარებლების მონაცემებზე, თუმცა საკუთარ პლატფორმებზე გენერირებულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდული აქვთ, შესაბამისად, სახელმწიფოებო პირობები, რომლებიც ეხება მონაცემებს ზოგჯერ

³⁷⁵ European Parliament Legislative Resolution of 26 February 2014 on the Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on a Common European Sales Law (COM(2011)0635 – C7-0329/2011 – 2011/0284(COD)) Art 1., Article 186d, par. 2, Recital 1, 21, 31,

³⁷⁶ Common European Sales Law (CESL) ob., <<https://bit.ly/3N6QKs1>> [02.10.2024]

³⁷⁷ Common European Sales Law ob., <<https://bit.ly/3ZPJCrS>> [02.10.2024]

³⁷⁸ Börklüce C., Big Data Misuse and European Contract Law, European Review of Contract Law, Vol. 20, No. 2, 2024, 325.

³⁷⁹ Patti F.P., Unfair Terms Control in Business-to-Business Contracts, The Italian Law Journal, Vol. 05, No. 02, 2019, 586.

³⁸⁰ Fabre-Magnan M., Constitutional Values and Freedom of Contract, European Review of Contract Law, Vol. 20, No. 3, 2024, 210.

³⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 22 ივლისის №ას-303-2024 გადაწყვეტილება, პარ. 91.

³⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 სექტემბრის №ას-189-2022 გადაწყვეტილება, პარ. 20.

³⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 დეკემბრის ას-310-2022 გადაწყვეტილება, პარ. 18.

³⁸⁴ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

ზღუდავს მონაცემებზე წვდომასა და მონაცემების გამოყენებას. ასევე სახელშეკრულებო პირობები ზოგადად არ მოიაზრებდა მონაცემთა გაზიარებას პლატფორმების მიერ, მათ შორის, მათივე მომხმარებელი ბიზნესებისადმი. ამიტომაც, ბიზნესის მიერ ვერ ხერხდებოდა საკუთარი გარიგებების/ტრანზაქციების შედეგად გენერირებულ ისეთ მონაცემებზე წვდომა, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემები, მომხმარებელთა საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.³⁸⁵ აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს ევროკავშირის მონაცემთა აქტი, რომელიც ადგენს, რომ არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცალმხრივი გადაწყვეტილებაა და თან თავსმოხვეულია ერთი ბიზნესის მიერ მეორე ბიზნესზე, მისი ბუნებით შორს არის კეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკისგან მონაცემებზე წვდომისა და მონაცემებით სარგებლობის კუთხით, რაც თავის მხრივ კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამართლიანი გარიგების პრინციპის საწინააღმდეგოა. ასევე, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ეხება მონაცემებზე წვდომას ან მონაცემებით სარგებლობას, მონაცემებთან დაკავშირებული ვალდებულებათა დარღვევისას სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და პასუხისმგებლობას ზიანზე, მაშინ ის ვერ იქნება სამართლებრივად ხელშემკვრელი, **თუ ის ცალმხრივად თავსმოხვეულია და არასამართლიანია.**³⁸⁶ ხელშეკრულების პირობები თავსმოხვეულად ჩაითვლება თუ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეს არ შესწევს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს სახელშეკრულებო პირობების ცვლილებაზე, მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულების მხარეს მოლაპარაკების ეტაპზე ჰქონდა მცდელობა ცვლილებები შეეტანა ხელშეკრულებაში, ხოლო მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სახელშეკრულებო პირობებს სთავაზობს მეორე მხარეს.³⁸⁷

ბიზნესი-მომხმარებელს მოდელშიც, ანალოგიურად ხელშეკრულების პირობები არასამართლიანად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობებზე არ მომხდარა ინდივიდუალური შეთანხმება და ის ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც იწვევს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ არათანაზომიერ უფლებებსა და მოვალეობებს მომხმარებლის საზიანოდ.³⁸⁸ პირობები ინდივიდუალურად შეთანხმებულად რომ ჩაითვალოს აუცილებელია მომხმარებელს პირობების შემუშავებისას წინასწარ ჰქონდეს შესაძლებლობა პირობების შინაარსის ფორმირებაზე, კერძოდ, წინასწარ ჩამოყალიბებული სტანდარტული ხელშეკრულების შემთხვევაში; მეტიც, ის გარემოება, რომ ერთი ან რამდენიმე პირობაზე მოხდა შეთანხმება, არ გამორიცხავს იმას, რომ დანარჩენ ხელშეკრულებაზე არ გავრცელდება უსამართლო პირობების თაობაზე მუხლი, თუ ხელშეკრულების ყოველმხრივი შეფასება მიუთითებს, რომ ხელშეკრულება წინასწარჩამოყალიბებულ სტანდარტულ პირობებს მოიცავს.³⁸⁹ სტანდარტული პირობების განმარტებისას რეგულაციის პროექტში ნახსენები არაინდივიდუალურად შეთანხმებული

³⁸⁵ Business-to-business Relationships in the Online Platforms Environment – Legal Aspects and Clarity of Terms and Conditions of Online Platforms, Report of an engagement workshop hosted by the European Commission, 14 November 2016, Brussels, 2-3.

³⁸⁶ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, art. 13, par. 1-4.

³⁸⁷ იქვე, art. 13(6).

³⁸⁸ Directive 93/13/EEC of the Council of 5 April 1993 on Unfair Contract Terms in Consumer Contracts [1993] OJ L95/29 [consolidated version: 28/05/2022], art. 3, par. 1.

³⁸⁹ იქვე. Art. 3, par. 2.

პირობები იმეორებდა მომხმარებელთა ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმას, თუმცა მისი მოქმედება ვრცელდებოდა ბიზნესი-ბიზნესს მოდელში.³⁹⁰

დიდი მონაცემები გავლენას ახდენს სახელშეკრულებო პროცესზე, იგი ხელშეკრულების სახეს ცვლის და დიდ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას ფლობდეს ძალაუფლებას ხელშეკრულების სხვა მხარეებზე და არა მხოლოდ მომხმარებლებზე, არამედ მცირე მეწარმეებზეც.³⁹¹ კომპანიები იყენებენ დიდ მონაცემებს ხელშეკრულებების შესადგენად, რათა მიიღონ მაქსიმალური მოგება.³⁹² აღნიშნული პრაქტიკის ლეგიტიმაცია ხდება ვებსაიტებისა და აპლიკაციების მიერ, როდესაც მომხმარებელთა თანხმობას მოპოვებენ „ზოგადი პირობების“ და „გამოყენების წესებზე“ მომხმარებელთა დათანხმებით.³⁹³ შესაბამისად, ძლიერი მხარე უფრო ძლიერი ხდება, ხოლო სუსტი მხარე უფრო სუსტი, აღნიშნული პროცესი კი გავლენას ახდენს როგორც ბიზნესი-ბიზნესს მოდელზე, ასევე ბიზნესი-მომხმარებელს მოდელზე.³⁹⁴ საგულისხმოა, რომ **მომსახურების პირობების ხელშეკრულება (გამოყენების პირობების ხელშეკრულება)** დამოკიდებულია ბიზნესსა და მომსახურების ტიპზე და იგი იდება როგორც ბიზნესმომხმარებლებთან, ასევე ინდივიდუალურ მომხმარებლებთან, მის საფუძველზე კი მომხმარებლები თანხმდებიან ვებსაიტის ან ონლაინ-მომსახურების გამოყენებას და იბოჭებიან ვებსაიტის ანდა ონლაინ მომსახურების გამოყენებით.³⁹⁵ გამოყენების პირობების ხელშეკრულება შესაძლებელია შეიცავდეს სავალდებულო პირობებს,³⁹⁶ ხოლო მხარეებს შორის მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, არამედ სახელშეკრულებო პირობები ეფუძნება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებიც წინასწარაა შედგენილი და ძლიერი კონტრაქტის თავეს ახვევს სუსტ მხარეს.³⁹⁷ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ ვებსაიტებთან, რომლებიც მოცემულ ურთიერთობაში მესამე მხარეები არიან, ასევე უკავშირდება განთავსებული შინაარსების (კონტენტის) საკუთრების საკითხს, გადახდის საკითხებს, ინტელექტუალური საკუთრებას და დამატებით ინფორმაციებს.³⁹⁸ მომხმარებლებს, რომლებიც შედიან გარიგებაში და დებენ ხელშეკრულებებს მიწოდების ჯაჭვის ხილულ და უხილავ აქტორებთან, რომელთაც უხდის მონაცემებითა თუ თანხით, ტექნოლოგიებთან ამყარებენ კომპლექსურ და სახელშეკრულებო კავშირს.³⁹⁹ მეტიც, გამოყენების პირობების ხელშეკრულება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი, განსხვავდებოდეს

³⁹⁰ Unfair Contract Terms Provisions in CESL, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, Legal Affairs, 2012, 9.

³⁹¹ Börklüce C., Big Data Misuse and European Contract Law, European Review of Contract Law, Vol. 20, No. 2, 2024, 347.

³⁹² იქვე, 327.

³⁹³ Zander-Hayat H., Reisch L. A., Steffen C., Personalisierte Preise: Eine verbraucherpolitische Einordnung. Verbraucher und Recht, Vol. 31, No. 11, 2016, 408-409

³⁹⁴ Börklüce C., Big Data Misuse and European Contract Law, European Review of Contract Law, Vol. 20, No. 2, 2024, 325.

³⁹⁵ Taylor B.C., Terms of Service Agreement Contracts: An Overview of Personal Risk Management and Recommendations for Enhancing User Awareness, Electronic Theses, Projects, and Dissertations, 1520, 2022, 1-4.

³⁹⁶ Rustad M.L., Buckingham R., D'Angelo D., Durlacher, K., An Empirical Study of Predispute Mandatory Arbitration Clauses in Social Media Terms of Service Agreements, University of Arkansas Law Review, Vol. 34, No 4, 2012, 654.

³⁹⁷ Cadogan M. S., Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 11.

³⁹⁸ Taylor B.C., Terms of Service Agreement Contracts: An Overview of Personal Risk Management and Recommendations for Enhancing User Awareness, Electronic Theses, Projects, and Dissertations, 1520, 2022, 4.

³⁹⁹ Mucelin G., Internet of Things and Consumers' Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 290.

ხელშეკრულებაში მოცემული ტერმინოლოგია და ინფორმაციის რაოდენობა.⁴⁰⁰ შესაბამისად, მისი ნამდვილობის დასადგენად აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ჭკვიანი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენის საფუძვლები, კონტექსტის გაანალიზება და სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლის შესაძლებლობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომხმარებლისა თუ ბიზნესმომხმარებლის მიერ პლატფორმული მომსახურების მიღებისას გენერირებულ მონაცემებზე წვდომა, მაშინ მისი მოწესრიგება შესაძლებელია ევროკავშირის „მონაცემთა აქტის“ ფარგლებში.

2. დიდი მონაცემების მიმართება ხელშეკრულებასთან ციფრულ ბაზარზე

2.1. სახელშეკრულებო ურთიერთობების ტექნოლოგიური ასპექტი და დიდი მონაცემები

თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობამ, კერძოდ, მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის სახემ ფორმა იცვალა; თუ ტრადიციული ვაჭრობის დროს, როდესაც მომხმარებელი მიდიოდა მაღაზიაში ან შედიოდა საიტზე, ანდაც იყენებდა პლატფორმებს, ურთიერთობა სრულდებოდა მაშინვე, როცა მომხმარებელი პროდუქტს იყიდდა, ახლა, ნივთების ინტერნეტის პირობებში მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედება დინამიური გახდა – მონაცემები და პერსონალური ინფორმაცია ცირკულირებს „ჭკვიან გარემოში“ (Smart Environment) და ამ ურთიერთობის ხანგრძლივობა გამოყენებული პროდუქტის (ციფრული ტექნოლოგიის) სიცოცხლის ხანგრძლივობის ტოლია.⁴⁰¹ მეტიც, ვითარდება „ჭკვიანი ბიზნესი“, რომელშიც ბიზნესები გაერთიანებულია ერთი მიზნით, ხოლო კოორდინაცია ხორციელდება ონლაინ ქსელების და მანქანური დასწავლის ტექნოლოგიების საშუალებით, რათა ბიზნესმა გამოიყენოს მონაცემები რეალურ დროში, ხოლო ციფრული მონაცემები მანქანური დასწავლის საწვავია და მონაცემთა მეცნიერები უფრო და უფრო ხვეწენ პროგნოზირების მოდელებს, შეიმუშავებენ ალგორითმებს, რათა უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს რეალურ დროში.⁴⁰² მონაცემთა მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგებია დიდი მონაცემები და სიღრმისეული დასწავლა (Deep Learning), რომელიც ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის ქვეჯგუფია; მანქანური დასწავლის ალგორითმები გამოიყენება დიდი მონაცემების ანალიტიკაში, რათა იპოვოს მნიშვნელოვანი კანონზომიერებები მონაცემებში.⁴⁰³ მანქანური დასწავლის ალგორითმს შეუძლია დაიმახსოვროს გამოცდილებიდან და წარსულიდან, ხოლო ღრმა სწავლება შესაძლებლობას იძლევა იპოვოს რთული და კომპლექსური კანონზომიერებები (პატერნები) დიდი მოცულობის მონაცემებში/ინფორმაციაში.⁴⁰⁴

მანქანური დასწავლისა და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების ინტეგრაციას შეუძლია მნიშვნელოვანად გააუმჯობესოს დიდი მონაცემების ეკოსისტემა, შესაბამისად,

⁴⁰⁰ Cadogan M. S., Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023, 14.

⁴⁰¹ Mucelin G., Internet of Things and Consumers' Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 290.

⁴⁰² Zeng M., Alibaba and the Future of Business, In: HBR's 10 Must Read on Platforms and Ecosystems, Edited by Lansiti M., Lakhani K.R., Van Alstyne M. W., Parker G., Boston, 2021, 142-143.

⁴⁰³ Malik S., Tyagt A.K., Sahoo R., Machine Learning Algorithms for Big Data Analytics Including Deep Learning, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022, 76.

⁴⁰⁴ იქვე. 92.

არქიტექტურა, კერძოდ, გაზარდოს ოპერაციული ეფექტიანობა და უსაფრთხოება.⁴⁰⁵ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილია იმდენად, რამდენადაც ის მონაცემთა მართვას, უსაფრთხოებასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს,⁴⁰⁶ რომელიც მნიშვნელოვანია დიდი მონაცემების ეკოსისტემისთვის. განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების სისტემას შეუძლია მიაღწიოს ოპერაციის მასშტაბურობას და გასცდეს იმ შეზღუდვებს, რასაც ინსტიტუციურად ორიენტირებული მმართველობა აწესებს.⁴⁰⁷ მასშტაბურობა არის პლატფორმების, აპლიკაციების და სხვა სისტემების უნარი განახორციელონ მათზე დაკისრებული ამოცანები როდესაც „ფუნქციური რესურსები“ მეტი რესურსის სისტემაში განაწილების შედეგად იზრდება, თავის მხრივ, სისტემის ფუნქციონირება მოიცავს მომხმარებელთა შედეგების გამოთვლას, ოპერაციებისა და გარიგებების (ტრანზაქციების) განხორციელებას.⁴⁰⁸ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები უფრო ინტეგრირებულია და უზრუნველყოფს ერთიანობას, ამიტომაც შეუძლია მზარდი რესურსების გადაცემა უცნობ მონაწილეებს შორის, რაც განსხვავდება კონტროლირებადი მმართველობისგან, რომელიც მოიცავს ინდივიდებს, სახელმწიფოსა და ინსტიტუციებს.⁴⁰⁹ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები, როგორცაა ბლოკჩეინი, უზრუნველყოფს დეცენტრალიზებულ ჩარჩოს, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გაზიარებისა და შენახვისთვის. იმ სისტემების არქიტექტურა, რომლებიც განფენილი რეესტრის ტექნოლოგიის საფუძველზე მუშაობს, არის მრავალშრიანი, რომლის თითოეული შრე დამოკიდებულია განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებზე, რათა შეასრულოს საკუთარი ფუნქცია, როგორცაა მონაცემთა შენახვა, მონაცემთა უსაფრთხოება (მონაცემთა შრე), მონაცემთა მთლიანობის ურღვევობა (მონაცემთა ნამდვილობის შრე), ისინი ერთად კი უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას, მონაცემებზე უსაფრთხო წვდომას, მონაცემების გადამოწმებადობას.⁴¹⁰ არქიტექტურის გარიგებათა შრის ეტაპზე კი მომხმარებლები აზიარებენ და ვაჭრობენ მონაცემებით ჰკვიანი ხელშეკრულების საშუალებით.⁴¹¹ მონაცემთა დეცენტრალიზებულ არქიტექტურაში, თავის მხრივ, ა) მიწოდების ჯაჭვის თითოეული მონაწილე მართავს საკუთარ მონაცემებს, რომელიც არ უზიარებს სხვებს ამ მონაცემებს; ბ) მიწოდების ჯაჭვის მონაწილეები დამოკიდებულნი არიან სანდო მესამე მხარეზე, რათა გაცვალონ მონაცემები; გ) ამ პროცესში მონაცემები პროდუქტია და ვინც მოიხმარს მონაცემებს ხდება მომხმარებელი. დ) განფენილი რეესტრის ტექნოლოგია არის მდგრადი მონაცემთა ეკოსისტემის დამატება, რათა დაამუშაოს დიდი მასშტაბით არსებული მონაცემები, შეინახოს სხვადასხვა ტიპის მონაცემები.⁴¹²

⁴⁰⁵ Short Andrew Ronald, Distributed Ledger Technologies (DLT) and Machine Learning, PhD Thesis at University of West Attica, July 2024, 33 and 82.

⁴⁰⁶ Zichichi, M., Ferretti, S., D'Angelo, G., A framework based on distributed ledger technologies for data management and services in intelligent transportation systems. IEEE Access, Vol. 8, 2020, 100385.

⁴⁰⁷ Benedict G., Challenges of DLT-Enabled Scalablegovernance and the Role of Standards, Journal of ICT Standardization, Vol. 7, No. 3, 2019, 196.

⁴⁰⁸ Lehrig S., Eikerling H., Becker S., Scalability, Elasticity, and Efficiency in Cloud Computing: A Systematic Literature Review of Definitions and Metrics, In Proceedings of the 11th international ACM SIGSOFT Conference on Quality of Software Architectures, 2015, 87.

⁴⁰⁹ Benedict G., Challenges of DLT-Enabled Scalablegovernance and the Role of Standards, Journal of ICT Standardization, Vol. 7, No. 3, 2019, 198.

⁴¹⁰ Zichichi, M., Ferretti, S., D'Angelo, G., A framework based on distributed ledger technologies for data management and services in intelligent transportation systems. IEEE Access, Vol. 8, 2020, 100389-100390.

⁴¹¹ იქვე, 100391.

⁴¹² Pörtner L., Möske R., Riel A., Data Ecosystem for Industrial Product- Service Systems (IP2) Based on a Decentralized Data Architecture, 33rd CIRP Design Conference, 2023, 1229-1232.

შენახვის ერთ-ერთი მეთოდია ფაილების დეცენტრალიზებული შენახვა, რაც გულისხმობს ფაილების ღრუბლოვან შემნახველში შენახვას, თუმცა დეცენტრალიზაციის უპირატესობებით, რომელიც მოიცავს პირისპირადი (Peer-to-peer) კვანძების (Nodes) ქსელებს და ეფუძნება იმავე პროტოკოლებს, რომლებიც შინაარსების შენახვასა და მოპოვებას უზრუნველყოფს. თავისი მხრივ, შინაარსების მაკავშირებლობისთვის გამოიყენება მონაცემთა განფენილი დაქსაქსული ცხრილი (distributed hash table), რომელიც მონაცემთა სტრუქტურაა და აკავშირებს ერთმანეთთან მონაცემთა „გასაღებსა“ (key) და ღირებულებებს (values).⁴¹³ შესაბამისად, პოულობენ ერთმანეთთან რთულ კანონზომიერებებს მონაცემებს შორის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირისპირად ქსელი ვირტუალურია, რომელშიც კომპიუტერები უკავშირდება სხვა ქვეჯგუფებს მონაცემებთან პირდაპირი ფიზიკური კავშირის გარეშე.⁴¹⁴ აღსანიშნავია, რომ მაკავშირებლობა (mapping), რომელიც მონაცემთა ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილია, არის პროცესი გამოხატავს რა ურთიერთკავშირებს, რომელიც აჩვენებს თუ მონაცემთა ეკოსისტემის სხვადასხვა ნაწილები როგორ ჯგუფდება ერთმანეთთან, როგორ უკავშირდება ან მიემართება ერთმანეთს, სხვა სიტყვებით, მაკავშირებლობა ამყარებს კავშირებს მონაცემთა ეკოსისტემის სხვადასხვა ელემენტებს შორის⁴¹⁵ და მოიცავს ონტოლოგიებს⁴¹⁶ შორის მაკავშირებლობას (რაც გულისხმობს სხვადასხვა ონტოლოგიებში კონცეფციებს შორის კავშირების პოვნას, რომელიც ეკოსისტემის დომენურ ონტოლოგიას⁴¹⁷ ქმნის) და მონაცემთა ერთობლიობებს შორის მაკავშირებლობა (რომელიც ეკოსისტემის მონაცემთა ერთობლიობებში და დომენის ონტოლოგიის მონაცემთა ერთობლიობებში მონაცემებს შორის ურთიერთობებს წარმოადგენს).⁴¹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ მოწყობილობაზე ორიენტირებული მასშტაბურობის სქემები სტატიკურია და აქვს შეზღუდული შესაძლებლობა მიაღწიოს მაღალ მასშტაბურობას, მაშინ როდესაც პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მასშტაბურობის სქემები უზრუნველყოფს მაღალ მასშტაბურობას და მას შეუძლია დინამიური ზრდა.⁴¹⁹ ასევე ეს კომპიუტერული პროგრამების (ჰიპერტექსტების) დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ბიზნესპროცესების ავტომატიზაციას რამდენიმე ორგანიზაციაში ერთად. ამ პროცესში

⁴¹³ Zichichi, M., Ferretti S., Rodríguez-Doncel V., Decentralized Personal Data Marketplaces: How Participation in a DAO Can Support the Production of Citizen-Generated, Vol. 22, No. 16, 2022, 3-4.

⁴¹⁴ Newman M., Networks, Oxford University Press, 2018, 714.

⁴¹⁵ Data Ecosystems: Sovereign Data Exchange among Organizations (Dagstuhl Seminar 19391), Edited by C. Cappello, A. Gal, M. Jarke, J. Rehof, In: Dagstuhl Reports, Vol. 9, No. 9, 2020, 79.

⁴¹⁶ **ონტოლოგია და დომენის ონტოლოგია კომპიუტერული მეცნიერების სპეციალურ ტერმინებია. ონტოლოგია აღწერს დომენის დისკურსში კონცეფციებს, მათ ურთიერთკავშირსა და ასოციაციებს, ონტოლოგია ნათელ წარმოდგენას ქმნის დომენზე** ob., Sattar A., Surin E.S.M., Ahmad M., Comparative Analysis of Methodologies for Domain Ontology Development: A Systematic Review, International Journal of Advanced Computer Science and Applications, Vol. 11, No. 5, 2020, 99; Guarino, N., Giaretta, P., Ontologies and Knowledge Bases: Towards a Terminological Clarification, In Towards Very Large Knowledge Bases: Knowledge Building and Knowledge Sharing, edited by N. Mars, 1995, 26.

⁴¹⁷ **დომენი არის სივრცე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ცოდნას, ზეგავლენასა და აქტივობებს. პროგრამული უზრუნველყოფის დომენი არის შინაარსობრივი სივრცე (The Subject Area), რომლის მიმართაც მომხმარებელი იყენებს პროგრამას, შინაარსობრივი სივრცე კი შეიძლება იყოს ჯანმრთელობა, ფინანსები, განათლება, რომელთა მიმართებაშიც პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება,** ob., Evans E., Domain-Driven Design Reference: Definitions and Pattern Summeries, 2015, vi. ob., <<https://bit.ly/45sV3W4>> [29.08.2023]; Sommerville, I., Software Engineering, 9th edition, Addison-Wesley, 2011.

⁴¹⁸ Data Ecosystems: Sovereign Data Exchange among Organizations (Dagstuhl Seminar 19391), Edited by C. Cappello, A. Gal, M. Jarke, J. Rehof, In: Dagstuhl Reports, Vol. 9, No. 9, 2020, 79-80.

⁴¹⁹ Lee Y.L., Kim S., Software Approaches to Assuring High Scalability in Cloud Computing, International Conference on E-Business Engineering, 2010, 306.

მრავალი მხარე შეიძლება მონაწილეობდეს გამყიდველიდან დაწყებული ბანკითა და სადაზღვეო კომპანიებით დასრულებული.⁴²⁰ შესაბამისად, ნებისმიერი პროგრამა იქნება ჭკვიანი ხელშეკრულება თუ სისტემა, რომელიც მაკავშირებლობას იყენებს, არის დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილი. განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებში მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ჭკვიანი ხელშეკრულების აღსრულებით, რომელიც აკონკრეტებს იმ წესებს, რომლებიც მართავს გარიგებებს.⁴²¹

2.2. დიდი მონაცემების გავლენა ხელშეკრულების არსზე

სამართალმა ხელი უნდა შეუწყოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მხარეებს, რათა გარიგებებიდან ერთობლივი სარგებლის მაქსიმიზაცია შეძლონ, რასაც „სახელშეკრულებო ნამეტი“ ეწოდება (Contractual Surplus).⁴²² ხოლო ბიზნესში ხელშეკრულების ეფექტურობა ეფუძნება მხარეთა ნების თავისუფლებას, ანუ „სახელშეკრულებო სუვერენიტეტი“ განისაზღვრება მხარეთა შესაძლებლობით მიაღწიონ სახელშეკრულებო ნამეტის მაქსიმიზაციას.⁴²³ სახელშეკრულებო სამართლის ინსტრუმენტები, კერძოდ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა და ბიზნეს-ბიზნესს მოდელის მიერ უსამართლო სტანდარტული პირობების კონტროლის წესების ციფრული ეკონომიკის სპეციფიკური გამოწვევებისთვის ადაპტირება შესაძლებელია.⁴²⁴

თავისთავად, დიდი მონაცემების სახელშეკრულებო მოწესრიგებისთვის აუცილებელია განისაზღვროს დიდი მონაცემების, როგორც ინფორმაციის სამართლებრივი რეჟიმი. მნიშვნელოვანია დადგინდეს, დიდი მონაცემები განხილულ უნდა იქნეს როგორც საქონელი თუ როგორც საზოგადო საკუთრება. დიდ მონაცემებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც საზოგადო საკუთრებას, რადგან მისი მოპოვება შესაძლებელია ნებისმიერი ციფრული პლატფორმის მეშვეობით, ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში დიდი მონაცემები, როგორც ინფორმაცია შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც საზოგადოებრივი სიკეთე.⁴²⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადო საკუთრება არის ყველა სიკეთე და არსებობისთვის აუცილებელი საშუალება, იგი არ არის საქონელი და, შესაბამისად, საზოგადო საკუთრება ქმნის ისეთ სოციალურ წესრიგს, რითაც უპირისპირდება საბაზრო ეკონომიკის მიერ ჩამოყალიბებულ წესრიგს.⁴²⁶ ინფორმაცია როგორც საქონელი არის სახელშეკრულებო და ინტელექტუალური სამართლის სუბიექტი.⁴²⁷ შესაბამისად შეცვლილი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც გამოწვეულია ციფრული ეკონომიკის განვითარებით, საჭიროებს

⁴²⁰ Magazzeni D., McBurney P., Nash W., Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda, Computer, Vol. 50, No. 2017, 9, 52.

⁴²¹ Kannadhasan S., Nagarajan R., Wang X., Machine Learning-based Blockchain Technologies for Data Storage: Challenges, and Opportunities, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022, 107.

⁴²² Schwartz A., Scott R.E., Contract Theory and the Limits of Contract Law, The Yale Law Journal, Vol. 113, No. 3, 2003, 544.

⁴²³ Dagan H., Kreitner R., Economic Analysis in Law, Yale Journal on Regulation, Vol. 38, No. 566, 2021, 574-575.

⁴²⁴ Trading Data in the Digital Economy: Legal Concepts and Tools, Edited by Staudenmayer D., Schulze R., Lohsse S., Munich, 2017, 23.

⁴²⁵ Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 42-43.

⁴²⁶ Ricoveri G., Nature for Sale: The Commons versus Commodities, Pluto Press, 2013, 31.

⁴²⁷ Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 41.

სახელშეკრულებო ურთიერთობის შესაფერის მოწესრიგებას, რომელიც გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო პრაქტიკასაც.

თუმცა საქონელი მისი ბუნებიდან გამომდინარე, თუ რამდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის არსებობისთვის, შესაძლებელია იყოს საზოგადო საკუთრების ნაწილიც.⁴²⁸ მაგრამ ციფრულ ბაზარზე ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც მოხმარების საგანი, ასევე სარგებლის მომტანიც, ამიტომ შესაძლოა ის ჩაითვალოს როგორც საქონელი და გახდეს ხელშეკრულების საგანიც.⁴²⁹ მონაცემები შესაძლებელია იყოს სახელშეკრულებო მოწესრიგების საკითხი,⁴³⁰ ისევე როგორც ხელშეკრულების საგანი შესაძლებელია იყოს მონაცემებზე ელექტრონული წვდომის საკითხიც.⁴³¹ თავის მხრივ, მონაცემები ჭკვიანი ხელშეკრულებების დროს არის ჭკვიანი ხელშეკრულების პროცედურების აღსრულების ინსტრუმენტი, რა დროსაც მონაცემები ითარგმნება ალგორითმში.⁴³² მეტიც მონაცემებზე დაფუძნებულ ბიზნესმოდელების პირობებში მომხმარებელი არ იხდის ციფრული მომსახურებისთვის, არამედ ის აწვდის ბიზნესს საკუთარ ციფრულ მონაცემებს, როგორებიცაა IP მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ადგილმდებარეობა, ხოლო მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები ყოველთვის გროვდება და მუშავდება ბიზნესი-მომხმარებელს მოდელის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.⁴³³ შესაბამისად, ჭკვიანი ხელშეკრულებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჭირო მონაცემთა მონიტორინგისა და რეპორტირებისთვის, როგორცაა თავსებადობა კანონთან, მარეგულირებლის თანხმობის ან უარის შემოწმება, კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაწესება.⁴³⁴

მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაიდოს ხელშეკრულება პროფესიონალ მომხმარებელთან, რომელიც იყენებს და ითხოვს მონაცემთა დამუშავების მომსახურებას დაკავშირებულს მის ვაჭრობასთან, ბიზნესთან, ფუნქციონირებასთან, პროფესიასთან ან ამოცანებთან და იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი ან ორგანო, რომელიც საჯარო სამართლებრივი ნორმებით იმართება.⁴³⁵ ხოლო ხელშეკრულებაში ნათლად, დეტალურად და გამჭვირვალედ უნდა იყოს გაწერილი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების, ტექნიკური მოთხოვნების, დროითი ჩარჩოსი და საზღაურის შესახებ, რომელიც მიემართება პროფესიონალ მომხმარებელს, რომელსაც გაუჩნდება სურვილი შეიცვალოს მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც ამუშავებს მონაცემებს, ან დააპორტიროს მონაცემები საკუთარ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებში.⁴³⁶ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შეკრებილი (aggregation) არაპერსონალური მონაცემები ქმნის იმ პროდუქტს, რომელიც შეიძლება იყოს უფლებისა და განკარგვის საგანი,⁴³⁷ ისეთი შემთხვევებისას, როდესაც

⁴²⁸ Ricoveri G., *Nature for Sale: The Commons versus Commodities*, Pluto Press, 2013, 33.

⁴²⁹ Mäihäniemi B., *Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market*, Edward Elgar Publishing, 2020, 290.

⁴³⁰ Regulation (EU) 2018/1807 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 on a Framework for the Free Flow of Non-personal Data in the European Union (Text with EEA relevance.) PE/53/2018/REV/1, Recital 4-5.

⁴³¹ იქვე, Recital 25.

⁴³² Perplingieri C., *Data as the Object of a Contract and Contract Epistemology*, Italian Law Journal, Vol. 5, No. 2, 2019, 625.

⁴³³ Bedir C., *Contract Law in the Age of Big Data*, European Review of Contract Law, Vol. 16, No. 3, 2020, 348-349.

⁴³⁴ Magazzeni D., McBurney P., Nash W., *Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda*, Computer, Vol. 50, No. 9, 2017, 52.

⁴³⁵ Regulation (EU) 2018/1807 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 on a Framework for the Free Flow of Non-personal Data in the European Union (Text with EEA relevance.) PE/53/2018/REV/1, Art. 3, point 8.

⁴³⁶ იქვე, art. 6, point 1b.

⁴³⁷ Perplingieri C., *Data as the Object of a Contract and Contract Epistemology*, Italian Law Journal, Vol. 5, No. 2, 2019, 622.

მონაცემები არ არის მიმოცვლის საგანი, არამედ მონაცემები არის შენახვისა და ფაილინგის საგანი, ღრუბლოვანი გამოთვლის შემთხვევაში.⁴³⁸ შესაბამისად, მსგავსი მონაცემები შესაძლებელია იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის საგანი, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია იყოს მომსახურება.⁴³⁹ მათ შორის მონაცემების წვდომის უფლება აქვს მომხმარებელს, რომელიც იყენებს ან ითხოვს მონაცემების დამუშავების მომსახურებას; მომხმარებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი ან ორგანო, რომელიც საჯარო სამართლებრივი ნორმებით იმართება.⁴⁴⁰ ხელისუფლების წარმომადგენელი შეიძლება იყოს ასევე უფლებამოსილი ორგანო (public authority), იგი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ორგანო ანდა ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს ან საჯარო უფლებამოსილებებს, რომელთაც აქვს ძალაუფლება მოიპოვოს დაშვება მონაცემებზე, რომელიც დამუშავებულია ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი ოფიციალური უფლებამოსილებების შესრულებისთვის, რაც განსაზღვრულია ევროკავშირის ან ეროვნული კანონით.⁴⁴¹ ევროკავშირის მიერ განმარტებული უფლებამოსილი ორგანო ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობის მიერ განმარტებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც არის როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ფუნქცია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების შესრულებაა.⁴⁴²

ამრიგად, ციფრულ ეკონომიკის განვითარებით გამოწვეული შეცვლილი ეკონომიკური წესრიგი საჭიროებს სახელშეკრულებო ურთიერთობის შესაფერის მოწესრიგებას, რომელიც გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო პრაქტიკასაც. თავის მხრივ, ციფრული ხელშეკრულება არის ციფრული შინაარსობრივი მასალა, იგი იქმნება ელექტრონული დოკუმენტის სახით და იდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასევე დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმირების ზოგადი წესები. ელექტრონული ხელშეკრულების ნაირსახეობაა ჭკვიანი ხელშეკრულება, რომელიც განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების საშუალებით ფუნქციონირებს. ჭკვიანი ხელშეკრულება პროგრამული კოდია, რომელიც იდება ბიზნესოპერატორებს შორის, ადამიანებს შორის, მანქანებს შორის და მისი აღსრულება ავტომატურად ხორციელდება. გარიგების მართვის, ხელშეკრულებების ჩაწერის, ჩანაწერის შენახვის, ხელშეკრულების გადამოწმებისთვის, მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გამოიყენება განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები, რომელიც შედგება შრეებისგან, თითოეული შრე კი პასუხისმგებელია კონკრეტული ამოცანის შესრულებაზე. ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობის დასადგენად უნდა განისაზღვროს ყველა ის დეტალი, რომლის მიხედვითაც ელექტრონული საშუალების დახმარებით დაიდო ელექტრონული ხელშეკრულება. რაც შეეხება ჭკვიან ხელშეკრულებას, მისი ნამდვილობის განსაზღვრისთვის აუცილებელია გაანალიზდეს ის პროგრამული კოდი და ის ტექნოლოგია, რომელშიც წარმოიშობა, იდება

⁴³⁸ იქვე, 624.

⁴³⁹ Regulation (EU) 2018/1807 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 on a Framework for the Free Flow of Non-personal Data in the European Union (Text with EEA relevance.) PE/53/2018/REV/1, Art. 2 and art. 3, point 4.

⁴⁴⁰ იქვე, Art. 3, point 7.

⁴⁴¹ იქვე, Art. 3, point 6.

⁴⁴² „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 მუხლის, პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

და აღსრულება აღნიშნული ხელშეკრულება. ჭკვიანი ხელშეკრულება მაშინ ჩაითვლება სამართლებრივად მხოლოდ გარიგებად, თუ მხარეთა ნება და მხარეთა განზრახულობა ნათლადაა გამოხატული და ხელშეკრულების საგანი არ იქნება არაადეკვატური და შეუფერებელი.

თავისი ბუნებით განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები დიდი მონაცემების ეკოსისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უპასუხებს კანონის მოთხოვნებს და მუშაობს კანონის შესაბამისად, მაგრამ კანონს მიღმა დარჩენილი ის მონაცემები, რომლებიც წარმოებულია და გამოყენებულია განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებში, არ ხორციელდება მათი კონტროლი, არ ხორციელდება მათი შემოწმება, რადგან მონაცემთა დეცენტრალიზებულ არქიტექტურაში მიწოდების ჯაჭვის თითოეული მონაწილე მართავს საკუთარ მონაცემებს, რომელიც არ უზიარებს სხვებს ამ მონაცემებს, მიწოდების ჯაჭვის მონაწილეები დამოკიდებულნი არიან სანდო მესამე მხარეზე, რათა გაცვალონ მონაცემები; ამ პროცესში მონაცემები პროდუქტია და ვინც მოიხმარს მონაცემებს ხდება მომხმარებელი.

უნდა აღინიშნოს, რომე ციფრული ხელშეკრულების დადებისას, მოქმედებისას, აღსრულებისას და ფუნქციონირებისას იქმნება და გამოიყენება დიდი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ციფრული ხელშეკრულების მხარეებთან, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ციფრული ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ წვდომა საკუთარი ბიზნესაქტივობიდან წარმოშობილ მონაცემებზე. მათ შორის ისეთ მონაცემებზე, რომლებიც ბიზნესისთვის აუცილებელია სტატისტიკური გამოთვლების გასაკეთებლად. შესაბამისად, მხოლოდ დეცენტრალიზებულ განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებს შეუძლიათ უზრუნველყონ დიდი მონაცემების უსაფრთხოება ამ მონაცემების მაგენერირებელი მხარეებისთვის, ხოლო თუ განფენილი რეესტრის ტექნოლოგია არის ცენტრალიზებული, მაშინ ხორციელდება მისი კონტროლი. თუმცა კანონმა მხარეებს, რომლებიც დეცენტრალიზებული განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებს იყენებს, ხელშეკრულების ნამდვილობისთვის დამატებითი დაშვებები უნდა შეიმუშაოს, კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულებების ნამდვილობა დამოკიდებული უნდა იყოს სანდო მესამე მხარის მიერ მიწოდებული მომსახურების კანონიერებაზე და ლიცენზირებაზე.

V. კონკურენცია ციფრულ ფინანსურ ბაზარზე
1. დიდი მონაცემები და შესაბამისი ციფრული ფინანსური ბაზარი
1.1. შესაბამისი ბაზარი ციფრულ ეკონომიკაში

ციფრული ბაზრები მოიცავს ფართო და სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას სხვადასხვა ბიზნესმოდელებითა და მახასიათებლებით,⁴⁴³ ციფრული მომსახურება ზოგადად, ხოლო პლატფორმები კონკრეტულად თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში.⁴⁴⁴ ციფრული პლატფორმები, იგივე ციფრული ეკოსისტემა, ფირმების ერთობლიობაა, რომლებიც მუშაობენ ერთად, რათა შექმნან ახალი ბაზარები და აწარმოონ პროდუქტი და მომსახურება, რომელსაც ექნება ღირებულება.⁴⁴⁵ იგი პროდუქციისა და მოხმარების ეკოსისტემის გაციფრულებული სახეა, შედგება მრავალი მონაწილისგან და მოიცავს მრავალი სახის ურთიერთდაკავშირებულ პროდუქტსა და მომსახურებას, რაც ართულებს ბაზრის განსაზღვრას კონკურენციის მიზნებისთვის.⁴⁴⁶ ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ძირითადი პლატფორმული მომსახურების გამწევ დაშვების გუმაგებს, რომლებიც ციფრულ ბაზრებში მყარადაა „ჩაშენებული“.⁴⁴⁷

თავის მხრივ, შესაბამისი ბაზარი დინამიკური კონცეფციაა⁴⁴⁸ და მისი განმარტება ფართოა – იგი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სივრცე გარკვეულ ტერიტორიაზე, ხოლო სივრცე შეიძლება მოიცავდეს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიას, ასევე საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, ანდა საქართველოს ტერიტორიას ან საქართველოს ტერიტორიის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ერთად ან სხვა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილთან ერთად. ზემოაღნიშნული ტერიტორიის საზღვრები დგინდება საქონლის ან მომსახურების შემენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.⁴⁴⁹ შესაბამისი სასაქონლო ბაზარი აერთიანებს საქონლის რეალიზაციის საერთო პირობების ნიშნის მქონე არეალს, განსაზღვრული მიმწოდებლებითა (გამყიდველებით) და მომხმარებლებით (მყიდველებით), სადაც გამყიდველებსა და მყიდველებს შორის მყარდება სავაჭრო ურთიერთობა,⁴⁵⁰ ხოლო მისი დადგენა მოიცავს ბაზრის ანალიზს, კერძოდ, პროდუქციული საზღვრების, გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოს დადგენას.⁴⁵¹ კონკურენციის მიზნებისთვის პროდუქციის ბაზრისა და გეოგრაფიული არეალის

⁴⁴³ Larouche P., de Streel A., The European Digital Markets Act: A Revolution Grounded on Traditions, Journal of European Competition Law & Practice, Vol. 12, No. 7, 2021, 557.

⁴⁴⁴ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L265, 12.10.2022, Recital 1.

⁴⁴⁵ Support Study Accompanying the Evaluation of the Commission Notice on the Definition of Relevant Market for the Purposes of Community Competition Law, European Commission, Directorate-General for Competition, Luxembourg, 2021, 77-79, ob., <<https://bit.ly/481GWHN>> [01.02.2024]

⁴⁴⁶ Robertson V., Antitrust Market Definition for Digital Ecosystems, Competition Policy in the Digital Economy, Concurrences Review, N2-2021, 2021, 3-4, ob., <<https://bit.ly/3SkBGsM>> [30.01.2024]

⁴⁴⁷ Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Contestable and Fair Markets in the Digital Sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020, 1.

⁴⁴⁸ Kalesná K., Relevant Market – Digital Challenges, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 78.

⁴⁴⁹ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი.

⁴⁵⁰ საქართველოს კონკურენციის მომხმარებლის დაცვის სააგენტოს 2017 წლის 04 დეკემბრის N 04/325 ბრძანება „შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, IV ნაწილი. კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება.

⁴⁵¹ ჯაფარიძე ლ., ზუკაკიშვილი ქ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 132.

განსაზღვრა მიუთითებს თუ საწარმოს მომხმარებელი ვინ არის და გავლენას ახდენს თუ არა პროდუქცია მათზე, შეუძლიათ თუ არა იპოვონ პროდუქციის ჩამნაცვლებელი.⁴⁵²

საგულისხმოა, რომ ციფრული ეკონომიკის პირობებში, თუ ონლაინ და ფიზიკური ბაზარი ერთმანეთს არ ემთხვევა და ერთმანეთს არ ჰკვეთს, გეოგრაფიული განზომილება გარკვეული ხარისხით კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის არასათანადო კრიტერიუმია.⁴⁵³ ხოლო ციფრულ ბაზრებზე მომხმარებლისთვის ბარიერი არა გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ შესაძლებელია ენა და კულტურა აღმოჩნდეს.⁴⁵⁴ ამიტომაც კონკურენციის სამართლისა და პრაქტიკისთვის თითოეული შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ხდება შემთხვევის შესაბამისად,⁴⁵⁵ რაც უფლებამოსილ ორგანოს აძლევს საშუალებას შესაბამისი ბაზრის ფართო კრიტერიუმები დაადგინოს.⁴⁵⁶ შესაბამისი ციფრული ბაზრის განსაზღვრისთვის აუცილებელია დადგინდეს ციფრული ინფრასტრუქტურა, ელექტრონული ვაჭრობის საშუალებები – იქნება ეს ციფრულად შეკვეთის, ციფრულად მიწოდებისა თუ პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული გარიგებები (ტრანზაქციები), და მომხმარებლებისა და მიმწოდებლების დამაკავშირებელი ის ელექტრონული შუამავლები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ასევე უფასო.⁴⁵⁷ შესაბამისად უნდა შეფასდეს ციფრული ეკონომიკის დამახასიათებელი ელემენტები. ასევე, აუცილებელია ციფრული ბაზრის მახასიათებლების გათვალისწინება შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, რათა სწორად შეფასდეს საყურადღებო საკითხები.⁴⁵⁸ უფრო მეტიც, კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის, ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა აუცილებელი ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტი – მომსახურების ბუნება, ბაზრის ფუნქციონირებისა და სტრუქტურის რეალური პირობები – მიუხედავად იმისა აღნიშნული ასპექტები დაკავშირებულია თუ არა შესაბამისი ბაზართან.⁴⁵⁹ ციფრული ბაზრისთვის დამახასიათებელი ფაქტორია ინფორმაცია, როგორც პროდუქტი.⁴⁶⁰ ამიტომ, ბაზრის ონლაინ და ოფლაინ ტიპი ერთმანეთისგან განსხვავდება, იმდენად რამდენადაც ონლაინ ბაზრის ტიპისთვის, ანუ ციფრული ბაზრისთვის დამახასიათებელია მასშტაბის ეკონომია⁴⁶¹ და მომხმარებელთა მონაცემებზე წვდომის საკითხი, როგორც კომერციული წარმატების არსობრივი ელემენტი, ამიტომაც ციფრული ბაზარი არაციფრული ბაზრისგან ცალკე განიხილება.⁴⁶²

⁴⁵² Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 59.

⁴⁵³ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 134.

⁴⁵⁴ იქვე, 135.

⁴⁵⁵ Kalesná K., Relevant Market – Digital Challenges, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 85.

⁴⁵⁶ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 80.

⁴⁵⁷ Barefoot K., Curtis D., Jolliff W., Nicholson J.R., Omohundro R., Defining and Measuring the Digital Economy, Working Paper of Bureau of Economic Analysis of the U.S. Department of Commerce, Washington, 2018, 7-9.

⁴⁵⁸ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 82.

⁴⁵⁹ CB v Commission [CJEU], საქმე C-67/13 P, ECLI:EU:C:2014:2204, 2014, par. 53, par.78.

⁴⁶⁰ Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 59.

⁴⁶¹ მასშტაბის ეკონომია, ანუ წარმოების მასშტაბის ზრდით დაზოგილი თანხა. რა არის ეკონომია მასშტაბზე? ob., <<https://bit.ly/3QIkDB4>> [12.05.2024]

⁴⁶² Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 138.

თავის მხრივ, ციფრული ბაზრები ახალი ეკონომიკის ნაწილია, მას პლატფორმულ ეკონომიკასაც უწოდებენ და ხასიათდება ორ- და მრავალმხრივი/მრავალმხრიანი ბაზრებით, იგივე მრავალმხრივი პლატფორმებით, რომელიც ქოლგა ტერმინია და მოიცავს ბევრ კომპონენტს,⁴⁶³ მაგრამ ორმხრივი ბაზრის ტიპური მახასიათებელია ის, რომ პლატფორმა ყიდის ორ განსხვავებულ პროდუქტს ორი სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებელზე და მოთხოვნა ბაზრის ორივე მხრიდან ურთიერთდამოკიდებულია,⁴⁶⁴ ხოლო მრავალმხრივი ბაზრის აქტორი დაკავშირებულია მომხმარებელთა და კლიენტთა ერთზე მეტ ჯგუფთან,⁴⁶⁵ მოიცავს მრავალ მხარეს და უზრუნველყოფს მათ ურთიერთქმედებას (მათ შორის ინტერაქციას), მაგალითად როდესაც პლატფორმა უზრუნველყოფს არა მხოლოდ საკუთარი პროდუქციის გასაღებას, არამედ მესამე მხარის, როგორც ბაზარზე მიმწოდებლის ჩართვას.⁴⁶⁶ ორი და მრავალმხრივი ბაზრები აერთიანებს ორ ან მეტ განსხვავებული პროდუქტების ბაზრებს, პლატფორმები განუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის გამო კი ბაზრების ერთმანეთისგან განცალკევებით განხილვა შეუძლებელია, შესაბამისად, პლატფორმის თითოეული მხარე (შრე) ცალკე ბაზრად ვერ განიხილება.⁴⁶⁷ ყურადსაღებია, ბევრი ონლაინ ბაზარი არის ე.წ. მრავალმხრივი ბაზრები, ხოლო მრავალმხრივი ბაზრების, იგივე პლატფორმების ზოგიერთი მომსახურება არ მოიცავს მონეტიზაციას, რაც ართულებს შესაბამისი ბაზრის დადგენის შესაძლებლობას.⁴⁶⁸ უფასო შრის არსებობამ არ უნდა შეიყვანოს კონკურენციის დაცვის კომპეტენტური ორგანოები შეცდომაში, თითქოს არ ჰქონდეს უფასო შრეს გავლენა ბაზარზე,⁴⁶⁹ რადგან ციფრული პლატფორმის ბაზრებზე მომსახურება ზოგჯერ უფასოა (მაგ; ინტერნეტში, სოციალური მედიით კავშირების გაბმა, სასტუმროთა დაჯავშნა, ფასთა შედარება), თუმცა ბაზრის განმარტებისას, ბაზრის უფასო შრეს შეუძლია იყოს პლატფორმული ბაზრის (როგორც შესაბამისი ბაზრის) ნაწილი, რომელიც იქნება ბაზრის ორი შრიდან ერთ-ერთი ან შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც ორი დამოუკიდებელი შესაბამისი ბაზრიდან ერთ-ერთი, რომლებიც ერთად აყალიბებს პლატფორმას.⁴⁷⁰ გასათვალისწინებელია, რომ ძირითად პლატფორმულ მომსახურება და ციფრული მომსახურებები ხასიათდება მასშტაბის ეკონომიით.⁴⁷¹ ამრიგად, ციფრული ბაზარი არის კონკრეტული ციფრული მომსახურების (ციფრული პლატფორმის) ბაზარი, მაგალითად კონკრეტული პლატფორმული მომსახურების გამწევი კონკრეტული ციფრული პლატფორმა, როგორცაა amazon, spotify, Facebook.

⁴⁶³ Derave T., Sales T. P., Gailly F., Poels G., Comparing Digital Platform Types in the Platform Economy, *Advanced Information Systems Engineering, Conference Paper at CAiSE 2021*, Vol 12751, 2021, 417.

⁴⁶⁴ Kalesná K., *Relevant Market – Digital Challenges*, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 79-80.

⁴⁶⁵ *Competition Law and Data*, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 27.

⁴⁶⁶ Hagiú A., Wright J., *Multi-sided Platforms*, *International Journal of Industrial Organization*, Vol. 43, 2015, ob. <<https://doi.org/10.1016/j.ijindorg.2015.03.003>> [08.05.2024]

⁴⁶⁷ Robertson, V., *Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?*, *The Competition Law Review*, Vol. 12, No. 2, 2017, 134-137.

⁴⁶⁸ *Competition Law and Data*, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 27.

⁴⁶⁹ Augusto R., Pfeiffer C., *Digital Economy, Big Data and Competition Law*, *Market and Competition Law Review*, Vol. 3, No. 1, 2019, 62.

⁴⁷⁰ Robertson, V., *Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?*, *The Competition Law Review*, Vol. 12, No. 2, 2017, 141.

⁴⁷¹ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L265, 12.10.2022, Recital 2.

ციფრული ეკოსისტემა აერთიანებს რამდენიმე კატეგორიის მიმწოდებელს, მომხმარებელსა და კლიენტს და აიძულებს მათ, რომ ურთიერთქმედება ჰქონდეთ ერთ პლატფორმაზე, ხოლო პროდუქტები და მომსახურებები, რომლებიც იმ შესაბამისი ბაზრების ნაწილია, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის ამ ციფრულ ეკოსისტემას, შესაძლოა ერთმანეთს ფარავდეს ან დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან როგორც ჰორიზონტალურად (განსხვავებული, მაგრამ შემავსებელი პროდუქტები), ასევე ვერტიკალურად (ძირითადი და დამხმარე პროდუქტები).⁴⁷² ამიტომ, (ციფრული) ეკოსისტემის ბაზრის განსაზღვრებისთვის ევროკავშირის კომისია იყენებს პირველადი (ძირითადი) ნაწარმის (პროდუქტისა) და მეორეული ნაწარმის ბაზრის ცნებას. თავის მხრივ ციფრული ეკოსისტემა მოიცავს ძირითად პირველად და რამდენიმე მეორეულ (ციფრულ) ნაწარმს, რომლის მოხმარებაც დამოკიდებულია ძირითად ნაწარმზე,⁴⁷³ კერძოდ, მეორეული პროდუქტი დაკავშირებულია ძირითად ნაწარმთან ტექნოლოგიური კავშირებით ანდა ტექნოლოგიური თავსებადობით.⁴⁷⁴ ამასთანავე, შესაფერის ბაზრებს შესაძლოა ჰქონდეს გლობალური განზომილება თუ მხედველობაში იქნება მიღებული სისტემა, რომელიც შესაფერისი ბაზრების კომპონენტებს აერთიანებს, და ასევე თუ მხედველობაში მიიღება სისტემის შიდა თუ სხვა სისტემებიდან მომდინარე შეჯიბრებითობის შეზღუდვები (competitive constraints).⁴⁷⁵ შესაბამისად ციფრული ეკოსისტემის ნაწარმის შესაბამისი ბაზრის განმარტებისას გამოიყენება თანმდევი ბაზრის (after-market) პრინციპები, რომელიც გულისხმობს პირველადი ნაწარმის მოხმარების შედეგად გამოწვეული სხვა დაკავშირებული მეორეული პროდუქტის მოხმარებას, ასეთ ვითარებაში კი მხედველობაში მიიღება შეჯიბრებითობის შეზღუდვები, რომლებიც შესაბამის დაკავშირებულ ბაზრებზე არსებული საბაზრო გარემოებებითაა ნაკარნახევი, როდესაც განისაზღვრება პირველადი და მეორეული ნაწარმის ბაზრები ან/და როდესაც ფასდება ბაზრის კონკურენტუნარიანობა.⁴⁷⁶ ზოგადად არსებობს სამი მეთოდი, რათა განისაზღვროს პირველადი და მეორეული ნაწარმის შესაბამისი ბაზარი როგორც: 1) **სისტემური ბაზარი**⁴⁷⁷ (რომელიც მოიცავს როგორც პირველად ასევე მეორეულ ბაზარს), 2) **მრავალფეროვანი ბაზრები** (კერძოდ, ბაზარი პირველადი პროდუქტისთვის და ცალკე ბაზრები მეორეული პროდუქტისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პირველად პროდუქტთან), და 3) **ორსახა (დუალისტური) ბაზრები** (კერძოდ, პირველადი ნაწარმის ბაზარი ერთი მხრივ, და მეორეული ნაწარმის ბაზარი მეორე მხრივ)⁴⁷⁸. რა თქმა უნდა, ყველა ციფრული ეკოსისტემა არ თავსდება თანმდევი ბაზრის მიდგომაში, აღნიშნული მიდგომა

⁴⁷² Google and Alphabet v Commission [CJEU], საქმე T-604/18, ECLI:EU:T:2022:541, 2022, par.116.

⁴⁷³ მაგალითად, Apple-ის (ციფრული) ეკოსისტემა მოიცავს: iPhone-ს (პირველადი პროდუქტი), App Store-ს, iCloud-ს, Apple Music-ს (მეორეული ციფრული პროდუქტები).

⁴⁷⁴ Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2024/1645), 2024, par. 104, *ib.*, <<https://bit.ly/42J3VGX>> [28.05.2024]

⁴⁷⁵ Google and Alphabet v Commission [CJEU], საქმე T-604/18, ECLI:EU:T:2022:541, 2022, 116.

⁴⁷⁶ Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2024/1645), 2024, par. 99, *ib.*, <<https://bit.ly/42J3VGX>> [28.05.2024]

⁴⁷⁷ სისტემური ბაზრის მიდგომა უპრიანია, როდესაც მომხმარებელი პირველადი ნაწარმის შეძენისას ითვალისწინებს ხანგრძლივადიან ფასებს; (Whole-Life Costs) მეორეულ პროდუქტზე გაწეულია გაცილებით მაღალი ხარჯები პირველადი პროდუქტთან შედარებით. პირველად ნაწარმს შორის მაღალია ჩანაცვლების ხარისხი და მომსახურების/ნაწარმის შეცვლის დაბალი ხარჯი. როდესაც საერთოდ არ არის ან მცირე მომწოდებელია, მეორეულ ნაწარმზე რომ სპეციალიზირდება. *ib.*, Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2024/1645), 2024, par. 101.

⁴⁷⁸ იქვე, par. 100.

გამოიყენება იმ შემთხვევაში როდესაც შესაბამისი ფაქტორები არსებობს, კერძოდ, ქსელური ეფექტი⁴⁷⁹, მომსახურების/ნაწარმის შეცვლის ხარჯები (switching costs), ასევე მომხმარებლის გადაწყვეტილება გამომდინარეობს ჩაკეტილი ადრესაციიდან (singlehoming) თუ მრავლობითი ადრესაციიდან (multihoming).⁴⁸⁰ აღსანიშნავია, რომ ქსელური ეფექტი მოქმედებს ბაზრების ორ მხარეზე, რომელთაგან პირველი არის მომხმარებელთა ვრცელი ბაზები (რომლებიც იყენებენ პლატფორმას), ხოლო მეორე მხარე არის აღჭურვილობა (ადამიანები ან კომპანიები, რომლებიც ქმნიან პლატფორმებს, მოწყობილობებს აპლიკაციებს) და აპლიკაციები.⁴⁸¹ ორმხრივი ქსელური ეფექტი⁴⁸² და მომსახურების/ნაწარმის შეცვლის ხარჯები ბაზარზე დამკვიდრებული მონაწილისთვის დიდ უპირატესობას ქმნის, კერძოდ, შეუძლიათ გამოიყენონ ბაზრის ზომა და დარჩნენ ბაზრის მონაწილედ; თუმცა ტექნოლოგიურ ცვლილებთან ერთად ბაზრის ახალი მონაწილეები ცდილობენ შეიმუშაონ რადიკალურ ინოვაციები, რათა ბაზარზე შეღწევის ბარიერები გადალახონ.⁴⁸³ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეკოსისტემის ბაზარი არის სხვადასხვა ტიპის ძირითადი და მეორეული პროდუქტის შესაფერისი ბაზრების სახეების ერთობლიობა, რომელშიც ძირითადი პროდუქტი და მეორეული პროდუქტი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და ურთიერთდაკავშირებულნი ტექნოლოგიურად ანდა ტექნიკური თავსებადობით.

საგულისხმოა, რომ ბაზრის განმარტების უფრო თავისუფალი ფორმის იდეა წარმოდგენილ იყო წარსულშიც, ზოგიერთი ავტორის აზრით ბაზრის განმარტება უნდა ფოკუსირებულიყო უფრო შეზღუდვებზე, ვიდრე ბაზრებს შორის ზუსტი საზღვრების გავლენაზე, იმდენად რამდენადაც ბაზრის განმარტება ყოველთვის არ არის სამართლებრივი საჭიროება კონკურენციის მიზნებისთვის და ზოგჯერ ბაზრის განმარტება შეიძლება წარმოდგენა შექმნას შეჯიბრებით ეფექტებზე (იგივე, კონკურენტული ეფექტი), თუმცა აუცილებლობით არ განსაზღვრავდეს შეჯიბრებით ეფექტებს.⁴⁸⁴ შესაბამისად, ბაზრის მხარე რომელშიც შემოსავალი შესაძლებელია გენერირდეს, არის კარგი საწყისი

⁴⁷⁹ „ქსელური ეფექტი“ აღნიშნავს თუ რა გავლენა აქვს მომხმარებლის მიერ პროდუქტისა და მომსახურების გამოყენებას ამავე მომსახურებასა და პროდუქტის ფასზე სხვა მომხმარებლისთვის. **პირდაპირი ქსელური ეფექტი** არის შემთხვევა, როდესაც სარგებელი, რომელსაც იღებს ერთი ჯგუფში შემავალი მომხმარებლები კონკრეტული მომსახურებისგან, დამოკიდებულია ამავე ჯგუფის სხვა მომხმარებლების რაოდენობაზე, რომლებიც იყენებენ იმავე მომსახურებას. მაგალითად, *ტელეკომუნიკაციის ქსელი, რაც უფრო მეტი მომხმარებელია, მით მეტია სარგებელი თითოეული მომხმარებლისთვის*. ხოლო **ირიბი ქსელური ეფექტი** არის შემთხვევა, როდესაც სარგებელი, რომელსაც იღებს ერთი ჯგუფში შემავალი მომხმარებლები კონკრეტული მომსახურებისგან, დამოკიდებულია სხვა ჯგუფის მომხმარებლების რაოდენობაზე, რომლებიც იყენებენ იმავე მომსახურებას, მაგ: ქალი და მამაკაცის რაოდენობა გაცნობით პლატფორმებზე. *იხ.*, Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 27.

⁴⁸⁰ Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2024/1645), 2024, par. 99-104.

⁴⁸¹ Big Data, Digital Platforms and Market Competition: How Does Big Data Generate Economic Value for Firms and Individuals? How Should We Respond to Potential Antitrust Concerns?, Speakers: Veugelers R., Neven D., Petropoulos G., Valletti T., Varian H., 3 October 2016, <<https://bit.ly/3A4AYbg>> [24.08.2024]

⁴⁸² **ორმხრივი ქსელური ეფექტი** (two-sided network effect), არის ირიბი ქსელური ეფექტის გარკვეული ფორმა, რა დროსაც ორი განსხვავებული ჯგუფი (მხარეები) ურთიერთქმედებს ერთი პლატფორმის მეშვეობით და ღირებულება ერთი მხარის მომხმარებლებისთვის იზრდება თუ მეორე მხარის მომხმარებელთა მონაწილეობა იზრდება. *იხ.*, Parker G.G., Van Alstyne M.W., Two-sided Network Effects: A Theory of Information Product Design. Management science, Vol. 51, No.10, 2005, 1496

⁴⁸³ Big Data, Digital Platforms and Market Competition: How Does Big Data Generate Economic Value for Firms and Individuals? How Should We Respond to Potential Antitrust Concerns?, Speakers: Veugelers R., Neven D., Petropoulos G., Valletti T., Varian H., 3 October 2016, <<https://bit.ly/3A4AYbg>> [24.08.2024]

⁴⁸⁴ Kalesná K., Relevant Market – Digital Challenges, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 80.

წერტილი პლატფორმული ბაზრების განსაზღვრისთვის, მაგრამ ეს მიდგომა ასევე უნდა გავრცელდეს ბაზრის სხვა მხარეებზეც/შრეებზეც, რომელთა გარჩევაც და გამოყოფაც შესაძლებელია; ამ ანალიზში კი ბიზნესისა და ბაზრის დახასიათება მნიშვნელოვან დამხმარე ფუნქციას ასრულებს.⁴⁸⁵

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი ბაზარი დინამიკური კონცეფციაა და მისი განმარტება ფართოა. შესაბამისი სასაქონლო ბაზარი აერთიანებს საქონლის რეალიზაციის საერთო პირობების ნიშნის მქონე არეალს, განსაზღვრული მიმწოდებლებითა (გამყიდველებითა) და მომხმარებლებით (მყიდველებით), სადაც გამყიდველებსა და მყიდველებს შორის მყარდება სავაჭრო ურთიერთობა, ხოლო მისი დადგენა მოიცავს ბაზრის ანალიზს, კერძოდ, პროდუქციული საზღვრების, გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოს დადგენას. თუმცა ციფრული ეკონომიკის პირობებში გეოგრაფიული განზომილება გარკვეული ხარისხით კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის არასათანადო კრიტერიუმია. შესაბამისად ციფრული ბაზარი ცალკე უნდა იქნეს განხილული არაციფრული ბაზრისგან. მეტიც, ციფრულ ეკონომიკაში შესაბამისი ბაზრის დადგენის უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა შემთხვევას თანაბრად მოერგება, არ არსებობს. ბაზრის განსაზღვრისთვის უნდა შეფასდეს ციფრული ეკონომიკის დამახასიათებელი ელემენტები, კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს ციფრული ინფრასტრუქტურა, ელექტრონული ვაჭრობის საშუალებები, ელექტრონული შუამავლები, რომლებიც აკავშირებს მომხმარებელსა და მიმწოდებელს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ასევე უფასო. ასევე ციფრული ბაზრების დადგენისას უნდა დადგინდეს ციფრული ეკოსისტემის გავლენა, კერძოდ, არსებობს ძირითადი პროდუქტისა და მეორეული პროდუქტის შესაბამისი ბაზრები თუ ციფრული ბაზარი წარმოადგენს ერთი რომელიმე ციფრული პლატფორმის „ჩარჩოს“. კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის კი მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს მომსახურების ბუნება, ბაზრის ფუნქციონირებისა და სტრუქტურის რეალური პირობები. ციფრული ბაზრებზე კონკურენციის მოწესრიგება უკავშირდება ძირითადი პლატფორმული მომსახურების გამწევ დაშვების გუშაგებს. ძირითადი პლატფორმული მომსახურება მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ონლაინ საშუამავლო მომსახურებას, ონლაინ საძიებო სისტემებსა და სოციალური ქსელებს, ასევე ვიდეოს გამზიარებელ პლატფორმებს, სარეკლამო მომსახურებებს და სხვა. თავის მხრივ ორ- და მრავალმხრივი/მრავალშრიანი პლატფორმები ციფრული ბაზრის დამახასიათებელი ელემენტია. თუ ორმხრივ პლატფორმაში გამყიდველი და მყიდველი უკავშირდება ერთმანეთს, ოღონდ პლატფორმა თვითონ ყიდის მომსახურებასა თუ პროდუქციას, მრავალმხრივ პლატფორმაში შემოდის მესამე პირი, რომელიც მყიდველზე თვითონ ყიდის პროდუქციასა თუ მომსახურებას, ხოლო პლატფორმა სთავაზობს სივრცეს. ყურადსაღებია, ბევრი პლატფორმის ზოგიერთი მომსახურება არ მოიცავს მონეტიზაციას, მაგრამ ბაზარი განმარტებისას, ბაზრის უფასო შრეს შეუძლია იყოს პლატფორმული ბაზრის (როგორც შესაბამისი ბაზრის) ნაწილი. ბაზრის ის მხარე, რომელშიც შემოსავალი შესაძლებელია გენერირდეს, არის კარგი საწყისი წერტილი პლატფორმული ბაზრის განსაზღვრისთვის, მაგრამ ეს მიდგომა ასევე უნდა გავრცელდეს ბაზრის სხვა, უფასო შრეებზეც. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად

⁴⁸⁵ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 143.

საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად განიხილება მხოლოდ საზღაურის მიხედვით მომსახურება, შესაბამისად, ძირითადი პლატფორმული მომსახურების პლატფორმები, რომლებიც არ იღებენ საკუთარი მომსახურებისთვის საზღაურს, ვერ იქნება განხილული ციფრული ბაზრის შემადგენელი ნაწილად.

1.2. დიდი მონაცემების მიმართება ციფრულ ფინანსურ ბაზართან

1.2.1. დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურა

მონაცემები შეიძლება იყოს სავაჭრო და ეკონომიკური გაცვლის დამაკავშირებელი საშუალებო ერთეული.⁴⁸⁶ იმის მიუხედავად, რომ რთულია განსაზღვროთ მონაცემთა მონაცემთა ღირებულება, მისი როლო ეკონომიკურ გარიგებებში მნიშვნელოვანია.⁴⁸⁷ ორ- და მრავალმხრივ ბაზრებზე (ციფრულ პლატფორმებზე) კი მნიშვნელოვანი როლი მონაცემებსა და მათზე წვდომას უჭირავს, რამაც კონკურენცია ბაზრებზე შეცვალა კონკურენცია ბაზრებისთვის, სადაც აქტორები ეჯიბრებიან არა ფასებში, არამედ ინოვაციებში.⁴⁸⁸ საძიებო სისტემებს შორის კონკურენციის ერთ-ერთი განზომილება მათი უნარი და შესაძლებლობა დაწერონ ინოვაციები, კერძოდ, ისინი ავითარებენ როგორც არსებულ, ასევე ახალ მომსახურებებს, რათა მიაწოდონ უკეთესი მომსახურება როგორც რეკლამის განმათავსებლებს, ასევე მომხმარებლებსაც.⁴⁸⁹ მეტიც, საძიებო სისტემები დიდ ძალისხმევას წევენ საძიებო ალგორითმის გასაუმჯობესებლად, რათა ერთმანეთს დააკავშიროს მომხმარებელი და რეკლამის განმათავსებელი.⁴⁹⁰ წინასწარ მოფიქრებული სტრატეგიები და ციფრული ბაზრის განსაკუთრებული მახასიათებლები მონაცემებით მდიდარ კომპანიებს ხელს უწყობს დაამყარონ საბაზრო ძალაუფლება, რასაც შეუძლია დააზარალოს მომხმარებელი და საფრთხე შეუქმნას ინოვაციას,⁴⁹¹ რადგან კონკურენცია ინოვაციებს ახალისებს⁴⁹² და ციფრული პლატფორმების ეკოსისტემაში კი ინოვაციები მნიშვნელოვანი ზემოქმედების ბერკეტია.⁴⁹³ ბევრი მეწარმე, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ციფრული საშუალებების გარეშე (ოფლაინ) ფიზიკურ პროდუქტს ყიდიან, შესაძლოა აღმოჩნდნენ მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენების გავლენის ქვეშ, თუმცა ციფრულ სივრცეში არსებული ბიზნესები (ე.წ. ონლაინბიზნესები) ის სეგმენტია, რომლებიც ყველაზე ხშირად აგროვებენ მონაცემებს,⁴⁹⁴ ხოლო დიდი მონაცემები, თავის მხრივ, მონაცემთა ტექნოლოგიური ეპოქის მნიშვნელოვანი რესურსია.⁴⁹⁵ დიდი მონაცემები კომპანიებს აძლევს საშუალებას აჯობონ კონკურენტებს და იძლევა გარკვეულ ცოდნას საბაზრო ძალაუფლებისა და დომინანტური მდგომარეობის, როგორც გამონაკლისი პრაქტიკის

⁴⁸⁶ Kira B., Vikram Sinha V., Srinivasan S., *Regulating Digital Ecosystems: Bridging the Gap Between Competition Policy and Data Protection*, Industrial and Corporate Change, Vol. 30, No. 5, 2021, 1341.

⁴⁸⁷ იქვე.

⁴⁸⁸ Kalesná K., *Relevant Market – Digital Challenges*, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 79.

⁴⁸⁹ Microsoft/Yahoo! Search Business, Case No COMP/M.5727, para. 109.

⁴⁹⁰ იქვე.

⁴⁹¹ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., *Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data*, Journal of Information Technology Vol. 38, No. 2, 2023, 214.

⁴⁹² Pauli T., Marx E., Matzner M., *Leveraging Industrial IoT Platform Ecosystems: Insights from The Complementors' Perspective*, In Proceedings of the 28th European Conference on Information Systems (ECIS), 2020, 11.

⁴⁹³ იქვე, 4.

⁴⁹⁴ *Competition Law and Data*, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 26.

⁴⁹⁵ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., *A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection*, IEEE Access, Vol. 6, 2018, 15135.

(exclusionary practice) ბოროტად გამოყენების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის აუცილებლობაზე.⁴⁹⁶

მონაცემთა ბაზარი ეფუძნება ონლაინ ღრუბლოვანი პლატფორმას და მოიცავს **გამყიდველს, მყიდველს, მენეჯერს** (რომელიც პასუხისმგებელია ბაზრის მუშაობის უზრუნველყოფაზე ნეიტრალურობის, მონაცემთა სტრუქტურისა და მომსახურების ხელშეკრულების კუთხით) და **რეგულატორს** (რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზრის მომხმარებლის შესაბამისი კანონებითა და უფლებებით მხარდაჭერას).⁴⁹⁷ ასევე, განიხილავენ მანქანური დასწავლის მოდელის ბაზრობას, რომელიც ეფუძნება ბლოკჩეინის მოდელის სავაჭრო სისტემას და რომელშიც მონაწილეები (მომხმარებლები) ყიდულობენ მანქანური დასწავლის მოდელებს და ყიდიან საკუთარ წვლილს (ე.წ კონტრიბუციას) მანქანური დასწავლის მოდელის გაწვრთნაში, რითაც გამოიმუშავენ თანხას; თავის მხრივ, სისტემა სავაჭრო დეტალებს იწერს განფენილ რეესტრში.⁴⁹⁸ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, დეცენტრალიზებული მონაცემთა ბაზარიც (ბაზრობაც), რომელშიც გარიგებები მონაცემთა მფლობელსა და მონაცემთა მომხმარებელს შორის, ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოს გარეშე, იწერება განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებში და ჭკვიანი ხელშეკრულებები უზრუნველყოფს თვითაღსრულებად სამართლიან გაცვლას მონაწილეებს შორის და დავის სამართლიან გადაწყვეტასაც.⁴⁹⁹ აღნიშნული ბაზარი არის დეცენტრალიზებული ფაილების შემნახველის, მონაცემთა განფენილ დაქსაქსული ცხრილის, განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებისა და ჭკვიანი ხელშეკრულების ერთობლიობა.⁵⁰⁰ დეცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზრად შესაძლებელია მოსაზრებულ იყოს მხოლოდ პირისპირადი კვანძების ქსელში მოძრავი მონაცემები, რომლის ყიდვა-გაყიდვაში არ მონაწილეობს მესამე მხარე და სრულად დეცენტრალიზებულია და, შესაბამისად, ადამიანის ჩარევისგან თავისუფალი, რადგან განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებში მონაწილე მხარეების გარიგებებში არ მონაწილეობს ადამიანური შუამავლები, რაც მას დეცენტრალიზებულს ხდის, ხოლო განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების დამოუკიდებლობა ცენტრალიზებული მმართველობისგან კი იწვევს საზოგადოების სტრუქტურების დისფუნქციას, კერძოდ, ოლიგარქიული ძალაუფლებითი სტრუქტურების წარმოშობას და ანგარიშვალდებულების ბუნების უგულვებელყოფას.⁵⁰¹ შესაბამისად მონაცემთა ბაზრის ამ მოდელში ბაზრის ფუნქციონირება ხდება დიდი მონაცემების განფენილი პლატფორმების მეშვეობით, რომლებიც ბლოკჩეინს ეფუძნება.⁵⁰² დიდი მონაცემების ბაზრების ამ მოდელზე თითოეული მონაცემი და ინდივიდუალური

⁴⁹⁶ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 80.

⁴⁹⁷ Serrano W., Verification and Validation for Data Marketplaces via a Blockchain and Smart Contracts, Blockchain: Research and Applications, Vol. 3, No. 4, 2022, 6.

⁴⁹⁸ Nguyen, L.D., Pandey, S.R., Beatriz, S., Broering, A. Popovski, P., A Marketplace for Trading Ai Models Based on Blockchain and Incentives for Iot Data, ArXiv, abs/2112.02870, 2021, 3.

⁴⁹⁹ Zichichi, M., Ferretti S., Rodríguez-Doncel V., Decentralized Personal Data Marketplaces: How Participation in a DAO Can Support the Production of Citizen-Generated, Vol. 22, No. 16, 2022, 5-6.

⁵⁰⁰ იქვე, 27.

⁵⁰¹ Benedict G., Challenges of DLT-Enabled Scalablegovernance and the Role of Standards, Journal of ICT Standardization, Vol. 7, No. 3, 2019, 203-205.

⁵⁰² Serrano W., Verification and Validation for Data Marketplaces via a Blockchain and Smart Contracts, Blockchain: Research and Applications, Vol. 3, No. 4, 2022, 4.

ერთეული განსხვავებულია ერთმანეთისგან,⁵⁰³ ხოლო მონაცემთა ბაზრის ამ მოდელში გარიგებები მიმდინარეობს ჭკვიანი ხელშეკრულებით.⁵⁰⁴

საგულისხმოა, რომ მონაცემთა ბაზრის შესწავლა ხდება ორი ფორმით: 1) მომხმარებელი ფლობს და ყიდის მონაცემებს, ე.წ. **მომხმარებელზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზარი** ან 2) ფირმები ფლობენ და ყიდიან მონაცემებს, ე.წ. **ფირმებზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზარი**.⁵⁰⁵ აღსანიშნავია, რომ მონაცემებით ვაჭრობა არის მონაცემთა სასიცოცხლო ციკლის მეოთხე ეტაპი, რომელიც განსხვავდება ტრადიციული პროდუქტებით ვაჭრობისგან, რადგან მონაცემები არის ციფრული პროდუქტი, რომელიც საჭიროებს შესაფერის საბაზრო და სავაჭრო მეთოდების შემუშავებას.⁵⁰⁶ დიდი მონაცემების ბაზარზე არსებობს სამი სახის ბიზნესმოდელი: 1) ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მონაცემებს და გასცემენ მონაცემებს სხვებზე მათი გამოყენების მიზნით, 2) ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ საკუთარ დასაქმებულთა უნარ-ჩვევებს, რათა მიიღონ დიდი მონაცემებიდან ღირებულება, 3) ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მონაცემებსა და საკმარის ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს, ასევე გონებრივ რესურსს და იდეებს, რათა მიიღონ მონაცემები და შექმნან ღირებულებათა ახალი ფორმები.⁵⁰⁷ ამასთან, კომპანიები აგენერირებენ დიდ მონაცემებს როგორც მათი ნორმალური საწარმოო საქმიანობის ნაწილს, რაც მოიცავს ციფრული შუამავლების გამოყენებას, როგორც მომხმარებლების ქცევისა და ინტერესების შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდს, ეს კომპანიები ამ ინფორმაციის გაყიდვით იღებენ შემოსავალს, ან მოიხმარენ მას სხვა გზებით.⁵⁰⁸ მონაცემთა ბაზარზე მონაცემები გენერირებულია მონაცემთა გამყიდველების მიერ, რომლებიც თავის მხრივ ყიდიან მონაცემებს როგორც შემოსავლის დამატებით წყაროს.⁵⁰⁹ შესაბამისად, ფირმებზე ორიენტირებულ მონაცემთა ბაზარზე ფირმები თვითონ ქმნიან დიდ მონაცემებიდან ღირებულებას, აგენერირებენ საწარმოო პროცესის ფარგლებში და ვაჭრობენ მათით.

ევროკავშირის კომისიის მეთოდის თანახმად, რომლის მიხედვითაც განიმარტება ციფრული ეკოსისტემის ბაზარი, მაშინ დიდი მონაცემების ბაზარი შეიძლება განიმარტოს, როგორც სხვადასხვა ტიპის შესაფერისი ბაზრების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულნი ტექნოლოგიურად ანდა ტექნიკური თავსებადობით, რადგან დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ნაწილებს: 1) დიდი მონაცემების მოპოვების დონე, 2) დიდი მონაცემების შენახვის დონე, 3) დიდი მონაცემების ანალიტიკის დონე,⁵¹⁰ და 4) დიდი მონაცემების გამოყენების დონე, ხოლო მონაცემების შეგროვება, შენახვა, ანალიზი და გამოყენება – ესენი წარმოების (ღირებულების შემქმნელი) ის ჯაჭვია, რომელიც ერთობლივად დიდი მონაცემების ბაზარს

⁵⁰³ იქვე, 6.

⁵⁰⁴ იქვე, 11.

⁵⁰⁵ Cong L. W., Mayer S., Data Union and Regulation in a Data Economy, National Bureau of Economic Research Working Paper N3088, 2023, 22, იბ., <<https://bit.ly/3QyLDmo>> [08.05.2025].

⁵⁰⁶ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection, IEEE Access, Vol. 6, 2018, 15136

⁵⁰⁷ Custers B., Ursic H., Big Data and Data Reuse: A Taxonomy of Data Reuse for Balancing Big Data Benefits and Personal Data Protection, International Data Privacy Law, Vol. 6, No. 1, 2016, 3-4.

⁵⁰⁸ Barefoot K., Curtis D., Jolliff W., Nicholson J.R., Omohundro R., Defining and Measuring the Digital Economy, Working Paper of Bureau of Economic Analysis of the U.S. Department of Commerce, Washington, 2018, 8.

⁵⁰⁹ Serrano W., Verification and Validation for Data Marketplaces via a Blockchain and Smart Contracts, Blockchain: Research and Applications, Vol. 3, No. 4, 2022, 2.

⁵¹⁰ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 91.

ქმნის.⁵¹¹ დიდი მონაცემების ბაზრის ნებისმიერი ზემოაღნიშნული დონე, სადაც ხორციელდება წარმოების ჯაჭვი და ეკონომიკური აქტივობა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მომხმარებლებს, საჯარო ინსტიტუტებს, არასამეწარმეო საზოგადოებებს, მთავრობებს, შესაბამისად დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურის სხვადასხვა ნაწილი დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარია.⁵¹² მეტიც, დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა, როგორც დიდი მონაცემების მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და გამოყენების სისტემათა ერთობლიობა⁵¹³, დიდი მონაცემების ბაზარია, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილები დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარის ნაწილები, ანუ დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარი. შესაძლებელია ითქვას, რომ დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურა და დიდი მონაცემების სასიცოცხლო ციკლი ერთმანეთს ემთხვევა, რადგან დიდი მონაცემების სასიცოცხლო ციკლის მართვის მოდელი მოიცავს მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა მომზადების, ანალიზისა და ვიზუალიზაციის ფაზებს, ასევე მონაცემთა ფასდადების, მონაცემებით ვაჭრობისა და მონაცემთა დაცვის ფაზებსაც, რომელთაგან მონაცემთა ანალიზის ეტაპი მნიშვნელოვანია მონაცემთა კრებულიდან სავაჭრო ღირებულების მისაღებად.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემების ბაზარი არის დიდი მონაცემების წარმოების და ღირებულების შემქმნელი ჯაჭვის ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულნი ტექნოლოგიურად ანდა ტექნიკური თავსებადობით, შესაბამისად დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა დიდი მონაცემების ბაზარია, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილები დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარია. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემების ბაზარი არის ეკონომიკურ სივრცეა, სადაც ხდება მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გამოყენება ეკონომიკური ღირებულების შესაქმნელად. თავის მხრივ, განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები (მაგალითად, ბლოკჩეინი) არ წარმოადგენს დიდი მონაცემების წარმოების ჯაჭვის სავალდებულო კომპონენტს, თუმცა მათი გამოყენება მონაცემთა გამჭვირვალობის, უსაფრთხოების და სანდოობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ეს ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ მონაცემების ციფრული ვაჭრობის ახალ ფორმებს და ხელს უწყობენ ცენტრალიზებული შუამავლების გარეშე მონაცემების გაცვლას, რაც ციფრულ ეკონომიკაში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. გასათვალისწინებელია, მონაცემთა ბაზრების ტიპოლოგია: ერთი მხრივ, მომხმარებელზე ორიენტირებული ბაზარი გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი მონაცემების ფლობას და მათ მონეტოზაციაში უშუალო მონაწილეობას. მეორე მხრივ, ფირმებზე ორიენტირებულ ბაზრებზე თავად კომპანიები აგენერირებენ, ფლობენ და იყენებენ მონაცემებს, ქმნიან ღირებულებას და მონაწილეობენ მონაცემებით ვაჭრობაში. ამიტომ ციფრულ ბაზრებზე მონაცემებზე წვდომა იქცა კონკურენციის ახალ განზომილებად. აღნიშნული წვდომა ხშირად განსაზღვრავს კომპანიების ინოვაციური პოტენციალის ფარგლებს და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხს. შესაბამისად, როდესაც კომპანიას აქვს ექსკლუზიური წვდომა დიდი მოცულობის მონაცემებზე, იგი

⁵¹¹ Rubinfeld D.L., Gal M.S., Access Barriers to Big Data, *Arizona Law Review*, Vol. 59: No. 2, Rev. 339, 2017, 349.

⁵¹² Bagnoli V., The Big Data Relevant Market as a Tool For a Case by Case Analysis at The Digital Economy: Could The EU Decision at Facebook/WhatsApp Merger Have Been Different?, 12th ASCOLA Conference, 2017, 26-27, [ob. <https://bit.ly/42iM60K>](https://bit.ly/42iM60K) [29.01.2024]

⁵¹³ მეტი ინფორმაციისთვის *ob.*, Janev V., *Ecosystem of Big Data*, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Springer Nature, 2020, 4-5.

შესაძლოა ჩამოყალიბდეს დომინანტ მოთამაშედ, რაც ზრდის ბაზრის კონცენტრაციის რისკებს, ზღუდავს კონკურენციას და აფერხებს ინოვაციურ პროცესებს. ამიტომ კომპანიების საბაზრო პოტენციალის შესაფასებლად უნდა შეფასდეს ის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემების ეკოსისტემის მოწყობას კომპანიებისთვის, კერძოდ, დიდი მონაცემების ბაზარზე წვდომას და დიდი მონაცემების არქიტექტურის შეფასება, სახელდობრ მაკავშირებლობის პროცესის ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს მონაცემები მონაცემთა ეკოსისტემაში და დომენის ონტოლოგიაში, კერძოდ, შინაარსობრივი სივრცის რა ნაწილს ეხება მონაცემთა ერთობლიობა, არის ეს ფინანსები, ჯამრთელობა, განათლება თუ სხვა.

1.2.2. კონკურენცია დიდი მონაცემების ბაზრებისთვის

1.2.2.1. პლატფორმების მიერ მონაცემებზე წვდომის საშუალებები

ინდუსტრიული ნივთების ინტერნეტით ნასაზრდოები პლატფორმები მონაცემებს მარტივად აგროვებენ და ამუშავებენ სხვადასხვა ინდუსტრიული აქტივებიდან, ამიტომ ინდუსტრიული ნივთების ინტერნეტის პლატფორმების ეკოსისტემის პირობებში, თანმდევი ბიზნესაქტორები⁵¹⁴ პლატფორმებს უზრუნველყოფენ იმ პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციებით (app-ი), რომლითაც შესაძლებელია გენერირებული მონაცემების ანალიზი და გამოყენება.⁵¹⁵ მეტიც, მონაცემთა დამუშავების მომსახურეობა არის ბიზნესმოდელი „პლატფორმა როგორც მომსახურეობა“,⁵¹⁶ რაც გულისხმობს დაკავშირებადი ნაწარმის (connected product) გამოყენებას; დაკავშირებადი ნაწარმი იღებს, აგენერირებს ან აგროვებს მონაცემებს, რომლებიც ეხება მონაცემთა მოხმარებასა და მონაცემთა გარემოს; დაკავშირებადი ნაწარმს შეუძლია მონაცემები გადასცეს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების, ფიზიკური კავშირების ან მოწყობილობებზე წვდომის საშუალებით, მისი თავდაპირველი ფუნქცია არა მესამე პირების სახელით, არამედ მომხმარებლის სახელით მონაცემთა შენახვა და დამუშავებაა.⁵¹⁷ დაკავშირებადი ნაწარმი წარმოშობს დაკავშირებადი ნაწარმის მონაცემებს (product data), რომლებიც გენერირებულია ისეთი დაკავშირებადი ნაწარმის გამოყენებით, რომელიც მწარმოებელმა დააპროექტა ისე, რომ მომხმარებელს, მესამე მხარეს ან მონაცემთა მეპატრონეს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, მწარმოებელს შეეძლოთ მათი მოპოვება ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების, ფიზიკური კავშირის ან მოწყობილობაზე წვდომის საშუალებით.⁵¹⁸ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაკავშირებადი ნაწარმი და ნივთების ინტერნეტი ურთიერთშემნაცვლელი ტერმინებია, ხოლო ნივთების ინტერნეტის მიერ გენერირებული მონაცემები და დაკავშირებადი ნაწარმის მიერ გენერირებული მონაცემები ერთი და იგივე ცნებებია.

⁵¹⁴ თანმდევი ბიზნესაქტორი (Complementor) ბიზნესი, რომელიც ყიდის ისეთ პროდუქტს ან მომსახურებას, რომელიც სხვა კომპანიის მომსახურების ან პროდუქტის დამატებაა. Yoffie D.B., Kwak M., With Friends Like These: The Art of Managing Complementors, ob., <<https://bit.ly/4dSRRrk>> [25.05.2024]

⁵¹⁵ Pauli T., Marx E., Matzner M., Leveraging Industrial IoT Platform Ecosystems: Insights from The Complementors' Perspective, In Proceedings of the 28th European Conference on Information Systems (ECIS), 2020, 1.

⁵¹⁶ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, Recital 40.

⁵¹⁷ იქვე, Art. 2(5).

⁵¹⁸ იქვე, Art. 2(15).

დიდი მონაცემების შენახვის მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი სივრცე (მოცულობა და შესაძლებლობა) და ეფექტური წვდომა ინტერფეისზე დიდი მონაცემთა ანალიზისთვის.⁵¹⁹ კერძოდ, დაკავშირებად ნაწარმს თან ახლავს ციფრული მომსახურება, ე.წ. თანმდევი მომსახურება (related service), რომელიც არ წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებას და, მაგალითად, შეიძლება მოიცავდეს პროგრამულ უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურება დაკავშირებულია ნაწარმთან მის შექმნის, გაქირავების ან ლიზინგის მომენტში იმგვარად, რომ მისა არარსებობის პირობებში დაკავშირებადი ნაწარმის ერთი ან რამდენიმე ფუნქციის შესრულება შეუძლებელი ხდება. ასევე, თანმდევი მომსახურება შესაძლოა შემდგომში დაემატოს ნაწარმს მწარმოებლის ან მესამე მხარის მიერ, რათა დაემატოს, განაახლოს, მოარგოს დაკავშირებადი ნაწარმის ფუნქციები.⁵²⁰ თანმდევი მომსახურებისას გროვდება თანმდევი მომსახურების მონაცემები (related service data), რაც წარმოადგენს მომხმარებელთა (იუზერების) მოქმედებების ან დაკავშირებად ნაწარმთან შემხებლობაში არსებული მოვლენების გაციფრულებას (დიგიტალიზაციას), რომლებიც მომხმარებლის მიერ საერთაშორისოდ იწერება ან პროვაიდერის მიერ თანმდევი მომსახურების უზრუნველყოფისას გენერირდება, როგორც მომხმარებელთა მოქმედებების გვერდითი პროდუქტი.⁵²¹

არსებობს ასევე მზა მონაცემები (readily available data), ანუ დაკავშირებადი ნაწარმის მონაცემები და თანმდევი მომსახურების მონაცემები, რომელიც მონაცემთა მპყრობელს კანონიერად მოპოვებული აქვს ან კანონიერად მოიპოვებს დაკავშირებადი ნაწარმიდან ან თანმდევი მომსახურებიდან, არაპროპორციული ძალისხმევის გარეშე, რომელიც სცილდება მარტივ ოპერაციას.⁵²² მომხმარებლის, ანდა მომხმარებლის სახელით მხარის მოთხოვნით, მონაცემთა მპყრობელმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მესამე მხარისთვის გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მზა მონაცემები, ისევე როგორც, შესაბამისი მეტამონაცემები (რომლებიც, დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილია და განსაზღვრავს შენახული მონაცემების მნიშვნელობას მონაცემთა ეკოსისტემაში⁵²³), რომლებიც საჭიროა ამ მონაცემთა გამოყენებისა და ინტერპრეტირებისთვის,⁵²⁴ შესაბამისად ფირმები როდესაც იღებენ პლატფორმულ მომსახურებას, მათ ასევე აქვთ წვდომა მონაცემებზე. კერძოდ, Signify, რომელიც არის პლატფორმა – პროგრამული უზრუნველყოფის და ვებ-გვერდების <https://signify.ge> და <https://portal.signifyapp.com/> ერთობლიობა, უზრუნველყოფს მომხმარებლებს შორის ინფორმაციის და დოკუმენტების გაცვლას, ხოლო პლატფორმას Signify-ის საკუთრებად აცხადებს.⁵²⁵ იგი არის ხელსაწყო, რომელიც შეიქმნა კონტრაქტებისა

⁵¹⁹ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 92.

⁵²⁰ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, Art. 2(6).

⁵²¹ იქვე, Art. 2(16).

⁵²² იქვე, Art. 2(17).

⁵²³ Data Ecosystems: Sovereign Data Exchange among Organizations (Dagstuhl Seminar 19391), Edited by C. Cappello, A. Gal, M. Jarke, J. Rehof, In: Dagstuhl Reports, Vol. 9, No. 9., 2020, 79.

⁵²⁴ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, Art. 5(1).

⁵²⁵ Signify, მომსახურების სტანდარტული პირობები, მუხლი 1.2., იხ., <<https://bit.ly/3Ee3eNs>> [08.04.2025]

და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესის გამარტივებისა და გაციფრულებისთვის⁵²⁶ და მისი მომსახურება მოიცავს იმ ფუნქციებს, ოპერაციებს, ტრანზაქციებს, რომელთა განხორციელების საშუალებას პლატფორმა აძლევს მომხმარებელს.⁵²⁷ ტრანზაქციები მოიცავს ქმედებათა ერთობლიობას (ატირთვა, გაგზავნა, მიღება, ხელმოწერა და ა.შ.) რომლის შედეგადაც ხდება დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა.⁵²⁸ შესაბამისად, პლატფორმა, რომელიც მესამე მხარეა და აწვდის მომსახურებას სხვადასხვა აქტორს, მონაცემებს ამუშავებს მომხმარებლის მიერ პლატფორმით სარგებლობის, მომხმარებლისათვის სერვისების მიწოდების და პლატფორმასთან დაკავშირებული პროცესის ან პროცესების ოპტიმიზაციის, გამოსწორების და გაუმჯობესების, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის. დამუშავებული მონაცემების მაგალითად მოხმობილია: პლატფორმაზე ანგარიშის მიწოდება, მომხმარებლისთვის მოთხოვნილი და პლატფორმის შესაბამის მომსახურებისა და პროდუქტის (ელექტრონული ხელმოწერა, დოკუმენტების გაზიარება და ა.შ.) მიწოდება, მომხმარებლისთვის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, ელ.ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით მარკეტინგის განხორციელება, მარკეტინგული ინფორმაციის განხორციელება, დოკუმენტთან დაკავშირებული ისეთი მონაცემების ჩანაწერის გაკეთება, როგორებიცაა ვინ გაეცნო დოკუმენტს, ვინ მოაწერა ხელი, გამოყენებული მოწყობილობა და დრო, IP მისამართი, მომსახურებაში ცვლილებების დატესტვა და ახალი შესაძლებლობების ანდა პროდუქტების დანერგვა.⁵²⁹ ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის კომისიის ციფრული ეკოსისტემის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად პირველადი პროდუქტის ბაზრის განმარტებაში მოექცევა დაკავშირებადი ნაწარმის მონაცემები, თანმდევი მომსახურების მონაცემები – თანმდევი ბაზარი, ხოლო მზა მონაცემები იქნება სისტემური ბაზარი.

მონაცემები როგორც რესურსი ასოცირდება მრავალფეროვნების ეკონომიკასთან (კერძოდ, ერთ კომპანიას შეუძლია აწარმოოს პროდუქცია დაბალ ფასად, ვიდრე ცალ-ცალკე ბევრ კომპანიას – იგივე პროდუქცია), ამის ფონზე, მრავალი წყაროდან მოპოვებული მონაცემები უფრო მეტ საწარმოო ღირებულებას სძენს კომპანიას, ვიდრე განცალკევებული, ინდივიდუალური მონაცემთა ერთობლიობის ანალიზი. შესაბამისად, კომპანიები ცდილობენ ინტეგრირებული მომსახურების ეკოსისტემის შექმნას, რა დროსაც მოიპოვებენ მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან, დაკავშირებული ბაზრებიდან დაბალ ფასად და ხელს უშლის სხვა კომპანიებს ბაზარზე შეღწევის.⁵³⁰ გერმანიის ფედერალური აქტი „კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ“ მონაცემებს საბაზრო ძალაუფლების წყაროდ თვლის⁵³¹ და ითვალისწინებს, რომ მრავალმრიანი (მრავალმხრივი) ბაზრებისა და ქსელების შემთხვევაში ბაზრის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1) პირდაპირი და არაპირდაპირი ქსელური ეფექტები, 2) სხვადასხვა მომწოდებლისგან (პროვაიდერისგან) მომსახურების პარალელური გამოყენება და პროდუქტისა თუ მომსახურების შეცვლის

⁵²⁶ Signify: დოკუმენტებთან ურთიერთობის გამარტივება, იხ., <<https://signifyapp.com/ka-GE/about/>> [08.04.2025]

⁵²⁷ Signify, მომსახურების სტანდარტული პირობები, მუხლი 1.3., იხ., <<https://bit.ly/3Ee3eNs>> [08.04.2025]

⁵²⁸ იქვე, მუხლი 1.13.

⁵²⁹ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 2.1. იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁵³⁰ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, Journal of Information Technology Vol. 38, No. 2, 2023, 214.

⁵³¹ Augusto R., Pfeiffer C., Digital Economy, Big Data and Competition Law, Market and Competition Law Review, Vol. 3, No. 1, 2019, 68.

ხარჯები (switching cost), 3) საწარმოს მასშტაბის ეკონომია, რომელიც კავშირშია ქსელურ ეფექტთან, 4) მეწარმის წვდომა მონაცემებთან, რომელიც გავლენას ახდენს კონკურენციაზე, 5) ინოვაციაზე ორიენტირებული შეჯიბრებითობის ზეწოლა (competitive pressure).⁵³² შესაძლოა, კომპანიები კონკურენტებს აძლევენ საკუთარ მონაცემებზე დაშვებას საკუთარი კეთილი ნებით, თუმცა, მიუხედავად მონაცემებზე დაშვებისა, მაინც ძვირია მათი დამუშავება, რაც ანალიტიკური მასშტაბის ეკონომიაა.⁵³³ გარდა აღნიშნულისა, პლატფორმებს ახასიათებს ირიბი ქსელური ეფექტი, იგივე პლატფორმათშორისი საწარმოო ქმედებათა შედეგობრივი ეფექტები (externalities).⁵³⁴ მრავალმხრივი პლატფორმის მოდელებში კი კომპანიებს აქვს უპირატესი წვდომა მონაცემებზე და კომპანიები დაცულნი არიან ირიბი ქსელური ეფექტით, მეტიც პლატფორმულ შუამავლებს შეუძლია შეაგროვოს მონაცემები პლატფორმასთან დაკავშირებული მხარეების ურთიერთქმედებიდან და მათ შორის დადებული გარიგებებიდან.⁵³⁵ ხოლო ფირმებზე ორიენტირებულ მონაცემთა ბაზარზე ფირმები ფლობენ და ვაჭრობენ მომხმარებელთა მონაცემებით, ხოლო კომპანიები ვაჭრობენ ერთმანეთში და კონკურენცია ფირმებზე ორიენტირებულ მონაცემთა ბაზარზე არ არსებობს.⁵³⁶ ამიტომაც კონკურენციის მიზნებისთვის განხილულ უნდა იქნეს ფირმების მიერ მონაცემებზე ექსკლუზიური წვდომის საკითხი, კერძოდ, შემთხვევა როდესაც სხვა კომპანიებს არ აქვს რესურსი ჰქონდეს წვდომა ერთსა და იმავე რაოდენობის მონაცემებზე, რადგან ციფრული პლატფორმების მფლობელი კომპანიები აკონტროლებენ საკუთარ ციფრულ ინფრასტრუქტურას, ასევე შეუძლიათ დააკვირდნენ პლატფორმასთან ასოცირებული მხარეებს შორის მონაცემთა მიმოცვლას.⁵³⁷

1.2.2.2. ფინანსური პლატფორმების კონკურენცია მონაცემთა ბაზრებისთვის

ფინანსური ბაზარი, იქნება ეს ფიზიკური თუ ვირტუალური, არის ადგილი, სადაც ადამიანები და კომპანიები ცვლიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, კერძოდ, ფულს კრედიტის დეპოზიტის ან ფასიანი ქაღალდების სახით.⁵³⁸ ფინტექებში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ, როგორებიცაა სოციალური მედია, ღრუბლოვანი მომსახურება, აპლიკაციები, სხვადასხვა მონაცემების ერთმანეთთან ეფექტურად დაკავშირების შესაძლებლობა გააჩინა, რითაც მრავალი მომსახურების ინტეგრაცია ერთ პლატფორმაში მოხერხდა და შექმნა უამრავი ციფრული ფინანსური მომსახურება, ამან კი ხელი შეუწყო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ფინტექების გამოყენებას.⁵³⁹ მომხმარებელზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზარზე მომხმარებელს ფირმებისთვის მონაცემების გადაცემა შეუძლია როდესაც ის

⁵³² Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen – GWB, § 18(3a).

⁵³³ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, Journal of Information Technology Vol. 38, No. 2, 2023, 213

⁵³⁴ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 136.

⁵³⁵ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, Journal of Information Technology Vol. 38, No. 2, 2023, 214.

⁵³⁶ Cong L. W., Mayer S., Data Union and Regulation in a Data Economy, National Bureau of Economic Research Working Paper N3088, 2023, 25, ob., <<https://bit.ly/3QyLDmo>> [08.05.2025].

⁵³⁷ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, Journal of Information Technology Vol. 38, No. 2, 2023, 210.

⁵³⁸ Mosteanu N. R., International Financial Markets Face to Face with Artificial Intelligence and Digital Era, Theoretical and Applied Economics, Vol. 25, No. 3, 2019, 124.

⁵³⁹ Mosteanu N. R., International Financial Markets Face to Face with Artificial Intelligence and Digital Era, Theoretical and Applied Economics, Vol. 25, No. 3, 2019, 127-128.

იყენებს ფირმების მომსახურებას, კერძოდ, ღია ბანკინგის დროს მომხმარებელს აქვს საშუალება საკუთარი მონაცემები გაუზიაროს ბევრ ბანკსა და ფირმას.⁵⁴⁰ ფინტექებში ხორციელდება ბლოკჩეინისა და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიების დანერგვა.⁵⁴¹ ფინტექები პლატფორმებია, რომლებიც ასრულებენ დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის ფუნქციასაც და იყენებს რა მომხმარებელზე ორიენტირებულ მონაცემთა ბაზრებს მონაცემების მოსაპოვებლად.

თავის მხრივ, აღსანიშნავია, პოტენციური კონკურენციის ცნება, რომელიც გულისხმობს მეწარმეთა ქცევის კონკურენტულ შეზღუდვას, რომელიც პოტენციურად შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ მოცემულ მომენტში შეზღუდვა არ არსებობს, პოტენციური კონკურენციის ანალიზი მნიშვნელოვანია მრავალი ბაზრის შესწავლის პროცესში.⁵⁴² პროდუქციის ხარისხი და ინოვაციურობა პოტენციური კონკურენციაა და მხედველობაში მიიღება ბაზარზე კომპანიის დომინანტური მდგომარეობის შესაფასებლად, მეტიც დომინანტური პოზიცია არ ნიშნავს ბაზარზე სხვა აქტიური აქტორების არარსებობას, არამედ საგრძნობ გავლენას იმ პირობებზე, რომელშიც კონკურენცია წარიმართება.⁵⁴³ ციფრულ ბაზარზე, რომელიც მოიცავს მრავალშრიან პლატფორმებს, ინოვაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს⁵⁴⁴ და ინოვაციის შეზღუდვა კი სამართლიანი კონკურენციის ერთ-ერთი დამაზიანებელი ფაქტორია.⁵⁴⁵ საგულისხმოა, რომ კონკურენციის მიზნებისთვის კომპანიის შერწყმის პროცესშიც მნიშვნელოვან ფაქტორად ინოვაციის შემცირება განიხილება,⁵⁴⁶ რაც საბაზრო ძალაუფლებაზე გავლენას ახდენს.⁵⁴⁷ განსაკუთრებით, როდესაც კომპანია ეწინააღმდეგება ინოვაციას, აღიქმება კონკურენციისთვის საფრთხის შემცველად.⁵⁴⁸ თუ შერწყმა ხელს უწყობს ინოვაციას ბაზარზე, მაშინ ის მოწონებულიც კია კონკურენციის პერსპექტივიდან.⁵⁴⁹ თავის მხრივ, აუცილებელია განისაზღვროს დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარი, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის სტრუქტურის შეფასებას და საწარმოთა საბაზრო ძალაუფლების დადგენას,⁵⁵⁰ იმდენად რამდენადაც დიდი მონაცემები გამოიყენება კომპანიების მიერ ინოვაციისა და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პოტენციური კონკურენციის საკითხს.

⁵⁴⁰ Cong L. W., Mayer S., Data Union and Regulation in a Data Economy, National Bureau of Economic Research Working Paper N3088, 2023, 23, [ob., <https://bit.ly/3QyLDmo>](https://bit.ly/3QyLDmo) [08.05.2025].

⁵⁴¹ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Central Bank, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Fintech Action Plan: for a More Competitive and Innovative European Financial Sector COM/2018/0109 Final, [ob., <https://bit.ly/3BYdEjg>](https://bit.ly/3BYdEjg) [04.01.2025]

⁵⁴² The Concept of Potential Competition, OECD Competition Committee Discussion Paper, 2021, 9, [ob., <http://oe.cd/tcpc>](http://oe.cd/tcpc) [26.05.2024]

⁵⁴³ Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 75-76.

⁵⁴⁴ The Concept of Potential Competition, OECD Competition Committee Discussion Paper, 2021, 10, [ob., <http://oe.cd/tcpc>](http://oe.cd/tcpc) [26.05.2024]

⁵⁴⁵ Sunshine S.C., York J.K., Doj's Failure To Prove Its "Killer Acquisition" Claim In Sabre/Farelogix And Parallels To Other Recent Government Merger Litigation Losses, Florida Law Review Forum, Vol. 72., 2020, 22-23.

⁵⁴⁶ United States v Sabre Corp., Sabre Gbl Inc., Farelogix, Inc., and Sandler Capital Partners V, L.P., Case 1:19-cv-01548-UNA, Filed 08/20/19, Par. 56.

⁵⁴⁷ იქვე, par. 3.

⁵⁴⁸ Press Release, U.S. Dep't of Just., Justice Department Sues to Block Sabre's Acquisition of Farelogix (Aug. 20, 2019), [ob. <https://bit.ly/3R2G53X>](https://bit.ly/3R2G53X) [26.05.2024]

⁵⁴⁹ Sunshine S.C., York J.K., Doj's Failure To Prove Its "Killer Acquisition" Claim In Sabre/Farelogix And Parallels To Other Recent Government Merger Litigation Losses, Florida Law Review Forum, Vol. 72., 2020, 22.

⁵⁵⁰ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 84-85.

ყურადსაღებია ისიც, რომ მონაცემთა ვაჭრობის კუთხით, დომინანტური პოზიციის დამყარება, ანდა დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების დადგენა რთულია.⁵⁵¹ თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დიდი მოცულობის და მრავალფეროვან მონაცემებზე წვდომა შედარებითი უპირატესობაა ბაზარზე, რადგან უკვე დაფუძნებულ საწარმოსთან შედარებით ახალ საწარმოს არ აქვს იმავე სახის წვდომა მონაცემებზე, იქნება ეს მათი შეგროვება თუ მათი ყიდვა.⁵⁵² მეტიც, მონაცემები უპირატესობას ანიჭებს მის მფლობელს, შესაბამისად, საწარმოები ცდილობენ მოიპოვონ უფრო მეტი მონაცემი და უკეთესად გაანალიზონ და გამოიყენონ ისინი, რათა მოიპოვონ კონკურენტებთან შედარებითი დაწინაურებული პოზიცია ბაზარზე.⁵⁵³ ამიტომაც, როგორც მომიჯნავე ბაზრებიდან, ასევე შესაბამისი ბაზრებიდან, პლატფორმული ეკონომიკის აქტორებს, მოცემულ შემთხვევაში ციფრული ფინანსური ბაზრის აქტორს, შეუძლია მოიპოვოს დიდი მონაცემები საკუთარი პლატფორმის გამოყენებით, და გაზარდოს საკუთარი საწარმოო ღირებულება. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი დადგინდეს დიდი მონაცემების ბაზრის სტრუქტურა და დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარი, რაც ნათელს მოჰყენს ბაზრის მუშაობის პრინციპს და ბაზარზე მოთამაშეთა ქმედებებს ერთმანეთის მიმართ.⁵⁵⁴

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირის რეგულაციით ტერმინი, დაკავშირებადი ნაწარმი არის იგივე ნივთების ინტერნეტი, ხოლო დაკავშირებადი ნაწარმის მიერ შეგროვებული მონაცემები, თანმდევი მომსახურების მონაცემები, ხოლო მზა მონაცემები დიდი მონაცემები. ფირმები, როდესაც იღებენ პლატფორმულ მომსახურებას, ამავედროულად იღებენ წვდომას მონაცემებზე. მონაცემები უპირატესობას ანიჭებს მის მფლობელს, შესაბამისად, ფინანსური ბაზრის აქტორები ცდილობენ მოიპოვონ უფრო მეტი მონაცემი და უკეთესად გაანალიზონ და გამოიყენონ ისინი, რათა მოიპოვონ კონკურენტებთან შედარებითი დაწინაურებული პოზიცია. მონაცემები საბაზრო ძალაუფლების წყაროდ განიხილება, ხოლო ფინტექები მრავალმხრივი პლატფორმებია, რომლებიც კომპლექსურ ეკოსისტემას წარმოადგენს და მომხმარებელზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზრის აქტორია. ამიტომ ფინტექები ორმაგად მონაწილეობენ დიდი მონაცემების ბაზრებზე, როგორც ფირმებზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზრისა და როგორც მომხმარებელზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზრის მხარე, ამიტომ პოტენციური კონკურენცია, რომელიც ინოვაციებზე ორიენტირებას გულისხმობს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბაზარზე კომპანიის დომინანტური მდგომარეობის შესაფასებლად. ხოლო დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ხელს შეუწყობს ბაზრის სტრუქტურის შეფასებას და საწარმოთა საბაზრო ძალაუფლების დადგენას.

2. დიდი მონაცემების გავლენა ფინანსურ ბაზარის კონკურენციაზე

2.1. ციფრული ფინანსური აქტორების საბაზრო ქცევა

⁵⁵¹ Trading Data in the Digital Economy: Legal Concepts and Tools, Edited by Staudenmayer D., Schulze R., Lohsse S., Munich, 2017, 23.

⁵⁵² Competition Law and Data, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 11.

⁵⁵³ იქვე, 15.

⁵⁵⁴ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 90.

ციფრული ბაზარი კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის ჯერ კიდევ ახალია და განვითარების პროცესშია.⁵⁵⁵ ციფრულ ეკონომიკაში მოქმედებენ როგორც დიდი, დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიები, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, ხოლო დიდი მონაცემებიდან მიღებული ინფორმაცია და ცოდნა ყველასთვის ერთნაირი რაოდენობით და ხარისხით ხელმისაწვდომი არ არის და რომ ამ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობამ შეიძლება შედარებითი უპირატესობა მისცეს მათ, ვინც მათ ფლობს.⁵⁵⁶ კონკურენტებმა შესაძლოა მიიღონ ერთობლივი საბაზრო ძალაუფლება, ამისთვის კი თანხმდებიან ისეთ თამაშის წესებზე, რომლებიც ფასების კონტროლს, ბაზრის სეგმენტაციას, შესაბამის ბაზარზე ინოვაციის შეზღუდვას გულისხმობს.⁵⁵⁷ თუ ბაზრის განმარტებისას ინოვაციებს არ მიენიჭება დიდი როლი, მაშინ ის გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენციის ანალიზისას.⁵⁵⁸

საყურადღებოა, რომ პლატფორმები ეჯიბრებიან არა მხოლოდ მსგავს პლატფორმებს, არამედ ერთმანეთს კომპანიებს, ან მისი ბიზნესის ერთი მხარე სხვა პლატფორმის ერთ მხარეს, ეს კონკურენტული სტრუქტურა კი ართულებს კონკურენციის სამართლის კუთხით ციფრული პლატფორმის შეფასებას.⁵⁵⁹ კორპორაციას შეუძლია იმოქმედოს სხვა ბაზრებზე და გამოიყენოს სხვა ბიზნესმოდელები, ასევე ერთი და იგივე ბაზარი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა გზით, ყოველივე ეს კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.⁵⁶⁰ ზოგიერთი ციფრული ბაზარი, რა თქმა უნდა, ეჯიბრება მის ოფლაინ კონკურენტს, ხოლო ზოგიერთ ონლაინ ბაზარს არ აქვს შესაბამისი ჩამნაცვლებელი ოფლაინ სივრცეში.⁵⁶¹ ოფლაინ კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ მონაცემები მხოლოდ საკუთარი მომხმარებლისგან, მაგრამ ციფრულ პლატფორმები მოიპოვებენ დიდი მოცულობით მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან და მათ აქვთ წვდომა უდიდეს მონაცემებთან, რომლებიც დაკავშირებულია ყველა გამყიდველთან და მყიდველთან პლატფორმების მრავალ მხარეზე.⁵⁶² ამიტომაც, ციფრული პლატფორმების ბაზრები, ორივე შრე, უნდა გაანალიზდეს არა მხოლოდ როგორც შემოსავლის გენერირების შრე, არამედ უფასო მომსახურებაც, რადგან ისიც ბაზრის ნაწილია. საბაზრო ძალაუფლების შეფასება კი უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის ნებისმიერ შრეს,⁵⁶³ რადგან მომხმარებლების პირდაპირი გადასახადი პლატფორმებისთვის არის მათი პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, რაც ამ კუთხით მონაცემებს ახალ ვალუტად აქცევს.⁵⁶⁴ მეტიც, მომხმარებლები

⁵⁵⁵ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 140.

⁵⁵⁶ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 81-82.

⁵⁵⁷ დარცმელიძე რ., მტკიცებულებათა მოპოვების ფარგლები და შეფასების სტანდარტი კონკურენციის სააგენტოს მიერ შეთანხმების კარტელურად კვალიფიკაციისას, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 389.

⁵⁵⁸ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 151.

⁵⁵⁹ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 137.

⁵⁶⁰ Kalesná K., Relevant Market – Digital Challenges, Bratislava Law Review, Vol. 7, No 1, 2023, 80.

⁵⁶¹ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 146.

⁵⁶² Kira B., Vikram Sinha V., Srinivasan S., Regulating Digital Ecosystems: Bridging the Gap Between Competition Policy and Data Protection, Industrial and Corporate Change, Vol. 30, No. 5, 2021, 1340.

⁵⁶³ Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, The Competition Law Review, Vol. 12, No. 2, 2017, 151.

⁵⁶⁴ Augusto R., Pfeiffer C., Digital Economy, Big Data and Competition Law, Market and Competition Law Review, Vol. 3, No. 1, 2019, 63.

პლატფორმების გამოყენებისას, განსაკუთრებით, ისეთი პლატფორმების რომლებიც „უფასო“, მომსახურებაში იხდიან მონაცემებით.⁵⁶⁵ დიდი მონაცემებიდან კომერციული ღირებულების მიღებისას კი გასათვალისწინებელია ორი მთავარი საკითხი: პირველი, მიმდინარე ბიზნესპროცესების, მომსახურებებისა და პრაქტიკის ოპტიმიზაცია და გაუმჯობესება, ხოლო მეორე, ახალი ბიზნესმოდელების, პროდუქტებისა და პრაქტიკების შემუშავება, რომლებიც განვითარდება და ინოვაციური გახდება დიდი მონაცემების ანალიზის გამოყენებით.⁵⁶⁶ მონაცემებს დაფუძნებული ინოვაციები კი ნიშნავს დიდი მონაცემების გამოყენებით პროდუქტის, პროცესის ორგანიზაციული მეთოდის ან ბაზრის, ანდა მათი განვითარების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.⁵⁶⁷ შესაბამისად, ციფრულ ბაზარზე მოქმედი მრავალშრიანი პლატფორმის სახით მოქმედი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია პლატფორმის მომხმარებელთა მონაცემები, რომლებსაც აგროვებენ ანალიზებენ და შეიმუშავებენ უკეთეს სტრატეგიებს უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებელთა მოსაზიდად ბაზრის გარკვეულ მხარეს,⁵⁶⁸ რადგან მომხმარებელი აგენერირებს მეტ და მეტ მონაცემს, ფირმები კი „მოიძიან“ მოცულობით საწარმოო ღირებულებას და ამავდროულად წარმოშობენ მეტ ღირებულებას მომხმარებლისთვის. ამით პლატფორმა მეტი მომხმარებლის ყურადღებას იზიდავს (მომხმარებლის უკუგების კავშირი), ხოლო მონაცემები უფრო დიდი მომხმარებელთა ბაზიდან შესაძლებლობას აძლევს ფირმებს ჰქონდეთ ეფექტური მიზნობრივი რეკლამირება და, შესაბამისად, მიიღონ უფრო მეტ შემოსავალი; შედეგად ფირმები მეტ ინვესტიციას განახორციელებენ მომსახურების ხარისხში და სხვა დამატებით ღირებულებებში, რაც ასევე იზიდავს მეტ მომხმარებელს (მონეტიზაციის უკუგების კავშირი). მოცემული უკუგების კავშირების გათვალისწინებით პირველი ვინც მოიპოვებს უპირატესობას ინარჩუნებს კონკურენტუნარიან უპირატესობას.⁵⁶⁹ ასევე, საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ მონაცემებზე დაფუძნებული საბაზრო ძალაუფლება, რათა უპირატესობა მოიპოვონ მომიჯნავე ბაზარზე.⁵⁷⁰

თავის მხრივ, მონაცემები, რომლებიც გამოიყენება კომპანიების გასავითარებლად, იყოფა ორ ნაწილად: შიდა და გარე მონაცემებად.⁵⁷¹ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ადრეც იყენებდნენ მანქანურ დასწავლას კლიენტთა კატეგორიზაციისთვის,⁵⁷² დღეს კი ფინანსური ინსტიტუტები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი დიდი მონაცემების ტექნოლოგიებზე და ახორციელებენ ინვესტიციებს, რათა მომხმარებელთა უზარმაზარი მონაცემთა ბაზის დამუშავება შეძლონ დიდი

⁵⁶⁵ Kira B., Vikram Sinha V., Srinivasan S., Regulating Digital Ecosystems: Bridging the Gap Between Competition Policy and Data Protection, *Industrial and Corporate Change*, Vol. 30, No. 5, 2021, 1342.

⁵⁶⁶ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection, *IEEE Access*, Vol. 6, 2018, 15136

⁵⁶⁷ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: *Big Data and Competition*, Special Issue of *Concorrenza e Mercato*, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 81.

⁵⁶⁸ Augusto R., Pfeiffer C., Digital Economy, Big Data and Competition Law, *Market and Competition Law Review*, Vol. 3, No. 1, 2019, 58.

⁵⁶⁹ Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, *Journal of Information Technology* Vol. 38, No. 2, 2023, 214.

⁵⁷⁰ Competition Law and Data, In: *Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt*, 10th May, 2016, 16.

⁵⁷¹ Zhang Y., Based on Big Data Analysis Technology to Explore the Influence of Property Responsibility Derivative System on Enterprise Performance, 2021 International Conference on Big Data Analytics for Cyber-Physical System in Smart City, Volume 2, Edited by Atiquzzaman M., Yen N., Xu Z., Vol. 2, Singapore, 2022, 226.

⁵⁷² Janev V., Pujic D., Jelic M., Vidal M., Survey on Big Data Applications, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020, 157.

მონაცემების ტექნოლოგიების გამოყენებით.⁵⁷³ ციფრული პროდუქტების გაყიდვა დამოკიდებულია დიდი მონაცემების დამუშავებაზე, რაც კიდევ ზრდის ინფოკომპეტეციების მნიშვნელობას,⁵⁷⁴ რადგან მონაცემების შეგროვება გასცდა საძიებო რესურსების სფეროს.⁵⁷⁵ ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტი გამოთვლით შესაძლებლობებს ზრდის, იყენებს დიდი მონაცემების ტექნიკებს მოცულობითი მონაცემების კრებულის რეალურ დროში ანალიზისთვის და იღებს შეუფასებელ ცოდნას,⁵⁷⁶ რადგან დიდი მონაცემების ეპოქაში, ადამიანების მონაცემთა უსაფრთხოება ადამიანთა მონაცემების ანალიზს უკავშირდება, რა დროსაც ხდება ადამიანთა მდგომარეობის შესწავლა და მათი ქცევის პროგნოზირება.⁵⁷⁷ დიდი მონაცემების გარემოში პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტროლის მცდელობა კი ფირმებს უბიძგებთ შექმნან საკუთარი „ცოდნის კერძო ქსელი“, რომელიც საშუალებას მისცემს კანონის გვერდის ავლით ფირმის საჭიროებისთვის დაამუშაონ პერსონალური ინფორმაცია და კერძო პირების ხელში თავი მოუყაროს უპრეცედენტო ძალაუფლებას.⁵⁷⁸ დიდი მონაცემები მომხმარებელზე გამიზნული ინოვაციური პროდუქტებისა და სისტემების შექმნისთვის მნიშვნელოვანი მასალაა.⁵⁷⁹ ხოლო მომხმარებელთა მონაცემების ფლობა კი დიდი მონაცემების ფენომენის ნაწილია.⁵⁸⁰

2.2. დიდი მონაცემების ბაზარი და ციფრული ფინანსური ბაზრის კონკურენცია

კონკურენცია მნიშვნელოვანია ბაზრის განვითარებისთვის, იგი შესაბამის ბაზარზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, ამავე ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტების ერთმანეთთან მეტოქეობაა.⁵⁸¹ თუმცა ეს მეტოქეობა მოქცეულია საკანონმდებლო ჩარჩოებში, კერძოდ, ეკონომიკური აგენტების საქმიანობა თანასწორუფლებიანობის პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს.⁵⁸² ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები გამოიყენება ბაზარზე შეღწევადობის გასაფართოებლად, რაც ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.⁵⁸³ მონაცემები გროვდება მონაცემთა შუამავლების (ბროკერების) მიერ. მონაცემთა ბროკერები, რომელთაც ვებსაიტებს აძლევენ უფლებას გამოიყენონ მათი მზა ჩანაწერები თუ პიქსელები, მონაცემთა ტექნოლოგიის გამოყენებით აგროვებენ მონაცემებს, რათა გაიყიდოს „მონაცემთა ბაზარზე“,⁵⁸⁴ რაც მეტყველებს მონაცემების ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. მონაცემთა ეკონომიკური მნიშვნელობა კი განიხილება და, ზოგიერთ

⁵⁷³ Lochy J., Big Data in the Financial Services Industry - From Data to Insights, 09 September 2019, [ob. <https://bit.ly/3uqiAXo>](https://bit.ly/3uqiAXo) [27.01.2024]

⁵⁷⁴ Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, 2014, 71.

⁵⁷⁵ Competition Law and Data, In: joint paper of The French Autorité de la concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 3.

⁵⁷⁶ Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the digital era, (Edited volume based on the REDA 2017 conference), Springer, (2018), 1.

⁵⁷⁷ Zhang D., Big Data Security and Privacy Protection, Advances in Computer Science Research, Vol. 77, Atlantic Press, 2018, 275.

⁵⁷⁸ Bottis M., Bouchagiar G., Personal Data v. Big Data in the EU: Control Lost, Discrimination Found, Open Journal of Philosophy, Vol. 8, No 3, 2018, 192-205.

⁵⁷⁹ Report of the US Federal Trade Commission on Big Data: A Tool for Inclusion or Exclusion?, 2016, 12, [ob. <https://bit.ly/3WfVbBv>](https://bit.ly/3WfVbBv) [08.05.2024]

⁵⁸⁰ Mäihäniemi B., Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market, Edward Elgar Publishing, 2020, 37.

⁵⁸¹ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.

⁵⁸² იქვე, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

⁵⁸³ Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, 2014, 70.

⁵⁸⁴ Competition Law and Data, In: joint paper of The French Autorité de la concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016, 38-39.

შემთხვევაში, აღიარებულია კონკურენციის დაცვის ორგანოების მიერ, რაც შესაძლებლობას ქმნის კომპანიების მიერ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ქცევის მიმართ გავრცელდეს კონკურენციის სამართალი, რომელიც დაკავშირებული იქნება ფირმის შესაძლებლობებთან, მონაცემების კრებულის შექმნითა და შენარჩუნებით, კონკურენტებთან შედარებით მოიპოვოს საბაზრო უპირატესობა.⁵⁸⁵ მონაცემებით მართული კომპანიების კონკურენციის მოდელში მონაცემები იწარმოება მომხმარებელთა ეკონომიკური აქტივობებისა და კომპანიების მიერ მონაცემთა ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით.⁵⁸⁶

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გლობალური დიდი მონაცემების ტექნოლოგია 2023 წლისთვის შეფასებული იყო 350 მილიარდ დოლარამდე და მოსალოდნელია ამ თანხის გაზრდა ორ ტრილიონამდე, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დიდი მონაცემების მიწოდების მხარის შესწავლა და მეტიც, მიწოდება და მოთხოვნა როგორ ურთიერთქმედებს მონაცემთა ფასის წონასწორობის მიღწევის მხრივ.⁵⁸⁷ მეტიც, დიდი მონაცემები ვაჭრობისთვის აუცილებელია დადგინდეს მონაცემთა ერთობლიობის (Dataset) კომერციული/სავაჭრო ღირებულება, ამიტომ დიდი მონაცემებიდან კომერციული ღირებულების დასადგენად ჯერ უდნა განიმარტოს მონაცემთა ერთობლიობის სავაჭრო ღირებულება.⁵⁸⁸ ამრიგად, ბევრი კომპანია ინახავს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორებიცაა (საკრედიტო და სადებეტო ბარათებით განხორციელებული გარიგებები), იდენტიფიკაციის დეტალები, პერსონალური კონტაქტი, სოციალურ სივრცეში დატოვებული კომენტარი, ფოტო თუ ვიდეო მასალები და შესაბამისად ყიდის ფინანსურ ინსტიტუტებსა თუ ტელეკომუნიკაციის კომპანიებზე.⁵⁸⁹ ბანკები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მონაცემებს ამუშავებენ ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით; მონაცემებს, მათ შორის დიდ პერსონალურ მონაცემებს, მონაცემთა სუბიექტისგან ან მესამე პირებისგან მოიპოვებენ, აგროვებენ, ფოტოზე აღბეჭდავენ, ასრულებენ აუდიო- ან ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას უკეთებენ, ინახავენ, ცვლიან, ხელმისაწვდომს ხდიან მესამე პირებისთვის, ანადგურებენ, აჯგუფებენ;⁵⁹⁰ ბანკი, ასევე, იღებს შესაძლებლობას დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები საჭირო მოცულობით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ასევე შეუზღუდავად, ნებისმიერი მოცულობით, გამოითხოვოს პერსონალური მონაცემები მასზე არსებული კლიენტების შესახებ სახელმწიფო ორგანოებიდან თუ მესამე პირ(ებ)ისგან.⁵⁹¹ კონკურენტუნარიანობის მხრივ, მონაცემები, როგორც სტრატეგიული ნედლეული (წარმოების კომპონენტი), მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც მისი მოცულობის დონე ფირმას აძლევს შესაძლებლობას მონაცემებისგან მოიპოვოს ეკონომიკური სარგებელი, ხოლო ამ მოცულობის გარეშე ეკონომიკური სარგებელი მცირდება, ანდა წყვეტს არსებობას. ამასთან ციფრული ბაზრის მონოპოლიის დროს ძლიერი საბაზრო

⁵⁸⁵ იქვე, 53.

⁵⁸⁶ Cong L. W., Mayer S., Data Union and Regulation in a Data Economy, National Bureau of Economic Research Working Paper N3088, 2023, 23, იხ., <<https://bit.ly/3QyLDmo>> [08.05.2025].

⁵⁸⁷ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 619.

⁵⁸⁸ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection, IEEE Access, Vol. 6. 2018, 15135.

⁵⁸⁹ Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: Big Data and Competition, Special Issue of Concorrenza e Mercato, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016, 92.

⁵⁹⁰ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა - ლიბერთი, პუნქტები 4 და 5, იხ. <<https://bit.ly/3vu7HmI>> [04.08.2025]

⁵⁹¹ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, პუნქტები 9.1-9.3. იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

ძალის კომპანიები მოიპოვებენ მონაცემთა აუზიდან ინფორმაციას, ხოლო დანარჩენებს აქვთ შეზღუდული წვდომა მათზე.⁵⁹² უნდა აღინიშნოს, კომპანიებს შორის შეთანხმებული ქმედების განსაზღვრისთვის გაითვალისწინება გეოგრაფიული ბაზრის სიდიდე, ბაზრის მოცულობა, პროდუქტის ბუნება, წარმოების სპეციფიკა, შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და ზომა, ფასწარმოქმნის პირობების, მოთხოვნის სიდიდე და სხვა.⁵⁹³ თავის მხრივ, მონაცემთა ფასდადების მეთოდი და მოდელი შეირჩევა მონაცემთა ანალიზის ეტაპის გავლის შემდგომ, მონაცემთა ფასდადების ეტაპზე მონაცემთა მფლობელი მონაცემთა კრებულს ადებს გონივრულ ღირებულებას ციფრულ ბაზარზე განსათავსებლად. მონაცემთა ფასზე მოქმედებს მონაცემთა ზომა და მომხმარებელთა მოთხოვნაც.⁵⁹⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია მნიშვნელოვანია ბაზრის განვითარებისთვის, ვინაიდან იგი საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცეული მეტოქეობაა, რომელიც ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის პრინციპს ეყრდნობა. კონკურენციის მიზნებისთვის კი ინოვაციებს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინოვაციების შეზღუდვა განიხილება კონკურენციის შემაფერხებელ ფაქტორად. თავის მხრივ, დიდი მონაცემები ხელს უწყობს ინოვაციურ ბიზნესმოდელების, პროდუქტებისა და პრაქტიკის შემუშავებას მეწარმეთა მიერ, დიდი მონაცემები გამოიყენება განახლებული სტრატეგიების, ინოვაციების დანერგვისთვის. მონაცემები გროვდება და იყიდება მონაცემთა ბაზარზე, ხოლო კონკურენციის დაცვის სააგენტოების მიერ მონაცემების ეკონომიკური მნიშვნელობის აღიარებით კომპანიების მიერ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ქცევის მიმართ კონკურენციის სამართლის გავრცელება შესაძლებელი გახდა.

მონაცემებით მართული კომპანიების კონკურენციის მოდელში მონაცემები იწარმოება მომხმარებელთა ეკონომიკური აქტივობებისა და კომპანიების მიერ მონაცემთა ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით. მეტიც ციფრული პროდუქტების გაყიდვა დამოკიდებულია დიდი მონაცემების დამუშავებაზე, რაც კიდევ ზრდის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობას, ამიტომ ფინანსური ინსტიტუტები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი დიდი მონაცემების ტექნოლოგიებზე და ახორციელებენ ინვესტიციებს, რათა მომხმარებელთა უზარმაზარი მონაცემთა ბაზის დამუშავება შეძლონ დიდი მონაცემების ტექნოლოგიების გამოყენებით. მრავალშრიანი პლატფორმების დახმარებით ფინანსური ორგანიზაციები მომხმარებელთა მონაცემებს აგროვებენ, ანალიზებენ და შეიმუშავებენ უკეთეს სტრატეგიებს უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებელთა მოსაზიდად. ისინი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე კლიენტისგან მოპოვებულ მონაცემებს ამუშავებენ ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. მონაცემებს, მათ შორის დიდ პერსონალურ მონაცემებს, მონაცემთა სუბიექტისგან ან მესამე პირებისაგან მოიპოვებენ, აგროვებენ, ორგანიზებას უკეთებენ, ინახავენ, ცვლიან. უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტია მომხმარებელი, უფრო მეტი მონაცემი გროვდება, ფინანსური ინსტიტუტები მიმართავენ

⁵⁹² Purtova N., Do Property Rights in Personal Data Make Sense after the Big Data Turn? Individual Control and Transparency, *Journal of Law and Economic Regulation*, Vol. 10, issue 2, 2017, 71.

⁵⁹³ დარცმელიძე რ., მტკიცებულებათა მოპოვების ფარგლები და შეფასების სტანდარტი კონკურენციის სააგენტოს მიერ შეთანხმების კარტელურად კვალიფიკაციისას, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გუგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2022, 401.

⁵⁹⁴ Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection, *IEEE Access*, Vol. 6, 2018, 15136

მომხმარებლის უკუგებისა და მონეტიზაციის უკუგების კავშირს. ამ უკუგების კავშირის გამოყენება კომპანიას აძლევს საშუალებას მოიპოვოს მონაცემებზე დაფუძნებული საბაზრო ძალაუფლება მომიჯნავე ბაზრებზეც. ამიტომ ფინანსური ბაზრის აქტორები, ფინტექები, ცდილობენ მეტი მომხმარებელი მოიზიდოს და მეტად ჰქონდეს წვდომა მომხმარებელზე ორიენტირებულ მონაცემთა ბაზარზე, რაც კონკურენტებთან შედარებით მეტ უპირატესობას მოიპოვებს. ასევე, ფინანსური ორგანიზაციები მონაცემებს მოიპოვებენ მრავალფეროვანი მეთოდით, იქნება ეს კლიენტის რეგისტრაციისას, მზა ჩანაწერებიდან თუ ინტეგრირებული მომსახურების ეკოსისტემის შექმნით სხვადასხვა წყაროებიდან და დაკავშირებული ბაზრებიდან. მონაცემების მოპოვება ხორციელდება დაბალ ფასად, ფინანსური ინსტიტუტები ცოდნის კერძო ქსელის შექმნით აკონტროლებენ მოპოვებულ მონაცემებზე წვდომას და ხელს უშლიან სხვა კომპანიებს ბაზარზე შეღწევას. დომინანტურმა კომპანიებმა ციფრულ ბაზარზე შეიძლება შეზღუდოს ინოვაციები და აკონტროლონ ფასები. შესაბამისად, დიდი მონაცემები გავლენას ახდენს ფორმების კონკურენტუნარიანობაზე ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით.

VI. დიდი მონაცემების მოწესრიგება კონკურენციაში

1. დიდი მონაცემების მოწესრიგება კონკურენტული ციფრული ფინანსური ბაზრების პირობებში

1.1. ფინტექები დიდი მონაცემების კონკურენციის პირობებში

1.1.1. ფინტექები ფინანსური სექტორის ბიზნეს-მოდელში

ტექნოლოგიები ბიზნესს შესაძლებლობას აძლევს აწარმოოს საქმე სწრაფად, ეფექტიანად და დაცულად, ხოლო შემოქმედებითობა (კრეატიულობა), ძველი ეკონომიკის ტრადიციებს არღვევს და ბიზნესი პრობლემის გადასაჭრელად პოულობს ახალ და რადიკალურ გზებს, კაპიტალი კი უზრუნველყოფს ფინანსური სახსრების მოძიებას ადამიანებისა და ახალი ტექნოლოგიების მოქმედებაში მოსაყვანად.⁵⁹⁵ ასეთ ვითარებაში, კონკურენცია მნიშვნელოვანია ბაზრის განვითარებისთვის, იგი შესაბამის ბაზარზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, ამავე ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტების ერთმანეთთან მეტოქეობაა.⁵⁹⁶ თუმცა ეს მეტოქეობა, ეკონომიკური აგენტების საქმიანობა კი თანასწორუფლებიანობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.⁵⁹⁷ საგულისხმოა, რომ დიდი ტექნოლოგიების კომპანიებს, რომლებიც ფლობენ მომხმარებელთა მასიური ბაზებს სოციალურ მედიასა თუ ინტერნეტში, შეუძლიათ გამოიყენონ ინფორმაცია ბაზარზე მომხმარებელთა ინტერესების შესახებ, გავრცელებისა და მესამე მხარის ფინანსური მომსახურებების ფასებისთვის.⁵⁹⁸ შესაბამისად, ისინი აქტიურად იყენებენ მომხმარებელთა ბაზებს, ქმნიან მასშტაბის ეკონომიას, ეკონომიას მასშტაბზე და ქსელური ეფექტებს საკუთარ ძირითად ბაზრებზე, ისინი იყენებენ უპირატესობებს ბაზარზე ძალაუფლების მოსაპოვებლად ფინანსურ სექტორში.⁵⁹⁹

თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური სექტორი ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს მრავალ დაწესებულებას, როგორებიცაა **ფინანსური ინსტიტუტები**, დამხმარე მომსახურების საწარმოები, დაზღვევის კომპანიები (მათ შორის მესამე ქვეყნების), გადაზღვევის კომპანიები (მათ შორის მესამე ქვეყნების), სადაზღვეო ჰოლდინგური კომპანია, შერეული საქმიანობის ჰოლდინგური კომპანია, შერეული საქმიანობის სადაზღვეო ჰოლდინგური კომპანია და ა.შ.⁶⁰⁰ საქართველოს საფინანსო სექტორი აერთიანებს საფინანსო სექტორის შემდეგ წარმომადგენლებს: კომერციული ბანკი, მიკრობანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, **საინვესტიციო ფონდი**, აქტივების მმართველი კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, **საგადახდო სისტემის ოპერატორი**, **საგადახდო მომსახურების პროვაიდერი**, ანგარიშვალდებული საწარმო, ვალუტის

⁵⁹⁵ Malhotra R., Malhotra D.K., the Impact of Internet and E-commerce on the Evolving Business Models in the Financial Services Industry, Int. J. Electronic Business, Vol. 4, No. 1, 2006, 57.

⁵⁹⁶ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.

⁵⁹⁷ იქვე, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

⁵⁹⁸ III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, 62. იხ., <bit.ly/3RiWjFX> [01.04.2025]

⁵⁹⁹ Feyen E., Frost, J., Gambacorta, L., Natarajan H., Saal M., *Fintech and the Digital Transformation of Financial Services: Implications for Market Structure and Public Policy*, Monetary and Economic Department, N 117, 2021, 23.

⁶⁰⁰ Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 27.

გადამცველი პუნქტი.⁶⁰¹ ევროკავშირის სამართალი ადგენს, რომ ფინანსური ინსტიტუტი არის საკრედიტო დაწესებულება,⁶⁰² რომელიც იღებს ანაბრებს ანდა ანაზღაურებად ფონდებს საზოგადოებიდან და საკუთარი სახელით გასცემს კრედიტებს,⁶⁰³ საინვესტიციო ფირმა, რომელიც არის იურიდიული პირი და ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე საინვესტიციო მომსახურების (სერვისის) მიწოდება მესამე მხარისთვის, ანდა პროფესიონალურ დონეზე ერთი ან რამდენიმე საინვესტიციო ქმედების განხორციელება.⁶⁰⁴ უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო დაწესებულება და სესხის გამცემი დაწესებულება არ არის საინვესტიციო ფირმები.⁶⁰⁵ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის ზემოხსენებული საკრედიტო დაწესებულება, ელექტრონული ფულის დაწესებულება, საფოსტო ოფისების საგადახდო სალაროები, საგადახდო დაწესებულება, ევროპის ცენტრალურ ბანკი და ეროვნულ ბანკები, როგორც მონეტარული პოლიტიკის განხორციელებელი დაწესებულება ან სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას, ასევე ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ პირისპირად გადარიცხვებს ანდ შეზღუდული რაოდენობით ტრანზაქციებს,⁶⁰⁶ ელექტრონული ფულის დაწესებულება, რომელიც არის ავტორიზებული იურიდიული პირი, რათა გამოსცეს ელექტრონული ფული.⁶⁰⁷ ფინანსური ინსტიტუტი განსხვავდება იმ იურიდიული პირისგან, რომლის უპირველესი საქმიანობა არის ჰოლდინგების შესყიდვა, ან ახორციელებს შემდეგ ერთს ან რამდენიმე საქმიანობას: სესხის გაცემა (მათ შორის სამომხმარებლო კრედიტი, საკრედიტო შეთანხმებები უკავშირდება უძრავ ქონებებს, ფაქტორინგი, კომერციული ტრანზაქციის დაფინანსება), ფინანსური ლიზინგი, საგადახდო მომსახურება (საგადახდო ანგარიშზე ნაღდი ფულის დადების და გამოტანის მომსახურება, საგადახდო ტრანზაქციის აღსრულება, მათ შორის ისეთი საგადახდო ტრანზაქცია, რომლის გადახდა იფარება მომხმარებლისთვის საგადახდო მომსახურებისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზით), გადახდის სხვა საშუალებების გამოშვება და ადმინისტრირება (როგორცაა სამოგზაურო ჩეკები), გარანტიების გაცემა, საკუთარი სახელით ან მომხმარებლის სახელით ფულის ბაზრის ინსტრუმენტებით (ჩეკები, ბანკნოტები, სადეპოზიტო სერთიფიკატები და ა.შ.), უცხოური ვალუტით, ფინანსური ოფციებით,

⁶⁰¹ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

⁶⁰² Consolidated Text (17.01.2025): Directive (Eu) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/ec, 2009/110/ec and 2013/36/eu and Regulation (Eu) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/ec (Text With Eea Relevance), Art. 112, point 2.

⁶⁰³ Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 1.

⁶⁰⁴ *ერთობლივად*: Directive 2004/39/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on markets in financial instruments amending Council Directives 85/611/EEC and 93/6/EEC and Directive 2000/12/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 93/22/EEC, OJ L 145, 30.4.2004, p. 1, Art. 4(2) და Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 2.

⁶⁰⁵ Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 2.

⁶⁰⁶ Consolidated Text (17.01.2025): Directive (Eu) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/ec, 2009/110/ec and 2013/36/eu and Regulation (Eu) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/ec (Text With Eea Relevance), Art 4, point 11.

⁶⁰⁷ Directive 2009/110/ec of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the Taking Up, Pursuit and Prudential Supervision of the Business of Electronic Money Institutions Amending Directives 2005/60/ec and 2006/48/ec and Repealing Directive 2000/46/ec (Text With Eea Relevance), OJ L 267, 10.10.2009, P. 7, Art. 2, point 2.

გაცვლითი და საპროცენტო ინსტრუმენტებით, გადაცემადი სეკურიტებით ვაჭრობა, პორტფოლიოების მენეჯმენტი, სეკურიტების ადმინისტრაცია და ელექტრონული ფულის გამოშვება⁶⁰⁸, მათ შორისა საფინანსო ჰოლდინგური კომპანიები, შერეული საფინანსო ჰოლდინგური კომპანიები, საგადახდო დაწესებულებები, აქტივების მმართველი კომპანია, გარდა სადაზღვევო ჰოლდინგური კომპანიის და შერეული საქმიანობის სადაზღვევო ჰოლდინგური კომპანიებისა.⁶⁰⁹ კონკურენციის კომპეტენტური ორგანოები ხაზს უსვამენ ფინტექების მეშვეობით ახალი ფინანსური ბაზრებისა და ქსელების შექმნას.⁶¹⁰

ფინტექ ინდუსტრია ფარავს ფინანსებისა და ტექნოლოგიების მრავალფეროვან ასპექტებს, იგი ფინანსური სექტორის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური რევოლუციაა, იგი მოიცავს შემდეგ ხუთ სფეროს: 1. ფინანსები და ინვესტიცია; 2. შიდა ოპერაციები და რისკ მენეჯმენტი; 3. გადახდები და ინფრასტრუქტურა – ინტერნეტ და მობილური გადახდები – ფინტექის ეს ფუნქციები მოიცავს როგორც საშინაო, ასევე გლობალურ ელექტრონულ საგადახდო სისტემებსა და სეკურიტებით ვაჭრობის ინფრასტრუქტურებს; 4. მონაცემთა უსაფრთხოება და მონეტიზაცია, და 5. მომხმარებელთა ინტერფეისი, განსაკუთრებით ონლაინ და მობაილ ფინანსური მომსახურებები, რომლებიც ტრადიციული ფინანსური მომსახურებების კომპანიების ყურადღებას იქცევს.⁶¹¹ შესაბამისად, ფინტექი არა მხოლოდ ფინანსური კომპანიების დამახასიათებელი მოვლენაა, არამედ დიდი ტექნოლოგიების კომპანიებიც იყენებენ მას, როგორც ფართო აქტივობის ნაწილს, ხოლო ფინანსური კომპანიების პირველად მიზანს ფინანსური მომსახურებები წარმოადგენს.⁶¹² დიდი მონაცემებით მართული ფინტექ ინოვაციები კი მნიშვნელოვანია ბანკინგისა და კაპიტალის ბაზრებისთვის, რათა ფინანსურმა ინსტიტუტებმა ეფექტურად იმუშაონ, შეამცირონ ინფორმაციის ასიმეტრიულობა და წინ წაიწიონ საკრედიტო ბაზრის განვითარებაში.⁶¹³ ხელოვნური ნივთების ინტერნეტზე დაფუძნებული ფინტექ-ინოვაციები, რომლებიც მოიცავს როგორც პროდუქტს, ასევე მომსახურებასაც, იყენებენ ამ ალგორითმებს საკრედიტო რისკების შეფასების, აქციებით ვაჭრობის პროექციების, ბაზრის ცვალებადობის ანალიზის და საბანკო რისკმენეჯმენტის პრაქტიკის ოპტიმიზაციის კუთხით.⁶¹⁴

ფინტექისთვის მნიშვნელოვანია ოთხი ტექნოლოგია: ხელოვნური ინტელექტი, განფენილი რეესტრის ტექნოლოგია, – რომელიც მოიცავს ბლოკჩეინს და ჰივანი ხელშეკრულებებს, – დრუბლოვან მომსახურება და მონაცემები (დიდი თუ პატარა), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ფინტექის არსებობა შესაძლებელია ხელოვნურ ინტელექტზე,

⁶⁰⁸ Directive 2013/36/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Access to the Activity of Credit Institutions and the Prudential Supervision of Credit Institutions and Investment Firms, Amending Directive 2002/87/EC and repealing Directives 2006/48/EC and 2006/49/EC Text with EEA relevance, Document 32013L0036, OJ L 176, 27.6.2013, p. 338, ANNEX I, points 2 to 12 and point 15

⁶⁰⁹ Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 26.

⁶¹⁰ Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law—A Case for Regulatory Competition?, In: Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance, edited by E. Avgouleas and H. Marjosola, ECFR, Special Volume 5, 2022, 216.

⁶¹¹ Giglio F., **Fintech: A Literature Review**, European Research Studies Journal, Vol. 24, No. 2B, 2021, 610-611.

⁶¹² III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, 56. *ob.*, <bit.ly/3RiWjFX> [01.04.2025]

⁶¹³ Andronie M., Big Data Management Algorithms in Artificial Internet of Things-Based Fintech, *Oeconomia Copernicana*, vol. 14, No. 3, 2023, 777.

⁶¹⁴ Rahmani, A. M., Rezazadeh, B., Haghparast, M., Chang, W.-C., & Ting, S. G. Applications of Artificial Intelligence in the Economy, Including Applications in Stock Trading, Market Analysis, and Risk Management. *IEEE Access*, Vol. 11, 2023, 80786, *ob.*, <doi: 10.1109/ACCESS.2023.3300036.>

დიდ მონაცემებზე, ღრუბლოვანი მომსახურებაზე და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებზე დაფუძნებით.⁶¹⁵ ხოლო მონაცემები არის ამ ინოვაციური ტექნოლოგიების ბირთვი.⁶¹⁶ შესაბამისად ტექნოლოგიების, კრეატიულობისა და კაპიტალის ერთობლიობამ განავითარა ელექტრონული ბანკინგი, რამაც ვაჭრობა და ფინანსები ფართო ელექტრონული კომერციის (ვაჭრობის) სექტორის ძირითად ნაწილად აქცია.⁶¹⁷ თავის მხრივ, ფინტექებმა შეცვალეს ფინანსური ბაზარი, ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური მომსახურება; ციფრულ სექტორში ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებასთან ერთად, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, ღრუბლოვანი გამოთვლა და დიდი მონაცემები, შეიცვალა არა მხოლოდ ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტები, არამედ ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტის მომსახურების თავდაპირველი ობიექტები, კერძოდ, ორგანიზაციების კაპიტალის სტრუქტურა.⁶¹⁸ დღეს, საბანკო სექტორი ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია,⁶¹⁹ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განავითარონ ფინტექებზე დაფუძნებული ბიზნეს-სტრატეგიები და საოპერაციო შესაძლებლობები ლიკვიდურობისა თუ საკრედიტო რისკების გაანალიზების კუთხით დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენებით.⁶²⁰ მეტიც, ბანკები ხელშეკრულებით აწესრიგებენ დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენების შესაძლებლობას, კერძოდ, ბანკს შეუძლია დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენების შედეგად მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კლიენტისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს.⁶²¹

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ფინანსური სექტორი ფართოა და მოიცავს მრავალ ფინანსურ დაწესებულებას, მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებს. ფინანსური ინსტიტუტი არ არის საბანკო დაწესებულება, თუმცა იგი არის საკრედიტო დაწესებულება, რომელიც შეზღუდულია გარკვეული სახის კრედიტებისა და სესხების გაცემაში. ფინანსური ინსტიტუტს არ შეუძლია გამოსცეს ელექტრონული ფული, თუმცა ის არის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მას შეზღუდული აქვს გარკვეული საგადახდო ოპერაციების განხორციელება, რომელიც უკავშირდება ნაღდი უფლის საგადახდო ანგარიშზე დადებას ან გამოტანას. ასევე, ფინანსურ ინსტიტუტი არ არის ჩართული ისეთ ფინანსურ საქმიანობაში, რომელიც მოიცავს ლიზინგის, გარანტიების გაცემას, უცხოური ვალუტით, საპროცენტო და ფულის ბაზრის ინსტრუმენტებით ვაჭრობას. შესაბამისად, ფინანსურ ინსტიტუტები და ბანკები განსხვავებული ფუნქციისა და მოწესრიგების ქვეშ ხვდება, რაც მათ მიერ ადმინისტრირებულ ფინტექებზე განსხვავებულად მოქმედებს. როგორც ირკვევა, ფინანსური ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ბანკებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, მეტი გარიგებისა და ტრანზაქციის განხორციელება შეუძლია, შესაბამისად, მეტადაა

⁶¹⁵ Zetzsche D. A., Arner D. W., Buckley R. P., *Decentralized Finance (DeFi)*, *Journal of Financial Regulation*, Vol. 6, 2020, 179.

⁶¹⁶ იქვე, 181.

⁶¹⁷ Malhotra R., Malhotra D.K., the Impact of Internet and E-commerce on the Evolving Business Models in the Financial Services Industry, *Int. J. Electronic Business*, Vol. 4, No. 1, 2006, 57.

⁶¹⁸ Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, *Economic Analysis and Policy*, Vol. 77, 2023, 281.

⁶¹⁹ Kemp R., *Legal Aspects of Managing Big Data*, *Computer Law & Security Review*, Vol. 30, No. 5, 2014, 484.

⁶²⁰ Andronic, M., Iatagan, M., Uță, C., Hurloiu, I., Dijmărescu, A., Dijmărescu, I., Big data management algorithms in artificial Internet of Things-based fintech. *Oeconomia Copernicana*, Vol. 14, No. 3, 2023, 779.

⁶²¹ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 6.4.4. პუნქტი, იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

დამოკიდებული დიდი მონაცემების ინფრასტრუქტურაზე, ვიდრე ფინანსური ინსტიტუტები.

1.1.2. დიდი მონაცემების როლი ფინტექების ეფექტურობაზე საბანკო სექტორში

„ახალი ეკონომიკისთვის“ მონაცემები მნიშვნელოვანი რესურსი გახდა; ხელოვნური ინტელექტი გამოთვლით შესაძლებლობებს ზრდის, იყენებს დიდი მონაცემების ტექნიკებს მოცულობითი მონაცემების კრებულის რეალურ-დროში ანალიზისთვის და იღებს შეუფასებელ ცოდნას.⁶²² მონაცემთა ეკონომიკის ღირებულებამ, რომელიც იზომება ეკონომიკაში მონაცემთა ბაზრის გავლენით, ევროკავშირსა და დიდი ბრიტანეთში ერთად, გადააჭარბა 400 მილიარდ ევროს 2019 წლისთვის, რაც წინა წელთან შედარებით 7,6%-ით მეტია,⁶²³ ხოლო დიდ მონაცემებს შეუძლია აშშ-ში დამატებით 3 ტრილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მოიტანოს.⁶²⁴ თვალსაჩინოა, დიდი მონაცემები ციფრულ ბაზარზე პლატფორმებისა და ამ პლატფორმებზე არსებული ბიზნესებისთვის აქტივია და შესაბამისად იქცა „ვალუტად“, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ხდება მონაცემების გაყიდვა და მისი გამოყენება ქცევაზე დაფუძნებული რეკლამების შეთავაზებისთვის, ანდა როდესაც შეუძლებელი ხდება მათი ჩანაცვლება.⁶²⁵

დიდი მონაცემების გამოყენების კუთხით დიდი კომპანიები იყენებენ შედარებით უპირატესობას მათი მცირე კონკურენტებთან შედარებით.⁶²⁶ ერთად აღებულ მრავალრიცხოვან წერტილოვან მონაცემს შეუძლია მსესხებლის ფინანსური სიჯანსაღის უკეთესი სურათი წარმოადგინოს და განსაზღვროს შეძლებს თუ არა მსესხებელი სესხის გადახდას, აღნიშნული მეთოდი მიესადაგება როგორც ინდივიდუუმებს ასევე ბიზნესს. ეს ტექნოლოგიური აპლიკაციები უფრო ეფექტური და ეფექტიანია, ვიდრე ტრადიციული მეთოდები. ის ეფექტიანია, რადგან დიდი ტექნოლოგიების კომპანიებს ტრადიციულ ბანკებთან შედარებით შეუძლიათ სწრაფად და უფრო ზუსტად განსაზღვრონ კრედიტის განაწილება და ეფექტურია, რადგან მათ შეუძლიათ მიაღწიონ და მოემსახურონ დიდი რაოდენობით ადამიანსა და ბიზნესს, რომლებიც ტრადიციული ბანკების კლიენტები არ არიან (განსაკუთრებით მიკრო- და მცირე და საშუალო ზომის ბიზნესს), რომლებიც უარყოფილნი არიან ბანკის მიერ. ეს ეფექტიანობა შეიძლება გაიზარდოს დანახარჯების შემცირებით რა დროსაც გამოიყენება ღრუბლოვანი მომსახურება და მონაცემთა სერვერები, რომლებსაც შეუძლია შეამციროს და უზულვებელყოს ტრადიციულ ფილიალებისა და პერსონალის საჭიროება, რომლებიც ხვდებიან პირადად ინდივიდუალურ მომხმარებლებს. დიდი ტექნოლოგიების კომპანიები იწვევენ პიროვნებებს და ინსტიტუტებს, რათა შევიდნენ (დალოგინდნენ) მათ პლატფორმებზე, მათივე სმარტფონებიდან და კომპიუტერებიდან გამართონ ინტერაქცია მომხმარებელზე-

⁶²² Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the digital era, (Edited volume based on the REDA 2017 conference), Springer, (2018), 1.

⁶²³ იხ. The study commissioned by the European Commission, prepared by IDC, European Data Market study, SMART 2016/0063, The European Data Market Monitoring Tool: D2.9 Final Study Report- Executive summary, Contract number: N-30-CE-0835309/00-96, B-1049 Brussels, June 2020.

⁶²⁴ Big Data's Economic Impact, იხ. <<https://bit.ly/3qn1Kp6>> [27.12.2021]

⁶²⁵ Competition Law in the EU: Principles, Substance, Enforcement, 2nd edition, edited by Van De Gronden Johan W., Rusu Catalin S., Edward Elgar Publishing, 2024, p. 46-47.

⁶²⁶ Börklüce C., Big Data Misuse and European Contract Law, European Review of Contract Law, Vol. 20, No. 2, 2024, 323.

ორიენტირებულ აპი-თას.⁶²⁷ დიდი ტექნოლოგიების კომპანიების სესხის გაცემის გადაწყვეტილება დაკავშირებულია დიდი რაოდენობის ინფორმაციის, ანუ დიდი მონაცემების დამუშავებასთან რა დროსაც გამოიყენება მაღალგანვითარებული ანალიტიკური მეთოდები, როგორცაა მანქანური დასწავლა და ქსელური ანალიზი (ხელოვნური ინტელექტი).⁶²⁸

აღნიშნული საკითხი მეტად საყურადღებოა ფინანსურ სექტორზე ბანკების მიერ ადმინისტრირებული ფინტექის მართვისას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ტექნოლოგიების კომპანიები აგებენ დიდი მონაცემების ეკოსისტემას, კერძოდ, აერთიანებენ შიდა წყაროებს, რა დროსაც იყენებენ დიდი მოცულობის მონაცემებს, რომლებიც მათ მიერაა დაგენერირებული მათივე პლატფორმაზე განხორციელებული აქტივობების შედეგად, ასევე იყენებენ გარე მისაწვდომ წყაროებს,⁶²⁹ დიდი კომპანიების მსგავსად, ხოლო შემდეგ ამუშავებენ მონაცემებს მაღალგანვითარებული ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა მანქანური დასწავლა და ქსელური ანალიზი, ანუ ხელოვნური ინტელექტი.⁶³⁰ როგორც აღინიშნა, ფინანსური ინსტიტუტებიც ცოდნის კერძო ქსელის შექმნით აკონტროლებენ მოპოვებულ მონაცემებზე წვდომას და ხელს უშლიან სხვა კომპანიებს ბაზარზე შეღწევას. ამასთან ყურადსაღებია, რომ საქართველოში რეგისტრირებულია 17 კომერციული ბანკია,⁶³¹ რომელთაგან წმინდა მოგების კუთხით პირველ ადგილზე „საქართველოს ბანკია“, ხოლო მეორე ადგილზე „თიბისი ბანკია“.⁶³² ჯამში ორივე ბანკი საქართველოს ბაზრის აქტივების 80%-მდე ფლობს, ხოლო უმსხვილეს ორ ბანკზე მთლიანი მოგების 85% მოდიოდა.⁶³³ „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 3 მილიონ ადამიანს,⁶³⁴ რაც საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 81%-ია,⁶³⁵ ბანკი ფლობს საქართველოს ბაზრის 38,2%-მდე,⁶³⁶ ხოლო ციფრული მომხმარებლების რაოდენობამ დაახლოებით 801 ათას მიაღწია.⁶³⁷ თავის მხრივ საქართველოს ბანკი ემსახურება 1,9 მილიონზე მეტი მომხმარებელს, ჰყავს 1,5 მლნ-იონი

⁶²⁷ Arner D., Buckley R., Charamba K., Sergeev A., Zetsche D., Governing FinTech 4.0: BigTech, Platform Finance, and Sustainable Development, Journal, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 27, No. 1, 2022, 11-12.

⁶²⁸ III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, 66. იხ., <bit.ly/3RiWjFX> [01.04.2025]

⁶²⁹ Arner D., Buckley R., Charamba K., Sergeev A., Zetsche D., Governing FinTech 4.0: BigTech, Platform Finance, and Sustainable Development, Journal, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 27, No. 1, 2022, 11. ასევე იხ., Frost J., Gambacorta L., Huang Y., Shin H. S., Zbinden P., BigTech and the Changing Structure of Financial Intermediation, BIS Working Papers, No. 779, Monetary and Economic Department, April 2019, 2, იხ., <<https://www.bis.org/publ/work779.pdf>> [01.04.2025]

⁶³⁰ III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, 66. იხ., <bit.ly/3RiWjFX> [01.04.2025]

⁶³¹ ლიცენზირებული კომერციული ბანკები, იხ. <<https://bit.ly/42RK75f>> [10.04.2025]

⁶³² 2024 წელს 13 ბანკი მოგებაზე გავიდა, 4 ზარალზეა, იხ. <<https://bit.ly/3RWiyBw>> [10.04.2025]

⁶³³ საქართველოში ორი უმსხვილესი ბანკის წილი აქტივებში 80%-ს აღწევს, მოგებაში 90%-ს აკარბებს, იხ. <<https://bit.ly/4jJN25L>> [10.04.2025]

⁶³⁴ იხ. „თიბისი ბანკის“ წლიური ფინანსური ანგარიში, 31 დეკემბერი 2022, 13. იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision>> [11.04.2022]

⁶³⁵ საქართველოს მოსახლეობა, 2024 წლის მონაცემებით, საქსტატის მიხედვით შეადგენს 3 694 600 ადამიანს, იხ., <<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>> [11.04.2022]

⁶³⁶ იხ. კონკურენტული ანალიზი, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდი <<https://bit.ly/44xMMCo>> [21.04.2025]

⁶³⁷ იხ. „თიბისი ბანკის“ წლიური ფინანსური ანგარიში, 31 დეკემბერი 2022, 7. იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision>> [11.04.2022]

აქტიური ციფრული მომხმარებელი,⁶³⁸ ბანკი ფლობს საქართველოს ბაზრის 36,3%-ს.⁶³⁹ შესაბამისად, „თიბისი ბანკისა“ და საქართველოს ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა ერთმანეთს ფარავს, ხოლო ერთად ორივე ბანკი საქართველოს ბაზრის 74,5%-ს ფლობს. გასათვალისწინებელია, რომ დიდი მონაცემებითა და თანამედროვე მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების საშუალებით ფინანსური ინდუსტრიებს საშუალება ეძლევა გამოიყენონ და გააერთიანონ გარე და შიდა მონაცემები.⁶⁴⁰ შესაბამისად, საქართველოს ორ უმსხვილეს ბანკს აქვს ფინანსური და ადამიანური რესურსი რათა განავითარონ ფინტექები; თავის მხრივ, ფინტექები იყენებენ მობილურ აპლიკაციას, გარიგებათა (ტრანზაქციების) ისტორიას, რათა განსაზღვრონ მომხმარებლის საკრედიტო სანდოობა და შესთავაზონ მომხმარებლებს მათზე მორგებული პროდუქტი და პერსონიზირებული რეკომენდაციები.⁶⁴¹ შესაბამისად, მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირებულია კლიენტად საქართველოს ორ უმსხვილეს ბანკში, მათ შესაძლებლობას აძლევს მოიპოვოს შედარებითი უპირატესობა არა მხოლოდ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში, არამედ სხვა ბანკებთან მიმართებაშიც. დამატებით, ფინანსური ინსტიტუტებს აქვთ წვდომა კორპორაციული ინფორმაციის ფართო სპექტრზე უფრო მარტივად ფინანსური ტექნოლოგიებისა და დიდი მონაცემების მეშვეობით.⁶⁴² ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, ბანკები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი დიდი მონაცემების ტექნოლოგიებზე და ახორციელებენ ინვესტიციებს, რათა მომხმარებელთა უზარმაზარი მონაცემთა ბაზის დამუშავება შეძლონ დიდი მონაცემების ტექნოლოგიების გამოყენებით.⁶⁴³

დიდი მონაცემების გამოყენების ინოვაციები ზრდის ფინანსური მომსახურების ეფექტურობას, მომხმარებლის ინტერფეისები, კერძოდ ონლაინ და მობილური მომსახურებები, სთავაზობს შესაძლებლობებს ფინტექ კომპანიებს ტრადიციული ფინანსური ფირმების ადგილი დაიკავოს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.⁶⁴⁴ მეტიც, ფინტექმა და ხელოვნურმა ინტელექტმა შეცვალა ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა. განფენილი რეესტრის ტექნოლოგია სტიმულს აძლევს ტრანსნაციონალური გარიგებების წარმოშობა ალგორითმის მეშვეობით, აჩქარებს წესთშემოქმედთა განკერძოებას (privatization of rule-making). ხელოვნური ინტელექტი და მანქანური დასწავლა ზრდის ფინანსურ ბაზრებსა და ინსტიტუტებს შორის ურთიერთდაკავშირებულობას. იქმნება ქსელები, რომლებიც ცდიან კერძო რეგულაციების სიცოცხლისუნარიანობას, მარეგულირებელ ჩარევებს და ტრანსნაციონალური შემთხვევებისთვის ნორმების აღსრულების კონცეფციებს.⁶⁴⁵ ფინტექს შეუძლია გაზარდოს

⁶³⁸ საქართველოს ბანკი, ძირითადი ცნობები, იხილეთ საქართველოს ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<https://bit.ly/3Kvh7ow>> [21.04.2025]

⁶³⁹ იხ. კონკურენტული ანალიზი, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდი <<https://bit.ly/44xMMCo>> [21.04.2025]

⁶⁴⁰ Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, *Economic Analysis and Policy*, Vol. 77, 2023, 284.

⁶⁴¹ Andronie M., Big Data Management Algorithms in Artificial Internet of Things-Based Fintech, *Oeconomia Copernicana*, vol. 14, No. 3, 2023, 779.

⁶⁴² Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, *Economic Analysis and Policy*, Vol. 77, 2023, 284.

⁶⁴³ Lochy J., Big Data in the Financial Services Industry - From data to insights, 09 September 2019, იხ. <<https://bit.ly/3uqiAXo>> [10.04.2022]

⁶⁴⁴ Giglio F., **Fintech: A Literature Review**, *European Research Studies Journal*, Vol. 24, No. 2B, 2021, 610-611.

⁶⁴⁵ Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law—A Case for Regulatory Competition?, In: *Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance*, edited by E. Avgouleas and H. Marjosola, ECFR, Special Volume 5, 2022, 214.

ფინანსური ინსტიტუტის სამეწარმეო საქმიანობის შედეგიანობა და ბაზარზე კონკურენტუნარიანობა.⁶⁴⁶ მონაცემები ინახება ღრუბლებში და შემდეგ ფინტექის აპლიკაციის ინსტრუმენტებთან ერთად, როგორცაა დიდი მონაცემების მოდელირება და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია, გამოიყენება მომხმარებლების შესწავლისთვის თუ ბიზნესმოდელების ინოვაციისთვის.⁶⁴⁷ აღსანიშნავია, რომ საბოლოო ჯამში ფინტექსა და განვითარებულ ანალიტიკას შეუძლია გაზარდოს საბანკო ოპერაციები და ფინანსური სტაბილურობა,⁶⁴⁸ შეამციროს ინფორმაციაზე წვდომის ასიმეტრიულობა, გაზარდოს ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების შესაძლებლობა.⁶⁴⁹

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ორი მსხვილი ბანკი ფლობს ინფორმაციას ერთმანეთის კლიენტების შესახებ, რადგან მათი მომხმარებლები ერთმანეთს ფარავენ, შესაბამისად ფინტექების განვითარების პარალელურად, შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა ბაზარზე როგორც სხვა ფინანსური ორგანიზაციების ასევე სხვა ბანკების მიმართ, რადგან ჯამურად ორი ბანკი ფლობს იმ კლიენტთა დიდ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც სხვა ბანკებშიც არიან კლიენტებად რეგისტრირებულნი. ასევე, მათ უმარტივდებათ ციფრული არხებიდან მონაცემთა მოპოვება, რადგან ინტერნეტბანკის მომხმარებლები წლიდან წლამდე იზრდება. საგულისხმოა ისიც, რომ ორი მსხვილი ბანკი საკუთარი დიდი მონაცემების ეკოსისტემის შექმნით, კერძოდ ფინტექების განვითარებით, რომელიც მოიზიდავს მომხმარებელს და ამავდროულად ამუშავებს მასში არსებულ მონაცემებს დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენებით, ზრდიან საკუთარ ეფექტიანობასა და, შესაბამისად, შემოსავალს.

1.2.3. ელექტრონული ფულის, ელექტრონული გადახდები დიდი მონაცემების კონტექსტში

როგორც აღინიშნა ინტერნეტზე დაფუძნებული მოწყობილობების, როგორებიცაა მობილური ტელეფონები, პერსონალური კომპიუტერები, ტაბლეტები და სხვა, აპლიკაციების, დიდი მონაცემების ეკოსისტემისა და არქიტექტურის განვითარების, მონაცემთა და თანხების უსაფრთხოებისთვის დაშიფრვის, ციფრული იდენტობის, ელექტრონული ხელმოწერის სერვისების ფართოდ გავრცელებამ, რომელიც ცნობს ბიზნესპარტნიორებს დისტანციურად და ამოწმებს და ადასტურებს საერთო და ღია ტელეკომუნიკაციური კავშირების შედეგად გადაცემულ გარიგებებს, უზრუნველყო საგადახდო სისტემების განვითარება.⁶⁵⁰ ასევე აღინიშნა, რომ ფინტექ ინდუსტრიის ერთ-ერთი სფეროა გადახდები და ინდუსტრია, კერძოდ ინტერნეტ და მობაილ გადახდები. ინტერნეტ გადახდების სისტემა შეიქმნა ელ-ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, ხოლო ეს გადახდის მომსახურებები თამაშობს საკუთარ როლს ელექტრონული ვაჭრობის

⁶⁴⁶ Andronie M., Big Data Management Algorithms in Artificial Internet of Things-Based Fintech, *Oeconomia Copernicana*, vol. 14, No. 3, 2023, 782-783.

⁶⁴⁷ Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, *Economic Analysis and Policy*, Vol. 77, 2023, 285 and 295.

⁶⁴⁸ Andronie M., Big Data Management Algorithms in Artificial Internet of Things-Based Fintech, *Oeconomia Copernicana*, vol. 14, No. 3, 2023, 784.

⁶⁴⁹ Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, *Economic Analysis and Policy*, Vol. 77, 2023, 296

⁶⁵⁰ Shabsigh M.G., Khiaonarong M.T., Leinonen M.H., Distributed ledger technology experiments in payments and settlements. International Monetary Fund, 2020, 2.

გადახდებში პროგრამული უზრუნველყოფის შექმნით, რომელიც ხიდის როლს ასრულებს მოვაჭრის ვებსაიტსა და გადამხდელის საბანკო ანგარიშის მომსახურების ონლაინ ბანკინგის პლატფორმას შორის, რათა განხორციელდეს ინტერნეტ-გადახდები საკრედიტო გადარიცხვის მეშვეობით.⁶⁵¹ საგადახდო მომსახურებას საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც აუცილებლად იურიდიული პირი უნდა იყოს.⁶⁵² თავის მხრივ საგადახდო მომსახურების მომხმარებელი არის როგორც გადამხდელი, ასევე მიმღები, რომლებიც სარგებლობენ საგადახდო მომსახურებით.⁶⁵³ გადამხდელი ან მიმღები საგადახდო დავალებას აძლევს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რათა განხორციელდეს გადახდის ოპერაცია.⁶⁵⁴

საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულია ჭკვიანი ხელშეკრულება, როგორც საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც არის როგორც ტექნიკური საშუალება, ასევე იმ პროცედურების ერთობლიობა, რაზეც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და მომხმარებელი შეთანხმდნენ და რის საშუალებითაც მომხმარებელი ახდენს საგადახდო დავალების ინიცირებას.⁶⁵⁵ შესაბამისად, ჭკვიანი ხელშეკრულება, როგორც თვითაღსრულებადი პროგრამული კოდია საგადახდო ინსტრუმენტად ჩაითვლება, თუ გადამხდელი საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აძლევს საგადახდო **მუდმივ დავალებას**, რომლის საფუძველზედაც პროვაიდერი ახორციელებს რეგულარულ გადახდებს მიმღების სასარგებლოდ.⁶⁵⁶ საგულისხმოა, ბანკი, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების გაწევისთვის ქმნის ელექტრონულ საბუთებს, რომელსაც, კლიენტის თანხმობით, ქალაქში დაბეჭდილი და ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს. ავტომატური გადარიცხვის მომსახურების გაწევისას კლიენტის ანგარიშებიდან (რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი ნაშთი ავტომატური გადარიცხვისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა⁶⁵⁷) კონკრეტული დანიშნულებით ბანკი გადარიცხავს თანხას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადარიცხვების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხის ან კლიენტის მომსახურე პირის მიერ კლიენტის დავალიანების შესახებ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.⁶⁵⁸ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკები ჭკვიან ხელშეკრულებას იყენებენ, როგორც საგადასახადო ინსტრუმენტს, ხოლო საგადახდო მომსახურების პროვაიდერი სარგებლობს განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებით, ჭკვიანი ხელშეკრულებით და ამით ხდება დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილი.

⁶⁵¹ Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23.12.2015, p. 35, Rec. 27.

⁶⁵² „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ“ პუნქტი.

⁶⁵³ იქვე, „ძ“ პუნქტი.

⁶⁵⁴ იქვე, „ჰ“ პუნქტი.

⁶⁵⁵ იქვე, „ბ“ პუნქტი.

⁶⁵⁶ იქვე, „ჰ“ პუნქტი.

⁶⁵⁷ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 10.1.5.3 და 10.1.8.1 პუნქტები, იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

⁶⁵⁸ იქვე, 10.1.1-10.1.2 პუნქტები.

საგადახდო ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ელექტრონული ფულის ინსტრუმენტი, – რომელიც იძლევა ელექტრონული ფულის გამოყენების საშუალებას.⁶⁵⁹ ელექტრონული/ციფრული ფული ციფრულ აქტივად განიხილება⁶⁶⁰ და მის არსებობას აქვს წინაპირობები: პირველ რიგში, ის არის ელექტრონულად, მათ შორის მაგნიტურ მატარებელზე შენახული მონეტარული ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნას ემიტენტის (გამცემის) მიმართ; მეორე რიგში, ემიტენტი, თავის მხრივ, გასცემს ფულადი სახსრების ქვითარს (receipt of funds) საგადახდო გარიგების (ტრანზაქციის/დავალების) შესრულების მიზნით (საგადახდო გარიგება გულისხმობს მოქმედების შესრულებას, რომლის დაწყების პროცესის ინიცირება დაიწყო გადამხდელის, გადამხდელის სახელით ან გადახდის მიმღების მიერ, ფულადი სახსრების შეტანით, გადარიცხვით ან გამოტანით, გადამხდელსა და გადახდის მიმღებს შორის არსებული ნებისმიერი ძირითადი ვალდებულების მიუხედავად⁶⁶¹), ეს საგადახდო გარიგება კი მიღებულ უნდა იქნეს ისეთი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, რომლებიც არ არიან ელექტრონული ფულის ემიტენტები.⁶⁶² ეროვნული კანონმდებლობა ელექტრონულ ფულს განმარტავს როგორც ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად მიღებული ფულადი სახსრების ნომინალური ღირებულებას, რომელიც შენახულია ელექტრონულად (მათ შორის მაგნიტურ მატარებელზე) და მისი გამომშვების გარდა აღიარებენ მესამე პირები.⁶⁶³

საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შეუძლია გამოუმვას ელექტრონული ფული, რითაც ის ხდება ელექტრონული ფულის პროვაიდერი.⁶⁶⁴ ევროკავშირის დირექტივის თანახმად, ელექტრონული ფულის გამცემის/პროვაიდერის სია ფართოა და ელექტრონული ფულის გამცემი (ემიტენტი) შეიძლება იყოს 1) საკრედიტო დაწესებულება, 2) ელექტრონული ფულის დაწესებულება, 3) საფოსტო ოფისების საგადახდო სალაროები, 3) საგადახდო დაწესებულება და 4) ევროპის ცენტრალურ ბანკი და ეროვნულ ბანკები, როგორც მონეტარული პოლიტიკის განხორციელებელი დაწესებულება ან სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას.⁶⁶⁵ საქართველოს კანონი ელექტრონული ფულის გამოშვებას, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტებისა და საგადახდო ინსტრუმენტების გამოშვებას, ელექტრონული ფულის მეშვეობით გადახდის ოპერაციების განხორციელებას, ასევე მობილური ტელეფონით, ინტერნეტით ან სხვა ელექტრონული საშუალებებით გადახდის ოპერაციების განხორციელებას მოიაზრებს საგადახდო

⁶⁵⁹ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ პუნქტი.

⁶⁶⁰ UNIDROIT Principles on Digital Assets and Private Law, Rome, 2023, 16-17.

⁶⁶¹ Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23/12/2015, p. 35, art. 4, point 5.

⁶⁶² Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the Taking Up, Pursuit and Prudential Supervision of the Business of Electronic Money Institutions Amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance), Document 32009L0110, OJ L 267, 10.10.2009, p. 7, art. 2(2).

⁶⁶³ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ“ პუნქტი.

⁶⁶⁴ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ“ პუნქტი, „ც“ პუნქტი.

⁶⁶⁵ Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the Taking Up, Pursuit and Prudential Supervision of the Business of Electronic Money Institutions Amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance), Document 32009L0110, OJ L 267, 10.10.2009, p. 7, art. 2(3).

მომსახურების ცნების ქვეშ.⁶⁶⁶ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი განმარტავს მიმოქცევაში მყოფი ელექტრონული ფულის საშუალო მოცულობას, რომელიც არის ფინანსური ვალდებულებების სრული მოცულობის საშუალო დაკავშირებულია ელექტრონული ფულთან, რომელიც გამოშვებულია ყოველი კალენდარული დღის ბოლოს წინა თანმიმდევრული ექვსი კალენდარული თვის განმავლობაში, გამოითვლება რა ყოველი კალენდარული თვის პირველ კალენდარულ დღეს და გამოიყენება შესაბამისი კალენდარული თვის მიმართ.⁶⁶⁷ ეროვნული ბანკისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი ელექტრონული ფულის მოცულობის განმარტების და ელექტრონული ფულის მოცულობის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ზღვართან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც ეროვნულმა ბანკმა განმარტა, რომ „კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი არ აწესებს აკრძალვას საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის (შემდგომში - „მნიშვნელოვანი პროვაიდერი“) მიმართ, არამედ განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“) უფლებამოსილებას დამატებითი მოთხოვნები დაუდგინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს (შემდგომში - „პროვაიდერი“), თუ მის მიერ ან/და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა აჭარბებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრებს.“⁶⁶⁸ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსი კი განისაზღვრება, თუ პროვაიდერის მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში განხორციელებული გადახდის ოპერაციების მოცულობის (რომელშიც ითვლება პროვაიდერის აგენტის მეშვეობით განხორციელებული) საშუალო თვიური მაჩვენებელი აღემატება 9 000 000 ლარს, ხოლო ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ ბოლო 6 თვის საშუალო დღიური გამოშვებული ელექტრონული ფული (ნაშთი) აღემატება 1 500 000 ლარს.⁶⁶⁹ თუ პროვაიდერი უზრუნველყოფს ელექტრონული ფულის გამოშვებას, მისი საზედამხედველო კაპიტალი არ უნდა იყოს 350 000 ლარზე ნაკლები.⁶⁷⁰ აღნიშნული რიცხვები მიუთითებს ფინტექის მიერ, კერძოდ, ელექტრონული ფულით განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობას და შესაბამისად დიდი მონაცემების წარმოქმნის შესაძლებლობის უნარს.

ფინტექ ინდუსტრიაში გადახდები და განსაკუთრებით ინტერნეტ და მობაილ გადახდები ერთ-ერთი მნიშვნელოვან სეგმენტია, რადგან ისინი განვითარებული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფენ ფინანსურ ტრანზაქციებს და ხელს უწყობენ

⁶⁶⁶ „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, „დ“ და „ვ“ პუნქტები.

⁶⁶⁷ Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the Taking Up, Pursuit and Prudential Supervision of the Business of Electronic Money Institutions Amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance), Document 32009L0110, OJ L 267, 10.10.2009, p. 7, art. 2(4).

⁶⁶⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 25 აპრილის პასუხი, სანდრო-გიორგი სარუხანიშვილის 2025 წლის 08 აპრილს გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე (ორიგინალი ინახება ავტორთან).

⁶⁶⁹ „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

⁶⁷⁰ „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №79/04 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ელექტრონულ ვაჭრობას. ამ კონტექსტში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ქმნიან პროგრამულ ხიდებს მომხმარებელსა და ბანკებს შორის, რათა მოხდეს უსაფრთხო და ავტომატიზებული გადარიცხვები. შეიძლება ითქვას, პროვაიდერები აღნიშნულ პროგრამებში აშენებენ თვითაღსრულებად კოდებს. ამიტომ ჭკვიანი ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს გადახდის ინსტრუმენტად, როდესაც ის გამოიყენება რეგულარული გადარიცხვების ავტომატიზაციისთვის. ის წარმოადგენს კოდირებულ შეთანხმებას პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის. ასევე ბანკები, როგორც გადახდის მომსახურების პროვაიდერები, იყენებენ ჭკვიან ხელშეკრულებებს ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად. ისინი ქმნიან ელექტრონულ საბუთებს, რომლებიც ქალაქის დოკუმენტების ტოლი იურიდიული ძალა აქვს. საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს სხვადასხვა ელექტრონული გადახდის ფორმებს (მობილური, ინტერნეტი და ა.შ.) როგორც საგადახდო მომსახურების ნაწილს, რაც იძლევა ფინტექ სერვისების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის საშუალებას.

1.2. დიდი მონაცემების ადგილი ხელშეკრულებაში ციფრულ ბაზარზე

საბაზრო მონაცემები მილიარდობით დოლარის ინდუსტრიაა და ეფუძნება გაცვლით ეკოსისტემასა და მონაცემთა სხვა წყაროებს; ამ ეკოსისტემის მთლიანობას კი ხელშეკრულებები უზრუნველყოფს, რომლის სტრუქტურა მოიცავს მონაცემთა ლიცენზირებას, შეზღუდვას და რისკების დივერსიფიცირებას. სამართლებრივი კუთხით კი ეს ხელშეკრულებები წარმოადგენს მჭიდროდ შეკავშირებულ (cohesive) ნორმატიულ ჩარჩოს ბაზარზე, რომლის თაობაზეც დავა მცირედით ხდება სასამართლოებში.⁶⁷¹ კომპანიების მიერ დიდი მონაცემების გამოყენების კანონიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.⁶⁷² მონაცემთა შეგროვება, შენახვა და გაზიარება ზოგჯერ იწვევს პერსონალური მონაცემების არამართლზომიერ გამოყენებას, რადგან ბევრი დიდი ტექნოლოგიურ კომპანიები აგროვებენ პერსონალურ მონაცემებს, „ასაწყობებენ“ (ინახავენ) და გადასცემენ მესამე მხარეს.⁶⁷³ თავის მხრივ, ევროკავშირის სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც აწესრიგებს მომხმარებლის უფლებებს ციფრული მომსახურებისა და ციფრული შინაარსობრივი მასალის მიწოდებისას მოვაჭრეს (ტრეიდერსა) და მომხმარებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დადების დროს,⁶⁷⁴ მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს, აპლიკაციებს, ვიდეო ფაილებს, აუდიო ფაილებს, ციფრულ თამაშებს და ელექტრონულ პუბლიკაციებს, ელექტრონული წიგნებს, ციფრულ მომსახურებებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ციფრული ფორმით შექმნას და დაამუშავოს მონაცემები, ასევე ციფრული ფორმით შეინახოს და წვდომა ჰქონდეს მონაცემებზე, ასევე მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას როგორც მომსახურებას, როგორცაა ვიდეო და აუდიო გაზიარება და სხვა ფაილური ჰოსტინგი, სიტყვების დამუშავება, თამაშების შეთავაზება ღრუბლოვანი გამოთვლის გარემოსა და სოციალურ მედიაში. დირექტივა აწესრიგებს ყველა საშუალებასა და მედიუმს, რომელიც გამოიყენება ციფრული

⁶⁷¹ Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014, 484.

⁶⁷² Report of the US Federal Trade Commission on Big Data: A Tool for Inclusion or Exclusion?, 2016, 12.

⁶⁷³ Zichichi, M., Ferretti S., Rodríguez-Doncel V., Decentralized Personal Data Marketplaces: How Participation in a DAO Can Support the Production of Citizen-Generated, Vol. 22, No. 16, 2022, 1.

⁶⁷⁴ Directive (Eu) 2019/770 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on Certain Aspects Concerning Contracts for the Supply of Digital Content and Digital Services (Text With Eea Relevance.), OJ L 136, 22.5.2019, p. 1, art. 1

შინაარსობრივი მასალისა და ციფრული მომსახურების გადაცემისა თუ მათზე წვდომისთვის.⁶⁷⁵ თუმცა საგულისხმოა, რომ კონკრეტული მონაცემების ერთობლიობა შესაძლებელია იყოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სუბიექტი როგორც მონაცემთა ბაზების უფლებების ან საავტორო უფლებების ნაწილი, ასევე იგივე მონაცემთა ერთობლიობა შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობისა და ვალდებულებების ნაწილი კონტრაქტებს შორის და პარალელურად პერსონალურ მონაცემთა რეგულაციების დაცვის სუბიექტიც.⁶⁷⁶ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ინტელექტუალური საკუთრების სამართლისგან, რომელიც მიემართება ყველას, მონაცემთა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა მიემართება მხოლოდ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეს.⁶⁷⁷

ონლაინ პლატფორმასა და გამყიდველს შორის არსებობს სახელშეკრულებო მექანიზმის ორი სახე: 1) ბაზრობის მოდელი (marketplace model), როდესაც გამყიდველი ყიდის საკუთარ პროდუქტს პლატფორმის მეშვეობით, ამ მოდელში პროდუქტის გასაყიდ ფასი განისაზღვრება გამყიდველის მიერ, ხოლო პლატფორმა იტოვებს შემოსავლის ნაწილს და დარჩენილს აწვდის გამყიდველს; 2) გადაყიდვის მოდელი (reselling model), როდესაც პლატფორმა ყიდულობს პროდუქტს გამყიდველისგან საბითუმო ფასად, ხოლო შემდგომ გადაწყვეტს გასაყიდ ფასს. იმდენად რამდენადაც ეს ორი მოდელი არსებობს ინდუსტრიაში, აუცილებელია მონაცემთა გაზიარების მასშტაბის ანალიზი ამ სახელშეკრულებო მექანიზმების პირობებში.⁶⁷⁸ კომპანიებთან (როგორებიცაა ფეისბუქი, ამაზონი და სხვ.) ურთიერთობისას, ხელშეკრულებებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ის პირობები, რომლებიც პლატფორმებს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს მეორე მხარის მონაცემები.⁶⁷⁹ მსგავსი პრაქტიკა არსებობს საქართველოში მოქმედ პლატფორმებშიც, ხელშეკრულებაში იწერება ის პირობები ვისთანაც ზიარდება მონაცემები და მონაცემების გადაცემის მოცულობა, კერძოდ, მონაცემები გადაეცემა 1) მომსახურების მიმწოდებლებს, კომპანიებს, რომლებსაც პლატფორმა იყენებს საკუთარი სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების მხარდასაჭერად. იქნება ეს ინფორმაციის შენახვა, ძიების ტექნოლოგიები, ანალიტიკა, რეკლამა, შეტყობინების გაგზავნა, იდენტიფიკაციის სისტემები, თაღლითობის გამოვლენა ანდა ტექნიკური მხარდაჭერა. 2) სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოები. 3) სხვა მესამე პირი ან პირები, რომელთა არსებობა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე, ან მის თანხმობაზე, როდესაც მომხმარებლის ნებით მონაცემები გაზიარებულ იქნება მესამე პირისთვის ან პირებისთვის.⁶⁸⁰ თავის მხრივ, ბანკები, რომლებიც ექვემდებარებიან ინფორმაციული უსაფრთხოებისა და აუდიტორული შემოწმების რეგულაციას, შესაძლოა ხელშეკრულების ძალით დაავალდოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებლებს (ვენდორებს), ანალოგიური წესების დაცვა, რომლებიც ვრცელდება ბანკზე. ამით ბანკი უზრუნველყოფს შესაბამისობის მოთხოვნების დაცვას, ვიდრე სარგებლობს მიმწოდებლის მომსახურებით, რათა უზრუნველყონ ბანკის ინფორმაციული

⁶⁷⁵ იქვე, recital 19.

⁶⁷⁶ Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014, 488.

⁶⁷⁷ იქვე.

⁶⁷⁸ Arora A., Jain T., Data Sharing Between Platform and Seller: an Analysis of Contracts, Privacy, and Regulation, European Journal of Operational Research, Vol. 313, No. 3, 2024, 1106.

⁶⁷⁹ Andreotta A.J., Kirkham N., Rizzi M., AI, big data, and the future of consent, AI & Society, Vol. 37, 2022, 1716.

⁶⁸⁰ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლები 6.2.1–6.2.3, იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

უსაფრთხოება და იყვნენ.⁶⁸¹ ამიტომ ფინტექებისა და დიდი მონაცემების განხილვისას საჭიროა ფინანსური ხელშეკრულების შედგენის დროს პერსონალური მონაცემების ტრადიციული გამოყენების თანამედროვე კონტექსტთან მისადაგება.⁶⁸² მეტიც, ევროკავშირის კონკურენციის კომპეტენტური ორგანოები ინტერესს ავლენენ გარკვეულ სექტორებში მონაცემებისთვის ლიცენზიის მიცემისა და სახელშეკრულებო ურთიერთობების საკითხში ბიზნეს-კანონზომიერებების (პატერნების) ანალიზის მიმართ.⁶⁸³

ციფრული შინაარსობრივი მასალის და ციფრული მომსახურებების მიწოდებაში ხშირად მომხმარებელი არ იხდის საფასურს, მაგრამ საკუთარ პერსონალ მონაცემებს აწვდის მოვაჭრეს. ასეთი ბიზნესმოდელები გამოიყენება სხვადასხვა ფორმით ბაზარზე. შესაბამისად აღნიშნულ ბიზნესმოდელებში მომხმარებელი უნდა იყოს დაცული და უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უფლებები დაიცვას სახელშეკრულებო საშუალებით, ამავდროულად არა აქვს მნიშვნელობა, როდისაა მონაცემი მიწოდებული ტრეიდერისთვის, სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებისას თუ დაწყების შემდეგ. აღნიშნული სახელშეკრულებო მოწესრიგება ეხება ყველა ხელშეკრულებას, როდესაც მომხმარებელი აწვდის პერსონალურ მონაცემებს მოვაჭრეს, მაშინაც კი როდესაც ხსნის სოციალური მედიის ანგარიშს.⁶⁸⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელში, ამ კონკრეტული მიზნებისთვის, იგულისხმება ფიზიკური პირი.⁶⁸⁵ საქართველოს შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერებისთვის რეკომენდირებულია რომ ჰქონდეთ ნათელი და დეტალური შიდა სტანდარტები პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, რომელიც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კონფიდენციალურობის პოლიტიკის პირობების გაცნობისას.⁶⁸⁶

Signify-თვის მონაცემების დამუშავების საფუძველი მომხმარებლის თანხმობაა, რომ ისარგებლოს პლატფორმით და შესაბამისად დასამუშავებლად გადასცეს Signify-ის მონაცემები ან/და მისცეს Signify-ს მონაცემების მოპოვების/დამუშავების საშუალება. პლატფორმის სარგებლობით მომხმარებელი ეთანხმება წინამდებარე მონაცემების დამუშავების წესს, მიზანსა და მოცულობას.⁶⁸⁷ უნდა აღინიშნოს, მომხმარებელი აერთიანებს კლიენტსა და ვიზიტორს⁶⁸⁸ რომ ვიზიტორი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ნებისმიერი სახის ორგანიზაციული წარმონაქმნი, ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც სარგებლობს პლატფორმით (მათ შორის, აწერს ხელს დოკუმენტს) ანგარიშის შექმნის გარეშე,⁶⁸⁹ კლიენტი არის პირი, რომელსაც შექმნილი აქვს ანგარიში პლატფორმაზე.⁶⁹⁰ ხოლო დამუშავებული მონაცემების მაგალითებია

⁶⁸¹ Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014, 489.

⁶⁸² Ferretti F., Consumer Access to Capital in the Age of FinTech and Big Data: The Limits of EU Law, Maastricht Journal of European and Comparative Law, Vol. 25, No. 4, 2018, 477.

⁶⁸³ Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014, 488.

⁶⁸⁴ Directive (Eu) 2019/770 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on Certain Aspects Concerning Contracts for the Supply of Digital Content and Digital Services (Text With Eea Relevance.), OJ L 136, 22.5.2019, p. 1, 24-25.

⁶⁸⁵ იქვე, art. 2(5).

⁶⁸⁶ Gugava N., Kobaladze L., Kenia T., Kobakhidze O., A Comparative Analysis of Data Protection in E-Commerce B2C Contracts in Georgia and the European Union, Review of European and Comparative Law, Vol. 59, No. 4, 2024, 57.

⁶⁸⁷ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 3.1 და 3.2., იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁶⁸⁸ Signify, მომსახურების სტანდარტული პირობები, მუხლი 1.6., იხ., <<https://bit.ly/3Ee3eNs>> [08.04.2025]

⁶⁸⁹ იქვე, 1.5.

⁶⁹⁰ იქვე, 1.4.

მომსახურებასთან დაკავშირებულ შესაძლო პრობლემაზე რეაგირება, ტექნიკურ კითხვებზე პასუხის გაცემა და სადავო საკითხების გადაჭრა. ისეთი საკითხების პრევენცია, მოკვლევა და რეაგირება, როგორებიცაა თალლითობა, მომსახურების უნებართვო გამოყენება, მომსახურების პირობების დარღვევა ან სხვა უკანონო ქმედებები, კანონის მოთხოვნების, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ნორმების დაცვა.⁶⁹¹ პლატფორმას ისევე, როგორც მომხმარებელს, უფლება აქვს გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი მარკეტინგული/საინფორმაციო მიზნებისთვის, ხელშეკრულების შინაარსის და დეტალების გამჟღავნების გარეშე.⁶⁹²

2. ციფრული ფინანსური ბაზრის აგენტების მიერ დიდი მონაცემების გამოყენების პრაქტიკა და პასუხისმგებლობა

2.1. მონაცემთა უსაფრთხოება

დიდ მონაცემებს კომპანიები უფრო ხილდებიან იმდენად, რამდენადაც მათ მნიშვნელოვანი კომერციული ღირებულება აქვს.⁶⁹³ დიდი მონაცემების ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, უსაფრთხოების საკითხი უფრო საყურადღებო ხდება, რადგან უსაფრთხოება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია დიდი მონაცემების შემნახველი ბაზების კუთხითაც, რადგან ისინი ჰაკერების სამიზნეა.⁶⁹⁴ ტექნოლოგიური განვითარება და ახალი აპლიკაციები, როგორებიცაა სენსორები, კიბერ-ფიზიკური სისტემები, ჰიპერ-მობილური მოწყობილობები, ღრუბლები, მონაცემთა ანალიტიკა, სოციალური ქსელები, ნივთების ინტერნეტი, შესაძლებლობას იძლევა შეგროვდეს, დამუშავდეს და ინახებოდეს დიდი მოცულობის მონაცემები ყველაფრის შესახებ, ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს.⁶⁹⁵ ასევე კომპანიებისთვის მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით მონაცემთა შემნახველთან მიმართებაში, რადგან შენახული ინფორმაცია, როგორც წესი, ღირებული ინფორმაციაა.⁶⁹⁶ მეტიც, რადგან ფინანსური სექტორი მოწყვლადია კიბერდანაშაულებების მიმართ, ფინტექებისთვის მონაცემთა უსაფრთხოება და მონეტიზაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია.⁶⁹⁷

დიდი მონაცემების არაჯეროვანი დაცვა პირდაპირ ემუქრება მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და მონაცემთა უსაფრთხოებას.⁶⁹⁸ თუმცა მონაცემთა უსაფრთხოება არ არის მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხი, არამედ ზიანის პრევენციაცაა, რადგან მცირე შემთხვევასაც კი შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი

⁶⁹¹ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 2.1. იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁶⁹² Signify, SIGNIFY PAD-ით ხელმოწერის სპეციალური წესები და პირობები, მუხლი 5.4., იხ., <<https://bit.ly/3Ee3eNs>> [08.04.2025]

⁶⁹³ Rutkauskiene A., Report of SOGETI Luxembourg for Eurostat on the Review of Ethics Related to Big Data, Services Concerning Ethical, Communicational, Skills Issues and Methodological Cooperation Related to the use of Big Data in European Statistics, Version 4, 2017, 10.

⁶⁹⁴ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12, 2021, 4240.

⁶⁹⁵ Bertino E., Ferrarri E., Big Data Security and Privacy, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 425.

⁶⁹⁶ Golfarelli M., RizziFrom S., Star Schemas to Big Data: 20+ Years of Data Warehouse Research, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 96.

⁶⁹⁷ Giglio F., **Fintech: A Literature Review**, *European Research Studies Journal*, Vol. 24, No. 2B, 2021, 610-611.

⁶⁹⁸ Zhang D., Big Data Security and Privacy Protection, *Advances in Computer Science Research*, Vol. 77, Atlantic Press, 2018, 275.

დანაკარგი, ამიტომ კომპანიები ცდილობენ აქტიურად დანერგონ უსაფრთხოების სისტემები.⁶⁹⁹ მონაცემთა დაცვა ნიშნავს უსაფრთხოების სამი მთავარი მახასიათებლის, კერძოდ, **კონფიდენციალურობის, ერთიანობის/იტეგრირებულობისა** და შესაძლებლობის დაცვას. კონფიდენციალურობის დაცვა გულისხმობს მონაცემთა დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან, მაშინ როდესაც ერთიანობა არის მისი დაცვა არაავტორიზებული მოდიფიცირებისგან.⁷⁰⁰ ასევე მონაცემთა დაცვა შესაძლოა დაიყოს ანონიმურ იდენტიფიკატორებად (რა დროსაც მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია იმალება და ინფორმაცია ისე ხდება ხელმისაწვდომი), ანონიმურობის დაცვად და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვად.⁷⁰¹ აღნიშნული ახლოს დგას მონაცემთა ფსევდონიმიზაციასთან, რა დროსაც დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია მონაცემების კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირება და ეს დამატებითი ინფორმაცია შენახულია ცალკე და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით მონაცემების იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირება არ ხდება,⁷⁰² ასევე მონაცემთა დეპერსონალიზაცია, კერძოდ, მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მათი დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს.⁷⁰³ კონფიდენციალურობის დაცვა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა გადაჯაჭვულია ერთმანეთში⁷⁰⁴ და მათი დაცულობა გამორჩეულია.⁷⁰⁵ მისი მნიშვნელობა იზრდება დიდი მონაცემების პერსპექტივის ზრდასთან ერთად, რადგან არსებობს საჯარო ინტერესი პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი გამოყენების მიმართ, მაგალითად, მონაცემთა სხვადასხვა წყაროებიდან იტეგრირებისას.⁷⁰⁶ მონაცემთა კონფიდენციალურობასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა შესაძლებელია რამდენიმე ტექნიკით, დაწყებული კრიპტოგრაფიიდან, როგორცაა მონაცემთა სტრუქტურების შექმნა, რომელიც მალავს მონაცემებთან წვდომის კანონზომიერებებს, გაგრძელებული მონაცემთა ანონიმიზაციით, რომელიც მონაცემებს ისე გარდაქმნის რომ რთული ხდება მათი დაკავშირება ისეთ მონაცემებთან, რომლებიც ამოცნობის საშუალებას იძლევა, და დასრულებული წვდომის უმაღლესი კონტროლის მოდელების დანერგვით.⁷⁰⁷ უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა დიდი მონაცემების ღირებულებათა ჯაჭვში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მონაცემთა სანდო ეკოსისტემით შექმნით, რა დროსაც მომხმარებელს საკუთარი მონაცემების კონტროლი შეეძლება, ხოლო

⁶⁹⁹ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12, 2021, 4240.

⁷⁰⁰ Bertino E., Ferrarri E., Big Data Security and Privacy, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 426-427.

⁷⁰¹ Zhang D., Big Data Security and Privacy Protection, Advances in Computer Science Research, Vol. 77, Atlantic Press, 2018, 275-276.

⁷⁰² „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტი.

⁷⁰³ იქვე, „ნ“ პუნქტი.

⁷⁰⁴ Bertino E., Ferrarri E., Big Data Security and Privacy, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 426-427.

⁷⁰⁵ Golfarelli M., RizziFrom S., Star Schemas to Big Data: 20+ Years of Data Warehouse Research, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 96.

⁷⁰⁶ Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12, 2021, 4240.

⁷⁰⁷ Bertino E., Ferrarri E., Big Data Security and Privacy, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017, 428.

მონაცემთა სანდო ეკოსისტემით შექმნით შესაძლებელია დიდი მონაცემებისგან ღირებულების მიღება.⁷⁰⁸ კომპანიებისთვის მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება, შენახული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია, განსაკუთრებით მონაცემთა შემნახველთან მიმართებაში. მონაცემთა დაკარგვამ, ანდა არაავტორიზებულმა წვდომამ და მოდიფიკაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დანაკარგები როგორც ფინანსური, ასევე რეპუტაციული, ამიტომ კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობს კონფიდენციალობის საკითხს და დებს ინვესტიციებს მონაცემთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.⁷⁰⁹

2008 წლის შემდგომი რეგულატორული ცვლილების შემდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინტერნეტში, კერძოდ რისკ-მენეჯმენტსა და შესაბამისობაში, ამიტომ დაიწყო კონკურენცია ტექ-ტალანტებისთვის.⁷¹⁰ მეტიც, ელექტრონული გადახდების უსაფრთხოება მნიშვნელოვანია მომხმარებლის დაცვის კუთხით, რათა ელექტრონული ვაჭრობა განვითარდეს. გადახდის ყველა მომსახურება, რომელიც ელექტრონულ მომსახურებას სთავაზობს, უნდა განხორციელდეს უსაფრთხოდ, გამოყენებული ტექნოლოგიებს უნდა შეეძლოს მომხმარებლის უსაფრთხო იდენტიფიკაცია, რათა შემცირდეს თაღლითობის რისკები.⁷¹¹ ინტერნეტ და მობილური ტელეფონით განხორციელებული გადახდების ზრდას თან უნდა სდევდეს უსაფრთხოების ზომების გაზრდაც. გადახდის მომსახურებები, რომლებიც განხორციელებულია ინტერნეტისა და დისტანციური არხებით, რომლის ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობის ადგილმდებარეობაზე, თუ საიდან დაიწყებს გადახდის ოპერაციის განხორციელების მოთხოვნას, აუცილებელია გადახდის განხორციელებისას გამოყენებული იყოს დინამიური კოდები, რათა მომხმარებელს ჰქონდეს ინფორმაცია, ყოველ ჯერზე, გადახდის რაოდენობისა და საგადახდო დავალების გარიგების შესახებ, რომელსაც მომხმარებელი ახორციელებს.⁷¹²

მონაცემების უსაფრთხოების ერთ-ერთი საკითხია, მონაცემების გადაცემა მესამე მხარისთვის და მათი სახელშეკრულებო მოწესრიგება. მონაცემები შესაძლებელია გაზიარდეს სხვა სახელმწიფოში, ოღონდ უნდა არსებობდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და შესაბამის სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების უზრუნველყოფის სათანადო გარანტიები.⁷¹³ აღსანიშნავია, რომ ინფოტექის სწრაფი განვითარება და ადამიანების, მომსახურების, პროდუქციისა და კაპიტალის თავისუფალი მიმოსვლა ევროკავშირის შიდა ბაზარზე მოითხოვს ასევე მონაცემთა თავისუფალ მიმოცვლას, რაც შეუძლებელია მიღწეულ იქნეს წევრ-სახელმწიფოებში

⁷⁰⁸ Robles A. G., Zillner S., Gerteis W., Cattaneo G., Metzger A., Alonso D., Barbero M., Menasalvas E., Curry E., Achievements and Impact of the Big Data Value Public-Private Partnership: The Story so Far, In: The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem, Edited by E. Curry et al., Springer, 2021, 65.

⁷⁰⁹ სარუხანიშვილი ს., ქონებრივი ღირებულების შემცველი დიდი მონაცემების სამართლებრივი დაცვა საბანკო კონკურენციაში, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორებით, თბილისი, 2022, 496.

⁷¹⁰ Giglio F., Fintech: A Literature Review, *European Research Studies Journal*, Vol. 24, No. 2B, 2021, 610-611.

⁷¹¹ Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23.12.2015, p. 35, Rec. 95.

⁷¹² იქვე.

⁷¹³ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 7.2, იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის არსებობის გარეშე.⁷¹⁴ შესაბამისად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, მონაცემთა დაცვა ვრცელდება მესამე მხარეზეც (სახელმწიფოზე) მაშინაც კი, როდესაც დადებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები მონაცემთა მიმოცვლის თაობაზე, ხოლო მესამე მხარემ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის მონაცემების ისეთივე ჯეროვანი დაცვა და დაცვის გარანტიები, როგორც არსებობს ევროკავშირში.⁷¹⁵ საქართველოს კანონმდებლობა იმეორებს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას და ადგენს, რომ მონაცემები სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.⁷¹⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების გადაცემა დასაშვებია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით თუ უზრუნველყოფილი იქნება დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, მონაცემთა სუბიექტი განაცხადებს ინფორმირებულ თანხმობას, არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი, მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁷¹⁷ შესაბამისად, თუ ისეთ ქვეყანაში გადაიცემა მონაცემები, რომელშიც არ არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, პლატფორმა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმების დადებას, რომლითაც მომხმარებლის უფლებები სათანადოდ იქნება დაცული. პლატფორმა რისკის შემცირების მიზნით, რათა მომხმარებლის მონაცემები სათანადოდ იყოს დაცული, მესამე პირისთვის მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გადაცემამდე შეამოწმებს მონაცემების მიმღები მესამე პირის მიერ მონაცემთა დასაცავად მიღებული შესაბამისი ორგანიზაციული ანდა ტექნიკური ზომების შემოწმებას.⁷¹⁸ ასეთ შემთხვევაში ნებისმიერმა პლატფორმამ, მათ შორის, Signify-მა, რომელიც გადასცემს მონაცემებს მესამე პირებს უნდა აიღოს ნებართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან, რადგან იგი გასცემს ნებართვას სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის თაობაზე და აფასებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა სათანადო დაცვის გარანტიებს, რომელიც დადებულია ხელშეკრულება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და შესაბამის სახელმწიფოს, ამ სახელმწიფოს სათანადო საჯარო დაწესებულებას, იურიდიულ პირს, ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის.⁷¹⁹ თავის მხრივ, ბანკი თავს იზღვევს და იხსნის პასუხისმგებლობას ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც მონაცემები შეიძლება მოხვდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები. აღნიშნული შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ ბანკი სხვაგვარად ვერ უწევს კლიენტს შესაბამის მომსახურებას. მონაცემთა გადაცემის შემთხვევა შესაძლოა სახეზე იყოს ისეთ შემთხვევებშიც, როგორცაა: Facebook, Whatsapp, Viber, messenger და სხვა ქსელით, Zoom და სხვა მსგავსი პლატფორმით,

⁷¹⁴ Gugava N., Kobaladze L., Kenia T., Kobakhidze O., A Comparative Analysis of Data Protection in E-Commerce B2C Contracts in Georgia and the European Union, Review of European and Comparative Law, Vol. 59, No. 4, 2024, 53.

⁷¹⁵ იხ. Facebook Ireland and Schrems [CJEU], საქმე Case C 311/18 ECLI:EU:C:2020:559, 2020.

⁷¹⁶ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷¹⁷ იქვე, პუნქტი მე-2.

⁷¹⁸ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 7.3, იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁷¹⁹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, პუნქტი მე-3 პუნქტი. ასევე 38-ე მუხლი.

კლიენტთან კომუნიკაციის ან მომსახურების პროცესი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის ოპერაციის შესრულების დროს, შუამავალი ბანკი/მიმღების პროვაიდერი მდებარეობს ასეთ ქვეყანაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა ხორციელდება, მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.⁷²⁰

ასევე უნდა განიმარტოს კომპანიების მიერ გამოყენებული სისტემები, კერძოდ, ხილვადი სისტემა (“front end” system) ან გარე პლატფორმები არის ინტერაქციულ ვებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც სთავაზობს პროდუქტსა და მომსახურებას მომხმარებელს, ხოლო შიდა პლატფორმა ან უხილავი სისტემა (“back end” system) არის ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების, ვაჭრობისა და სხვა მომსახურების მიმწოდებლების მიერ გარიგებების, მიწოდების მომსახურებისა და ინტეგრირებული ტრადიციული სისტემის⁷²¹ პროცესების წარმართვისთვის.⁷²² შესაბამისად, დიდი მონაცემების არქიტექტურა შესაძლებელია ჩაშენდეს კომპანიების ტრადიციულ (მოძველებულ) სისტემებშიც.

შესაბამისად, ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს მონაცემთა მასშტაბურ შეგროვებას, მაგრამ ამავდროულად ზრდის უსაფრთხოების რისკებსაც. დიდი მონაცემების ეპოქაში კომპანიებისთვის მონაცემთა უსაფრთხოება კი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტს, რადგან დიდი მონაცემები ქმნის მნიშვნელოვან კომერციულ ღირებულებას და მათი დაუცველობა კომპანიებს აყენებს ფინანსურ და რეპუტაციულ ზიანს. შესაბამისად, ინფორმაციის დაცვა მოითხოვს უსაფრთხოების სისტემების გამართვას, რომელთაც საფუძვლად უნდა ედოს კონფიდენციალურობა, მონაცემთა მთლიანობის უზრუნველყოფა და არაავტორიზებული წვდომისგან დაცვა. მეტიც, მონაცემთა საერთაშორისო მიმოცვლისას, აუცილებელია, მონაცემები გადაეცეს მხოლოდ იმ იურისდიქციებს, რომლებშიც მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტები. საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აყენებს მკაცრ მოთხოვნებს სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მონაცემთა გადაცემის პროცესის მიმართ, რაც ხაზს უსვამს პერსონალურ მონაცემთა დაცვლობას. პლატფორმები რომლებიც ოპერირებენ გლობალურ დონეზე და არ არიან შემოსაზღვრული სახელმწიფო საზღვრებით, ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს და გადასცემენ მესამე მხარეს ბიზნესაქმიანობის პროცესში, ამიტომ საგულისხმოა, რომ მონაცემთა უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, კონფიდენციალურობის დაცვის

⁷²⁰ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 8.3. პუნქტი, იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

⁷²¹ ტრადიციული სისტემები (Legacy Systems) ეყრდნობა ოთხ კანონზომიერებას: აღსრულების (Execute Service) მომსახურება, რომელიც სისტემას აძლევს საშუალებას საწარმოს შიგნით ჰქონდეთ ურთიერთკავშირი/ინტერაქცია სპეციალური მაკონტროლებელი წერტილების (control points) მეშვეობით, რომლებიც პროცესს ხდის ეფექტურად მართვადს სხვადასხვა სისტემებს შორის. გადაცემის (Broadcast Service) მომსახურება უზრუნველყოფს, რომ საწარმო ინფორმირებული იყოს ბიზნეს მიზნების მოდიფიცირების თაობაზე. მიღების (Receive Service) მომსახურება ახორციელებს ბიზნეს მიზნებში ცვლილებების ასახვას სხვადასხვა დაინტერესებული სისტემებიდან და, მოპოვების (Retrieve Service) მომსახურება იღებს მომხმარებელთა მოთხოვნებს და მიაწოდებს შესაბამის მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციაზე ეფექტურ წვდომასა და ინფორმაციის გაზიარებას. იხ., Wang X., Hu S.x.k., Haq E., Garton H., Integrating Legacy Systems Within the Service-oriented Architecture, IEEE Power Engineering Society General Meeting, Tampa, 2007, pp. 1-7, part III, sec. C. <doi: 10.1109/PES.2007.385490.>

⁷²² Malhotra R., Malhotra D.K., the Impact of Internet and E-commerce on the Evolving Business Models in the Financial Services Industry, Int. J. Electronic Business, Vol. 4, No. 1, 2006, 72.

კუთხით, რადგან კანონი ითხოვს, რომ საიდუმლო ინფორმაციის მიმართ გატარდეს შესაბამისი ზომები მაკონტროლებლების მიერ, რათა დაცულ იყოს როგორც მთლიანი ინფორმაცია, ასევე ინფორმაციის ნაწილი ან ამ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილების ნებისმიერი კონფიგურაცია. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა ზემონახსენები ნებისმიერი კონფიგურაციით უზრუნველყოფს დიდი მონაცემების დაცვას, იქნება იგი სტრუქტურირებული, ნახევრადსტრუქტურირებული თუ არასტრუქტურირებული, რადგან აღინიშნა, რომ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილების ნებისმიერი კონფიგურაცია უნდა იყოს დაცული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის ნაწილს მონაცემთა უსაფრთხოება წარმოადგენს და კომპანიების მიერ გამოყენებულ კომპლექსურ ეკოსისტემებში ინტეგრირებულია დიდი მონაცემების უსაფრთხოების მექანიზმები, შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა ეკოსისტემის უსაფრთხოებით მიიღწევა მონეტიზაცია, ანუ დიდი მონაცემებიდან ღირებულების მიღება.

2.2. ფინანსურ ციფრულ ბაზრებზე სახელშეკრულებო ურთიერთობისას მონაცემების მოწესრიგება

2.2.1. მონაცემების მიმოცვლის სახელშეკრულებო მოწესრიგება

დიდი მონაცემების აპლიკაციები ამუშავებს დიდი მოცულობით მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში აკავშირებს და აფასებს სხვა მონაცემებთან, ამიტომ კომპანიები იცნობენ საკუთარ მომხმარებლებს (კლიენტებს), თუმცა მომხმარებლებსა თუ კლიენტებს არ აქვთ ჯეროვანი ინფორმაცია თუ რა მონაცემები გროვდება მათ შესახებ.⁷²³ დიდი მონაცემების ანალიტიკისთვის დამახასიათებელია ახალი ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის გამოყენება ადრე მოპოვებული და არსებული მონაცემების მიმართ, რათა მოპოვებულ იქნეს ახალი ინფორმაცია, აღმოჩენილ იყოს ახალი კანონზომიერებები, დაგროვდეს ახალი ცოდნა,⁷²⁴ რადგან უფრო კომპლექსური მონაცემებისგან მაშინ მიიღება ღირებულება, თუ ის იძლევა ახალ ინფორმაციას.⁷²⁵ აღნიშნულის გამო ხდება მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობით მოპოვებული მონაცემების, რომლებიც უნდა დამუშავდეს გარკვეული მიზნობრიობით, ახალი მიზნობრიობით დამუშავება, რადგან ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ზოგჯერ ისეთ კანონზომიერებებსა და კოლერაციას გამოავლენს არსებულ მონაცემებს შორის, რაც მონაცემების კვლავ-გამოყენებას (re-purpose) გულისხმობს.⁷²⁶

გარდა ამისა, უფროდაუფრო იზრდება მონაცემთა იმ მომსახურების რიცხვი, რომლებიც წარმოებას უერთდებიან და ეხმარებიან არასტრუქტურირებული მონაცემების სტრუქტურირებულ მონაცემებად გარდაქმნაში.⁷²⁷ აღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა, ბანკის უფლებამოსილება, კლიენტის პერსონალური მონაცემები გადასცეს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელთანაც ბანკს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება

⁷²³ Zander-Hayat H., Reisch L. A., Steffen C., Personalisierte Preise: Eine verbraucherpolitische Einordnung. Verbraucher und Recht, Vol. 31, No. 11, 2016, 408-409

⁷²⁴ Andreotta A.J., Kirkham N., Rizzi M., AI, big data, and the future of consent, AI & Society, Vol. 37, 2022, 1720.

⁷²⁵ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 619.

⁷²⁶ Andreotta A.J., Kirkham N., Rizzi M., AI, big data, and the future of consent, AI & Society, Vol. 37, 2022, 1720.

⁷²⁷ Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, The Review of Financial Studies, Volume 38, No. 3, 2025, 619.

მონაცემების მიღების/გაცემის თაობაზე, კანონით დადგენილი წესით.⁷²⁸ მეტიც, ბანკს უფლება აქვს გადასცეს საკუთარი მონაცემები მესამე პირებს, რომლებიც უფლებამოსილია მონაცემების დამუშავებაზე, ბანკსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით.⁷²⁹ აღნიშნული პირები მოიცავს: საბარათე სექემებს (Visa, Mastercard, P2P service), საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს (ვისგანაც დაფინანსებას მოიპოვებს ბანკი) დაფინანსების, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ან/და ანგარიშგების მიზნით; ბანკის პარტნიორ მერჩანტებს, მათთან არსებული შეთანხმების შესაბამისად, მათ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მოქმედი ლოიალობის პროგრამით სარგებლობის მიზნით.⁷³⁰ თიბისი მობაილბანკინგის გამოყენებით მომხმარებლის ინფორმაცია მოწყობილობის ნომრის, მოდელი, ბრენდის, სახელის, საოპერაციო სისტემის ვერსიის, თიბისი აპლიკაციის ვერსიის შესახებ გადაეცემა ისეთ აპლიკაციებს, როგორცაა: Google analytics, Xtremepush.com და Smartlook Mobile App Analytics.⁷³¹ მათ შორის გადასცეს მონაცემები, რათა ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით მოხდეს მომსახურების გაწევი, ელექტრონული ხელმოწერის შესრულების მიზნით.⁷³² თავის მხრივ, პლატფორმასაც განმარტებული აქვს, რომ მონაცემებს მიღების გზებია არა მხოლოდ მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე რეგისტრაცია ან ანგარიშით სარგებლობა და საკუთარი ნებით მონაცემების გადაცემა პლატფორმის სარგებლობის მიზნებისთვის,⁷³³ არამედ მონაცემების იღებს იმ პირებისგანაც, რომელსაც ხელმოსაწერად გაეგზავნება დოკუმენტაცია.⁷³⁴ შესაბამისად, ბანკის მონაცემები ხვდება ბანკების აუთსორსინგული კომპანიის ხელში, რომელიც მონაცემთა გადაცემის საკუთარ რეჟიმს აწესებს და განმარტავს, რომ მონაცემთა გადაცემის რეჟიმი განისაზღვრება მის მიერ გაცხადებული კონფიდენციალობის პოლიტიკის ანდა კანონმდებლობით მოცემულ შემთხვევების შესაბამისად.⁷³⁵ პლატფორმა მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას იმ სუბიექტების თაობაზე, რომლებსაც მიაწვდის მონაცემებს („ამასთან, აღნიშნულ პირებს მიეწოდება მხოლოდ იმ მოცულობის და იმ ტიპის მონაცემები, რომელიც საჭიროა/აუცილებელია კონფიდენციალურობის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებისათვის“⁷³⁶). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა მოცულობა და ტიპი დაკონკრეტებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ღრუბლოვანი მომსახურების უზრუნველყოფმა, როგორც დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან უნდა დადოს შეთანხმება, რომელშიც ვალდებულებები, რომლებსაც GDPR ის რეგულაცია მოითხოვს გაწერილი იქნება დეტალურად,⁷³⁷ ხოლო ზოგიერთი ბანკი საქართველოში აცხადებს, რომ

⁷²⁸ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 9.2. პუნქტი, იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

⁷²⁹ იქვე, 13.1. პუნქტი.

⁷³⁰ იქვე, 8.14–8.1.6.

⁷³¹ კონფიდენციალობის პოლიტიკა, „თიბისი ბანკი“, იხ., <<https://tbcbank.ge/ka/privacy-policy>> [30.07.2025]

⁷³² ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 8.1.7. პუნქტი, იხ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

⁷³³ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 3.3.1., იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁷³⁴ იქვე, მუხლი 1.5.

⁷³⁵ იქვე მუხლი 6.1.

⁷³⁶ იქვე, 6.2.

⁷³⁷ Jaksch C., Digital Personal Assistant with AI and Data Protection GDPR & E-Privacy-Reg, In: Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022, 149.

მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობისა და GDPR-ის მიხედვით.⁷³⁸ მეტიც, ბანკი აცხადებს მონაცემთა გადაცემას მესამე პირთა აპლიკაციებისთვის, რომლებიც თანხვედრაშია GDPR -თან.⁷³⁹ მეტიც, ბანკი აცხადებს, რომ ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიულ პირი, რომელიც შევა ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ ბანკის მიერ გაცხადებული პოლიტიკა.⁷⁴⁰ ამიტომ, ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმდება ბანკსა და აუთოსორსინგულ კომპანიებს შორის, საჯარო უნდა იყოს იმ ნაწილში, რომელიც მონაცემთა დამუშავების მეთოდსა და ტექნოლოგიას ეხება. მით უმეტეს, მით უმეტეს, ელექტრონული მომსახურებით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონულ ფორმაში არსებულ მონაცემებთან ლოგიკურ კავშირს, როგორცაა, მაგალითად ელექტრონული შტამპი, რომელიც გამოიყენება ავთენტიფიკაციისთვის.⁷⁴¹ ასევე მხედველობაში თუ იქნება მიღებული, რომ ფინანსური მომსახურებისთვის საჭირო და შესაფერისი დიდი მონაცემები, რომლებიც მოიპოვება დიდი ტექნოლოგიური ფირმების პლატფორმებისგან მოიცავს: 1) გარიგებებს (ტრანსაქციებს) (გაყიდვების მოცულობა და საშუალო სარეალიზაციო/გასაყიდი ფასები); 2. რეპუტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (პრეტენზიების თანაფარდობა, საჩივრებზე პასუხის და გადაწყვეტის დრო, განხილვა და საჩივრები); და 3) ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი თვისებები (გაყიდვების სეზონურობა, მოთხოვნის ტენდენცია და მაკროეკონომიკური მგრძობელობა). ამ მონაცემებს შესაძლებელია დაემატოს არატრადიციული მონაცემები, რომლებიც მოპოვებულ იქნა სოციალურ მედიიდან და სხვა არხებიდან.⁷⁴² მეტიც, დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი კავშირი, რომელიც მყარდება მონაცემების მიმოცვლასა და მოპოვებას შორის, უკვე წარმოადგენს დიდი მონაცემების ეკოსისტემის ნაწილს.

2.2.2. ფინანსური ინსტიტუტების მიერ კლიენტისგან მიღებული მონაცემების დამუშავების ფარგლები

ბანკების მიერ მონაცემთა შეგროვების მეთოდი მრავალგვარია, კერძოდ, იგი აგროვებს მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს, როდესაც ხდება კლიენტის მომხმარებლად რეგისტრაცია. გამოიყენება ბანკის პროდუქტები თუ მომსახურებები, მომხმარებლების ონლაინ სერვისებზე რეგისტრაციისას, სატელეფონო კომუნიკაციისას ან ფილიალში მათი ვიზიტისას, ბანკის საიტის, მობილური აპლიკაცია და ონლაინ-ჩატის გამოყენებისას, როდესაც ბანკში კლიენტის მიერ იგზავნება წერილი ფოსტით ან ელფოსტით, ხორციელდება საბანკო ტრანზაქციები, სარგებლობენ ღია ბანკინგის პრინციპით, ბანკთან დაკავშირებული მომსახურებით, საგადასახადო პროვაიდერებიდან, საკრედიტო სააგენტოებიდან, ფინანსური ინსტიტუტებიდან და საჯარო ორგანიზაციებიდან, მზა

⁷³⁸ კონფიდენციალობის პოლიტიკა, „თიბისი ბანკი“, იბ., <<https://tbcbank.ge/ka/privacy-policy>> [30.07.2025]

⁷³⁹ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ პოლიტიკა, თიბისი ბანკი, მუხლი 2.4., იბ., <<https://bit.ly/4l7qMmx>> [08.07.2025]

⁷⁴⁰ იქვე, მუხლი 1.4.

⁷⁴¹ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 3(25).

⁷⁴² III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, 66. იბ., <bit.ly/3RiWjFX> [01.04.2025]

ჩანაწერებიდან, რომლითაც ხორციელდება მომხმარებელთა ქცევაზე დაკვირვება.⁷⁴³ მეტიც, არა მხოლოდ ბანკები, არამედ ბანკების მიერ მომსახურე მესამე მხარეც იღებს მომხმარებლებისგან თანხმობას, რათა პლატფორმამ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები დაამუშავოს ფაილური სისტემის (მათ შორის, პროფაილინგის) მეშვეობით.⁷⁴⁴

ბანკი აგროვებს, მონაცემთა სუბიექტის სახელსა და გვარს, რეგისტრირებულ, ანდა ფაქტობრივ მისამართს, ტელეფონისა და მობილურის ნომერს, ელ. ფოსტის მისამართს, საკრედიტო ისტორიასა და გადახდისუნარიანობის სტატუსს; ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტის საკუთრებაში, ანდა მფლობელობაში არსებულ უძრავი და მოძრავი ნივთების და მათი მახასიათებლების შესახებ; დამსაქმებლის მონაცემებს, აგრეთვე ინფორმაციას დასაქმების პირობების შესახებ, როგორებიცაა ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა; მომსახურე ბანკსა და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშების შესახებ ნებისმიერი მონაცემს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ცნობებს ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთების და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ; ბანკის მიერ გროვდება, ასევე, სხვადასხვა ელექტრონულ არხებში, ანდა ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი, მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები, მონაცემთა სუბიექტისა, ანდა მას მიერ მითითებული მესამე პირების აქტივობა აღნიშნულ არხებში, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხებში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია; ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ; ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება კლიენტს და რის შედეგადაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება, ანდა დახასიათება, ანდა სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.⁷⁴⁵ ამ მონაცემების გადაცემა ბანკს შეუძლია ჰოლდინგური კომპანიისთვის, რომლის შემადგენლობაშიც შედის თვითონ.⁷⁴⁶

ბანკი იყენებს მზა ჩანაწერებს, რომელის შესახებაც კლიენტს აწვდის ინფორმაციას: მზა ჩანაწერები (cookie) გამოიყენება იმის დასადგენად თუ როგორ ხვდებიან მომხმარებლები ბანკის ვებგვერდზე და Google Analytics-ის რეპორტების საწარმოებლად. ვებ-გვერდის გამოყენების დაწყებამდე, მომხმარებელს აქვს საშუალება დაეთანხმონ მზა ჩანაწერებისა და მომხმარებელთა ქცევაზე დაკვირვების შესახებ. შეტყობინებას „თანხმობა“ დილაკზე დაჭერით, თუმცა თუ არ დაეთანხმებიან „Cookie პოლიტიკა“-ს და მომხმარებელი გააგრძელებს ვებ-გვერდის გამოყენებას, აღნიშნული ქმედება მაინც ჩაითვლება მომხმარებლის თანხმობად მზა ჩანაწერების პოლიტიკაზე. ბანკი არ იყენებს მზა ჩანაწერებს და მომხმარებლის ქცევაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს პირადი ინფორმაციის შეგროვების მიზნით.⁷⁴⁷ თავის მხრივ, პლატფორმა, იყენებს მზა ჩანაწერებს (მზა ფაილები), რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის: ადგილმდებარეობის, სარეგისტრაციო, სარეკლამო, მესამე პირის. პლატფორმის მიერ ჩამოთვლილი მზა

⁷⁴³ კონფიდენციალობის პოლიტიკა, „თიბისი ბანკი“, იბ., < <https://tbcbank.ge/ka/privacy-policy> > [30.07.2025]

⁷⁴⁴ Signify, კონფიდენციალობის პოლიტიკა, მუხლი 4.4., იბ., <<https://bit.ly/3YmYuMh>> [08.04.2025]

⁷⁴⁵ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა - ლიბერთი, პუნქტი 5, იბ. <<https://bit.ly/3vu7HmI>> [04.08.2025]

⁷⁴⁶ ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, 8.1.10. პუნქტი, იბ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]

⁷⁴⁷ Cookie Policies, TBC Bank JSC, იბ., <<https://www.tbcbankgroup.com/cookie-policy>> [04.08.2025]

ჩანაწერებს ტიპები არ არის ამოწურულად ჩამოთვლილი,⁷⁴⁸ თუმცა ჩამოთვლის და განმარტავს აღნიშნული ფაილების არსს, კერძოდ, მესამე პირის მზა ჩანაწერებში იგულისხმება ისეთი მესამე პირები, რომლებიც ახორციელებენ ანალიტიკას (მაგალითად, Google analytics), ასეთი მზა ჩანაწერები განსაზღვრავს რა სიხშირით სტუმრობს მომხმარებელი ვებ-გვერდს, თითოეული სესიის ხანგრძლივობას; სარეგისტრაციო ანდა ანგარიშის მზა ჩანაწერები იძლევა ინფორმაციას, თუ რომელმა მომხმარებელმა გაიარა რეგისტრაცია ანგარიშით, ანდა სარგებლობს ანგარიშით, რა ხანგრძლივობით იყენებს ანგარიშს ანდა რა მომსახურებებით სარგებლობს; ადგილმდებარეობის მზა ჩანაწერები ადგენს მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის გამოყენების ადგილმდებარეობას.⁷⁴⁹ შესაბამისად, პლატფორმა იღებს მზა ჩანაწერებს მესამე პირებისგანაც და აუმჯობესებს პლატფორმის ქცევას.

საგულისხმოა, რომ პლატფორმის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ ხელშეკრულებაში განმარტებულია მზა ჩანაწერების ფუნქცია და გამოყენების მიზნობრიობა.⁷⁵⁰ პლატფორმა აგროვებს მცირე მოცულობით ინფორმაციის შემცველი ფაილებს, რომლებიც მომხმარებლის ბრაუზერის ინახავს მომხმარებლის მოწყობილობაში, იგი არის კონკრეტული ბრაუზერის მეხსიერება კონკრეტული ვებ-გვერდის მიმართ. ბრაუზერის მიერ დამახსოვრებულ ამ მცირე ზომის ფაილებს შეუძლია მომხმარებლის მოთხოვნებს მოერგოს, როდესაც მომხმარებელი სარგებლობს კონკრეტული ბრაუზერით, რადგან მზა ჩანაწერების მეშვეობით ბრაუზერს შეუძლია ამოიციოს მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდით სარგებლობის მომენტი, შესაბამისად, ვებ-გვერდი მომხმარებელზეა მორგებული და მომხმარებელს არ უხდება ყოველ ჯერზე პარამეტრის რედაქტირება (მაგ; ვებ-გვერდის ენა).⁷⁵¹ მზა ჩანაწერების ვებ-გვერდს საშუალებას აძლევს მოერგოს მომხმარებელს, შესაბამისად პლატფორმას აქვს საშუალება მომხმარებელს მიაწოდოს, დაიცვას და გააუმჯობესოს მომსახურება, მოახდინოს შინაარსების (კონტენტის) პერსონალიზაცია.⁷⁵² ბრაუზერის მიერ მზა ჩანაწერების გენერირების სრულად შეზღუდვა შეუძლებელია, ამასთან, შესაძლოა მზა ჩანაწერის შეზღუდვამ გავლენა მოახდინოს მომხმარებლის მიერ პლატფორმით/სერვისებით სარგებლობაზე და შეზღუდოს პლატფორმით/სერვისებით სარგებლობა.⁷⁵³ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სამართლის მიხედვით მონაცემთა მპყრობელს არ აქვს უფლება გამოიყენოს მზა მონაცემები ინფორმაციის მისაღებად მესამე მხარის ეკონომიკური ვითარების თაობაზე, აქტივებისა და წარმოების მეთოდებზე ან მესამე მხარის მიერ მონაცემების გამოყენების თაობაზე ამა თუ იმ მეთოდით, რომელიც შეარყევს მესამე მხარის კომერციულ ინტერესს ბაზარზე, თუ არსებობს მესამე მხარის თანხმობა მონაცემების გამოყენების თაობაზე ან არსებობს ტექნიკური შესაძლებლობა, რომ მესამე მხარემ გამოითხოვოს აღნიშნული თანხმობა.⁷⁵⁴

⁷⁴⁸ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 5.3., <https://bit.ly/3YmYuMh> [08.04.2025]

⁷⁴⁹ იქვე, მუხლები 5.4–5.6.

⁷⁵⁰ იქვე, მუხლი 5.1 და მუხლი 5.9.

⁷⁵¹ იქვე, მუხლი 5.1

⁷⁵² იქვე, მუხლი 5.2.

⁷⁵³ იქვე, მუხლი 5.7. ასევე, Cookie Policy, TBC Bank JSC, <https://www.tbcbankgroup.com/cookie-policy> [04.08.2025]

⁷⁵⁴ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, art. 5(6)

პლატფორმის მიერ მიღებული და დამუშავებული მონაცემები კატეგორიების მიხედვით შეიძლება დაიყოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემებად (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი), კომერციულ/ტრანზაქციულ მონაცემებად (ბილინგის ინფორმაცია, შესყიდული პროდუქტები ან მომსახურებები, საბანკო ბარათები და საბანკო ანგარიშების მონაცემები, გადახდის საშუალებები და გადასახადთან დაკავშირებული ინფორმაცია), მონაცემებად, რომლებიც ავტომატურად იქნა მიღებული (ასეთია, IP მისამართი, მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორები, ადგილმდებარეობის მონაცემები, ფიზიკური მდებარეობა, ოპერატიული სისტემა და ბრაუზერი, გვერდზე შესვლა, გვერდიდან გასვლა და URL, პლატფორმით ან ამა თუ იმ სერვისით სარგებლობის ხანგრძლივობა, თარიღი და დრო, სარგებლობის სიხშირე, შეცდომების დაფიქსირება და სხვა მსგავსი ინფორმაცია; ასევე ტრანზაქციის მონაცემები, მაგ.: მონაწილეების ვინაობა და ელ.ფოსტა, ტრანზაქციის თემა, ტრანზაქციაში სხვადასხვა პირების განხორციელებული ქმედებების ისტორია (მაგ; დათვალიერება, ხელმოწერა, პარამეტრების გააქტიურება) და პერსონალური ინფორმაცია ტრანზაქციაში მონაწილე პირების ან მათი მოწყობილობების შესახებ (ტრანზაქციულ მონაცემებში არ იგულისხმება დოკუმენტის შინაარსი.). მომხმარებლის მიერ ნებაყოფლობით მოწოდებული მონაცემი როდესაც ის პლატფორმით სარგებლობს, ან ანგარიშს ქმნის, მარკეტინგული ინფორმაციის გამოწერის ანდა გაუქმების თაობაზე ინფორმაცია, მომსახურების შეფასების მოწოდებული ინფორმაცია, მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე გატარებული დროის შესახებ ინფორმაცია, დამატებითი ავთენტიფიკაციის შესახებ ინფორმაცია, როგორცაა ხელმომწერი პირის ტელეფონის ნომერი, ვიდეოიდენტიფიკაციისას ხელმომწერი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ეროვნება, სქესი, პასპორტის ან ID ბარათის/პირადობის მოწმობის ასლი, ხელმომწერი პირის ბიომეტრული მონაცემები (მობილური აპლიკაციის ან კამერის, ვიდეოს ან აუდიო ჩანაწერის მეშვეობით მოწოდებული ხელმომწერი პირის სახის ფოტო/ვიდეო ჩანაწერი, რომელიც გამოიყენება იდენტიფიკაციის მიზნებისთვის).⁷⁵⁵ აღსანიშნავია, რომ ელექტრონული იდენტიფიკაცია გულისხმობს პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების ელექტრონულ ფორმაში გამოყენებას, რომლითაც ხორციელდება ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენლობა ან ფიზიკური და იურიდიული პირის წარმომადგენლობა მესამე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.⁷⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ IP მისამართი არის ნეიტრალური ინფორმაცია,⁷⁵⁷ IP მისამართი, რომელიც ინტერნეტ-პროვაიდერის მიერ არის შენახული, შესაძლებელია ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად თუ სხვა მონაცემებთან მისი დაკავშირებით შესაძლებელი იქნება მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება და ონლაინ მომსახურების მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა მის ხელთ არსებული საშუალებებით, უფლებამოსილი ორგანოსა და ინტერნეტ-პროვაიდერის დახმარებით მოახერხოს ფიზიკური პირის იდენტიფიცირება.⁷⁵⁸ საიდენტიფიკაციო მონაცემები გულისხმობს მატერიალურ ან არამატერიალურ ერთეულს, რომელიც მოიცავს პირის მონაცემებს და ეს მონაცემები გამოიყენება ონლაინ ან ოფლაინ ავთენტიფიკაციისთვის, აღნიშნული მონაცემებით

⁷⁵⁵ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, 4.1, 4.2 და 4.5 მუხლები, <https://bit.ly/3YmYuMh> [08.04.2025]

⁷⁵⁶ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 3(1).

⁷⁵⁷ Perplingieri C., Data as the Object of a Contract and Contract Epistemology, Italian Law Journal, Vol. 5, No. 2, 2019, 616.

⁷⁵⁸ Patrick Breyer v Bundesrepublik Deutschland [CJEU], საქმე C-582/14, ECLI:EU:C:2016:779, 2016, par. 45-49.

შესაძლებელია ფიზიკური ან იურიდიული პირის იდენტიფიკაციის დადასტურება.⁷⁵⁹ მონაცემები რომლებიც პლატფორმისთვის ცნობილი ხდება მომხმარებლის მიერ პლატფორმით სარგებლობისას არის მოწყობილობის IP მისამართი, პლატფორმით სარგებლობის დრო, თარიღი, ადგილი, ხელმოწერილი პირები, ხელმოწერის დრო, ბრაუზერის ვერსია; ეს მონაცემები პლატფორმისთვის ცნობილი ხდება მაშინ, როცა მომხმარებელი: ქმნის, ხელს აწერს, უგზავნის, აზიარებს, იღებს ან ათვალიერებს დოკუმენტს; ქმნის ან არედაქტირებს ანგარიშს; სარგებლობს ანგარიშით; უკავშირდება მომხმარებლის მხარდაჭერის სამსახურს; აკეთებს კომენტარს Signify ბლოგზე ან ფორუმზე, სოციალურ გვერდზე; სარგებლობს პლატფორმის სხვადასხვა სერვისით.⁷⁶⁰ ასევე პლატფორმა სხვა, მესამე პირის ფიზიკური პირის შესახებ მონაცემებს იღებს მომხმარებლისგან, როდესაც მომხმარებელი ახდენს ხელმოწერის ინიცირებას და უთითებს სხვა ფიზიკური პირების შესახებ მონაცემებს (სახელი, გვარი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი); მოქმედ ანგარიშს ქვე-მომხმარებლად ამატებს სხვა ფიზიკურ პირებს. მოქმედ ანგარიშთან მიმართებით Signify-ს მომსახურების საფასურის ამსახველი საგადახდო ინვოისის გაგზავნის/მიღების მიზნით ამატებს ფიზიკური პირის ელ-ფოსტას, რომელზეც გაიგზავნება ინვოისი Signify-ს მხრიდან. ვიზიტორის მიერ პლატფორმით სარგებლობისას სატესტო დოკუმენტის გაგზავნის მიზნით საკუთარი ნებით მონაცემების (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ელ.ფოსტა, სახელი, გვარი) გადაცემა Signify-სთვის.⁷⁶¹

ბანკები და მათ მიერ მომსახურე პლატფორმები მრავალფეროვანი არხებით აგროვებენ მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, როგორცაა: რეგისტრაციისას, მომსახურების გამოყენებისას, სატელეფონო კომუნიკაციის, ფილიალში ვიზიტის, ონლაინ სერვისებისა და პლატფორმების მეშვეობით. ისინი აგროვებენ როგორც იდენტიფიკირებად პერსონალურ ინფორმაციას (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა, საკუთრებისა და დასაქმების მონაცემები), ასევე მომხმარებლის ქცევაზე დაკვირვებით მიღებულ მონაცემებს (მაგალითად, ონლაინ აქტივობა, ტრანზაქციების ისტორია). ფინტექების მიერ ელექტრონული იდენტიფიკაციის პროცესში ხდება მომხმარებლის სხვადასხვა დონის პერსონალური და ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება და დამუშავება ონლაინ ავთენტიფიკაციისთვის. ამიტომ, აღსანიშნავია, რომ IP მისამართიც შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად, თუ შესაძლებელია მისი მეშვეობით პირის იდენტიფიკირება. თავის მხრივ, არაპერსონალური მონაცემები ისეთი, როგორცაა მზა ჩანაწერები (cookies) ფართოდ გამოიყენება მომხმარებლების ქცევაზე დაკვირვებისა და პლატფორმის ოპტიმიზაციის მიზნით. ბანკები ამ მონაცემებს იყენებენ ანალიტიკისთვის, რაც ზრდის მომსახურების ხარისხსა და ოპერაციულ ეფექტურობას. ბანკში დამუშავებული დიდი პერსონალური მონაცემები ინახება მონაცემთა ბაზების სახით და ბანკები ქმნიან „ცოდნის კერძო ქსელს“. დაგროვებული მონაცემები შეიძლება გადაეცეს ჰოლდინგურ კომპანიებს ან მესამე პირებს შესაბამისი მიზნებით.

დიდი მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ გადახდების სისტემებმა უკეთ გაიგოს მომხმარებლის ქცევა, შეაფასოს რისკები და განახორციელონ პერსონალიზებული

⁷⁵⁹ Consolidated Text: Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, art. 3(2) & 3(3)..

⁷⁶⁰ Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, მუხლი 3.3.2., იხ., <<https://bit.ly/3YmYuMh>>

⁷⁶¹ იქვე, მუხლი 3.3.3.

მომსახურება. ბანკები და მათ მიერ მართული პლატფორმები მონაცემებს აგროვებენ მრავალფეროვანი წყაროებიდან, ამუშავებენ როგორც იდენტიფიცირებელ, ისე ფინტექ პროვაილსა და ტექნიკურ ინფორმაციას, ხდება მონაცემების გადაცემა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის თუ კომერციულ პარტნიორებისთვის. ფინანსური ინსტიტუტები მიერ მონაცემთა დამუშავების ფარგლები იყოფა პირადი და იდენტიფიცირებად მონაცემებად, რაც საჭიროა „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისთვის, ფინანსური ინსტიტუტები ამუშავებენ ფინანსურ და ტრანზაქციულ მონაცემებს, როგორებიცაა ვაჭრობის ისტორია, ანგარიშები, გადახდის დეტალები, რაც უკავშირდება რისკების შემცირებას, ასევე ამუშავებენ ტექნიკურ მონაცემებს, როგორებიცაა IP მისამართი, მოწყობილობისა და ბრაუზერის მახასიათებლები – ყოველივე ეს მოქცეულია მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში, რადგან ყველა შეგროვებული მონაცემი უკავშირდება კონკრეტულ მიზანს. საბოლოო ჯამში, ბანკები და ფინტექები უზრუნველყოფენ, რომ პირადი და კომერციული მონაცემები გამოიყენებინან მხოლოდ მიზნობრივად, მომხმარებლის ნებართვით და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ეფექტიანი და უსაფრთხო ფინანსური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

3. ციფრული ფინანსური ბაზრის მოწესრიგება კონკურენციის პირობებში

3.1. პლატფორმული მომსახურებისა და საინფორმაციო საზოგადოების მოწესრიგება

ევროკავშირის ციფრული ბაზრის სტრატეგია მოწოდებულია, რათა უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია, პიროვნებებისა და ბიზნესის წვდომა ონლაინ მომსახურებებსა და პროდუქტებზე, მომხმარებლებისა და მონაცემთა დაცვა, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთარების უფლების უზრუნველყოფა.⁷⁶² ევროკავშირის მიზანია ფინტექის გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდა და, ამავდროულად, ინვესტორების დაცვის მაღალი ხარისხის შენარჩუნება.⁷⁶³ ევროკავშირმა შეიმუშავა განფენილი რეესტრის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ბაზრის ინფრასტრუქტურის მომწესრიგებელი რეგულაცია, რომლის მიზანი იყო კრიპტოვალუტასთან მიმართებით ევროკავშირის ფინანსური მომსახურების სამართლის მისადაგების სამართლებრივი გამჭვირვალობა, კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული მომსახურების ინოვაციურობისა და კონკურენციის უზრუნველყოფა, კრიპტობაზარზე ინვესტორებისა და მომხმარებლების დაცვა, კრიპტოაქტივების ბაზრის ერთიანობის (ინტეგრულობის) უზრუნველყოფა და განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებისა და კრიპტოვალუტის გამოყენებით გამოწვეული ფინანსური და მონეტარული სტაბილურობის შენარჩუნება.⁷⁶⁴ რეგულაციის მიზანი განფენილი რეესტრის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ციფრული ფასიანი ქაღალდების (Security Token) ეფექტური მეორეული ბაზრის (secondary market) ჩამოყალიბება იყო.⁷⁶⁵

⁷⁶² Thouvenin F., Tamò-Larriex A., Data Ownership and Data Access Rights: Meaningful Tools for Promoting the European Digital Single Market?, In: Big Data and Global Trade Law, Edited by M. Burri, Cambridge University Press, 2021, 318.

⁷⁶³ Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law, In: Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance, Edited by: E. Avgouleas, H., Marjosola, Berlin, Boston: De Gruyter, 2022, 251.

⁷⁶⁴ Commission Staff Working Document Impact Assessment Accompanying the Document Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on a Pilot Regime for Market Infrastructures Based on Distributed Ledger Technology [SWD/2020/201 Final], paragraph 4.1., ob., <<https://bit.ly/3DRL3fU>> [05.01.2025]

⁷⁶⁵ Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law, In: Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance, Edited by: E. Avgouleas, H., Marjosola, Berlin, Boston: De Gruyter, 2022, 236.

ევროკავშირმა შეიმუშავა „ციფრული ბაზრების აქტი“, რომელიც აყალიბებს მკაფიო ობიექტურ კრიტერიუმებს დაშვების გუშაგის იდენტიფიცირებისთვის,⁷⁶⁶ რათა დიდი ძალაუფლების მქონე პლატფორმების ქმედება თავსებადი იყოს სამართლიანი კონკურენციის პრინციპებთან.⁷⁶⁷ აქტი აწესრიგებს შიდა ბაზრის წესიერ ფუნქციონირებას და ახდენს წესების ჰარმონიზებას ევროკავშირის ფარგლებში ყველა მეწარმისთვის (ბიზნესისთვის) ციფრული სექტორში სამართლიანი და კონკურენტული ბაზრების უზრუნველსაყოფად, სადაც დაშვების გუშაგები არსებობს, როგორც ბიზნესმომხმარებლების, ასევე საბოლოო მომხმარებელთა სასიკეთოდ. რეგულაცია მიემართება ძირითად პლატფორმულ მომსახურებებს, რომლებსაც აწვდიან ან სთავაზობენ დაშვების გუშაგები ბიზნესმომხმარებლებს, დაფუძნების ადგილის მიუხედავად, მთავარია მდებარეობდეს კავშირში. რეგულაცია არ ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციების ქსელსა და ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე.⁷⁶⁸ აღნიშნული რეგულაცია აწესრიგებს მხოლოდ დაშვების გუშაგების, იგივე ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიმწოდებელთა საქმიანობას და ამას განიხილავს ციფრული ბაზრებთან მიმართებით.

მონაცემთა მიმოცვლის ბარიერების შესამცირებლად ევროკავშირმა შეიმუშავა რეგულაცია მონაცემებზე სამართლიანი წვდომის უზრუნველსაყოფად⁷⁶⁹ და საერთო, ჰარმონიზებული წესები ჩამოსაყალიბებლად, რათა 1) დაკავშირებადი ნაწარმის მონაცემები და თანმდევი მომსახურების მონაცემები ხელმისაწვდომი გახადოს თანმდევი ნაწარმისა და თანმდევი მომსახურების მომხმარებელთათვის; 2) მონაცემთა მიმღებისთვის შესაძლებლობა შექმნას მიიღოს მონაცემთა მფლობელისგან მონაცემები; 3) მონაცემთა მფლობელმა მონაცემებზე წვდომა შესაძლებელი გახადოს საჯარო სექტორის ორგანოებისთვის, კომისიისთვის, ევროპის ცენტრალური ბანკისთვის, კავშირის ორგანოებისთვის, როდესაც აუცილებელია საჯარო ინტერესების განსახორციელებლად აღნიშნულ მონაცემებზე წვდომის ქონა; 4) გაამარტივოს მონაცემთა დამუშავების მომსახურებების მიმწოდებელთა ცვლილება; 5) ხელი შეუშალოს მესამე მხარის მიერ არაპერსონალურ მონაცემებზე არაკანონიერი წვდომას და 6) განავითაროს თავსებადობის სტანდარტები მონაცემებზე წვდომის, გადაცემისა და გამოყენებისთვის. რეგულაცია ეხება როგორც პერსონალურ ასევე არაპერსონალურ მონაცემებს.⁷⁷⁰

ევროკავშირის სამართლის მიხედვით დადგენილია, რომ საინფორმაციო საზოგადოების პროდუქტისა და მომსახურებების მიწოდებისას, ხელი არ უნდა შეეწყოს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალი პროდუქტისა და მომსახურების შექმნასა და გავრცელებას შეეხება საქმე, რომელსაც აქვს ინტელექტუალური, დოკუმენტური, ეკონომიკური და სავაჭრო-კომერციული

⁷⁶⁶ The Digital Markets Act, ob., <<https://bit.ly/422OAT0>> [05.01.2025]

⁷⁶⁷ The Digital Markets Act: Ensuring Fair and Open Digital Markets, ob., <<https://bit.ly/406NIda>> [05.01.2025]

⁷⁶⁸ Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L 265, 12.10.2022, Art. 1, para. 1-3.

⁷⁶⁹ Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, recital 2.

⁷⁷⁰ იქვე, article 1, paragraph 1, და article 1 paragraph 2.

ღირებულება.⁷⁷¹ დაშვების გუშაგს ეკრძალება იყოს უფლებამოსილი მესამე მხარე და შესაბამისად არ შეუძლია 1. მოსთხოვოს მომხმარებელს ან კომერციულად შეაგულიანოს მომხმარებელი რომელიმე ფორმით, მათ შორის ფულადი ან სხვაგვარი ანაზღაურების გზით, რათა ხელმისაწვდომი გახადოს მისი ერთ-ერთი მომსახურებისთვის ის მონაცემები, რომლებიც მომხმარებელმა მოითხოვა მონაცემთა მპყრობელისგან, ხოლო მონაცემთა მპყრობელი ვალდებულია გადასცეს მომხმარებელს მზა მონაცემები ან შესაბამისი მეტამონაცემები; 2. მოსთხოვოს ან კომერციულად შეაგულიანოს მომხმარებელი, რათა მოსთხოვოს მონაცემთა მპყრობელს მონაცემების ხელმისაწვდომად გახდომა მისი ერთ-ერთი მომსახურებისთვის, და 3. მიიღოს ის მონაცემები მომხმარებლისგან, რომელიც მომხმარებელმა მოითხოვა მონაცემთა მპყრობელისგან და მონაცემთა მპყრობელი ვალდებულია გადასცეს მომხმარებელს მზა მონაცემები ან შესაბამისი მეტამონაცემები.⁷⁷² მეტიც, თუ მონაცემთა ბაზები განთავსებულია საჯარო ხელმისაწვდომობისთვის, მაშინ ამ მონაცემთა ბაზების შემქმნელი ვერ შეუძლის ხელს კანონიერ მომხმარებელს, რათა გამოიყენოს ეს მონაცემები ნებისმიერი მიზნისთვის, თუმცა არც კანონიერ მომხმარებელს აქვს უფლება დაარღვიოს მონაცემთა ბაზის შემქმნელის ლეგიტიმური ინტერესი და შელახოს ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც უკავშირდება იმ სამუშაოს, რომელსაც შეიცავს მონაცემთა ბაზა.⁷⁷³

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაშვების გუშაგის არსებობასა და კვალიფიკაციას. მეტიც, როდესაც ფინანსური ჰოლდინგური კომპანიები, რომელთა ქოლგის ქვეშ მრავალი ფინანსური ხასიათის კომპანიაა, როგორცაა დაზღვევა, ლიზინგი, ბანკები, მათ აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ფინტექი, რომელიც შეაგროვებს რეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემებს მონაცემთა კერძო ქსელში. შესაბამისად, მსგავსი კომპანიებისთვის მიზანშეწონილია ისეთი რეგულაციების დაწესება, როდესაც დაშვების გუშაგად კვალიფიცირებული ფინანსური მომსახურების გამწვევი კომპანიების მიერ მონაცემებზე დაშვება არ გახდება აუცილებელი პირობა მომსახურების გასაწევად. აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რომ დაშვების გუშაგმა არ გამოიყენოს ფინტექების მეშვეობით შეგროვებული არაპერსონალური მონაცემი, რომელიც შეგროვებულია მისი, როგორც „პლატფორმა, როგორც მომსახურება“ გაწევისას და როგორც ფინანსური შუამავლის როლის შესრულებისას, რადგან აღნიშნული მონაცემები არის ფინტექის მომხმარებლის მიერ შეგროვებული მონაცემი საკუთარი ბიზნეს საქმიანობისას. შესაბამისად, როგორც ეს მაღლა იქნა განხილული, როდესაც ბანკი და პლატფორმა აფრთხილებს მომხმარებელს, რომ თუ არ იქნება დაშვებული მზა ჩანაწერებზე წვდომა, შესაძლოა ვერ ისარგებლონ მათი მომსახურებით. ყურადსაღებია, რომ მათივე ხელშეკრულებაში განმარტებულია, მზა ჩანაწერების ფუნქცია, როგორც მომსახურების გაუმჯობესების, ანდა ბრაუზერზე პარამეტრების ავტომატური მორგებისთვის საჭირო პროცედურის გაწევა. შესაბამისად, მომხმარებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს სჭირდება თუ არა ბრაუზერზე მორგებული კონფიგურაციების ავტომატური მორგება ფინტექის

⁷⁷¹ Directive 96/9/EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the Legal Protection of Databases, OJ L 77, 27.3.1996, p. 20, Recital 47.

⁷⁷² Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023, article 5, paragraph 3.

⁷⁷³ Directive 96/9/EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the Legal Protection of Databases, OJ L 77, 27.3.1996, p. 20–28, article 8.

სარგებლობისას. როგორც აღინიშნა, სანდო მონაცემთა ეკოსისტემა, კერძოდ, მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს დიდი მონაცემებისგან ღირებულების მიღებას.

3.2. ფინანსური სექტორის აქტორების ციფრული ფინანსური ბაზარი

ფინანსური ციფრული ბაზრებისა და ფინანსური მონაცემების საქონლად გადაქცევა მარეგულირებლებისა და პრაქტიკოსებისთვის დიდი გამოწვევაა, კერძოდ, კერძო ბლოკჩეინები მუშაობს ორმხრივად შეთანხმებული იმ წესების ერთობლიობის მიხედვით, რომლებსაც ნებადართული სისტემის დაშვების გუშაგების მიერაა თავსმოხვეული.⁷⁷⁴ ევროკავშირის კანონმდებლობა ასხვავებს ერთმანეთისგან 1) საკრედიტო დაწესებულებას, 2) ელექტრონული ფულის დაწესებულებას, 3) საფოსტო ოფისების საგადახდო საღაროების⁷⁷⁵, 3) საგადახდო დაწესებულებას და 4) ევროპის ცენტრალურ ბანკსა და ეროვნულ ბანკებს, როდესაც ის მოქმედებს, როგორც მონეტარული პოლიტიკის განმხორციელებელი ინსტიტუტი ან სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას.⁷⁷⁶ საკრედიტო დაწესებულებაში მოიაზრება ასევე ფილიალებიც, სადაც ბიზნესი წარმოებს, იგი არის საკრედიტო დაწესებულების სამართლებრივად დამოკიდებული ნაწილი; ფილიალს შეუძლია პირდაპირ განახორციელოს დაწესებულების ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა გარიგება (ტრანზაქცია) ან გარიგების (ტრანზაქციის) ნაწილი.⁷⁷⁷ ფილიალები ასევე შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ფულის დაწესებულებას, რომლის სათაო ოფისი შესაძლებელია იყოს როგორც ევროკავშირის ტერიტორიაზე, ასევე ევროკავშირის ტერიტორიის გაერთ, თუმცა ფილიალი მდებარეობდეს ევროკავშირში.⁷⁷⁸ საქართველოს კანონის თანახმად მხოლოდ ბანკი და მიკრობანკია უფლებამოსილი მიიღოს დეპოზიტები და საკუთარი სახელით განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი საბანკო საქმიანობა, თუმცა მიკრობანკების შემთხვევაში საბანკო საქმიანობა შეზღუდულია,⁷⁷⁹ მაგალითად, შეუძლია მხოლოდ პროცენტის და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ.⁷⁸⁰ საქართველოს კანონის თანახმად ბანკის ფილიალი არის ბანკის ქვედანაყოფი, სადაც ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი.⁷⁸¹ საქართველოს კანონმდებლობა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უწესებს ვალდებულებას სათაო ოფისი საქართველოში

⁷⁷⁴ Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law—A Case for Regulatory Competition?, In: Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance, edited by E. Avgouleas and H. Marjosola, ECFR, Special Volume 5, 2022, 215.

⁷⁷⁵ ორიგინალში: **Post Office Giro Institutions.**

⁷⁷⁶ Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23.12.2015, p. 35, art. 1(1).

⁷⁷⁷ Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013, p. 1, art. 4(1), point 17.

⁷⁷⁸ Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23.12.2015, p. 35, art. 1(1), point “B”.

⁷⁷⁹ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტი და „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი და მე-3 მუხლი.

⁷⁸⁰ „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი და მე-3 მუხლის

⁷⁸¹ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი.

განათავსოს, საიდანაც განხორციელდება საქმიანობის ფაქტობრივი მართვა.⁷⁸² შესაბამისად, ის საფინანსო დაწესებულებები, რომელთაც ფილიალები აქვთ განთავსებული საქართველოში, მაგრამ არ აქვთ საქართველოში სათაო ოფისი, ვერ ჩაითლებიან საფინანსო მომსახურების პროვაიდერებად, შესაბამისად ვერ დაკვალიფიცირდება ელექტრონული ფულის პროვაიდერებად. ამიტომ ის კანონმდებლობა, რომელიც იმოქმედებს, როგორც დაშვების გუშავის ანალოგია, რათა გაკონტროლდეს დიდი მონაცემების დინება და დამუშავება ფინტექების მიერ არ შეეხება იმ ორგანიზაციებს, რომელთაც არ ექნებათ საქართველოში სათაო ოფისი, მაგალითად, PayPal, Revolute და ა.შ.

საგულისხმოა, რომ ფინტექს შეუძლია ფინანსური მონაცემების (რომელიც არის ფინანსურ მომსახურებაში მომხმარებლის პერსონალური და არაპერსონალური მონაცემები, რომლებიც გროვდება, ინახება და მუშავდება ფინანსური დაწესებულებების მიერ საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში⁷⁸³) გაზიარება და, ამავდროულად, არ იყოს კანონის ან რეგულაციის სუბიექტი. დამატებით, მომხმარებელთა დაცვის უმეტესი რეგულაცია და კანონმდებლობა ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებს გაუმჟღავნებლობაზე (კონფიდენციალურობაზე), რაც არ არის ყოვლისმომცველი მექანიზმი სამართლისთვის,⁷⁸⁴ რადგან ფინანსური მონაცემები ფართოა და მოიცავს იპოთეკური სესხის ხელშეკრულებას, სესხებს და ანგარიშებს, დანაზოგებს, ფინანსურ ინსტრუმენტებში⁷⁸⁵ ინვესტიციებს, დაზღვევაზე დაფუძნებულ საინვესტიციო პროდუქტებს, კრიპტო-აქტივებს, უძრავი ქონებასა და სხვა დაკავშირებულ ფინანსურ აქტივებს ისევე, როგორც ამ აქტივებისგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს.⁷⁸⁶ ფინანსური მონაცემები ასევე მოიცავს იმ მონაცემებს, რომლებიც შეგროვებულ იქნა კლიენტის შესაბამისობისა და შესაფერისობის შესაფასებლად, ასევე კლიენტის რეპორტირების⁷⁸⁷, საპენსიო უფლებებს სამუშაოს საპენსიო სქემაში, პან-ევროპული პერსონალის საპენსიო პროდუქტებზე საპენსიო უფლებებს, სადაზღვევო პროდუქტებს (არ მოიცავს სიცოცხლის დაზღვევას), იმ მონაცემებს, რომლებიც ფირმების საკრედიტო სანდოობის შეფასების ნაწილია, და რომლებიც შეგროვდა როგორც სესხის განაცხადის პროცესის ნაწილი, ან

⁷⁸² „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁸³ Proposal For A Regulation Of The European Parliament And Of The Council on a Framework For Financial Data Access And Amending Regulations (Eu) No 1093/2010, (EU) No 1094/2010, (Eu) No 1095/2010 And (Eu) 2022/2554, COM(2023) 360 final, Brussels, 28.06.2023, article 1 და article 3, point 3.

⁷⁸⁴ Lindner A., Comment, Exploring Financial Data Protection and Civil Liberties in an Evolved Digital Age, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 28, No. 1, 2023. 273.

⁷⁸⁵ **ფინანსური ინსტრუმენტები** არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომლის ძალითაც ერთ მხარეს წარმოემოზა ფინანსური აქტივს, ხოლო მეორე მხარეს ფინანსური ვალდებულება. ისინი შეიძლება იყოს ნაღდი ფული, საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ. აქციები), სახელშეკრულებო უფლებას – მიიღო ან მიაწოდო ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივი (მაგ. ობლიგაციები, დერივატივები), იხ. Directive 2014/65/EU of the European Parliament and of the Council of 15 May 2014 on Markets in Financial Instruments and Amending Directive 2002/92/ec and Directive 2011/61/eu (Recast)Text with EEA Relevance, Document 32014L0065, OJ L 173, 12/06/2014, p. 349, art. 4(1), point 15, Appendix I, Sec. C

⁷⁸⁶ Proposal For A Regulation Of The European Parliament And Of The Council on a Framework For Financial Data Access And Amending Regulations (Eu) No 1093/2010, (EU) No 1094/2010, (EU) No 1095/2010 and (EU) 2022/2554, COM(2023) 360 final, Brussels, 28.06.2023, article 2, paragraph 1, sec. A and B.

⁷⁸⁷ Directive 2014/65/EU Of The European Parliament And Of The Council Of 15 May 2014 On Markets In Financial Instruments And Amending Directive 2002/92/EC And Directive 2011/61/eu (Recast) (Text With Eea Relevance), Document 02014L0065-20250117, 17.01.2025, article 25.

საკრედიტო რეიტინგის მოთხოვნის შედეგად.⁷⁸⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინფორმაციაზე წვდომის რეგულაცია ევროკავშირში მიღების პროცესშია, თუმცა მიუხედავად იმისა თუ როგორ გადაწყდება აღნიშნული საკითხი, შემოთავაზებული რეგულაცია ნათლად აჩვენებს იმ პრობლემას, რაც ფინანსური ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა იწვევს.

ევროკავშირის სამართალის მიხედვით ფინანსური ინფორმაცია დაცულია მაშინაც კი როდესაც ფინანსური ინფორმაციის მატარებელი არ არის იურიდიული პირი, კერძოდ, თუ საინვესტიციო ფირმას არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი, მაშინ მათი სამართლებრივი სტატუსი უნდა უზრუნველყოფდეს მესამე პირების ინტერესების იმავე დონეზე დაცვას, რომელსაც მოახერხებდა იურიდიული პირი და ეს საინვესტიციო ფირმები ექვემდებარებიან იურიდიული პირისთვის დამახასიათებელ გონივრულ (პრუდენციულ) ზედამხედველობას. ხოლო თუ ფიზიკური პირი უზრუნველყოფს მომსახურებას, რომელიც მოიცავს მესამე პირის ფინანსური ფონდების და სხვა ფინანსური აქტივების ფლობას, ამდაგვარი ფიზიკური პირი უნდა იქნეს განხილული საინვესტიციო ფირმად და აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: მესამე პირის საკუთრების უფლება უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით ისეთ ვითარებისას, როდესაც ფირმის ან მისი მესაკუთრების გადახდისუნარიანობის რისკის ქვეშ დგება, ან კრედიტორი მოითხოვს ფირმის ან მისი მესაკუთრის მიმართ ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფისთვის იქნება მიმართული. ფირმა უნდა იყოს ისეთი წესებისადმი დაქვემდებარებული, რომლის თანახმად შესაძლებელი იქნება ფირმის ან ფირმის მესაკუთრეთა გადახდისუნარიანობის შემოწმება. უნდა ხდებოდეს ფირმის ანგარიშების აუდიტი წელიწადში ერთხელ ერთი ან მეტი პირის მიერ. თუ ფირმას ჰყავს ერთი მესაკუთრე, მაშინ ამ პირმა უნდა უზრუნველყოს ინვესტორის დაცვა ისეთ ვითარებაში, როდესაც ხორციელდება ბიზნესის გადაცემა მესაკუთრის გარდაცვალების, ქმედუნარიანობის დაკარგვის ან მსგავსი შემთხვევის დროს.⁷⁸⁹ მეტიც, შემოთავაზებული რეგულაციის ფარგლებში, ევროკავშირი აწესრიგებს, რომ ფინანსური ინფორმაციის მომსახურების მიმწოდებელს, რომელიც ავტორიზებული/ლიცენზირებული მონაცემთა მომხმარებელია, რათა ჰქონდეს წვდომა მომხმარებლის ფინანსურ მონაცემებზე ფინანსური ინფორმაციის მომსახურებების მიწოდების უზრუნველსაყოფად,⁷⁹⁰ უნდა ჰქონდეს მტკიცე მართვის შესაძლებლობა, ეფექტური რისკის მართვის უნარი და არ უნდა შეფერხდეს რეგულატორული კონფლიქტის შედეგად.⁷⁹¹

ევროკავშირი (GDPR-ით და PSD2) აწესრიგებს ფინანსურ ინდუსტრიას და მოითხოვს მათგან განავითარონ შესაბამისი სისტემები მონაცემთა მართვისთვის, ასევე ზღუდავს ინდუსტრიის შესაძლებლობას გამოიყენოს შეჯგუფებული მონაცემები (pooled data), შესაბამისად ამცირებს ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების შესაძლებლობას

⁷⁸⁸ Proposal For A Regulation Of The European Parliament And Of The Council on a Framework For Financial Data Access And Amending Regulations (Eu) No 1093/2010, (Eu) No 1094/2010, (Eu) No 1095/2010 And (Eu) 2022/2554, COM(2023) 360 final, Brussels, 28.06.2023, article 2, paragraph 1, sec. C-F.

⁷⁸⁹ Directive 2014/65/EU of the European Parliament and of the Council of 15 May 2014 on Markets in Financial Instruments and Amending Directive 2002/92/ec and Directive 2011/61/eu (Recast)Text with EEA Relevance, Document 32014L0065, OJ L 173, 12/06/2014, p. 349, art. 4(1), point 1.

⁷⁹⁰ Proposal for a Regulation of the European Parliament And of the Council on a Framework for Financial Data Access and Amending Regulations (Eu) No 1093/2010, (Eu) No 1094/2010, (Eu) No 1095/2010 And (Eu) 2022/2554, COM(2023) 360 final, Brussels, 28.06.2023, article 3(7).

⁷⁹¹ იქვე, article 14.

მოპოვოს უპირატესობა მათ მიერ მოპოვებული და დაგროვებული მონაცემების მეშვეობით, ეს კი ხელს უწყობს ფინანსების გარეთ პროცესების სტანდარტიზაციას, რაც პოტენციურად მონაცემთა დაჯგუფებებს ზრდის და შესაძლებლობას აძლევს პოტენციურად ახალ მოთამაშეებს ბაზარზე წვდომა ჰქონდეთ მათი ინდივიდუალური მომხმარებლის უფრო მეტ მონაცემზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მონაცემები ახლა უფრო თავისუფალ წვდომაშია და გადაცემადია, ვიდრე ადრე. დიდი ტექნოლოგიების კომპანიებმა კარგად იციან როგორ გამოიყენონ მონაცემთა გადაცემის ახალი უფლებები, უფრო უკეთ ერკვევიან მსგავს საკითხებში, ვიდრე ახალი კომპანიები/მოთამაშეები, რომელთაც მცირე წვდომა აქვთ მომხმარებელზე და მწირი რესურსები და ბიუჯეტი. ამას შეუძლია გამოიწვიოს მოულოდნელი შედეგები. ვიდრე PSD2 და GDPR მიზანი იყო შეეკვრათ მონაცემთა გიგანტების ძალაუფლება, ამ ორი მნიშვნელოვანი ინიციატივის საბოლოო შედეგი აღმოჩნდა ნაკლები კონკურენცია, მცირეთა ხელში აღმოჩენილი მონაცემთა დიდი კონცენტრაციის გამო. შედეგად, საჭირო გახდება ღია მონაცემთა მოთხოვნილებების გავრცელება იმ ფორმებზე, რომლებიც დომინანტურ პოზიციას ფლობენ მიუხედავად ისინი არიან ფინანსური ინსტიტუტები თუ ტექნოლოგიური ფირმები.⁷⁹²

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ფინანსური ბაზრების ციფრულმა ტრანსფორმაციამ და ფინანსური მონაცემების საქონლად ქცევის პროცესმა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მარეგულირებლები და პრაქტიკოსები. კერძო ბლოკჩეინების ფუნქციონირება ეყრდნობა დაშვების გუზაგების მიერ განსაზღვრულ წესებს, რაც გავლენას ახდენს მონაცემთა ნაკადების კონტროლსა და ფინტექ სექტორის შესაძლებლობებზე. ძირითადი ყურადღება, ფინანსური მონაცემების დაცვის კუთხით, ექცევა კონფიდენციალობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ფინანსური ინფორმაცია არის ფართო ცნება, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული. ფინტექ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ ფინანსური მონაცემების გაზიარებით კომერციული სარგებლის მიღება, თუმცა ისინი ხშირად რჩებიან არსებული რეგულაციების ფარგლებს გარეთ, რაც საფრთხეს უქმნის მონაცემების დაცვის სტანდარტებს და სამომხმარებლო უფლებებს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა დეტალურად განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტიტუტების სტატუსს და ფუნქციონირების წესებს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ არის განსაზღვრული ფინანსური დაწესებულება, საკრედიტო დაწესებულება და ფინანსური სექტორის სხვა აქტორები, რაც ართულებს რეგულაციებისა და წესების შემუშავებას.

ფინანსური მონაცემების მრავალფეროვანი ბუნება მოითხოვს უფრო ფართო და სიღრმისეულ რეგულირებას. ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო ცდილობს მოახდინოს ფინანსურ მონაცემებზე წვდომის მართვა და სტანდარტიზაცია. ხოლო არსებული სამართლებრივი ჩარჩოები (GDPR, PSD2) უკვე ითვალისწინებენ ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების ზედამხედველობის გაძლიერებას, თუმცა რეალობაში, ახალი წესებით ხშირად სარგებლობენ დიდი ტექნოლოგიური კომპანიები, რადგან მათი ადამიანური, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, გამოიყენონ ახალი რეგულაციები საკუთარი უპირატესობის შესანარჩუნებლად, რაც იწვევს ბაზარზე მონაცემების კონცენტრაციის გაზრდას და კონკურენციის შემცირებას. ციფრული

⁷⁹² Zetsche D. A., Arner D. W., Buckley R. P., *Decentralized Finance (DeFi)*, *Journal of Financial Regulation*, Vol. 6, 2020, 199.

ფინანსური ბაზრების რეგულირების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მონაცემთა თავისუფალი მიმოცვლის ახალი რეალობა და საჭირო ხდება რეგულაციების გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იყოს ბაზრის ეფექტურობა, კონკურენციის შენარჩუნება და ბაზრის თანაბარი პირობები როგორც ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ასევე ტექნოლოგიური ფირმებისთვის, რომლებიც დომინანტურ პოზიციებს იკავებენ.

VII. დასკვნა

ტექნოლოგიის განვითარებამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა საზოგადოება და ბიზნესის მოდელები, რაც ციფრულ ბაზარზე მონაცემების გადამწყვეტ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ციფრული ეკონომიკაში აქტივობა მიმდინარეობს ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, ბიზნესს, მოწყობილობებს, მონაცემებსა და პროცესს. თანამედროვე ბიზნესმოდელებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდ მონაცემებს, რომელიც ნედლ მდგომარეობაში ინახება, მაღალი სიჩქარითა და მრავალი წყაროდან შეგროვებული ციფრული სახის არაერთგვაროვანი, სხვადასხვა ტიპის მონაცემთა სიმრავლეა, რომელთა დასამუშავებლად გამოიყენება მაღალგანვითარებული ტექნოლოგია და ანალიტიკური ალგორითმი. დიდი მონაცემები შეიძლება იყოს სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული. კომპანიებისთვის დიდი მონაცემებს აქვს ეკონომიკური ღირებულება და, შესაბამისად, პრაქტიკული დანიშნულება. ეკონომიკაში დიდი მონაცემები გამოიყენება ინოვაციების, მიზნობრივი, განახლებული და გაუმჯობესებული პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებისთვის.

დიდი მონაცემების პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელია დიდი მონაცემების ეკოსისტემისა და მონაცემების არქიტექტურის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემების დამუშავებას სწრაფად, რეალურ დროში და ნაკლები დანახარჯებით. მონაცემთა ეკოსისტემა – ციფრული ეკოსისტემის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც აერთიანებს მონაცემთა მფლობელებს, ანალიტიკურ კომპანიებს, პროფესიონალებსა და მეცნიერებს, ღრუბლოვანი სერვისების მომწოდებლებს, კომერციულ და სამეცნიერო სექტორს (კომპანიები, უნივერსიტეტები, ინსტიტუტები), რითაც იქმნება ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას, შენახვას, ანალიზსა და გამოყენებას. თავის მხრივ, მონაცემთა არქიტექტურა არის მონაცემთა ეკოსისტემის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა მოდელებს, სტრუქტურასა და ტიპებს, უზრუნველყოფს მონაცემთა მართვას მის სიცოცხლის ციკლში, მოიცავს მონაცემთა უსაფრთხოებას, ხარისხსა და ინტეგრაციას, მხარს უჭერს ორგანიზაციულ მიზნებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს. დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის შესაქმნელად გამოიყენება პლატფორმები, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან მომხმარებელსა და ბაზარზე მოთამაშეს. დიდი მონაცემების ეკოსისტემის მიერ მოპოვებულ მონაცემებს საწარმოები ინახავენ შემნახველ სტრუქტურებში, ხოლო დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის დახმარებით გარდაიქმნება ფულად ღირებულებაში. ამიტომ ციფრულ ბაზარზე ფინანსური ინსტიტუტები ყიდულობენ ღრუბლოვანი მომსახურების მოდელებს, როგორებიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, პლატფორმული უზრუნველყოფა და ინფრასტრუქტურა, ასევე ქმნიან ფინტექს, პლატფორმებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვს ერთმანეთთან დაუკავშირებელი წყაროებიდან მოიპოვოს დიდი მოცულობით მონაცემები, რაც მას დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის ნაწილად აქცევს. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა და არქიტექტურა თავსდება ელექტრონული საშუალებების განმარტებაში, რაც მოიცავს იმ მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისთვის და შენახვისთვის. საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების განმარტება მოიცავს პლატფორმულ მომსახურებასაც, რომლის მთავარი

კრიტერიუმი ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული მომსახურებების სასყიდლიანობა და დისტანციური ხასიათია. თავის მხრივ, ელექტრონული საშუალებები, ასევე მოიცავს პლატფორმებს, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისთვის და შენახვისთვის. შესაბამისად, ფინტექები საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების კრიტერიუმებში ორგვარად თავსდება, ერთი, როგორც დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა და, მეორე, როგორც ელექტრონული საშუალებებით საშუამავლო მომსახურების განხორციელების მეთოდი.

თავის მხრივ, დიდი მონაცემები არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, მას აქვს ქონებრივი და ეკონომიკური ღირებულება, მის შექმნასა და გამოყენებისთვის იხარჯება როგორც მატერიალური, ასევე ინტელექტუალური რესურსი, შესაძლებელია დიდი მონაცემების ყიდვა და გაყიდვა, მესამე პირებისთვის გადაცემა როგორც მზა ჩანაწერების სახით, ასევე ნივთების ინტერნეტის მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების სახით, ეს კი მას ანიჭებს ეკონომიკურთან ერთად ქონებრივ ღირებულებას. დიდი მონაცემების ქონებრივი ღირებულების გამოხატვა შეიძლება ფულად ღირებულებაში, მას მოაქვს მატერიალური სიკეთე, ხოლო როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს იგი არის სანივთო უფლების წყარო, შესაძლებელია მისი ფლობა, განკარგვა და სარგებლობა, მისი დაცვა ხელყოფისგან, რათა მისმა კანონიერმა მფლობელმა მიიღოს მატერიალური სარგებელი, ანდა სხვა პირის მიმართ წარმოეშვას მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, ქონებრივი ღირებულების დიდი მონაცემების იდენტიფიცირებისთვის საჭიროა დადგინდეს მისი შეგროვების მეთოდოლოგია, კერძოდ, მის შეგროვებასა და დამუშავებაში უნდა მონაწილეობდეს კომპლექსური ეკოსისტემა და დიდი მონაცემების არქიტექტურა. დიდი მონაცემები მაშინაა მნიშვნელოვანი ქონებრივი ღირებულების, როდესაც მას აქვს ეკონომიკური ღირებულება და პრაქტიკული საჭიროება. მის მოპოვებაში, დამუშავებასა და სისტემატიზირებაში დახარჯულია მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი, შესაბამისად შეგროვებულ დიდ მონაცემებს არ უნდა ჰქონდეს ამოწურული სასიცოცხლო ციკლი და მისი გამოყენება მარტივად უნდა შეიძლებოდეს ბიზნესის საჭიროებისთვის. დიდი მონაცემების დამუშავებითა და ანალიზით შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის მიღება.

ციფრულ მომსახურებასთან და ციფრულ ინფრასტრუქტურასთან ერთად პლატფორმები ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი სტრუქტურული და შემადგენელი ნაწილია. პლატფორმა არის ბაზრების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება, აკავშირებს რა ბაზრის მონაწილეებს – მომსახურების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, იგი უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას ციფრული გზით. ციფრული ბაზრებზე კონკურენციის მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ძირითადი პლატფორმული მომსახურების გამწვევ დაშვების გუშავებს, რომლებიც ციფრულ ბაზრებში მყარადაა „ჩამენებული“. ძირითადი პლატფორმული მომსახურება მოიცავს, ონლაინ საშუამავლო მომსახურებას, ონლაინ საძიებო სისტემებსა და სოციალური ქსელებს, ვიდეოს გამზიარებელ პლატფორმებს, ადამიანთათამორისი ონლაინ კომუნიკაციის მომსახურებებს, სარეკლამო მომსახურებები და სხვა. ხოლო ციფრული ბაზრები მოიცავს ფართო და სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას სხვადასხვა ბიზნესმოდელებითა და მახასიათებლებით. შესაბამისად, ციფრულ ეკონომიკაში შესაფერისი ბაზრის დადგენის უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა შემთხვევას თანაბრად მოერგება, არ არსებობს, შესაფერისი

ბაზარი დინამიური კონცეფციაა. ბაზრის განსაზღვრისთვის უნდა შეფასდეს ციფრული ეკონომიკის დამახასიათებელი ელემენტები, კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს ციფრული ინფრასტრუქტურა, ელექტრონული ვაჭრობის საშუალებები, ელექტრონული შუამავლები, რომლებიც აკავშირებს მომხმარებელსა და მიმწოდებელს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ასევე უფასო. თავის მხრივ, დიდი მონაცემების ბაზარი არის ბაზარი არის ეკონომიკურ სივრცეა, დიდი მონაცემების წარმოების და ღირებულების შემქმნელი ჯაჭვის ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულნი ტექნოლოგიურად ანდა ტექნიკური თავსებადობით, შესაბამისად დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემა დიდი მონაცემების ბაზარია, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილები დიდი მონაცემების შესაბამისი ბაზარია. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემების მომხმარებელზე ორიენტირებული ბაზარზე მომხმარებელი ფლობს საკუთარ მონაცემებს და მათ მონეტიზაციაში იღებს უშუალო მონაწილეობას, ხოლო ფირმებზე ორიენტირებულ ბაზარზე კომპანიები აგენერირებენ, ფლობენ და იყენებენ მონაცემებს, ქმნიან ღირებულებას და მონაწილეობენ მონაცემებით ვაჭრობაში. ამიტომ ციფრულ ბაზრებზე მონაცემებზე წვდომა იქცა კონკურენციის ახალ განზომილებად. აღნიშნული წვდომა ხშირად განსაზღვრავს კომპანიების ინოვაციურობის ფარგლებს და მომსახურების ხარისხს. შესაბამისად, როდესაც კომპანიას აქვს ექსკლუზიური წვდომა დიდი მოცულობის მონაცემებზე, იგი შესაძლოა ჩამოყალიბდეს დომინანტ მოთამაშედ, რაც ზრდის ბაზრის კონცენტრაციის რისკებს, ზღუდავს კონკურენციას და აფერხებს ინოვაციურ პროცესებს. ამიტომ კომპანიების საბაზრო პოტენციალის შესაფასებლად უნდა შეფასდეს ის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დიდი მონაცემების ეკოსისტემის მოწყობას კომპანიებისთვის, კერძოდ, დიდი მონაცემების ბაზარზე წვდომას და დიდი მონაცემების არქიტექტურის შეფასება, სახელდობრ მაკავშირებლობის პროცესის ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს მონაცემები მონაცემთა ეკოსისტემაში და დომენის ონტოლოგიაში, კერძოდ, შინაარსობრივი სივრცის რა ნაწილს ეხება მონაცემთა ერთობლიობა, არის ეს ფინანსები, ჯამრთელობა, განათლება თუ სხვა.

ფინანსური სექტორის მომსახურე პლატფორმები მრავალფეროვანი არხებით აგროვებენ მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, როგორცაა: რეგისტრაციისას, მომსახურების გამოყენებისას, სატელეფონო კომუნიკაციის, ფილიალში ვიზიტის, ონლაინ სერვისებისა და პლატფორმების მეშვეობით. ფინტექების მიერ გროვდება მომხმარებლის როგორც პერსონალური მონაცემები და მომხმარებლის ქცევაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია, ასევე არაპერსონალური მონაცემები, როგორცაა ფინანსური მონაცემები, რომლებიც ინახება და მუშავდება ფინანსური დაწესებულებების მიერ საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ფინტექს, როგორც დიდი მონაცემების ეკოსისტემა და მომსახურე პლატფორმა, საქართველოს კანონმდებლობა სრულად ვერ აწესრიგებს, რადგან პლატფორმულ მომსახურება მხოლოდ წესრიგდება ფინანსური ორგანიზაციებისთვის ღრუბლოვანი მომსახურების მოდელებისა და საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების ფარგლებში, ორივე მოწესრიგების მიზანი კი მომხმარებლის უფლებების დაცვაა, ამიტომ ფინტექების მიერ შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოება არ ეხება იმ ნაწილს, როდესაც გროვდება არაპერსონალური მონაცემები.

ფინანსურ სექტორში ბანკები ფუნქციის მიხედვით ყველაზე მეტ ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს, შესაბამისად, ბანკებს უფრო მეტი

შესაძლებლობა აქვს, რადგან მეტი გარიგების (ტრანზაქციის) შესრულება შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ფინტექ ინდუსტრიაში გადახდები და განსაკუთრებით ინტერნეტ და მობაილ გადახდები ერთ-ერთი მნიშვნელოვან სეგმენტია. საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ქმნიან პროგრამულ ხიდებს მომხმარებელსა და ბანკებს შორის, რათა მოხდეს უსაფრთხო და ავტომატიზებული გადარიცხვები. პროვაიდერები აღნიშნულ პროგრამებში აშენებენ თვითაღსრულებად კოდებს, რითაც ჭკვიანი ხელშეკრულება ხდება გადახდის ინსტრუმენტი რეგულარული გადარიცხვების ავტომატიზაციისთვის. ასევე ბანკები, როგორც გადახდის მომსახურების პროვაიდერები, იყენებენ ჭკვიან ხელშეკრულებებს ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად. ამიტომ ბანკებს ციფრული ხელშეკრულების დადებისას, მოქმედებისას, აღსრულებისას და ფუნქციონირებისას შექმნილი დიდი მონაცემების შეგროვების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე ფინანსური სექტორის სხვა მონაწილეებს. ბანკში დამუშავებული დიდი მონაცემები ინახება მონაცემთა ბაზების სახით და ბანკები ქმნიან „ცოდნის კერძო ქსელს“. ხოლო „ცოდნის კერძო ქსელის“ შექმნით აკონტროლებენ მოპოვებულ მონაცემებზე წვდომას და ხელს უშლიან სხვა კომპანიებს ბაზარზე შეღწევას. საგულისხმოა, რომ საქართველოში ორი მსხვილი ბანკი ფლობს ინფორმაციას საბანკო სექტორის კლიენტების აბსოლუტური უმრავლესობის შესახებ. შესაბამისად ფინტექების განვითარების პარალელურად, შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა ბაზარზე როგორც სხვა ფინანსური ორგანიზაციების ასევე სხვა ბანკების მიმართ, რადგან მათ უმარტივდებათ ციფრული არხებიდან მონაცემთა მოპოვება, ხოლო საკუთარი დიდი მონაცემების ეკოსისტემის შექმნით, კერძოდ ფინტექების განვითარებით, რომელიც მოიზიდავს მომხმარებელს და ამავდროულად ამუშავებს მასში არსებულ მონაცემებს დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენებით, ზრდიან საკუთარ ეფექტიანობას და, შესაბამისად, შემოსავალს.

ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს მონაცემთა მასშტაბურ შეგროვებას, მაგრამ ამავდროულად ზრდის უსაფრთხოების რისკებსაც. მონაცემთა უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით, რადგან კანონი ითხოვს, რომ საიდუმლო ინფორმაციის მიმართ გატარდეს შესაბამისი ზომები მაკონტროლებლების მიერ, რათა დაცულ იყოს როგორც ერთიანი მთლიანი ინფორმაცია, ასევე, მეორე მხრივ, მისი ნაწილი ან შემადგენელი ნაწილების ნებისმიერი კონფიდურაცია. ვინაიდან დიდი მონაცემების კომპლექსური ეკოსისტემის ნაწილს მონაცემთა უსაფრთხოება წარმოადგენს, კომპანიების მიერ გამოყენებულ კომპლექსურ ეკოსისტემებში ინტეგრირებულია დიდი მონაცემების უსაფრთხოების მექანიზმები. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტია განფენილი რეესტრის ტექნოლოგიები, რომლებიც დიდი მონაცემების წარმოების ჯაჭვის სავალდებულო კომპონენტი არაა, მარამ უზრუნველყოფს მონაცემთა გამჭვირვალობას, უსაფრთხოებას და სანდოობას. ფინანსური მონაცემების დაცვის კუთხით, ძირითადი ყურადღება ექცევა კონფიდენციალობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ფინანსური მონაცემების მრავალფეროვანი ბუნება მოითხოვს უფრო ფართო და სიღრმისეულ რეგულირებას. ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო ცდილობს მოახდინოს ფინანსურ მონაცემებზე წვდომის მართვა და სტანდარტიზაცია. ხოლო არსებული სამართლებრივი ჩარჩოები (GDPR, PSD2) უკვე ითვალისწინებენ ფინანსური მომსახურების მიწოდებლების ზედამხედველობის გაძლიერებას, თუმცა რეალობაში, ახალი წესებით ხშირად

სარგებლობენ დიდი ტექნოლოგიური კომპანიები, რადგან მათი ადამიანური, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, გამოიყენონ ახალი რეგულაციები საკუთარი უპირატესობის შესანარჩუნებლად. ციფრული ფინანსური ბაზრების რეგულირების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მონაცემთა თავისუფალი მიმოცვლის ახალი რეალობა და საჭირო ხდება რეგულაციების გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იყოს ბაზრის ეფექტურობა, კონკურენციის შენარჩუნება და ბაზრის თანაბარი პირობები როგორც ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ასევე ტექნოლოგიური ფირმებისთვის, რომლებიც დომინანტურ პოზიციებს იკავებენ. შესაბამისად, ინფორმაციის დაცვა მოითხოვს უსაფრთხოების სისტემების გამართვას, რომელთაც საფუძვლად უნდა ედოს კონფიდენციალურობა, მონაცემთა მთლიანობის უზრუნველყოფა და არაავტორიზებული წვდომისგან დაცვა. მეტიც, მონაცემთა საერთაშორისო მიმოცვლისას, აუცილებელია, მონაცემები გადაეცეს მხოლოდ იმ იურისდიქციებს, რომლებშიც მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტები. ამ კუთხით, საქართველოს კანონმდებლობაც იმეორებს ევროკავშირის სტანდარტებს სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მონაცემთა გადაცემის პროცესის მიმართ.

თავის მხრივ, პლატფორმები რომლებიც ოპერირებენ გლობალურ დონეზე და არ არიან შემოსაზღვრული სახელმწიფო საზღვრებით, ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს და გადასცემენ მესამე მხარეს სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისად, მონაცემთა უსაფრთხოება მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. როგორც აღინიშნა, საიდუმლო ინფორმაციის მიმართ უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები მათ მიერ ვინც აკონტროლებს მონაცემებს, რათა დაცულ იყოს ინფორმაცია, როგორც მთლიანად, ასევე ინფორმაციის შემადგენელი ნაწილი ანდა ამ შემადგენელი ნაწილების ნებისმიერი დაჯგუფება, ეს ყველაფერი კი კონფიდენციალობის პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა ზემონახსენები ნებისმიერი კონფიდენციალურობით უზრუნველყოფს დიდი მონაცემების დაცვასაც, იქნება იგი სტრუქტურირებული, ნახევრადსტრუქტურირებული თუ არასტრუქტურირებული, რადგან აღინიშნა, რომ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილების ნებისმიერი კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაშვების გუშაგის არსებობასა და კვალიფიკაციას. მეტიც, როდესაც ფინანსური ჰოლდინგური კომპანიები, რომელთა ქოლგის ქვეშ მრავალი ფინანსური ხასიათის კომპანიაა, როგორცაა დაზღვევა, ლიზინგი, ბანკები, მათ აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ფინტექი, რომელიც შეაგროვებს რეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემებს მონაცემთა კერძო ქსელში. შესაბამისად, მსგავსი კომპანიებისთვის მიზანშეწონილია ისეთი რეგულაციების დაწესება, როდესაც დაშვების გუშაგად კვალიფიცირებული ფინანსური მომსახურების გამწვევი კომპანიების მიერ მონაცემებზე დაშვება არ გახდება აუცილებელი პირობა მომსახურების გასაწევად. აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რომ დაშვების გუშაგმა არ გამოიყენოს ფინტექების მეშვეობით შეგროვებული არაპერსონალური მონაცემი, რომელიც შეგროვებულია მისი, როგორც „პლატფორმა, როგორც მომსახურება“ გაწევისას და როგორც ფინანსური შუამავლის როლის შესრულებისას, რადგან აღნიშნული მონაცემები არის ფინტექის მომხმარებლის მიერ შეგროვებული მონაცემი საკუთარი ბიზნეს საქმიანობისას. შესაბამისად, როგორც ეს მაღლა იქნა განხილული, როდესაც ბანკი და პლატფორმა აფრთხილებს მომხმარებელს, რომ თუ არ იქნება დაშვებული მზა ჩანაწერებზე წვდომა,

შესაძლოა ვერ ისარგებლონ მათი მომსახურებით. ყურადსადეობა, რომ მათივე ხელშეკრულებაში განმარტებულია, მზა ჩანაწერების ფუნქცია, როგორც მომსახურების გაუმჯობესების, ანდა ბრაუზერზე პარამეტრების ავტომატური მორგებისთვის საჭირო პროცედურის გაწევა. შესაბამისად, მომხმარებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს სჭირდება თუ არა ბრაუზერზე მორგებული კონფიგურაციების ავტომატური მორგება ფინტექის სარგებლობისას.

როგორც აღინიშნა, სანდო მონაცემთა ეკოსისტემა, კერძოდ, მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფს დიდი მონაცემებისგან ღირებულების მიღებას. შესაბამისად, თუ დიდი მონაცემები არ იქნება დაცული არ ექნება მას ღირებულებაც. თავის მხრივ დიდი მონაცემებისგან მიღებული ინფორმაციის დასაცავად მიზანშეწონილია შემუშავდეს „სავაჭრო საიდუმლოების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (იხ. **დანართი 1**), რომელიც დაიცავს როგორც დიდი მონაცემების კომპლექსურ ეკოსისტემასა და არქიტექტურას (პროცესს), ასევე პოტენციური ეკონომიკური ღირებულების ინფორმაციას. თავის მხრივ, დიდი მონაცემების ეკოსისტემისა და არქიტექტურის დასაცავად, მნიშვნელოვანია, ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც მოაწესრიგებს სავაჭრო საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში, ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლისა და ფინანსური ორგანიზაციების პასუხისმგებლობას. ამასთან, „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონშიც უნდა აისახოს პლატფორმული მომსახურება უფრო დეტალურად (იხ. **დანართი 2** და **დანართი 3**), კერძოდ, ის არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სასყიდლიან მომსახურებაზე, არამედ უნდა განმარტოს ისეთი მომსახურებაც, რომელიც არ გულისხმობს სასყიდლიან მომსახურებას, თუმცა აგროვებს მონაცემებს პლატფორმების მომხმარებლებზე.

ბიბლიოგრაფია
სამეცნიერო ლიტერატურა

1. ტაკაშვილი ს., მესხი გ., კობალაძე თ., ლაკრებაია თ., ქათამაძე ნ., კობახიძე ო., ლიპარტია ნ., ხვედელიძე მ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2023
2. არევაძე ნ., კომერციული საიდუმლოების კონცეფციის როლი კოლექტიური შრომითი ურთიერთობების დისბალანსში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019
3. ბიქსი ბ., იურისპრუდენცია: თეორია და კონტექსტი, მე-8 გამოცემა, ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2023
4. დარცმელიძე რ., მტკიცებულებათა მოპოვების ფარგლები და შეფასების სტანდარტი კონკურენციის სააგენტოს მიერ შეთანხმების კარტელურად კვალიფიკაციისას, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2022
5. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003
6. ლოითჰოისერ-შნარენბერგერი ს., შიში ჭამს თავისუფლებას: რატომ უნდა დავიცვათ ჩვენი ძირითადი უფლებანი, თბილისი, 2020
7. სარუხანიშვილი ს., ქონებრივი ღირებულების შემცველი დიდი მონაცემების სამართლებრივი დაცვა საბანკო კონკურენციაში, წიგნში: ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, დ. გეგენავასა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2022
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018
9. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006
10. ჯაფარიძე ა., დიდი მონაცემები – ნაკადების დამუშავება რეალურ დროში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2019
11. ჯაფარიძე ლ., ზუკაკიშვილი ქ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019
12. Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, 2014
13. Akter S., Wamba S. F., Big Data Analytics in E-commerce: a Systematic Review and Agenda for Future Research, Electron Markets 26, 2016
14. Amalina F., Hashem I. A.T., Azizul Z. H., Fong A.T., Firdaus A., Imran M., Anur N.B., Blending Big Data Analytics: Review on Challenges and a Recent Study, IEEE Access, Vol. 8, 2019
15. Andronie M., Big Data Management Algorithms in Artificial Internet of Things-Based Fintech, Oeconomia Copernicana, vol. 14, No. 3, 2023
16. Andronie, M., Iatagan, M., Uță, C., Hurloiu, I., Dijmărescu, A., Dijmărescu, I., Big data management algorithms in artificial Internet of Things-based fintech. Oeconomia Copernicana, Vol. 14, No. 3, 2023
17. Arner D., Buckley R., Charamba K., Sergeev A., Zetsche D., Governing FinTech 4.0: BigTech, Platform Finance, and Sustainable Development, Journal, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 27, No. 1, 2022

18. Arora A., Jain T., Data Sharing Between Platform and Seller: an Analysis of Contracts, Privacy, and Regulation, *European Journal of Operational Research*, Vol. 313, No. 3, 2024
19. Augusto R., Pfeiffer C., Digital Economy, Big Data and Competition Law, *Market and Competition Law Review*, Vol. 3, No. 1, 2010
20. Bagnoli V., The Big Data Relevant Market, In: *Big Data and competition*, special issue of *Concorrenza e Mercato*, Edited By F. Di Porto, Milan, Giuffrè, 2016
21. Baldassarre M., Think Big: Learning Contexts, Algorithms and Data Science, *REM - Research on Education and Media*, Vol. 8, N. 2, 2016
22. Baude W., Sachs, S.E., The Law of Interpretation, *Harvard Law Review* Vol. 130, No. 4, 2017
23. Bedir C., Contract Law in the Age of Big Data, *European Review of Contract Law*, Vol. 16, No. 3, 2020
24. Bednaříková, N., Doktrína Acte Clair. Diplomová práce, Masarykova univerzita, Právnická fakulta, Vedoucí práce: doc. JUDr. David Sehnálek, Ph.D., Brno, 2024
25. Benedict G., Challenges of DLT-Enabled Scalable Governance and the Role of Standards, *Journal of ICT Standardization*, Vol. 7, No. 3, 2019
26. Bertino E., Ferrarri E., Big Data Security and Privacy, A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017
27. Bharadwaj A., El Sawy O. A., Pavlou P.A., Venkatraman N., Digital Business Strategy: Toward a Next Generation of Insights, *MIS Quarterly*, Vol. 37, No. 2, 2013
28. Börklüce C., Big Data Misuse and European Contract Law, *European Review of Contract Law*, Vol. 20, No. 2, 2024
29. Bottis M., Bouchagiar G., Personal Data v. Big Data in the EU: Control Lost, Discrimination Found, *Open Journal of Philosophy*, Vol. 8, No 3, 2018
30. Cadogan M. S., Enforcing Smart Legal Contracts: Prospects and Challenges, Centre for International Governance Innovation, Paper No. 271, 2023
31. Calza E., Dalla Benetta A., Kostić U., Mitton I., Moraschini M., Vazquez-Prada Baillet M., Cardona M., Papazoglou M., Righi R., Torrecillas Jodar J., Lopez Cobo M., Cira P., De Prato G., Analytical Insights into the Global Digital Ecosystem (DGTES), EUR 31538 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2023, ob., <doi:10.2760/811932>
32. Coase R.H., *The Firm, the Market, and the Law*, University of Chicago Press, Chicago, 1987
33. Chaffey, D., *Digital Business and E-Commerce Management*, 7th edition, Pearson, 2019, 142–143., Laudon K.C., Traver, C. G., *E-commerce 2021: Business, Technology, Society*, 16th edition, Pearson, 2021
34. Chrobak L., Proprietary Rights in Digital Data? Normative Perspectives and Principles of Civil Law, In: *Personal Data in Competition, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards a Holistic Approach?*, Edited by Bakhom M., Conde Gallego B., Mackenrodt M., Surblytė-Namavičienė G., Springer, 2018
35. *Competition Law and Data*, In: Joint Paper of The French Autorité de la Concurrence and the German Bundeskartellamt, 10th May, 2016
36. Corrales M., Fenwick M., Forgó N., Disruptive Technologies Shaping the Law of the Future, In: *New Technology, Big Data and the Law*, Edited by M. Corrales, M. Fenwick, N. Forgó, Springer, 2017

37. Curry E., Metzger A., Zillner S., Pazzaglia J., Garcia Robles A., Hahn T., Le Bars L., Milan Petkovic M., and Nuria De Lama N. The European Big Data Value Ecosystem, In: *The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem*, Edited by E. Curry et al., Springer, 2021
38. Custers B., Ursic H., Big Data and Data Reuse: A Taxonomy of Data Reuse for Balancing Big Data Benefits and Personal Data Protection, *International Data Privacy Law*, Vol. 6, No.1, 2016
39. Davilla, M., Is Big Data a Different Kind of Animal? The Treatment of Big Data Under the EU Competition Rules, *Journal of European Competition Law & Practice*, Vol. 8, No. 6, 2017
40. De Sousa Gonçalves A.S., The E-Commerce International Consumer Contract in the European Union,” *Masaryk University Journal of Law and Technology* Vol 9, No. 1, 2015
41. Debussche J., César J., Van Asbroeck B., Zebrowska N., Bakker L., Ownership and Intellectual Property Aspects of Data Management in a Big Data Context, *Toreador, Internal Rev.* No. 1, December 31, 2016
42. Dhanvijay S., E-Business: Innovative Business Models, *International Research Journal of Marketing & Economics*, Vol. 7, No. 2, 2020
43. Dhar V., Stein R.M., FinTech Platforms and Strategy, *Communications of the ACM*, Vol. 60, No. 10, 2017
44. Dhar V., Sundararajan A., Information Technologies in Business: A Blueprint for Education and Research, *Information Systems Research*, Vol. 18, No. 2, 2007
45. DiMatteo L.A., Cannarsa M., Poncibò C., Smart Contracts and Contract Law, In: DiMatteo LA, Cannarsa M, Poncibò C, eds. *The Cambridge Handbook of Smart Contracts, Blockchain Technology and Digital Platforms*, Cambridge Law Handbooks, Cambridge University Press, 2019
46. Dykes L., Tittle E., *XML For Dummies*, 4th edition, Hoboken, 2005
47. Eke I., Norman A.A., Shuib L., Nweke H.F., A Survey of User Profiling: State-of-the-Art, Challenges, and Solutions, In: *IEEE Access*, vol. 7, 2019
48. Fabre-Magnan M., Constitutional Values and Freedom of Contract, *European Review of Contract Law*, Vol. 20, No. 3, 2024
49. Faroukhi A.Z., El Alaoui I., Gahi Y., Amine A., Big Data Monetization Throughout Big Data Value Chain: A Comprehensive Review, *Journal of Big Data*, Vol. 7, No. 3, 2020
50. Fast V., Schnurr S., Wohlfarth M., Regulation of Data-Driven Market Power in the Digital Economy: Business Value Creation and Competitive Advantages from Big Data, *Journal of Information Technology* Vol. 38, No. 2, 2023
51. Ferretti F., Consumer Access to Capital in the Age of FinTech and Big Data: The Limits of EU Law, *Maastricht Journal of European and Comparative Law*, Vol. 25, No. 4, 2018
52. Feyen E., Frost, J., Gambacorta, L., Natarajan H., Saal M., Fintech and the Digital Transformation of Financial Services: Implications for Market Structure and Public Policy, Monetary and Economic Department, N 117, 2021
53. Frost J., Gambacorta L., Huang Y., Shin H. S., Zbinden P., BigTech and the Changing Structure of Financial Intermediation, BIS Working Papers, No. 779, Monetary and Economic Department, April 2019, ob., <<https://www.bis.org/publ/work779.pdf>> [01.04.2025]
54. Gandomi A., Haider M., Beyond the Hype: Big Data Concepts, Methods, and Analytics, *International Journal of Information Management*, Vol. 35, No. 2, 2015
55. Giglio F., Fintech: A Literature Review, *European Research Studies Journal*, Vol. 24, No. 2B, 2021

56. Goldstein I, Spatt S.C., Ye M., The Next Chapter of Big Data in Finance, *The Review of Financial Studies*, Volume 38, No. 3, 2025
57. Golfarelli M., Rizzi S., Star Schemas to Big Data: 20+ Years of Data Warehouse Research, *A Comprehensive Guide Through the Italian Database Research Over the Last 25 Years*, Edited by Flesca S., Masciari E., Greco S., Saccà E., Cham, 2017
58. Gosse J., Hoffreumon C., Van Zeebroeck N., Bughin J., *The Value of Platform Strategy: It's the Ecosystem, Stupid!*, iCite Working Paper No2020-039, Université libre de Bruxelles, 2020
59. Gregory J.D., *The Proposed UNCITRAL Convention on Electronic Contracts*, *The Business Lawyer*, Vol. 59, No. 1, 2003
60. Guarino, N., Giaretta, P., *Ontologies and Knowledge Bases: Towards a Terminological Clarification*, In *Towards Very Large Knowledge Bases: Knowledge Building and Knowledge Sharing*, edited by N. Mars, 1995
61. Gugava N., Kobaladze L., Kenia T., Kobakhidze O., *A Comparative Analysis of Data Protection in E-Commerce B2C Contracts in Georgia and the European Union*, *Review of European and Comparative Law*, Vol. 59, No. 4, 2024
62. Gunn G.G, Stanley M., *Harnessing the Flow of Data: Fintech Opportunities for Ecosystem Management*, International Institute for Sustainable Development (IISD), 2018
63. Hacker P., *The Ambivalence of Algorithms: Gauging the Legitimacy of Personalized Law, Personal Data in Competition, Consumer Protection and Intellectual Property Law: Towards a Holistic Approach?* Edited by Bakhom M., Gallego B. C., Mackenrodt M., Surblytė-Namavičienė G., Berlin, 2018
64. Hagi A., Wright J., *Multi-sided Platforms*, *International Journal of Industrial Organization*, Vol. 43, 2015
65. Herrmann, H., Martín, M. J., *Bidding for B2B or B2G Tenders: Toward the Adoption of Pricing Models in Practice*, *Management Review Quarterly*, Vol. 75, No. 4, 2025
66. Hoeren T., *Big Data and the Ownership in Data: Recent Developments in Europe*, *European Intellectual Property Review*, No. 12, 2014
67. Hu K., Zhu J., Ding Y., Xiaomin B., Huang J., *Smart Contract Engineering*, *Electronics*, Vol. 9, No. 12, 2020, ob., <doi:10.3390/electronics9122042> [13.10.2024]
68. Innerarity D., *Una Teoría Crítica de la Inteligencia Artificial*, Barcelona, 2025
69. Jaksch C., *Digital Personal Assistant with AI and Data Protection GDPR & E-Privacy-Reg*, In: *Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech*, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022
70. Janev V., Pujic D., Jelic M., Vidal M., *Survey on Big Data Applications*, In: *Knowledge Graphs and Big Data Processing*, Edited by V. Janev, D. Graux, H. Jabeen, E. Sallinger, Springer, 2020
71. Jewels T.J., Timbrell G., *Towards a Definition of B2C & B2B E-commerce*, *ACIS Proceedings*, Vol. 56, 2001, ob., <<https://aisel.aisnet.org/acis2001/56/>> [01.08.2025]
72. Jha S., Jha M., O'Brien L., Wells M., *Integrating Legacy System into Big Data Solutions: Time to Make the Change*, *Asia-Pacific World Congress on Computer Science and Engineering*, Nadi, Fiji, 2014, <doi: 10.1109/APWCCSE.2014.7053872>
73. Kalesná K., *Relevant Market – Digital Challenges*, *Bratislava Law Review*, Vol. 7, No 1, 2023

74. Kannadhasan S., Nagarajan R., Wang X., Machine Learning-based Blockchain Technologies for Data Storage: Challenges, and Opportunities, In: Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022
75. Kaushik G., Prakash R., Collection of Data Through Cookies and Smart Devices – A Case Study, International Journal of Advance Research, Ideas and Innovations in Technology, Vol. 4, No. 5, 2018
76. Kemp R., Legal Aspects of Managing Big Data, Computer Law & Security Review, Vol. 30, No. 5, 2014
77. Kira B., Vikram Sinha V., Srinivasan S., Regulating Digital Ecosystems: Bridging the Gap Between Competition Policy and Data Protection, Industrial and Corporate Change, Vol. 30, No. 5, 2021
78. Kolajo T., Daramola O., Adebisi A., Big Data Stream Analysis: A Systematic Literature Review, Journal of Big Data, Vol. 6, No. 46, 2019
79. Kötz H., European Contract Law, 2nd edition, translated by G. Mertens and T. Weir, Oxford University Press, 2017
80. Kop M., Machine Learning and EU Data-Sharing Practices: Legal Aspects of Machine Learning Training Datasets for AI Systems, In: Research Handbook on Big Data Law, Edited by R. Vogl, Edward Elgar Publishing, 2021
81. Kulms R., Digital Financial Markets and (Europe's) Private Law – A Case for Regulatory Competition?, In: Digital Finance in Europe: Law, Regulation, and Governance, Edited by: E. Avgouleas, H., Marjosola, Berlin, Boston: De Gruyter, ECFR, Special Volume 5, 2022
82. Kumar A., Hababa S. M., Worku B., Tadele G., Mengistu Y. G., Prasad A. Y., Big Data Characteristics, Classification and Challenges – a review, Turkish Journal of Computer and Mathematics Education, Vol.12, No.12 (2021)
83. Lai X., Yue S., Guo C., Zhang X., Does Fintech Reduce Corporate Excess Leverage? Evidence From China, Economic Analysis and Policy, Vol. 77, 2023
84. Langbroek P.M., Van den Bos, K., Thomas, M.S., Milo, M., Van Rossum W., Methodology of Legal Research: Challenges and Opportunities, Utrecht Law Review Vol. 13, No. 3, 2017
85. Larouche P., de Streel A., The European Digital Markets Act: A Revolution Grounded on Traditions, Journal of European Competition Law & Practice, Vol. 12, No. 7, 2021
86. Lecture Notes for Data Structures and Algorithms, revised by J. Bullinaria, Birmingham, 2019
87. Li F., Wang L., Research on Fintech Based on Big Data Technology, International Journal of Economics and Management Systems, Vol. 7, 2022
88. Liang F., Yu W., An D., Yang Q., Fu X., Zhao W., A Survey on Big Data Market: Pricing, Trading and Protection, IEEE Access, Vol. 6. 2018
89. Lindner A., Comment, Exploring Financial Data Protection and Civil Liberties in an Evolved Digital Age, Journal of Corporate & Financial Law, Vol. 28, No. 1, 2023
90. Lorenzoni, I., From B2B to B2G and G2G Data Sharing in Competition Law, University of Luxembourg Law Research Paper, No. 2024-04, 2024 ob., SSRN: <<https://ssrn.com/abstract=5042689> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.5042689>>
91. Madhavaiah C., Bashir I., Shafi S., I., Defining Cloud Computing in Business Perspective: A Review of Research, Vision: The Journal of Business Perspective, Vol. 16, No. 3, 2012

92. Magazzeni D., McBurney P., Nash W., Validation and Verification of Smart Contracts: A Research Agenda, *Computer*, Vol. 50, No. 9
93. Mäihäniemi B., *Competition Law and Big Data: Imposing Access to Information in Digital Market*, Edward Elgar Publishing, 2020
94. Mahlmann M., Truth, Ethics and Legal Thought—Some Lessons from Dworkin’s Justice for Hedgehogs and its Critique, In: *Philosophy of Law and Legal Theory: Historical and Contemporary Perspectives - Theme 'Justice Based on Truth*, edited by M. Senn, Special Issue Reprint, MDIP, Basel: 2023
95. Malhotra R., Malhotra D.K., the Impact of Internet and E-commerce on the Evolving Business Models in the Financial Services Industry, *Int. J. Electronic Business*, Vol. 4, No. 1, 2006
96. Malik S., Tyagt A.K., Sahoo R., Machine Learning Algorithms for Big Data Analytics Including Deep Learning, In: *Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications*, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022
97. Marr B., *Big Data in Practice: How 45 Successful Companies Used Big Data Analytics to Deliver Extraordinary Results*, Chichester, West Sussex, 2016
98. Mayer J., Mitchell J., *Third-Party Web Tracking: Policy and Technology*, In: 2012 IEEE Symposium on Security and Privacy, San Francisco, 2012
99. Mazumdar S., Seybold D., Kritikos K., Verginadis Y., A Survey on Data Storage and Placement Methodologies for Cloud-Big Data Ecosystem, *Journal of Big Data*, Vol. 6, No. 15, 2019
100. Milosevic Z., *Enterprise aspects of Open Distributed Systems*, PhD Dissertation at University of Queensland, 1995
101. Milosevic Z., Bond A., *Electronic commerce on the Internet: what is still missing?* In *Proceedings of 5th Conference of the Internet Society*, 1995, June
102. Milosevic, Z., Josang, A., Dimitrakos, T., Patton, M.A., September. *Discretionary Enforcement of Electronic Contracts*, In *Proceedings. Sixth International Enterprise Distributed Object Computing*, 2002
103. Moreso J.J., *Filosofía del Lenguaje para Juristas*, En: *Filosofía, Una Introducción para Juristas*, Edición de G. Lariguet y D.G. Lagier, Madrid, 2022
104. Mosteanu N. R., *International Financial Markets Face to Face with Artificial Intelligence and Digital Era*, *Theoretical and Applied Economics*, Vol. 25, No. 3, 2019
105. Mucelin G., *Internet of Things and Consumers’ Privacy in a Brazilian Perspective: Digital Vulnerability and Dialogue of Sources*, In: *Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech*, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022
106. Nawaz R., Tyag A.K., Shamila M., *Vulnerabilities of Smart Contracts and Solutions*, In: *Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications*, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022
107. Newman M., *Networks*, Oxford University Press, 2018
108. Nguyen, L.D., Pandey, S.R., Beatriz, S., Broering, A. Popovski, P., *A Marketplace for Trading Ai Models Based on Blockchain and Incentives for Iot Data*, ArXiv, abs/2112.02870, 2021

109. Nimmer R.T., *Information Wars and the Challenges of Content Protection in Information Wars and the Challenges of Content Protection in Digital Contexts*, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law*, Vol. 13, No. 4, 2011
110. Nuth M.S., *Electronic Contracting in Europe Benchmarking of National Contract Rules of United Kingdom, Germany, Italy and Norway In Light of the EU E-commerce Directive*, Oslo, 2008
111. Ohlhorst F., *Big Data Analytics, Turning Big Data into Big Money*, Hoboken, 2013
112. Papanikolaou E., Angelis J., Moustakis V., *Which type of ecosystem for distributed ledger technology?*, *Technology in Society*, Vol. 72, 2023
113. Parker, G.G., Van Alstyne, M.W., *Platform strategy*, *Palgrave Encyclopedia of Corporate Strategy*, 2014, ob., <<https://bit.ly/3sRHTDS>> [28.11.2023]
114. Parker G.G., Van Alstyne M.W., *Two-sided Network Effects: A Theory of Information Product Design*. *Management science*, Vol. 51, No.10, 2005
115. Paterson M., McDonagh M., *Data Protection in an Era of Big Data: Challenges Posed by Big Personal Data*, *Monash University Law Review*, Vol. 44, No. 1, 2018
116. Patti F.P., *Unfair Terms Control in Business-to-Business Contracts*, *The Italian Law Journal*, Vol. 05, No. 02, 2019
117. Pauli T., Marx E., Matzner M., *Leveraging Industrial IoT Platform Ecosystems: Insights from The Complementors' Perspective*, In *Proceedings of the 28th European Conference on Information Systems (ECIS)*, 2020
118. Paul Voigt P., Bussche A. von dem, *The EU General Data Protection Regulation (GDPR): A Practical Guide*, Berlin, 2017
119. Perplingieri C., *Data as the Object of a Contract and Contract Epistemology*, *Italian Law Journal*, Vol. 5, No. 2, 2019
120. Pfandzelter T., Bermbach D., *IoT Data Processing in the Fog: Functions, Streams, or Batch Processing?*, In: *019 IEEE International Conference on Fog Computing (ICFC)*, 2019
121. Pörtner L., Möske R., Riel A., *Data Ecosystem for Industrial Product- Service Systems (IPS2) Based on a Decentralized Data Architecture*, *33rd CIRP Design Conference*, 2023
122. Pouillet Y., *Electronic Contracts and Contract Law Principles*, In: *Liber Amicorum Guido Alpa: Private Law Beyond the National Systems*, Edited by M. T. Andenæs, S. Diaz Alabart, B. Marquesinis, H-W. Miclitz, N. Posquini, London, 2007
123. Purtova N., *Do Property Rights in Personal Data Make Sense after the Big Data Turn? Individual Control and Transparency*, *Journal of Law and Economic Regulation*, Vol. 10, issue 2, 2017
124. Rahmani, A. M., Rezazadeh, B., Haghparast, M., Chang, W.-C., & Ting, S. G. *Applications of A. M. Artificial Intelligence in the Economy, Including Applications in Stock Trading, Market Analysis, and Risk Management*. *IEEE Access*, Vol. 11, 2023, ob., <doi: 10.1109/ACCESS.2023.3300036.>
125. Rauchs M., Glidden A., Gordon B., Pieters G., Recantini M., Rostand F., Vegneur K., Zhang B., *Distributed Ledger Technology Systems: A Conceptual Framework*, Cambridge, 2018
126. Richards N. M., King J. H., *Big Data Ethics*, *Wake Forest Law Review*, Vol. 49, 2014
127. Ricoveri G., *Nature for Sale: The Commons versus Commodities*, Pluto Press, 2013
128. Robertson V., *Antitrust Market Definition for Digital Ecosystems*, *Competition Policy in the Digital Economy*, *Concurrences Review*, N2-2021, 2021, ob., <<https://bit.ly/3SkBGsM>> [30.01.2024]

129. Robertson, V., Delineating Digital Markets under EU Competition Law: Challenging or Futile?, *The Competition Law Review*, Vol. 12, No. 2, 2017
130. Robles A. G., Zillner S., Gerteis W., Cattaneo G., Metzger A., Alonso D., Barbero M., Menasalvas E., Curry E., Achievements and Impact of the Big Data Value Public-Private Partnership: The Story so Far, In: *The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem*, Edited by E. Curry et al., Springer, 2021
131. Rubinfeld D.L., Gal M.S., Access Barriers to Big Data, *Arizona Law Review*, Vol. 59, No. 2, Rev. 339, 2017
132. Rustad M.L., Buckingham R., D'Angelo D., Durlacher, K., An Empirical Study of Predispute Mandatory Arbitration Clauses in Social Media Terms of Service Agreements, *University of Arkansas Law Review*, Vol. 34, No 4, 2012
133. Rutkauskiene A., Report of SOGETI Luxembourg for Eurostat on the Review of Ethics Related to Big Data, Services Concerning Ethical, Communicational, Skills Issues and Methodological Cooperation Related to the use of Big Data in European Statistics, Version 4, 2017
134. Sasikumar S.K., Sersia K., Digital Platform Economy: Overview, Emerging Trends and Policy Perspectives, *Productivity*, Vol. 61, No. 3, 2020
135. Schäfer H.B., Claus O., *Economic Analysis of Civil Law*, translated by A. Moeller. Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2022
136. Schneider, G. *Electronic Commerce*, 2th edition, Cengage Learning, 2017
137. Seng D., Big Data and Copyright Law, In: *Research Handbook on Big Data Law*, Edited by R. Vogl, Edward Elgar Publishing, 2021
138. Serrano W., Verification and Validation for Data Marketplaces via a Blockchain and Smart Contracts, *Blockchain: Research and Applications*, Vol. 3, No. 4, 2022
139. Shabbir M.Q., Gardezi S.B.W., Application of Big Data Analytics and Organizational Performance: The Mediating Role of Knowledge Management Practices, *Journal of Big Data*, Vol. 7, No. 47, 2020
140. Shabsigh M.G., Khiaonarong M.T., Leinonen M.H., Distributed ledger technology experiments in payments and settlements. International Monetary Fund, 2020
141. Sommerville, I., *Software Engineering*, 9th edition, Addison-Wesley, 2011
142. Stewart L.F., The Job of Human Capital: What Occupational Data Reveal About Skill Sets, Economic Growth and Regional Competitiveness, Doctoral dissertation, Cleveland State University, 2015, 2, ob., <<https://bit.ly/3uFLQwb>> [03.12.2023]
143. Storr C., Storr P., Internet of Things: Right to Data from a European Perspective, *New Technology, Big Data and the Law*, Edited by Corrales M., M. Fenwick, Forgó N., Springer, Singapore, 80
144. Sunshine S.C., York J.K., Doj's Failure To Prove Its "Killer Acquisition" Claim In Sabre/Farelogix And Parallels To Other Recent Government Merger Litigation Losses, *Florida Law Review Forum*, Vol. 72., 2020
145. Taekema S., Van der Wibren B., Legal Philosophy as an Enrichment of Doctrinal Research Part I: Introducing Three Philosophical Methods, *Law and Method*, 2020, ob., <<https://doi.org/10.5553/REM/.000046>>
146. Tapscott D., *The Digital Economy: 20th Anniversary Edition - Rethinking Promise and Peril In The Age Of Networked Intelligence*, McGraw Hill Education, 2015

147. Thouvenin F., Tamò-Larrieux A., Data Ownership and Data Access Rights: Meaningful Tools for Promoting the European Digital Single Market?, In: *Big Data and Global Trade Law*, Edited by M. Burri, Cambridge University Press, 2021
148. Timan T., Van Oirsouw C., Hoekstra M., The Role of Data Regulation in Shaping AI: An Overview of Challenges and Recommendations for SMEs, In: *The Elements of Big Data Value: Foundations of the Research and Innovation Ecosystem*, Edited by E. Curry et al., Springer, 2021
149. Tiwana A., *Platform Ecosystems: Aligning Architecture, Governance, and Strategy*, Elsevier, 2014
150. *Trading Data in the Digital Economy: Legal Concepts and Tools*, Edited by Staudenmayer D., Schulze R., Lohsse S., Munich, 2017
151. Turban, E., Outland, J., King, D., Lee, J. K., Liang, T.-P., Turban, D. C., *Electronic Commerce 2018: A Managerial and Social Networks Perspective*, 9th edition, Springer, 2018
152. Tyagi A.K, Abraham A., Hussain F.K., Habil Arturas Kaklauskas H.A., Jagadeesh Kannan R.J., *Introduction to Machine Learning, Blockchain Technologies, and Big Data Analytics for IoTs: Concepts, Open Issues, and Critical Challenges*, In: *Machine Learning, Blockchain Technologies and Big Data Analytics for IoTs: Methods, Technologies and Applications*, Edited by A.K. Tyagi, A. Abraham, F.K. Hussain, A. Kaklauskas, R.J. Kannan, London, 2022
153. Tyagi A.K., Nair M.M., Internet of Everything (IoE) and Internet of Things (IoT): Threat Analyses, Possible Opportunities for Future, *Journal of Information Assurance and Security*, Vol. 15, 2020
154. Tyler T.R., *Methodology in Legal Research*, *Utrecht Law Review*, Vol. 13 No. 3, 2017
155. Van de Gronden J., Rusu C.S., *Competition Law in The EU, Principles, Substance, Enforcement*, Edward Elgar Publishing. 2024
156. Varbanova G., *Legal Nature of Smart Contracts: Contract or Program Code?*, *Journal of Digital Technologies and Law*, Vol. 1, No. 4, 2023
157. Wang X., Hu S.x.k., Haq E., Garton H., *Integrating Legacy Systems Within the Service-oriented Architecture*, IEEE Power Engineering Society General Meeting, Tampa, 2007, <doi: 10.1109/PES.2007.385490.>
158. Whittemore R., Chao A., Jong M., Minges K.E., Park C., *Methods for Knowledge Synthesis: An Overview*, *Heart & Lung*, Vol. 43, No. 5., 2014
159. Xiong F., Xie M., Zhao L., Li C., Fan X., *Recognition and Evaluation of Data as Intangible Assets*, *SAGE Open*, Vol. 12, No. 2, 2022
160. Yunita A., Santoso H.B., Hasibuan Z.A., 'Everything is data': Towards One Big Data Ecosystem Using Multiple Sources of Data on Higher Education in Indonesia, *Journal of Big Data*, Vol. 9, No. 91, 2022
161. Zainutdinova Z., *Smart Contracts in the Civil Law Countries: The Legislative Analysis and Regulation Perspectives*, In: *Law and Technology in a Global Digital Society: Autonomous Systems, Big Data, IT Security and Legal Tech*, Edited by G. Borges, C. Sorge, Springer, 2022
162. Zhang D., *Big Data Security and Privacy Protection*, *Advances in Computer Science Research*, Vol. 77, Atlantic Press, 2018
163. Zeng M., *Alibaba and the Future of Business*, In: *HBR's 10 Must Read on Platforms and Ecosystems*, Edited by Lansiti M., Lakhani K.R., Van Alstyne M. W., Parker G., Boston, 2021

164. Zichichi, M., Ferretti, S., D'Angelo, G., A framework based on distributed ledger technologies for data management and services in intelligent transportation systems. IEEE Access, Vol. 8, 2020

165. Zichichi, M., Ferretti S., Rodríguez-Doncel V., Decentralized Personal Data Marketplaces: How Participation in a DAO Can Support the Production of Citizen-Generated, Vol. 22, No. 16, 2022

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
3. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“
4. საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“
5. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“
6. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“
7. საქართველოს კანონი „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“
8. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
9. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“
10. საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“
11. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“
12. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
13. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 01 აგვისტოს №195/04 ბრძანება, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუტსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელო“
14. „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №79/04 ბრძანება
15. „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანება

1. Regulation (EU) 2023/2854 of the European Parliament and of the Council of 13 December 2023 on Harmonised Rules on Fair Access to and Use of Data and Amending Regulation (EU) 2017/2394 and Directive (EU) 2020/1828 (Data Act), OJ L, 2023/2854, 22.12.2023

2. Regulation (EU) 2022/1925 of the European Parliament and of the Council of 14 September 2022 on Contestable and Fair Markets in the Digital Sector and Amending Directives (EU) 2019/1937 and (EU) 2020/1828 (Digital Markets Act) (Text with EEA Relevance), OJ L 265, 12.10.2022

3. Regulation (EU) 2019/1020 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on Market Surveillance and Compliance of Products and Amending Directive 2004/42/EC and Regulations (EC) No 765/2008 and (EC) No 305/2011 (Text With EEA Relevance.), OJ L 169, 25.6.2019

4. Directive (Eu) 2019/770 of the European Parliament and of the Council of 20 May 2019 on Certain Aspects Concerning Contracts for the Supply of Digital Content and Digital Services, OJ L 136, 22.5.2019
5. Regulation (EU) 2018/1807 of the European Parliament and of the Council of 14 November 2018 on a Framework for the Free Flow of Non-personal Data in the European Union (Text with EEA relevance.) PE/53/2018/REV/1
6. General Data Protection Regulation (EU) 2016/6
7. Trade Secret Directive (EU) 2016/943, OJ L 157, 15.6.2016
8. Directive (EU) 2015/2366 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on Payment Services in the Internal Market, Amending Directives 2002/65/EC, 2009/110/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, and Repealing Directive 2007/64/EC (Text with EEA relevance), Document 32015L2366, OJ L 337, 23.12.2015
9. Directive (EU) 2015/1535 of the European Parliament and of the Council of 9 September 2015 Laying Down a Procedure for the Provision of Information in the Field of Technical Regulations and of Rules on Information Society Services (codification) (Text with EEA relevance), OJ L 241, 17.9.2015
10. Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on Electronic Identification and Trust Services for Electronic Transactions in the Internal Market and Repealing Directive 1999/93/EC, OJ L 257 28.8.2014, [Consolidated Text: 18/10/2024]
11. Directive 2014/65/EU of the European Parliament and of the Council of 15 May 2014 on Markets in Financial Instruments and Amending Directive 2002/92/ec and Directive 2011/61/eu (Recast)Text with EEA Relevance,Document 32014L0065, OJ L 173, 12/06/2014, p. 349 (Document 02014L0065-20250117, 17.01.2025)
12. Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Prudential Requirements for Credit Institutions and Investment Firms and Amending Regulation (EU) No 648/2012 Text with EEA Relevance, Document 32013R0575, OJ L 176, 27.6.2013
13. Directive 2013/36/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on Access to the Activity of Credit Institutions and the Prudential Supervision of Credit Institutions and Investment Firms, Amending Directive 2002/87/EC and repealing Directives 2006/48/EC and 2006/49/EC Text with EEA relevance, Document 32013L0036, OJ L 176, 27.6.2013, p. 338
14. Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights, Amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and Repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council Text with EEA Relevance, OJ L 304, 22.11.2011
15. Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the Taking Up, Pursuit and Prudential Supervision of the Business of Electronic Money Institutions Amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance), Document 32009L0110, OJ L 267, 10.10.2009
16. Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on Certain Legal Aspects of Information Society Services, in Particular Electronic Commerce, in the Internal Market ('Directive on Electronic Commerce'), OJ L 178, 17.7.2000

17. Directive 96/9/EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the Legal Protection of Databases, OJ L 77, 27.3.1996, p. 20–28
18. Directive 93/13/EEC of the Council of 5 April 1993 on Unfair Contract Terms in Consumer Contracts [1993] OJ L95/29 [consolidated version: 28/05/2022]
19. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Central Bank, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Fintech Action Plan: for a More Competitive and Innovative European Financial Sector COM/2018/0109 Final, ob., <<https://bit.ly/3BYdEjg>> [04.01.2025]
20. European Parliament Legislative Resolution of 26 February 2014 on the Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on a Common European Sales Law (COM(2011)0635 – C7-0329/2011 – 2011/0284(COD))
21. Proposal For A Regulation Of The European Parliament And Of The Council on a Framework For Financial Data Access And Amending Regulations (Eu) No 1093/2010, (Eu) No 1094/2010, (Eu) No 1095/2010 And (Eu) 2022/2554, COM(2023) 360 final, Brussels, 28.06.2023
22. Common European Sales Law (CESL) ob., <<https://bit.ly/3N6QKs1>> [02.10.2024]
23. UNCITRAL Model Law on Electronic Commerce, G.A. Res. 51/162, U.N. GAOR

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის №ას-1867-2018 განჩინება
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) გადაწყვეტილება
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 მაისის № ას-1210-1139-2012 განჩინება
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 22 ივლისის №ას-303-2024 გადაწყვეტილება
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 დეკემბრის ას-310-2022 გადაწყვეტილება
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 სექტემბრის №ას-189-2022 გადაწყვეტილება
7. Fuhrmann-2-GmbH v B. [CJEU], საქმე C-249/21, ECLI:EU:C:2022:269, 2022
8. Google and Alphabet v Commission [CJEU], საქმე T-604/18, ECLI:EU:T:2022:541, 2022
9. Facebook Ireland and Schrems [CJEU], საქმე Case C 311/18 ECLI:EU:C:2020:559, 2020
10. Patrick Breyer v Bundesrepublik Deutschland [CJEU], საქმე C-582/14, ECLI:EU:C:2016:779, 2016
11. CB v Commission [CJEU], საქმე C-67/13 P, ECLI:EU:C:2014:2204, 2014

12. Used Soft GmbH v Oracle International Corp [CJEU], საქმე C-128/11, ECLI:EU:C:2012:407, 2012

ანგარიშები, კონფერენციები, მოსაზრებები, გამოთხოვილი ინფორმაციები, სარჩელები

1. „საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ 2023 წლის 28 ნოემბრის N 02/3470 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან)

2. საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს 2017 წლის 04 დეკემბრის N 04/325 ბრძანება „შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“

3. საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 20 დეკემბრის N 2-14/4682 პასუხი (ორიგინალი ინახება ავტორთან)

4. საქართველოს ეროვნული ბანკის 2025 წლის 25 აპრილის პასუხი, სანდრო-გიორგი სარუხანიშვილის 2025 წლის 08 აპრილს გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე (ორიგინალი ინახება ავტორთან)

5. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პოლიტიკა 2023-2025, 26, იბ., <<https://shorturl.at/eOQS7>> [20.12.2023]

6. Bagnoli V., The Big Data Relevant Market as a Tool For a Case by Case Analysis at The Digital Economy: Could The EU Decision at Facebook/WhatsApp Merger Have Been Different?, 12th ASCOLA Conference, 2017, იბ. <<https://bit.ly/42iM60K>> [29.01.2024]

7. Banterle F., Data Ownership in the Data Economy: A European Dilemma, EU Internet Law in the Digital Era, (Edited Volume Based on the REDA 2017 Conference), Springer, 2018

8. Barefoot K., Curtis D., Jolliff W., Nicholson J.R., Omohundro R., Defining and Measuring the Digital Economy, Working Paper of Bureau of Economic Analysis of the U.S Department of Commerce, Washington, 2018

9. Big Data: Bringing Competition Policy to the Digital Era, the Executive Summary by the OECD Secretariat on 29 November 2016

10. Business-to-business Relationships in the Online Platforms Environment – Legal Aspects and Clarity of Terms and Conditions of Online Platforms, Report of an Engagement Workshop Hosted by the European Commission, Brussels, 14 November 2016

11. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Central Bank, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Fintech Action Plan: for a More Competitive and Innovative European Financial Sector COM/2018/0109 Final, იბ., <<https://bit.ly/3BYdEjg>> [04.01.2025]

12. Commission Notice on the Definition of the Relevant Market for the Purposes of Union Competition Law (C/2024/1645), 2024, იბ. <<https://bit.ly/42J3VGX>> [28.05.2024]

13. Cong L. W., Mayer S., Data Union and Regulation in a Data Economy, National Bureau of Economic Research Working Paper N3088, 2023, 22, იბ., <<https://bit.ly/3QyLDmo>> [08.05.2025].

14. Derave T., Sales T. P., Gailly F., Poels G., Comparing Digital Platform Types in the Platform Economy, Advanced Information Systems Engineering, Conference Paper at CAiSE 2021, Vol 12751, 2021.

15. Data Ecosystems: Sovereign Data Exchange among Organizations (Dagstuhl Seminar 19391), Edited by C. Cappello, A. Gal, M. Jarke, J. Rehof, In: Dagstuhl Reports, Vol. 9, No. 9., 2020

16. Deconstructing the Antitrust Implications of Big Data, Keynote Remarks of FTC Chairwoman Edith Ramirez, 43rd Annual Conference on International Antitrust Law and Policy, Fordham Competition Law Institute ob., <<https://bit.ly/36Xpl6z>> [24.07.2021]
17. Demchenko Y., Ngo C., Membrey P., Architecture Framework and Components for the Big Data Ecosystem, International Conference on Collaboration Technologies and Systems (CTS), Minneapolis, 2014
18. Deshpande A., Stewart K., Lepetit L., Gunashekar S., Distributed Ledger Technologies/blockchain: Challenges, Opportunities and the Prospects for Standards, Prepared for the British Standards Institution (BSI), 2017, ob., <<https://bit.ly/48gw8Hp>> [16.10.2024]
19. EDPS Opinion on Coherent Enforcement of Fundamental Rights in the Age of Big Data, European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 8/2016, 23 September 2016
20. El Ioini N., Pahl C., A Review of Distributed Ledger Technologies, In: On the Move to Meaningful Internet Systems. OTM 2018 Conferences: Confederated International Conferences: CoopIS, C&TC, and ODBASE 2018, Valletta, Malta, October 22-26, 2018, Proceedings, Part II
21. Feyen E., Frost J., Gambacorta L., Natarajan H., Saal M., Fintech and The Digital Transformation of Financial Services: Implications for Market Structure And Public Policy, BIS Papers No. 117, The Bank for International Settlements and the World Bank Group, 2021
22. Gunn G.G, Stanley M., Harnessing the Flow of Data: Fintech Opportunities for Ecosystem Management, International Institute for Sustainable Development (IISD), 2018
23. Gisler M., Stanoevska-Slabeva K., Greunz M., Legal Aspects of Electronic Contracts, Workshop on Infrastructures for Dynamic Business-to-Business Service Outsourcing, Stockholm, June 5-6, 2000
24. Jha S., A Big Data Architecture for Integration of Legacy Systems and Data, CQUniversity, Thesis, 2021, ob., <<https://doi.org/10.25946/16735342.v1>> [04.04.2025]
25. Lee Y.L., Kim S., Software Approaches to Assuring High Scalability in Cloud Computing, International Conference on E-Business Engineering, 2010
26. Lehrig S., Eikerling H., Becker S., Scalability, Elasticity, and Efficiency in Cloud Computing: A Systematic Literature Review of Definitions and Metrics, In Proceedings of the 11th international ACM SIGSOFT Conference on Quality of Software Architectures, 2015
27. Item No. 4 on the Agenda: Adoption of Draft UNIDROIT Instruments, UNIDROIT C.D. (102) 6, Principle 1, para. 1-2, <<https://bit.ly/3uGholR>> [18.02.2024]
28. Meeting the Challenges of Big Data: A Call for Transparency, User Control, Data Protection by Design and Accountability, European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 7/2015, 19 November 2015
29. Microsoft/Yahoo! Search Business, Case No COMP/M.5727
30. Opinion of European Data Protection Supervisor on the Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on the Protection of Undisclosed Know-How and Business Information (Trade Secrets) Against Their Unlawful Acquisition, Use and Disclosure, 2014
31. Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Improving Working Conditions in Platform Work, COM/2021/762 final, Brussels, 9.12.2021
32. Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Contestable and Fair Markets in the Digital Sector (Digital Markets Act), COM/2020/842 final, Brussels, 2020
33. Report of the US Federal Trade Commission on Big Data: A Tool for Inclusion or Exclusion?, 2016, ob., <<https://bit.ly/3WFvbBv>> [24.12.2022]

34. Schweitzer H., Metzger A., Blind K., Richter H., Niebel C., Gutmann F., Data Access and Sharing in Germany and in the EU: Towards a Coherent Legal Framework for the Emerging Data Economy, A Legal, Economic and Competition Policy Angle, Final Report, 2022
35. Support Study Accompanying the Evaluation of the Commission Notice on the Definition of Relevant Market for the Purposes of Community Competition Law, European Commission, Directorate-General for Competition, Luxembourg, (2021), [ob., <https://bit.ly/481GWHN>](https://bit.ly/481GWHN) [01.02.2024]
36. Taylor B.C., Terms of Service Agreement Contracts: An Overview of Personal Risk Management and Recommendations for Enhancing User Awareness, Electronic Theses, Projects, and Dissertations, 1520, 2022
37. The Concept of Potential Competition, OECD Competition Committee Discussion Paper, 2021, 9, [ob., <http://oe.cd/tcpc>](http://oe.cd/tcpc) [26.05.2024]
38. Unfair Contract Terms Provisions in CESL, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, Legal Affairs, 2012
39. UNIDROIT Principles on Digital Assets and Private Law, Rome, 2023
40. United States v Sabre Corp., Sabre Gbl Inc., Farelogix, Inc., and Sandler Capital Partners V, L.P., Case 1:19-cv-01548-UNA, Filed 08/20/19
41. Whitepaper: Smart Contracts and Distributed Ledger – A Legal Perspective, ISDA , 2017, 10-11. [ob., <https://bit.ly/3VBy8VB>](https://bit.ly/3VBy8VB) [12.12.2024]
42. Zhang Y., Based on Big Data Analysis Technology to Explore the Influence of Property Responsibility Derivative System on Enterprise Performance, 2021 International Conference on Big Data Analytics for Cyber-Physical System in Smart City, Volume 2, Edited by Atiquzzaman M., Yen N., Xu Z., Vol. 2, Singapore, 2022
43. III. Big tech in finance: opportunities and risks, BIS Annual Economic Report, 23 June 2019, [ob., <bit.ly/3RiWjFX>](https://bit.ly/3RiWjFX) [01.04.2025]

ინტერნეტ რესურსი

1. რა არის ეკონომია მასშტაბზე? [ob., <https://bit.ly/3QIkDB4>](https://bit.ly/3QIkDB4) [12.05.2024]
2. „თიბისი ბანკის“ წლიური ფინანსური ანგარიში, 31 დეკემბერი 2023, 35. [ob. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision>](https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision) [11.04.2022]
3. კონკურენტული ანალიზი, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდი < <https://bit.ly/44xMMCo> > [21.04.2025]
4. კონფიდენციალობის პოლიტიკა, „თიბისი ბანკი“, [ob., <https://tbcbank.ge/ka/privacy-policy>](https://tbcbank.ge/ka/privacy-policy) [30.07.2025]
5. Cookie-ფაილების წესები და პირობები, [ob., <https://bit.ly/37V3TTy>](https://bit.ly/37V3TTy) [14.04.2025]
6. Signify, SIGNIFY PAD-ით ხელმოწერის სპეციალური წესები და პირობები, [ob., <https://bit.ly/3Ee3eNs>](https://bit.ly/3Ee3eNs) [08.04.2025]
7. Signify, კონფიდენციალურობის პოლიტიკა, [ob., <https://bit.ly/3YmYuMh>](https://bit.ly/3YmYuMh) [08.04.2025]
8. Signify, მომსახურების სტანდარტული პირობები, [ob., <https://bit.ly/3Ee3eNs>](https://bit.ly/3Ee3eNs) [08.04.2025]

9. Signify: დოკუმენტებთან ურთიერთობის გამარტივება, იბ., <<https://signifyapp.com/ka-GE/about/>> [08.04.2025]
10. ლიცენზირებული კომერციული ბანკები, იბ. <<https://bit.ly/42RK75f>> [10.04.2025]
11. მონაცემთა დაცვის პოლიტიკა - ლიბერთი, იბ. <<https://bit.ly/3vu7HmI>> [04.08.2025]
12. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ პოლიტიკა, „თიბისი ბანკი“, იბ., <<https://bit.ly/4l7qMmx>> [08.07.2025]
13. საქართველოს ბანკი, ძირითადი ცნობები, იხილეთ საქართველოს ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<https://bit.ly/3Kvh7ow>> [21.04.2025]
14. საქართველოში ორი უმსხვილესი ბანკის წილი აქტივებში 80%-ს აღწევს, მოგებაში 90%-ს აჭარბებს, იბ. <<https://bit.ly/4jJN25L>> [10.04.2025]
15. ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ (თიბისი), იბ. <<https://bit.ly/38R67U1>> [08.07.2025]
16. 2024 წელს 13 ბანკი მოგებაზე გავიდა, 4 ზარალზეა, იბ. <<https://bit.ly/3RWiyBw>> [10.04.2025]

17. Antitrust and (Big) Data, Practical Law Practice Note w-020-5246, იბ., <<http://westlaw.com>> [22.07.2021]
18. Big Data, იბ., <<https://bit.ly/3WJlWQQ>> [25.12.2022]
19. Big Data and Data Protection, paras. 35-36, იბ., <<https://bit.ly/3JmgbRW>> [10.04.2022]
20. Big Data and Digital Clearing House იბ., <<https://bit.ly/3BZ0fml>> [29.05.2023]
21. Big Data, Digital Platforms and Market Competition: How Does Big Data Generate Economic Value for Firms and Individuals? How Should We Respond to Potential Antitrust Concerns?, Speakers: Veugelers R., Neven D., Petropoulos G., Valletti T., Varian H., 3 October 2016, <<https://bit.ly/3A4AYbg>> [24.08.2024]
22. Cambridge International AS & A Level Information Technology, Syllabus Topic 1.1 Data, Information and Knowledge, 5-6, იბ., <<https://bit.ly/3EO365r>> [29.11.2023]
23. Cookie Policy, TBC Bank JSC, იბ., <<https://www.tbcbankgroup.com/cookie-policy>> [04.08.2025]
24. Common European Sales Law იბ., <<https://bit.ly/3ZPJCrS>> [02.10.2024]
25. Common European sales law (CESL) იბ., <<https://bit.ly/3N6QKs1>> [02.10.2024]
26. Darin S., Big Content: The Unstructured Side of Big Data, 2013, იბ., <<https://gtnr.it/3yXYjd>> [19.10.2022]
27. Data Is Power: Profiling and Automated Decision-Making in GDPR, 2017, იბ., <<https://bit.ly/3N89CHe>> [03.12.2023]
28. Data Processing Agreement (Template), paragraph 1. იბ., <<https://bit.ly/3W2sRq6>> [02.01.2025]
29. Data Processing Agreement, იბ., <<https://bit.ly/4ahNi8N>> [02.01.2025]
30. Data Sharing Agreement {EX-10.10 14 d587760dex1010.htm EX-10.10} იბ., webpage of U.S. Securities and Exchange Commission <<https://bit.ly/4iS49mp>> [02.01.2025]
31. Database Transfer Agreement {EX-10.31 5 dex1031.htm}, იბ., <<https://bit.ly/3W1wxZA>> [02.01.2025]
32. Digital contracts for Europe, იბ., <<https://bit.ly/3YMXUIj>> [01.11.2024]
33. FinTech, იბ., <<http://bit.ly/2dZnJxN>> [28.11.2023]

34. Harris J., Bridging the Divide between Unstructured and Structured Data, 2014, <<https://bit.ly/3scjWDr>> [19.10.2022]
35. Iansiti, M., & Lakhani, K.R. The truth about blockchain. Harvard Business Review, Harvard Business Review, 2017, ob, < <https://bit.ly/4h7WsYf>> [15.10.2024]
36. Lochy J., Big Data in the Financial Services Industry - From Data to Insights, 09 September 2019, ob. <<https://bit.ly/3uqiAXo>> [27.01.2024]
37. Martindale, J. What is a blockchain? Here's everything you need to know. Digital Trends, 2018, ob, <<https://bit.ly/3UyFLMb>> [16.10.2024]
38. Oxford University Press. (n.d.). Data point, n. In Oxford English dictionary, ob, <<https://doi.org/10.1093/OED/5412087070>> [4.04.2025]
39. Press Release, U.S. Dep't of Just., Justice Department Sues to Block Sabre's Acquisition of Farelogix (Aug. 20, 2019), ob. <<https://bit.ly/3R2G53X>> [26.05.2024]
40. Szabo N., Smart Contracts: Building Blocks for Digital Markets, Extropy,1996. < <https://bit.ly/48LIJm3>> [10.11.2024]
41. Stedman C., What is Data Architecture? A Data Management Blueprint, ob., <<https://bit.ly/3R2uktz>> [28.11.2023]
42. Stobierski T., 5 Key Elements of a Data Ecosystem, Harvard Business School, 2021, ob., <<https://bit.ly/3GxHNof>> [07.12.2023]
43. The Digital Markets Act, ob., <<https://bit.ly/422OAT0>> [05.01.2025]
44. The Digital Markets Act: Ensuring Fair and Open Digital Markets, ob., <<https://bit.ly/406NIda>> [05.01.2025]
45. What is Personal Data? ob., <<https://bit.ly/3kRjRT2>> [18.05.2021]
46. Yoffie D.B., Kwak M., With Friends Like These: The Art of Managing Complementors, ob., <<https://bit.ly/4dSRrk>> [25.05.2024]

**საქართველოს კანონი
„სავაჭრო საიდუმლოების დაცვის შესახებ“**

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

კანონის მიზანია სავაჭრო საიდუმლოების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, არასათანადო წვდომისგან, გამოყენებისა და გამჟღავნებისგან დაცვის მექანიზმების შექმნა, ინოვაციების, კონკურენციის ზრდისა და სამართლიანი ეკონომიკური გარემოს ხელშეწყობა.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. კანონი ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირზე, რომელიც საქართველოში საქმიანობს და ფლობს, იყენებს ან შესაძლოა წვდომა ჰქონდეს იმ ინფორმაციაზე, რომელიც აკმაყოფილებს სავაჭრო საიდუმლოების კრიტერიუმებს. კერძოდ:

- ა) პირებზე, რომლებიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას;
- ბ) პირებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და შეხება აქვთ სავაჭრო საიდუმლოებასთან;
- გ) თვითდასაქმებულ პირებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე და გაერთიანებებზე, რომლებიც საქმიანობას აწარმოებენ რეგისტრაციის გარეშე;
- დ) უცხო სახელმწიფოს სუბიექტებზე, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ საქმიანობას და შეხება აქვთ სავაჭრო საიდუმლოების კანონიერად მოპოვების, გადაცემის, გამოყენების ან დაცვის კუთხით;
- ე) არასამეწარმეო ორგანიზაციებზე, კვლევით დაწესებულებებზე, უნივერსიტეტებზე, პროფესიულ გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებზე, თუ მათი საქმიანობა უკავშირდება სავაჭრო საიდუმლოების შექმნას, მოპოვებას ან დაცვას.

2. კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა) სახელმწიფო, პროფესიულ, პერსონალურ ან ისეთ ინფორმაციაზე, რომელთა მიმართაც მოქმედებს სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგება;

ბ) საერთაშორისოდ გარანტირებულ და აღიარებულ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, მათ შორის მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის პატივისცემაზე;

გ) იმ ნორმების გამოყენებაზე, რომლებიც ავალდებულებს სავაჭრო საიდუმლოების მფლობელებს, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გაუმჟღავნონ ინფორმაცია (მათ შორის სავაჭრო საიდუმლოებები) ადმინისტრაციულ ან სამართლებრივ ორგანოებს ამ ორგანოების ფუნქციების შესასრულებლად;

დ) იმ ინფორმაციის გამოყენების შეზღუდვისთვის, რომელიც არ არის სავაჭრო საიდუმლოება;

ე) შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებულის მიერ საკუთარი გამოცდილებისა და უნარების გამოყენებაზე;

ვ) შრომით ხელშეკრულებაში დამატებით შეზღუდვების დაწესებაზე, რომელსაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა;

ზ) საზოგადოებრივი პარტნიორობის (როგორცაა პროფესიული კავშირები და დასაქმებულთა ორგანიზაციები) თავისუფლებაზე მათ უფლებაზე დადონ კოლექტიური ხელშეკრულებები.

თ) ადმინისტრაციულ ორგანოს შესახებ ინფორმაციაზე.

3. სავაჭრო საიდუმლოების დაცვა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) ჟურნალისტური გამოძიების შეზღუდვის მიზნით;

ბ) კორუფციის, კანონდარღვევის ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფაქტების დასაფარად, როცა ინფორმაციას აქვს აშკარა საჯარო ინტერესი.

მუხლი 3. ძირითადი ტერმინები

ამ კანონის მიზნებისთვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **სავაჭრო საიდუმლოება** – ნებისმიერი ინფორმაცია ან ცოდნა, მათ შორის ტექნოლოგიური, სამეცნიერო, ინდუსტრიული, კომერციული, ორგანიზაციული ან ფინანსური ხასიათის, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) აქვს რეალური ან პოტენციური კომერციული ღირებულება, რადგან ის საიდუმლო ინფორმაცია;

ბ) არ არის ზოგადად ანდა ფართოდ ცნობილი, ან ადვილად ხელმისაწვდომი შესაბამის სფეროში მოღვაწე პირებისთვის, ანდა იმ წრეებისთვის, რომელთა მიერ ამ ინფორმაციის გამოყენება ხდება.

გ) ინფორმაციის მფლობელი ახორციელებს გონივრულ ქმედებებს და დგამს შესაბამის ნაბიჯებს, რათა დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება.

დ) სავაჭრო საიდუმლოებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე:

დ.ა) საწარმოო პროცესები და ფორმულები;

დ.ბ) პროგრამული კოდი;

დ.გ) ბიზნეს გეგმა;

დ.დ) მომწოდებლებისა და კლიენტების ბაზა;

დ.ე.) საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებისთვის აუცილებელი ტექნიკური თუ ტექნოლოგიური ინფორმაცია.

2. **მესაკუთრე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი/პირთა ჯგუფი, რომელიც/რომლებიც სავაჭრო საიდუმლოებას ფლობს/ფლობენ კანონიერად.

3. **არასათანადო მოპოვება/გამოყენება/გამჟღავნება** – სავაჭრო საიდუმლოების მის მფლობელთან შეუთანხმებლად და არასამართლებრივად მოპოვება, გამოყენება ან გამჟღავნება.

4. **არასათანადო მფლობელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სავაჭრო საიდუმლოებას არასათანადოდ მოიპოვებს, გამოიყენებს, გაამჟღავნებს.

5. **კანონიერად მოპოვებული სავაჭრო საიდუმლოება** – სავაჭრო საიდუმლოება, რომელიც:

ა) მიღებულია დამოუკიდებელი კვლევითი ან შემოქმედებითი საქმიანობით;

ბ) მოპოვებულია ღია წყაროებიდან;

გ) გაცემულია მფლობელის თანხმობით ან/და სპეციალური ნებართვით.

6. **დაშვების გუშაგი** – საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწვდის მომხმარებელს ძირითად პლატფორმულ მომსახურებას „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

7. **ძირითადი პლატფორმული მომსახურება** - „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

8. **საჯარო დაწესებულება** – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულება (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა);

მუხლი 4. სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრე, მისი უფლებები და ვალდებულებები

1. სავაჭრო საიდუმლოება არის ქონება, რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა არის შესაძლებელი.

2. სავაჭრო საიდუმლოება შესაძლებელია იყოს განუყოფელი თანასაკუთრება, რომელიც ეკუთვნის ერთზე მეტ პირს. თანამესაკუთრეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება წერილობითი შეთანხმებით.

3. სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრეს არის სავაჭრო საიდუმლოების მფლობელი, რომელსაც უფლება აქვს:

ა) გამოიყენოს საიდუმლო ინფორმაცია მის საქმიანობაში;

ბ) გადასცეს მასზე წვდომა ხელშეკრულებით ან სპეციალური ნებართვით;

გ) მოითხოვოს სამართლებრივი დაცვის ზომების გატარება მისი უკანონო გამოყენების აღსაკვეთად, იქნება ეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი დაცვა.

დ) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სავაჭრო საიდუმლოების უკანონოდ გამოყენებისთვის;

4. მესაკუთრე ვალდებულია სავაჭრო საიდუმლოების დაცვის მიზნით მიიღოს გონივრული ტექნიკური, ორგანიზაციული ან სამართლებრივი ზომები.

5. მესაკუთრე უფლება აქვს დაიცვას საკუთარი სავაჭრო საიდუმლოება საჯარო დაწესებულებაში წარდგენისას თუ სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევის შემთხვევაში

სავაჭრო საიდუმლოების უკანონო მოპოვება, გამოყენება ან გამჟღავნება სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან ერთად არ გამორიცხავს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი მეორე

სავაჭრო საიდუმლოების მოპოვება გამოყენება და გამჟღავნება

მუხლი 6. არასათანადო მოპოვება

სავაჭრო საიდუმლოების არასათანადო მოპოვებად მიიჩნევა:

ა) უნებართვო წვდომა;

ბ) ინფორმაციის მოპარვა, თაღლითობა, მოსყიდვა ან უკანონო ჩანაწერის გაკეთება, როგორცაა ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა ელექტრონული და არაელექტრონული საშუალებებით;

გ) სავაჭრო საიდუმლოების მოპოვება მესამე პირისგან, რომელმაც თავად მოიპოვა იგი უკანონოდ.

მუხლი 7. არასათანადო გამოყენება ან გამჟღავნება

სავაჭრო საიდუმლოების არასათანადო გამოყენებად ან გამჟღავნებად მიიჩნევა, როდესაც:

ა) ინფორმაცია გამოყენებული იქნა ან გავრცელდა იმ პირის მიერ, ვინც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ინფორმაცია მოპოვებულია უკანონოდ.

ბ) ინფორმაცია, სავაჭრო საიდუმლოების მფლობელის თანხმობის გარეშე, გამჟღავნებულ იქნა კონფიდენციალობის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, ანდა სავაჭრო საიდუმლოების საიდუმლოდ შენახვის ნებისმიერი სხვა ვალდებულების დარღვევით;

გ) დარღვეულ იქნა ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობა ანდა სხვა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სავაჭრო საიდუმლოების გამოყენების შეზღუდვებს.

მუხლი 8. სავაჭრო საიდუმლოება და კონფიდენციალობა

1) აკრძალულია სავაჭრო საიდუმლოების გამოყენება/გამჟღავნება ისეთი პირის მიერ, რომელმაც მიიღო იგი დასაქმების ან ხელშეკრულების/გარიგების ფარგლებში და რომელსაც დაეკისრა სავაჭრო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება.

2) დასაქმებულმა უნდა დაიცვას სავაჭრო საიდუმლოების კონფიდენციალურობა, როგორც დასაქმების პერიოდში, ისე მის დასრულების შემდეგაც, თუ ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ან მას ეს ინფორმაცია გააჩნდეს როგორც საიდუმლო ინფორმაცია, მან მიიღო ინფორმაცია, როგორც დასაქმებულმა საკუთარი ფუნქციების განხორციელების მიზნით, ან მან შემთხვევით შეიტყო აღნიშნული ინფორმაცია ჩვეულებრივი შრომითი ურთიერთობების ფარგლებში.

3) დამსაქმებელს შეუძლია გააფორმოს კონფიდენციალურობის შეთანხმება დასაქმებულთან და დეტალურად განსაზღვროს სავაჭრო საიდუმლოების დაცვის პირობები, სავაჭრო საიდუმლოების დარღვევით გამოწვეული სანქციები და დასაქმებულის ანდა ყოფილი დასაქმებულის პირადი პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. სავაჭრო საიდუმლოების დაცვა ციფრული ბაზარი

1. დაშვების გუშაგმა ბიზნეს მომხმარებელთან კონკურენციისას, არ უნდა გამოიყენოს მონაცემები, რომლებიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

2. საჯაროდ არახელმისაწვდომია მონაცემები, რომლებიც:

ა) დაგენერირებულია ან მიწოდებულია ბიზნეს მომხმარებლის მიერ ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიმწოდებლისადმი ძირითადი პლატფორმული მომსახურების გაწევისას;

ბ) დაგენერირებულია ან მიწოდებულია ბიზნეს მომხმარებლის მიერ ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიმწოდებელთან ერთად საერთო მომსახურების გაწევისას;

დ) დაგენერირებული ან მიწოდებულია, დაშვების გუშაგის მხარდაჭერის კონტექსტში ძირითადი პლატფორმული მომსახურების მიწოდებისას, მათ შორის

ისეთი მონაცემებიც, რომლებიც ბიზნეს მომხმარებლისათვის საკუთარი კლიენტების მიერაა მიწოდებული.

3. დაშვების გუშაგმა არ უნდა გამოიყენოს მესამე მხარისგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი ან ურთიერთდაკავშირებული პირის სასარგებლოდ, თუ ეს ინფორმაცია არის სავაჭრო საიდუმლოება.

4. დაშვების გუშაგი უზრუნველყოფს ციფრულ პლატფორმაზე მოქმედი ბიზნესსუბიექტების სავაჭრო საიდუმლოების კონფიდენციალობას;

5. დაშვების გუშაგმა არ უნდა დაუშვას მომხმარებელთა კომერციული მონაცემების დამუშავება საკუთარი, შვილობილი კომპანიების ან ნებისმიერი მესამე მხარისთვის.

6. საჯაროდ ხელმისაწვდომად არ ჩაითვლება ნებისმიერი ერთ მთლიანობად შეჯგუფებული ან დანაწევრებული მონაცემი, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესმომხმარებლების მიერ და რომელიც შეიძლება დასკვნის სახით მიღებულ იქნეს ან შეგროვდეს ბიზნესმომხმარებლებისა და ამ ბიზნესმომხმარებლების მომხმარებლების (კლიენტების) კომერციული საქმიანობის შედეგად (მათ შორის, მონაცემები, რომლებიც წარმოიქმნება მომხმარებლის მიერ დაწკაპუნების (click), ძიების (search), ნახვის (view) და ხმოვანი (voice) აქტივობების შედეგად) იმ შესაბამის ძირითად პლატფორმულ მომსახურებაზე ან იმ მომსახურებაზე, რომლებიც მიეწოდება ძირითად პლატფორმულ მომსახურებასთან ერთად ან დაშვების გუშაგის მიერ მათ მხარდასაჭერად.

მუხლი 10. სავაჭრო საიდუმლოების სპეციალური ნებართვა

1. სავაჭრო საიდუმლოება შეიძლება იყოს სპეციალური ნებართვის ობიექტი. სპეციალური ნებართვის გამცემსა და სპეციალური ნებართვის მიმღებს შორის უნდა დაიდოს წერილობითი შეთანხმება. თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული, სპეციალური ნებართვის მიმღები ივარაუდება, რომ არის სავაჭრო საიდუმლოების მფლობელი და ახორციელებს მოქმედებას, რისი უფლება აქვს სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრეს.

2. სპეციალური ნებართვა შეიძლება იყოს ექსკლუზიური და არაექსკლუზიური. თუ სპეციალური ნებართვა არის არაექსკლუზიური სპეციალური ნებართვის მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს სავაჭრო საიდუმლოება და ასევე გასცეს სპეციალური ნებართვები სხვა პირებზე. თუ სპეციალური ნებართვა არის ექსკლუზიური, სპეციალური ნებართვის მესაკუთრეს არ აქვს უფლება გასცეს სპეციალური ნებართვა სხვა მესამე პირებზე, ასევე არ აქვს უფლება თვითონ გამოიყენოს სავაჭრო საიდუმლოება, თუ ეს ურთიერთშეთანხმებით იმპლიციტურად არ წერია ხელშეკრულებაში.

3. სპეციალური ნებართვის მიმღებს არ აქვს უფლება გასცეს სავაჭრო საიდუმლოება მესამე პირებს ან სხვაგვარად გადასცეს ან გაამჟღავნოს, თუ ეს არ არის სპეციალური ნებართვის ხელშეკრულებით შეთანხმებული.

4. სპეციალურ ნებართვის მიმღებმა უნდა მიიღოს ნებისმიერი ზომა, როგორც ეს ევალება სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრეს, რათა დაცულ იქნეს სავაჭრო საიდუმლოება.

თავი მესამე

სავაჭრო საიდუმლოების დაცვის მექანიზმები

მუხლი 11. სავაჭრო საიდუმლოების დაცვა

1. სავაჭრო საიდუმლოების არასათანადო მფლობელის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ქმედებები, განურჩევლად მისი სახისა და სამართლებრივი ბუნებისა, და მოთხოვნილ იქნეს სავაჭრო საიდუმლოების დაცვისთვის მიმართული ღონისძიებების გამოყენება.

2. არასათანადო მფლობელად ითვლება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც დაარღვევს ამ კანონის მეორე თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაშინაც კი თუ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. შესაბამისად გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომელსაც ითვალისწინებს მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი, კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები.

3. პირს აქვს უფლება სავაჭრო საიდუმლოების დასაცავად მიმართოს ნებისმიერი საჯარო დაწესებულებას და მოითხოვოს სავაჭრო საიდუმლოების გასაიდუმლოება.

მუხლი 12. სავაჭრო საიდუმლოების დასაცავად მიმართული ღონისძიებები

1. სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრესა და მფლობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს:

ა) უკანონო გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნით;

ბ) დოკუმენტაციის, ნივთების, მასალების, ნივთიერებების, ელექტრონული ფაილების და სხვა ნებისმიერი მატარებლების მთლიანად ან ნაწილობრივ მოსარჩელისთვის გადაცემა, რომლებიც შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, შესაბამის შემთხვევებში კი მათი სრული ან ნაწილობრივი განადგურება.

გ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით;

დ) პროდუქციის განადგურების ან გამოყენების აკრძალვის მოთხოვნით, რომელიც დაკავშირებულია საიდუმლოების დარღვევასთან.

ე) მოითხოვოს სავაჭრო საიდუმლოებების დაცვა ნებისმიერი მესამე პირისაგან, მათ შორის ადმინისტრაციული და სახელმწიფო ორგანოებისგან.

2. დაზარალებულ პირს აქვს უფლება მოითხოვოს:

ა) მატერიალური ზიანის ანაზღაურება;

ბ) არამატერიალური ზიანის ანაზღაურება;

გ) უკანონოდ მოპოვებული სარგებლის კონფისკაცია.

დ) კომპენსაცია, რომლის ოდენობა განისაზღვრება რეალური ზიანის, დაკარგული მოგების, ბაზარზე მფლობელის პოზიციაზე, შეჯიბრებითობის ეფექტსა და პროდუქციის ღირებულებაზე გავლენის გათვალისწინებით.

3. მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კეთილსინდისიერი მესამე პირია, ამ მუხლის 1-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები შეიძლება შეიცვალოს მოსარჩელის სასარგებლოდ ფულადი ანაზღაურებით, თუ აღნიშნული ანაზღაურება სამართლიანად და გონივრულად აკმაყოფილებს მოსარჩელის ინტერესებს და შესაბამისი ღონისძიებების შესრულება მოპასუხეს მიაყენებს არაპროპორციულ ზიანს. ფულადი ანაზღაურების ოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის დანაწესს.

4. საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი სავაჭრო საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში სავაჭრო საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას სავაჭრო საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ სავაჭრო საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

მუხლი 13. სავაჭრო საიდუმლოებასთან დაკავშირებული დავის განხილვა

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის სავაჭრო საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

2. სავაჭრო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დავების განხილვისას, საქმის განხილველი სასამართლო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში არსებულ ინფორმაციას სრულად ან ნაწილობრივ აღიარებს სენსიტიურ ინფორმაციად.

3. სავაჭრო საიდუმლოების დავებში მონაწილე მხარეებმა, მათმა წარმომადგენლებმა, მოწმეებმა, ექსპერტებმა, სხვა წარმომადგენლებმა და ყველა იმ პირმა, ვისაც აქვთ წვდომა ასეთი საქმის დოკუმენტებზე, უნდა უზრუნველყონ სენსიტიურად აღიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ უნდა გამოიყენონ ან გაამჟღავნონ იგი სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულ ინფორმაციაზე მათ უკვე ჰქონდათ წვდომა სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ.

4. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მესამე პირებს, რომლებსაც აქვთ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს, მიეწოდებათ მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელშიც სავაჭრო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია წაშლილია და მიუწვდომელია.

5. საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუყოვნებლივ გამოიყენოს ჯარიმა 5000 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე ვადით, იმ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით. თუ ჯარიმის ამოღება შეუძლებელია, სასამართლო განსაზღვრავს ჯარიმის შეცვლას პატიმრობით და ასევე განსაზღვრავს პატიმრობის ვადა ჯარიმის პროპორციულად. დაწესებულ ადმინისტრაციულ ზომაზე საჩივარს აქვს შეჩერების ეფექტი.

6. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები რჩება ძალაში სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგაც. ეს არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ძალაში შევიდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც არ დადგინდა სავაჭრო საიდუმლოს არსებობა, ანდა როგორც კი დავის საგანი ინფორმაცია გახდება ზოგადად ცნობილი ან მარტივად ხელმისაწვდომი იმ წრეებისთვის, რომლებიც ჩვეულებრივ მსგავს ინფორმაციასთან მუშაობენ.

7. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მხარის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია, სასამართლო სხდომა დახუროს მთლიანად ან ნაწილობრივ.

მუხლი 14. ხანდაზმულობა

1. ამ კანონის დარღვევის თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი.
2. ამ კანონის დარღვევის თაობაზე წარდგენილი სარჩელი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძველია.

თავი მეოთხე

გარდამავალი დებულებები

მუხლი 14. კანონის ამოქმედება

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სახელი გვარი

საქართველოს კანონი

**„ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

მუხლი 1. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.06.2023, სარეგისტრაციო კოდი: 240010000.05.001.020907) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლს დაემატოს „ა.დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) ანაზღაურების სანაცვლოდ – სააგენტოს შეფასებით ანაზღაურებად შეიძლება ჩაითვალოს მომხმარებლის მიერ საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიღების სანაცვლოდ საკუთარი მონაცემების პერსონალური და არაპერსონალური მონაცემების გაზიარება, როდესაც საქმე ეხება ძირითად პლატფორმული მომსახურებას;“.

ბ) მე-2 მუხლს დაემატოს „ა.ე“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით:

ა.ე) ძირითადი პლატფორმული მომსახურება არის საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მომსახურებით:

ა.ე.ა) ონლაინ სამუამავლო მომსახურება;

ა.ე.ბ) ონლაინ საძიებო სისტემების მომსახურება;

ა.ე.გ) სოციალური ქსელების მომსახურება;

ა.ე.დ) ვიდეოს გამზიარებელი პლატფორმების მომსახურება;

ა.ე.ე) ადამიანთაშორისი კომუნიკაციის მომსახურებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ტელეფონის ნომრის არსებობაზე;

ა.ე.ვ) საოპერაციო სისტემები;

ა.ე.ზ) შემნახველი „ღრუბლის“ მომსახურებები;

ა.ე.თ) ვირტუალური ასისტენტები

ა.ე.ი) ონლაინ სარეკლამო მომსახურებები, მათ შორის, იგულისხმება სარეკლამო ქსელები, პლატფორმები, რომლებიც შექმნილია რეკლამის გაცვლისთვის და სხვა სარეკლამო სამუამავლო მომსახურებები.

გ) მე-2 მუხლს დაემატოს „ა.ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით:

ა.ვ) ძირითადი პლატფორმული მომსახურებები, რომელსაც ითვალისწინებს ამ კანონის ა.ე.ა, ა.ე.ბ, ა.ე.გ, ა.ე.დ, ა.ე.ე ითვლება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად მაშინაც კი მათი მომსახურება არ ითვალისწინებს ფინანსურ და ფულად ანაზღაურებას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სახელი გვარი

საქართველოს კანონი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.016710) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) **შესაბამისი ბაზარი** – საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შექმნის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად;

ზ.ა) **შესაბამისი ციფრული ბაზარი** – ინფორმაციული საზოგადოების მომსახურება „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სახელი გვარი

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32(39), 1999 წელი, მუხ. 166) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან სავაჭრო საიდუმლოებას.“.

2. მე-10 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლი, თუ ეს ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან სავაჭრო საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისა და გამოქვეყნების საკითხები წყდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

3. 27²-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 27². სავაჭრო საიდუმლოება

სავაჭრო საიდუმლოების ცნება, მათ დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობა წესრიგდება „სავაჭრო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. 27³ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან სავაჭრო საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან სავაჭრო საიდუმლოებას.“

5. 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, პროფესიული ან სავაჭრო საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისა და გამოქვეყნების საკითხები წყდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.“

6. 31-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და სავაჭრო ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. სავაჭრო საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას აღარ აქვს ის ღირებულება, რომლის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.“

7. 37¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 37¹. საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და სავაჭრო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

„1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან სავაჭრო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან სავაჭრო საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.“

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას, თავად გამოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან სავაჭრო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.

3. სხვისი პერსონალური მონაცემების ან სავაჭრო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.“

8. 42-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, სავაჭრო ან პროფესიულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.“

9. 50-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა, სავაჭრო და პროფესიული საიდუმლოებებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის განმავლობაში.“

10. 83-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 83. სავაჭრო საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების წარდგენის წესი

განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, სავაჭრო საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა.“

11. 99-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან სავაჭრო საიდუმლოებას.“

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან სავაჭრო საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.“

12. 111-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სავაჭრო ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.“

13. 164-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სავაჭრო ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია.“

14. 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან სავაჭრო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სახელი გვარი